ს ა ს კ ო ლ ო ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ლევ ტოლსტოი

ჰაჯი-მურატი

თარგმანი შ. თაბუკაშვილისა

საქ. ა. ლ. კ. კ. ს. კ.
საბავშვო და ახალგაზრდობის
ლიტგამომცემლობა
თბილისი 1938

„ჰაჯი-მურატის“ შესახებ

ლ. ტოლსტოიმ (1828—1910) თავისი ისტორიული მოთხრობის „ჰაჯი-მურატის“ წერა 1896 წელს დაიწყო და მხოლოდ 1904 წელს დაასრულა. ამ მოთხრობას საფუძვლად უდევს ნამდვილი ისტორიული ეპიზოდი: ნიკოლოზ 1-ის ეპოქაში, კავკასიის დაპყრობის დროს, შამილთან მომხდარ უთანხმოების გამო. რუსების მხარეს გადმოვიდა შამილის ნაიბი ჰაჯი-მურატი (1818 1852), რომელიც ძალიან პოპულარული იყო მთიულებში.

ჰაჯი-მურატი ჯერ თბილისში ცხოვრობდა, შემდეგ კი ნუხაში. 1852 წელს იგი იძულებული გახდა მთებში გაქცეულიყო, მაგრამ დაედევნენ და ნუხის მაზრის უფროსმა იოსებ ყორლანოვმა მოჰკლა.

„ჰაჯი-მურატში“ ავტორი ფარულად აკრიტიკებს ნიკოლოზ 1-ს, მკითხველს თვალწინ უშლის მის გულქვაობას, უსამართლობას. ეს კრიტიკა განსაკუთრებით მძაფრია დაპყრობითი ომის სურათების გადიოშლაში. მეფის მთავრობა მუსრს ავლებს მთიულებს, მღვრება თავისუფლების მოყვარული ადამიანების სისხლი. ავტორი დიდი პოეტური გაქანებით ასახავს თავის საყვარელ გმირს—ჰაჯი-მურატს, მტკიცე ნებისყოფის პიროვნებას, ბუნების ლაღ შვილს, რომელიც დაპირისპირებულია ნიკოლოზ 1-ის უჰსგავს მოხელეებთან.

„ჰაჯი-მურატი“ მხოლოდ ლ. ტოლსტოის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა.

ჰაჯი-მურატი

მინდვრებით ვბრუნდებოდი შინ. შუაგული ზაფხული იყო. მდელოებიდან თივა გაეზიდათ და ჭვავის მოსამკელად ემზადებოდნენ.

ფერების მშვენიერი შეხამებაა წლის ამ დროს: წითელი, თეთრი, ვარდისფერი სურნელოვან-ფუნჩულა სამყურა; რძესავით თეთრი და მეტად ყვითელგულა „გიყვარვარ—არ გიყვარვარ“ თავისი სასიამოვნო მწვავე სუნით, ყვითელი ბოლოკა თავისი თაფლის სუნით, სოსანა მაჩიტა და მაღალი და შროშანას მაგვარი თეთრი მერძეულა; მცოცავი ცერცველები; ყვითელი, წითელი, ვარდისფერი სკაბიოზები; ლილისფერი, წესიერი, ოდნავ ვარდისფერბუსუსიანი და ძლივს შესაგრძნობი საამური სუნის მქონე მრავალძარღვა; ღიღილო—მზეზე და ახალგაზრდობის ჟამს კაშკაშა ლურჯი, საღამოს—ცისფერი, სიბერისას რომ შეწითლდება; და ნაზი, ნუშის სუნის მქონე ხვართქლას ყვავილები, იმ წამსვე რომ ჭკნება.

შევაგროვე სხვადასხვანაირ ყვავილთა დიდი თაიგული და შინ მივდიოდი, როცა შევნიშნე თხრილში მშვენიერი ჟოლოსფერი, მთლად აყვავებული ბირკი, ისეთი, რომელსაც ჩვენში „თათარს“ ეძახიან და ცდილობენ არ მოთიბონ, ხოლო როცა უცა-

ბედად მოსჭრიან, მაშინ მთიბავნი თივიდან აგდებენ, რომ ხელში არ ეჩხვლიტოთ ხოლმე. მომინდა ამ ბირკის მოგლეჯა და თაიგულის შუაგულში ჩადება. ჩავედი თხრილში, დავაფრთხე ყვავილის შუაგულში ტკბილად და ზანტად დაძინებული კრაზანა და დავიწყე ყვავილის მოგლეჯა. მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო: გარდა იმისა, რომ ღერო ყოველი მხრიდან მჩხვლეტდა და ცხვირსახოცშიც კი ატანდა, რომელიც ხელზე შემოვიხვიე, იგი ისე საშინლად მაგარი იყო, რომ ხუთ წუთს ვეწვალე და სათითაოდ დავგლიჯე ბოჭკოები. ბოლოს, როცა ყვავილი მოვწყვიტე, მისი ღერო უკვე მთლიანად დაძენძილიყო და არც ყვავილი მეჩვენებოდა ახლა ისე ცოცხალი და ლამაზი. ამის გარდა, ის თავისი სიტლანქით სულ არ უდგებოდა თაიგულის სხვა ნაზ ყვავილებს. ძალიან ვიდარდე, რომ ასე ტყუილ-უბრალოდ დავღუპე ყვავილი, რომელიც თავის ადგილზე მართლაც კარგი იყო, და გადავაგდე. „არა, მაინც როგორი ძალა და სასიცოცხლო ენერგია აქვს“—გავიფიქრე, როცა გამახსენდა, რა გასაჭირი დამადგა ყვავილის მოსაწყვეტად. „როგორ იცავდა თავს და რა ძვირად გაჰყიდა თავისი სიცოცხლე“.

სახლისკენ მიმავალი გზა შესვენებულ და ახალმოხნულ შავმიწიან მინდვრებზე გადიოდა. მივდიოდი მიხვეულ-მოხვეული მტვრიანი შავმიწიანი გზით.

მოხნული მიწა მემამულეს ეკუთვნოდა და ძალიან დიდიც იყო, ასე რომ ორივე მხრიდან და წინაც ალმართში არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა, გარდა შავი, კარგად დაფარცხული და ჯერ კიდევ ქერქგადუკვრელი შესვენებული მიწისა. კარგი ნახნავი იყო და მინდორზე არსად არ მოჩანდა არც ერთი მცენარე, არც ერთი ბალახი, ყველაფერი შავი იყო. „რა ყველაფრის გამანადგურებელი არსებაა ადამიანი, რამდენი სხვადასხვაგვარი ცოცხალი არსება, მცენარეები დაულუპავს თავისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად", — ვფიქრობდი და უნებურად ვეძებდი ცოცხალ რამეს ამ მკვდარ შავ მინდორზე. ჩემ წინ, გზიდან მარჯვნივ, რაღაც ბუჩქი მოჩანდა. როდესაც ახლო მივედი, ეს ბუჩქი ისეთივე „თათარი" იყო, რომლის ყვავილი ასე ტყუილ-უბრალოდ მოვგლიჯე და გადავაგდე.

„თათრის" ბუჩქი სამი ტოტისაგან შესდგებოდა. ერთი მოგლეჯილი იყო, და მოჭრილ ხელივით გამოშვერილიყო ტოტის დანარჩენი ნაწილი. ორ დანარჩენზე თითო ყვავილი იყო. ეს ყვავილები ოდესღაც წითელი იყო, ახლა კი — გაშავებული. ერთი ღერო გადატეხილიყო, და მისი ნახევარი, რომელსაც ბოლოზე დასვრილი ყვავილი ჰქონდა, ძირს ეკიდა. მეორე ღერო, თუმცა შავი მიწით იყო გასვრილი, მაინც კიდევ ზევით იყო აშვერილი. ეტყო-

ბოდა, რომ მთელი ბუჩქისთვის ბორბალს გადაეარა და ის მერმე ამდაგარიყო და ამიტომ იყო გვერდზე გადახრილი, მაგრამ მაინც იდგა,—თითქო ამოაგლიჯეს ხორცის ნაჭერი, შიგნეული გადმოაყრევინეს, ხელი მოსწყვიტეს, თვალი გამოსთხარეს, მაგრამ ის მაინც დგას და არ ნებდება ადამიანს, რომელმაც მის გარშემო ყველა მისი მოძმე მოსპო.

„რა ენერგიაა,—გავიფიქრე,—ყველაფერს აჯობა ადამიანმა, მილიონი სხვადასხვა ბალახი მოსპო, და ეს კი მაინც არ ნებდება“.

და მომაგონდა ერთი ძველის-ძველი კავკასიური ამბავი, რომლის ნაწილი მე თვითონ ვნახე, ნაწილი მომსწრეთაგან გავიგონე და ნაწილიც თვითონ წარმოვიდგინე. ეს ამბავი, ჩემ მოგონებასა და წარმოდგენაში ჩამოყალიბებული, აი როგორია.

თავი პირველი

ეს იყო 1851 წლის გასულს. ნოემბრის ცივ საღამოს ჰაჯი-მურატი ცხენით მიდიოდა ჩეჩნების დაწყნარებულ აულ[1] მახკეტში, სადაც წივის სურნელოვანი ბოლი ადიოდა. მახკეტი ოცი ვერსით იყო დაშორებული რუსების სამფლობელოთაგან.

ეს-ეს იყო მიჩუმდა მუეძინის დაჭიმული სიმღერა, და მთის სუფთა ჰაერში, რომელიც წივის სუნით იყო გაჟღენთილი, გარკვევით ისმოდა, აულის ვიწრო ფიჭის უჯრედებივით ერთმანეთზე მიტყუპებული სახლებისკენ მიმავალი ძროხების ბღავილსა და ცხვრების პეტელში, მოკამათე მამაკაცების ხორხისმიერი ხმები, ქალებისა და ბავშვების ხმები შადრევნის ქვემოთ.

ეს ჰაჯი-მურატი იყო თავისი გმირობით სახელგანთქმული ნაიბი[2] შამილისა[3] და არსად ისე არ

---

[1] აული—სოფელი.

[2] ნაიბი—მხარის, კუთხის უფროსი. ათასეულის მეთაური ომის დროს.

[3] შამილი (1797—1871) ბელადი და გამაერთიანებელი დაღესტნის და საჩეჩნეთის მთიელებისა. მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის 1859 წ. იძულებული იყო გუნიბის აღების შემდეგ ტყვედ ჩაბარებოდა ა. ბარიატინსკის.

შამილი დაატყვევეს და გადაასახლეს კალუგაში. 1870 წ. მას ნება დართეს მექაში გამგზავრებისა, სადაც ის გარდაიცვალა 1871 წ.

გამოდიოდა, თუ თავისი ნიშანი არ ჰქონოდა თან, თუ არ ახლდა ათი მიურიდი[1] რომელნიც მის გარშემო დააქროლებდნენ ცხენებს. ახლა კი, გახვეული ყაბალახსა და ნაბადში, რომლიდანაც თავი უჩანდა შაშხანას, ის ერთი მიურიდის თანხლებით მიდიოდა და, რამდენადაც შეიძლებოდა, ცდილობდა არ შეემჩნიათ ის, თანაც თავისი სწრაფი შავი თვალებით გზაზე შემოხვედრილ მგზავრებს სახეში აჩერდებოდა.

როდესაც აულის შუაგულში შევიდა, ჰაჯი-მურატი იმ ქუჩას კი არ დაადგა, რომელიც მოედნისაკენ მიდიოდა, მან მარცხნივ გადაუხვია ვიწრო შესახვევში. როცა მიუახლოვდა შესახვევში მეორე სახლს, ნახევარმთაში ამოთხრილს, გაჩერდა და გაიხედ-გამოიხედა. ფარდულში, სახლის წინ, არავინ არ იყო, ბანზე კი, ახლადწასმულ თიხის მილის უკან, იწვა კაცი, რომელსაც ტოლომა[2] ეხურა. ჰაჯი-მურატი მათრახის ტარით შეეხო ბანზე მწოლარე კაცს და „ტც“ დაუძახა. ტოლომიდან წამოდგა მოხუცი, რომელსაც ღამის ქუდი ეხურა და ძველი აპრიალებული ახალოხი ეცვა. მოხუცს უწამწამო თვალები აცრემლებული და გაწითლებული ჰქონდა და, რომ გაეხილა, ახამხამებდა. ჰაჯი-მურატმა წარმოს-

[1] მიურიდები—მიურიდიზმის, რელიგიურ ნაციონალური მოძრაობის მიმდევარნი დაღესტანსა და ჩეჩნეთში. იმამის (დაღესტნისა და ჩეჩნეთის მუსულმანთა წინამძღოლის) უახლოესი თანამებრძოლნი.

[2] ტოლომა—თბილი ქურქი.

თქვა ჩვეულებრივი „სელამ ალეიქუმ“[1] და სახე გამოიჩინა.

— ალეიქუმ სელამ,[1] — სთქვა მოხუცმა და გაიღიმა უკბილო პირით, როდესაც იცნო ჰაჯი-მურატი, წამოდგა თავის გამხდარ ფეხებზე და დაიწყო ფეხის ჩაყოფა მილის ახლო მიგდებულ ხისქუსლებიან ქოშებში. როდესაც ფეხთ ჩაიცვა აუჩქარებლად გაუყარა ხელები დაქმუქნული უსაპირო ტოლომის სახელოში და ზურგით ჩაკოცდა ქვევით ბანზე მიდგმულ კიბეზე. ჩაცმისა და ჩასვლის დროს მოხუცი აქნევდა თავს წვრილ დამწვარ კისერზე და განუწყვეტლივ აცმაცუნებდა უკბილო პირს. როცა მიწაზე ჩამოვიდა, სტუმართმოყვარეობით მოჰკიდა ხელი ჰაჯი-მურატის ცხენის აღვირს და მარჯვენა უზანგს, მაგრამ თავისი ცხენიდან სწრაფად ჩამოხტა ჰაჯი-მურატის სწრაფი და ღონიერი მიურიდი, რომელმაც განზე გასწია მოხუცი და შეენაცვლა.

ჰაჯი-მურატი ჩამოხტა ცხენიდან და ოდნავ შესამჩნევი კოჭლობით შევიდა ფარდულში. მის შესახვედრად კარებიდან სწრაფად გამოვიდა თხუთმეტი წლის ყმაწვილი და გაკვირვებული დააცქერდა მოსულებს თავისი შავი, მწიფე მოცხარივით მბრწყინავი თვალებით.

---

[1] სელამ ალეიქუმ — „გამარჯობა“: მისალმება, რომელზედაც უპასუხებენ: „ალეიქუმ სელამ“ — „გაგიმარჯოს“.

— გაიქეცი მეჩეთში[1] და მამას დაუძახე, — უბრძანა ყმაწვილს მოხუცმა, გაასწრო ჰაჯი-მურატს და გაულო სახლის მჩატე და ჭრიჭინა კარი. იმ დროს, როცა ჰაჯი-მურატი შედიოდა, შიგნითა კარიდან გამოვიდა წვრილი, არაახალგაზრდა ქალი, რომელსაც ყვითელ პერანგზე წითელი ახალოხი და ლურჯი შარვალი ეცვა. ამ ქალს ბალიშები მოჰქონდა.

— ბედნიერი იყოს შენი მოსვლა, — თქვა ქალმა და დაიხარა, დააწყო ბალიშები წინა კედელთან, რომ სტუმარი დასვა.

— ღმერთმა გიცოცხლოს შვილები, — მიუგო ჰაჯი-მურატმა, მოიძრო ნაბადი, შაშხანა და ხმალი და გადასცა მოხუცს.

მოხუცმა ფრთხილად ჩამოჰკიდა ლურსმანზე შაშხანა და ხმალი, მამასახლისის ჩამოკიდებული იარაღის ახლოს, ორ დიდ ტაშტს შორის, რომელნიც ბრწყინავდნენ ახლადშელესილ და შეთეთრებულ კედლებზე. ჰაჯი-მურატმა გაისწორა დამბაჩა უკან, მივიდა დალაგებულ ბალიშებთან, აიკალთავა ჩოხა და დაჯდა. მოხუცი ჩაჯდა მის ახლოს თავის ტიტველ ქუსლებზე, დახუჭა თვალები და ხელისგულები ზევით ასწია. ჰაჯი-მურატიც ასევე მოიქცა. მერე ორივემ წარმოსთქვეს ლოცვა, ორივე ხელი სახეზე ჩამოისვეს და წვერის ბოლოზე შეაერთეს.

[1] მეჩეთი — მუსულმანების სამლოცველო.

— ნე ხაბარ? — დაეკითხა ჰაჯი-მურატი მოხუცს (ე. ი. ახალი ამბავი რა არისო).

— ხაბარ იოხ (ახალი არაფერია), — უპასუხა მოხუცმა და შეხედა არა სახეს, არამედ ჰაჯი-მურატის მკერდს თავისი წითელი, უსიცოცხლო თვალებით. — მე საფუტკრეში ვცხოვრობ, მხოლოდ ახლა ჩამოვედი შვილის სანახავად. იმან იცის.

ჰაჯი-მურატი მიხვდა, რომ მოხუცს არ სურდა იმის თქმა, რაც იცოდა და რის ცოდნაც საჭირო იყო ჰაჯი-მურატისთვის; მან ოდნავ დააქნია თავი და აღარ დაუწყო გამოკითხვა.

— კარგი არაფერია ახალი, — დაიწყო მოხუცმა. — ახალი მხოლოდ ისაა, რომ კურდღლები იმაზე ბჭობენ, თუ როგორ განდევნონ არწივები. არწივები კი ჰგლეჯენ ხან ერთსა და ხან მეორეს. გასულ კვირას რუსის ძაღლებმა მიჩიკკების თივა დასწვეს, იმათი სახე კი დაიფლითოს, — ბოროტად დაიხრიალა მოხუცმა.

შემოვიდა ჰაჯი-მურატის მიურიდი, რომელიც წყნარად აბიჯებდა თავის ღონიერ ფეხებს მიწურ იატაკზე; ამანაც, როგორც ჰაჯი-მურატმა, მოიძრო ნაბადი, შაშხანა და ხმალი, ტანზე მარტო ხანჯალი და დამბაჩა დაიტოვა და თვითონ ჩამოჰკიდა იმავე ლურსმანზე, რომელზედაც ეკიდა ჰაჯი-მურატის იარაღი.

— ვინ არის ეს კაცი?—ჰკითხა ჰაჯი-მურატს მოხუცმა და უჩვენა ახლადშემოსულზე.

— ჩემი მიურიდია. ელდარი ჰქვიან,—უპასუხა ჰაჯი-მურატმა.

— ძალიან კარგი,—თქვა მოხუცმა და უჩვენა ელდარს ადგილი ნაბადზე, ჰაჯი-მურატის ახლო.

ელდარი დაჯდა, ფეხები მოიკეცა და ჩუმად დააცქერდა თავისი ლამაზი, ცხვრის თვალებით ლაპარაკის საღერღელ აშლილ მოხუცს. მოხუცი უამბობდა მათ, ყოჩაღმა ბიჭებმა გასულ კვირას როგორ დაიჭირეს რუსის ორი ჯარისკაცი, ერთი მოჰკლეს და მეორე შამილს გაუგზავნეს ვედენოში.[1] ჰაჯი-მურატი უყურადღებოდ უსმენდა, გასცქეროდა კარს და ყურს უგდებდა ხმაურობას, რომელიც გარედან ისმოდა. ფარდულში, სახლის წინ, ფეხის ხმა მოისმა, კარმა გაიჭრიჭინა, და შემოვიდა მასპინძელი.

სახლის პატრონი სადო ორმოცი წლის კაცი იქნებოდა, მოკლე წვერი ჰქონდა, გრძელი ცხვირი და ისეთივე შავი, თუმცა არა იმდენად მბრწყინავი თვალები, როგორც თხუთმეტი წლის მის ვაჟს, რომელიც გაიქცა მის დასაძახებლად, ახლა კი მამასთან

[1] ვედენო—ძველი ციხე-სიმაგრე დიდ საჩეჩნოში გროზნის მახლობლად, მდინარე ხელხულაუს მარჯვენა ნაპირას. მეფის რუსეთის ჯარების მიერ აულ დარგოს განადგურების შემდეგ, ბუნებრივად და ხელოვნურად გამაგრებული ვედენო 14 წლის განმავლობაში იყო შამილის თავშესაფარი ცენტრი. ვედენო დაიპყრეს 1759 წელს.

ერთად შემოვიდა სახლში და კარებთან დაჯდა. გაიძრო რა კარებთან ხის ქოშები, მასპინძელმა გადაიწია დიდი ხნის გაუპარსავ და შავი თმებით დაფარულ თავის კეფაზე ძველი, გაცრეცილი ფაფახი და წამსვე ჰაჯი-მურატის წინ დაცუცქდა.

როგორც მოხუცმა, მანაც დახუჭა თვალები, ხელისგულები ზევით ასწია, წარმოსთქვა ლოცვა, ჩამოისვა სახეზე ხელები და მხოლოდ მაშინ დაიწყო ლაპარაკი.

სადო ამბობდა, რომ შამილისაგან იყო ნაბრძანევი დაეჭირათ ჰაჯი-მურატი, ცოცხალი ან მკვდარი, რომ მხოლოდ გუშინ წავიდნენ შამილის გამოგზავნილები, რომ ხალხს შამილის ბრძანების აუსრულებლობის ეშინია და ამიტომ საჭიროა სიფრთხილე.

— ჩემ სახლში,—თქვა სადომ,—ჩემ ყონაღს,[1] სანამ ცოცხალი ვარ, ვერავინ ვერაფერს უზამს. მაგრამ მინდვრად რა ვქნათ? ამაზე უნდა ვიფიქროთ.

ჰაჯი-მურატი ყურადღებით ისმენდა, თანხმობის ნიშნად თავს იქნევდა და, როცა სადომ გაათავა, თქვა:

— კარგი. ახლა რუსებს უნდა გავუგზავნოთ კაცი და წერილი. ჩემი მიურიდი წავა, მხოლოდ საჭიროა გამყოლი.

---

[1] ყონაღი—სტუმარი, მეგობარი.

— ჩემ ძმას ბატას გავატან, — თქვა სადომ. — დაუძახე ბატას, — მიუბრუნდა შვილს.

ყმაწვილი ბურთივით წამოვარდა ფეხზე და ხელების ქნევით ჩქარა გავიდა სახლიდან, ათი წამის შემდეგ დაბრუნდა მზით დამწვარ, ძარღვიან და მოკლეფეხებიან ჩეჩნელთან ერთად, რომელსაც ეცვა გაცრეცილი ყვითელი ჩოხა, დახეულფოჩებიანი საბელოებით, და ჩაშკებული შავი პაჭიჭები. ჰაჯი-მურატი მიესალმა ახლადმოსულს და იმ წამსვე, ზედმეტი სიტყვის უთქმელად, უთხრა:

— შეგიძლია ჩემი მიურიდი რუსებთან გადაიყვანო?

— შეიძლება, — მხიარულად უპასუხა ბატამ. — ყველაფერი შეიძლება. ჩემ წინააღმდეგ წასვლა ვერცერთი ჩეჩნელი ვერ გაბედავს. სხვა წავა, ყველაფერს დაგპირდება და ვერაფერს კი ვერ გააკეთებს. მე კი შემიძლია.

— ძალიან კარგი, — თქვა ჰაჯი-მურატმა. — შრომისთვის სამს მიიღებ, — თქვა და აჩვენა სამი თითი.

ბატამ თავი დაუქნია, ნიშნად იმისა, რომ გაიგო, და დაუმატა: ჩემთვის ფული კი არ არის ძვირფასი, მე პატივის გამო მსურს ვემსახურო ჰაჯი-მურატსო. ყველა იცნობს მთაში ჰაჯი-მურატს, როგორ მუსრავდა ის რუსის ლორებს.

— ძალიან კარგი, — უთხრა ჰაჯი-მურატმა, — თოკი კარგია გრძელი, სიტყვა კი მოკლე.

— კარგი, გავჩუმდები, — თქვა ბატამ.

— სადაც არგუნი[1] უხვევს, კლდის პირდაპირ, ტყეში ერთი ველია და ორი ზვინი დგას. იცი?

— ვიცი.

— იქ მიცდის სამი ცხენოსანი, — თქვა ჰაჯი-მურატმა.

— აია, — თავის ქნევით ამბობდა ბატა.

— იკითხავ ხან-მაგომას. ხან-მაგომამ იცის, რა უნდა გააკეთოს და რა სთქვას. ის უნდა მიიყვანო რუსების უფროსთან, თავად ვორონცოვთან. შესძლებ?

— მივიყვან.

— უნდა მიიყვანო და უკანაც მოიყვანო. შესძლებ?

— შეიძლება.

— მიიყვან, დაბრუნდები ტყეში. მეც იქ ვიქნები.

— ყველაფერს გავაკეთებ, — თქვა ბატამ, წამოდგა, მიიდო ხელები მკერდზე და გავიდა.

— საჭიროა კიდევ ერთი კაცის გაგზავნა ჩეხში, უთხრა ჰაჯი-მურატმა მასპინძელს, როცა ბატა გავიდა. — ჩეხში აი რა არის საჭირო, — დაიწყო მან და

[1] არგუნი — მდინარე თერგის ოლქში, მდ. სუნჯის (მდ. თერგის შენაკადის) მარჯვენა შენაკადი.

მოიკიდა ჩოხის ერთ მასრაზე ხელი, მაგრამ წამსვე დაუშვა ხელი და გაჩუმდა, როდესაც შეხედა, რომ სახლში ორი დედაკაცი შემოდიოდა.

ერთი სადოს ცოლი იყო, სწორედ ის გამხდარი და ხანში შესული ქალი, რომელმაც ბალიშები დააალაგა. მეორე იყო ძალიან ახალგაზრდა გოგო, რომელსაც წითელი შარვალი და ლურჯი ახალოხი ეცვა, ვერცხლის ფულის ფარდა კი მთელ გულს უფარავდა. მის მოკლე, მაგრამ მსხვილ მაგარ შავ ნაწნავს, რომელიც გამხდარი ზურგის მხრებს შუა ეკიდა, ბოლოზე ვერცხლის მანეთიანი ჰქონდა მიბმული. ისეთივე შავი, მოცხარის მაგვარი თვალები ჰქონდა, როგორც შამას და ძმას და მხიარულად უბრწყინავდა ახალგაზრდა სახეზე, თუმცა ის ცდილობდა სასტიკი სახე ჰქონოდა. ქალი არ უმზერდა სტუმრებს, მაგრამ ეტყობოდა, რომ გრძნობდა მათ აქ ყოფნას.

სადოს ცოლს მოჰქონდა დაბალი, მრგვალი მაგიდა, რომელზედაც ეწყო ჩაი, პილგიში, ერბოიანი ბლინები, ყველი, ჭადი და თაფლი. ქალიშვილს მოჰქონდა ტაშტი, კუმგანი[1] და პირსახოცი.

სადო და ჰაჯი-მურატი ორივენი სდუმდნენ, როდესაც ქალები ნელა დადიოდნენ თავის წითელი და

[1] კუმგანი—ვიწროყელიანი მაღალი ჭურჭელი.

რბილი ულანჩო ჩუსტებით და სტუმრების წინ ალაგებდნენ, შემოტანილ საჭმელებს. ელდარი მისჩერებოდა ცხვრის თვალებით თავისსავე მორთხმულ ფეხებს და ქანდაკებასავით არ ინძრეოდა მთელი ამ დროის განმავლობაში, სანამ ქალები სახლში იყვნენ. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ქალები გავიდნენ და კარს უკან სრულიად მისწყდა მათი რბილი ნაბიჯი, ელდარმა თავისუფლად ამოისუნთქა, ჰაჯი-მურატმა კი ამოაძრო თავისი ჩოხის ერთერთი მასრა, მოაძრო ტყვია, რომელიც მასრას ჰქონდა დაცმული, და ტყვიის ქვეშ ამოიღო მილივით დახვეული წერილი.

— ჩემ შვილს გადასცემ, — თქვა მან და აჩვენა წერილზე.

— პასუხი სად? — იკითხა სადომ.

— შენ, და შენ მომიტან.

— შევასრულებ, — თქვა სადომ და წერილი თავისი ჩოხის მასრაში ჩაიდო. მერე აიღო ხელში კუმგანი, ახლოს მიუტანა ჰაჯი-მურატს ტაშტი. ჰაჯი-მურატმა გადაიკეცა ახალოხის სახელოები თავის ძარღვიან ხელზე და მიუშვირა ცივ და კრიალა წყალს, რომელსაც კუმგანიდან ასხამდა სადო. როდესაც შეიხოცა ხელი სუფთა ტლანქი პირსახოცით, ჰაჯი-მურატი მიუჯდა საჭმელს. ასევე მოიქცა ელდარიც. სანამ სტუმრები ჭამდნენ, სადო მათ პირდაპირ

იჯდა და რამდენჯერმე მადლობა მოახსენა სტუმრებს მობრძანებისათვის. კარებთან მიმჯდარი ყმაწვილი არ აშორებდა თავის ბრწყინვალე შავ თვალებს ჰაჯი-მურატს და იღიმებოდა, თითქოს ღიმილით თავისი მამის სიტყვებს ადასტურებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰაჯი-მურატს ერთი დღედაღამე არაფერი არ ეჭამა, ცოტა პური და ყველი შეჭამა, შემდეგ ამოიღო ხანჯლიდან პატარა დანა, აიღო იმით თაფლი და დააცხო პურს.

— კარგი თაფლი გვაქვს. წრევანდელი ყველა წელიწადზე უკეთესია: ბევრიც არის და კარგიც,— თქვა მოხუცმა, რომელიც, ეტყობოდა, იმით იყო ნასიამოვნები, რომ ჰაჯი-მურატი მის თაფლს მიირთმევდა.

— მადლობელი ვარ,—თქვა ჰაჯი-მურატმა და თავი დაანება საჭმელს. ელდარს კიდევ უნდოდა ჭამა, მაგრამ ისიც, როგორც მისი მიურშიდი [1], მოშორდა მაგიდას და მიართვა ჰაჯი-მურატს კუმგანი.

სადომ იცოდა, რომ ჰაჯი-მურატის სახლში მიღებით თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა, რადგან ჰაჯი-მურატის შამილთან წაჩხუბების შემდეგ საჩეჩნოს ყველა მცხოვრებს გამოუცხადეს, რომ სიკვდილით დაისჯებოდა ის, ვინც ჰაჯი-მურატს მიი-

[1] მიურშიდი—დამრიგებელი, მასწავლებელი.

ღებდა. სადომ იცოდა, რომ აულის მცხოვრებთ ყოველ წამს შეეძლოთ გაეგოთ ჰაჯი-მურატის ყოფნა მის სახლში და შეეძლოთ მოეთხოვათ მისი გაცემა. მაგრამ ეს სადოს არათუ აშინებდა, პირიქით, ახარებდა კიდეც. სადოს თავის მოვალეობად მიაჩნდა სტუმრის დაცვა, თუნდაც ეს სიცოცხლედაც დასჯდომოდა, შეჰხაროდა თავის თავს, ამაყობდა იმით, რომ ისე იქცევა, როგორც საჭიროა.

— სანამ შენ ჩემ სახლში ხარ და მეც თავი მხრებზე მაბია, ვერავინ ვერ გახლებს ხელს, — გაუმეორა სადომ ჰაჯი-მურატს.

ჰაჯი-მურატმა შეხედა მის გაბრწყინებულ თვალებს, მიხვდა, რომ ეს მართალი იყო, და ერთგვარი აღტკინებით უთხრა:

— მოგენიჭოს სიხარული და სიცოცხლე.

სადომ ჩუმად დაიწყო ხელები მკერდზე, კეთილი სიტყვისთვის მადლობის ნიშნად.

როდესაც დაკეტა სახლის ფანჯრების დარაბები და ბუხარში ფიჩხი შეალაგა, სადო განსაკუთრებით მხიარული და აღელვებული გავიდა საყონაღოდან და შევიდა სახლის იმ განყოფილებაში, სადაც ცხოვრობდა მთელი მისი ოჯახობა. ქალებს ჯერ კიდევ არ ეძინათ და ლაპარაკობდნენ საშიშარ სტუმრებზე, რომელნიც მათ საყონაღო ოთახში ათევდნენ ღამეს.

თავი მეოთხე

სწორედ იმ ღამეს მოწინავე ვოზდვიჟენსკოეს[1] ციხიდან, რომელიც ოცი ვერსის მანძილზე იყო იმ აულიდან, სადაც ათევდა ღამეს ჰაჯი-მურატი, ციხე-სიმაგრიდან შახგირინის ჭიშკრით გამოვიდნენ სამი ჯარისკაცი და უნტეროფიცერი. ჯარისკაცებს ეცვათ ჯუბები, თავზე ფაფახები ეხურათ; მხარზე გადაგდებული ჰქონდათ დახვეული მაზარები და ეცვათ დიდი ჩექმები, რომლების ყელი მუხლს ზევით ადიოდა, — როგორც ეცვათ მაშინ კავკასიის ჯარისკაცებს. ჯარისკაცებს მხრებზე თოფები ჰქონდათ გადებული და ჯერ გზაზე მიდიოდნენ, მერე, როცა ხუთასი ნაბიჯი გაიარეს, გზიდან გადაუხვიეს; გამხმარი ფოთლები მათი ჩექმების ქვეშ შრიალებდა; გაიარეს ოცი ნაბიჯი მარჯვნივ და გაჩერდნენ ერთ მოტეხილ ჭანდართან, რომლის შავი ტანი წყვდიადშიც კი მოჩანდა. ჩვეულებრივ ამ ჭანდართან აგზავნიდნენ საყურს.

ბრწყინვალე ვარსკვლავნი, რომელნიც თითქოს დარბოდნენ ხეების კენწეროებზე, სანამ ჯარისკაცები

---

[1] ვოზდვიჟენსკოე—ციხე-სიმაგრე თერგის მხარეში, მდ. არგუნის მარჯვენა ნაპირას.

ტყით მიდიოდნენ, ახლა გაჩერდნენ და ნათლად ბრწყინავდნენ ხეების გატიტვლებულ შტოებში.

— გმადლობთ, — ცივად თქვა უნტეროფიცერმა პანოვმა და ჩამოიხსნა მხრიდან გრძელი, ხიშტიანი თოფი, გაარახუნა და მიაყუდა ხის ტანს. სამი ჯარისკაციც ასე მოიქცა.

— ერთი ამას უყურე, დამიკარგავს, — წაიბუტბუტა გულმოსულმა პანოვმა, — ან დამავიწყდა, ანდა გზაში მომძვრალა.

— რას ეძებ, ჰა? — იკითხა ერთმა ჯარისკაცმა მხიარული და მტკიცე ხმით.

— ყალიონს. ეშმაკმა იცის, სად გაქრა!

— ჩიბუხის ტარი ხომ მთელია? — იკითხა მტკიცე ხმამ.

— ტარი აგერ მაქვს.

— ჰოდა პირდაპირ მიწაში?

— ეჰ, რას ამბობ.

— მაგას ჩვენ უცბად მოვაწყობთ.

საყუჩში თუთუნის წვეა აკრძალული იყო, მაგრამ ეს საყუჩი თითქმის არც იყო საყუჩი, ის უფრო მოწინავე სახმილავს ჰგავდა, რომელსაც იმიტომ აყენებდნენ, რომ მთიელებს არ მოეტანათ შეუმჩნეველად ზარბაზანი, როგორც წინათ იქცეოდნენ ხოლმე, და არ ესროლათ ციხისთვის; ამიტომ პანოვი არ სთვლიდა საჭიროდ უარი ეთქვა თამბაქოს მოწევაზე და

თანხმობა განაცხადა მხიარული ჯარისკაცის წინადადებაზე.

მხიარულმა ჯარისკაცმა ამოიღო ჯიბიდან დანა და დაუწყო მიწას ჩიჩქნა. ამოთხარა პატარა ორმო, მერე ამოასწორა, მოარგო ჩიბუხის ტარი, ჩაყარა თუთუნი ორმოში, მოტკეპნა, — და ყალიონიც მზად იყო. გოგირდის ასანთი აინთო და ერთ წამს გაანათა მუცელზე დაწოლილი ჯარისკაცის ღაწვისძვლებგამოწეული სახე. ჩიბუხში სტვენის ხმა მოისმა, პანოვმა იგრძნო ცეცხლმოკიდებული წეკოს სასიამოვნო სუნი.

— გამოაწყე? — თქვა მან და ფეხზე წამოდგა.

— მაშ არა და.

— ძალიან ყოჩაღი ბიჭი ხარ, ავდეევო. აბა, მაჩვენე.

ავდეევი გადაგორდა გვერდზე, ადგილი პანოვს დაუთმო და პირიდან ბოლი გამოუშვა.

პანოვი დაწვა მუცელზე, სახელოთი მოწმინდა ჩიბუხი და მოსწია.

როცა თუთუნის წევა გაათავეს, ჯარისკაცებმა საუბარი გააბეს.

— ამბობენ, ჩვენი როტის უფროსი ისევ ჩამძვრალა ყუთში, წაუღია, თურმე, — თქვა ერთმა ჯარისკაცმა ზანტად.

— გადაიხდის, — თქვა პანოვმა.

— რასაკვირველია. კარგი ოფიცერია, — დაუ მოწმა ავდეევმა.

— კარგი კი კარგია, — ნაღვლიანად განაგრძობ-და საუბრის დამწყები, — მაგრამ, მე ამას გირჩევთ, როტა მას უნდა მოელაპარაკოს: თუ წაიღო, თქვას, რამდენი აიღო და როდის მოგვცემს.

— როგორც როტა განსჯის, — თქვა პანოვმა, და თავი გაანება ჩიბუხს.

— ცხადია, ხალხი — დიდი კაცია, — დაჰკრა კვე-რი ავდეევმა.

— შვრია ხომ უნდა ვიყიდოთ, გაზაფხულისთვის წაღებიც საყიდელია, ფულია საჭირო, მაგრამ იმან წაიღო... — განაგრძობდა უკმაყოფილო.

— ვამბობ, როგორც როტა მოისურვებს მეთ-ქი, — გაიმეორა პანოვმა. — პირველი ხომ არ არის, წაიღებს და დააბრუნებს კიდეც.

კავკასიაში იმ დროს ყოველი როტის მთელ მეუნარეობას როტის მიერ ამორჩეული პირები განა-გებდნენ. როტა იღებდა ხაზინიდან კაცზე 6 მანეთს და 50 კაპ. და თვითონ პატრონობდა თავის თავს: თესავდა კომბოსტოს, თიბავდა თივას, თავისი ურ-მები ჰქონდა, თავს იწონებდა როტის მაძღარი ცხე-ნებით. როტის ფული ყუთში იყო ჩაკეტილი, და გასაღები როტის უფროსს ებარა; ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ როტის უფროსს ყუთიდან მიჰქონდა

ფული სესხად. ასე იყო ახლაც, და სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ ჯარისკაცები. კუშტ ჯარისკაცს ნიკიტინს უნდოდა როტის უფროსისთვის ანგარიში მოეთხოვა, პანოვი და ავდეევი კი იმ აზრისა იყვნენ, რომ ეს არ იყო საჭირო.

პანოვის შემდეგ ნიკიტინმა დაიწყო ჩიბუხის წევა, გაიგო ძირს მაზარა, დაჯდა და ხეს მიეყრდნო. ჯარისკაცები გაჩუმდნენ. მხოლოდ ისმოდა, როგორ არხევდა ქარი მაღლა, მათ თავებს ზევით, ხეების კენწეროებს. უცებ ამ გამუდმებულ წყნარ შრიალში გაისმა ტურების ყმუილი, წიწკინი, ტირილი და ხარხარი.

— უყურე ამ წყეულებს, როგორ გააბეს, — თქვა ავდეევმა.

— ეს ტურები შენ დაგცინიან, პირისახე რომ მოგღრეცია, — მოისმა მეოთხე ჯარისკაცის წვრილი ხოხლური ხმა.

ისევ მიჩუმდა ყველაფერი, მხოლოდ ქარი არხევდა ხეების ტოტებს და ხან დამალავდა, ხან გამოაჩენდა ვარსკვლავებს.

— ა, ანტონიჩ, — უცებ ჰკითხა მხიარულმა ავდეევმა პანოვს, — ხანდახან ხომ ხარ მოწყენილი?

— რა მოწყენილი უნდა ვიყო, — უგულოდ უპასუხა პანოვმა.

— მე კი ხანდახან ისე მომეწყინება, ისე, რომ თვითონ არ ვიცი ჩემ თავს რა ავუტეხო.

— ამას უყურე! — თქვა პანოვმა.

— მაშინ რომ ფული შევჭამე ქეიფში, ისიც ხომ მოწყენის გამო იყო. მომაწვა, ძალიან მომაწვა რალაცა. ვიფიქრე: მოდი, ერთი, ძალზე დავთვრები მეთქი.

— ასეც ხდება, რომ ღვინო უარესს გიზამს.

— ასეც იყო ხოლმე, მაგრამ სად გადავარდები!

— კი, მაგრამ რად ხარ მოწყენილი?

— მე? ჩემი სახლი მენატრება.

— მდიდრულად ცხოვრობდით?

— არა, მდიდრულად არა და ისე კი კარგად ვცხოვრობდით.

და ავდეევმა დაიწყო იმის თხრობა, რაც არა ერთხელ უამბია იმავე პანოვისათვის.

— მე ხომ ჩემი ნებით წამოვედი ჯარში ძმის მაგივრად, — დაიწყო ავდეევმა. — იმას ხუთი შვილი ჰყავდა, მე კი ის იყო ქალი შემრთეს. დედამ დამიწყო მუდარა. მეც ვიფიქრე: რა მიშავს, იქნებ დამიხსომონ კარგი საქმე მეთქი. მივედი ბატონთან. ბატონი კარგი კაცი გვყავდა. ყოჩაღ, ბიჭოო, მეუბნება, წადიო. და მეც წამოვედი ძმის მაგივრად.

— ძალიან კარგი გიქნია, — თქვა პანოვმა.

— ახლა კი, დაიჯერე, ანტონიჩ, ძალიან მომეწყინა. და უფრო კიდევ ის მწყინს, ძმის მაგივრად რატომ წამოვედი. ის ახლა მეფესავით ცხოვ-

რობს და შენ კი ,ოტანჯები, — ვეუბნები ჩემს თავს და რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო უარესი. ასეთი ყოფილა, ეტყობა, ცოდვა.

ავდეევი გაჩუმდა.

— მოდი კიდევ, მოვწიოთ, ჰა? — თქვა ავდეევმა.

— კარგი. აბა მოარგე ტარი.

მაგრამ ჯარისკაცებს არ დასცალდათ ჩიბუხის მოწევა. ის იყო ავდეევი ადგა და უნდოდა ტარი მოერგო ორმოსათვის, რომ ქარის შრიალში მოისმა გზაზე ნაბიჯების ხმა. პანოვმა აიღო თოფი და ფეხი წაჰკრა ნიკიტინს. ნიკიტინი წამოდგა და მაზარა აიღო. წამოდგა მესამეც — ბონდარენკო.

— მე კი, ძმებო, ისეთი სიზმარი ვნახე...

ავდეევმა „სუ“ მიაძახა ბონდარენკოს, და ჯარისკაცები გაინაბნენ, ყური მიუგდეს ხმაურობას. ფეხის ხმა ადამიანებისა რომლებსაც ჩექმები როდი ეცვათ, ოანდათან ახლოვდებოდა. უფრო და უფრო გარკვეულად ისმოდა ბნელაში ფოთლების შრიალი და გამხმარი ტოტების ლაწალუწი. შემდეგ მოისმა ლაპარაკი იმ თავისებურ ხორხისმიერ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ ჩეჩნები. ჯარისკაცებს ახლა არათუ ესმოდათ ლაპარაკი, ხედავდნენ კიდეც ორ ლანდს, ხეებს შორის მიმავალს. ერთი ლანდი დაბალი იყო, მეორე — უფრო მაღალი. როცა ლანდები ჯარისკაცებს გაუსწორდნენ, პანოვი, თავის ორ ამხანაგთან ერთად, თოფმიშვერილი გავიდა გზაზე.

—ვინ მოდის?—დაიყვირა მან.

—მშვიდობიანი ჩეჩენი, — თქვა იმან, რომელიც უფრო დაბალი იყო. ეს იყო ბატა.

—თოფი იოხ, ხმალი იოხ,—ამბობდა ის და თავის თავზე უჩვენებდა. კინეზი გვინდა.

ის, რომელიც უფრო მაღალი იყო, ჩუმად იდგა თავისი ამხანაგის ახლოს. მასაც არ ჰქონდა იარაღი.

—მსტოვარები ყოფილან, მაშ პოლკის უფროსთან უნდა წავიყვანოთ,—აუხსნა პანოვმა თავის ამხანაგებს.

—კინეზ ვორონცოვი ძალიან გვინდა, იმასთან დიდი საქმე გვინდა,—ამბობდა ბატა.

— კარგი, კარგი, მიგიყვანთ,—თქვა პანოვმა. —აბა, წაიყვანეთ შენ და ბონდარენკომ,—მიუბრუნდა ის ავდეევს. —როცა ჩააბარებ მორიგეს, უკან დაბრუნდი. ფრთხილად იყავი,—დაუმატა პანოვმა, —უბრძანე წინ წავიდნენ და უკან მიჰყევი.

—ეს რაღაა?—წამოიძახა ავდეევმა და ისე დაიქნია ხიშტიანი თოფი, თითქო ვიღაცა უნდა წამოეგო ზედ. — ერთს ისე გავურჭობ, რომ სულიც გასძვრება.

—მერე რაღათ ივარგებს, თუ ხიშტზე წამოაგებ, —თქვა ბონდარენკომ.

—აბა, იარ!

როცა მისწყდა ჯარისკაცებისა და მსტოვარების ფეხის ხმა, პანოვი და ნიკიტინი თავის ადგილას დაბრუნდნენ.

— რა ეშმაკი დააბორიალებს ამათ ამ ღამეში,— თქვა ნიკიტინმა.

— ალბათ საჭიროა,—თქვა პანოვმა.— აკივდა კი,—დაუმატა მან, გახსნა მაზარა, ჩაიცვა და დაჯდა ხესთან.

ორი საათის შემდეგ დაბრუნდა ავდეევი ბონდარენკოთი.

— ჩააბარე? —ჰკითხა პანოვმა.

— ჩავაბარეთ. პოლკის უფროსისას ჯერ კიდევ არ სძინავთ. პირდაპირ იმას მივუყვანეთ.

— რა შუბლგახსნილი ბიჭებია, ჩემო ძმაო, რომ იცოდე, რა კარგები,—განაგრძობდა ავდეევი.— ღმერთმანი. გზაზე იმათ გამოველაპარაკე.

— შენ რა, რასაკვირველია, გამოელაპარაკებოდი,—უკმაყოფილოდ თქვა ნიკიტინმა.

— პირდაპირ ისეთი ხალხია, როგორც რუსები. ერთი ცოლიანია. მარუშკა,[1] ვეუბნები, ბარ?[2]—ბარ, —მეუბნება. ცხვარი, ვეუბნები, ბარ?—ბარ, ბევრი. —ჯუფთია?—ჯუფთია, მეუბნება.—ასე გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. კარგი ბიჭებია.

---

[1] მარია—კნინობით: მარუშკა; ამ შემთხვევაში: ცოლი.
[2] ბარ (ვარ)—ვყავს, გაქვს.

— როგორ არა, კარგებია, — თქვა ნიკიტინმა, — აბა, ერთი შეხედი იმას მარტოდ-მარტო და გამოგაყრევინებს წელებს.

— ალბათ, მალე გათენდება, — თქვა პანოვმა.

— ჰო, ვარსკვლავებმა ჩაქრობა დაიწყეს, — თქვა ავდეევმა და ჩამოჯდა.

და ჯარისკაცები ისევ გაჩუმდნენ.

თავი მესამე

ყაზარმების ფანჯრებში და ჯარისკაცების პატარა სახლებში დიდი ხანია ბნელოდა, მაგრამ ციხის ერთ-ერთ საუკეთესო სახლში ყველა ფანჯარა განათებული იყო. ეს სახლი ეჭირა კურინის პოლკის უფროსს, მთავარსარდლის შვილს, ფლიგელ-ადიუტანტს თავად სიმონ მიხეილის ძეს ვორონცოვს[1]. ვორონცოვი ცხოვრობდა ცოლით, მარია ვასილის ასულით, პეტერბურგის შესანიშნავი ლამაზი ქალით, და ცხოვრობდა კავკასიის პატარა ციხეში ისეთი ფუფუნებით, როგორც აქ არავის არასოდეს არ უცხოვრია. ვორონცოვს და განსაკუთრებით მის ცოლს ეგონათ, რომ ისინი აქ ცხოვრობდნენ არა თუ მომჭირნეობით, არამედ მათი ცხოვრება გაჭირვებით იყო სავსე, აქაურ მცხოვრებლებს კი ეს ცხოვრება აკვირვებდა თავისი არაჩვეულებრივი ფუფუნებით.

ახლა, ღამის თორმეტ საათზე, დიდ სასტუმრო ოთახში, რომელშიც მთელ სიგრძეზე ეფინა ხალიჩა და ჩამოშვებული იყო მძიმე პორტიერები[2], ოთხი

---

[1] სიმონ მიხეილის ძე ვორონცოვი (1823—1882)—მეფის ნაცვლის მიხ. ვორონცოვის ვაჟი. მამის კავკასიაში ყოფნის დროს ს. ვორონცოვი სამხედრო სამსახურში იყო—კავკასიის ხაზზე.

[2] პორტიერი—კარის ფარდა.

სანთლით განათებულ ლომბერის მაგიდასთან ისხდნენ მასპინძლები სტუმრებით და ბანქოს თამაშობდნენ. ერთი მოთამაშეთაგანი იყო თვითონ მასპინძელი, გრძელსახიანი, ქერა პოლკოვნიკი ფლიგელ-ადიუტანტის ვენზელებითა და აქსელბანტებით — ვორონცოვი. მისი პარტნიორი[1] იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის კანდიდატი, ვორონცოვის კნეინას მიერ პირველი ქმრის ხელში შეძენილი პატარა შვილისთვის ახლახან გამოწერილი მასწავლებელი, გაბურძგნული კუშტი ჭაბუკი. მათ პირდაპირ ორი ოფიცერი თამაშობდა: ერთი გრძელსახიანი, წითური, გვარდიიდან გადმოსული, როტის უფროსი პოლტორაცკი, და ძალზე გაჭიმულად მჯდომარე პოლკის ადიუტანტი, რომლის ლამაზ სახეს ცივი გამომეტყველება ჰქონდა. თვითონ კნეინა მარია ვასილევნა, ახოვანი, დიდთვალა და შავწარბა ლამაზი ქალი, იჯდა პოლტორაცკის ახლო, თავისი კრინოლინით[2] ეხებოდა მის ფეხებს და სათამაშო ქაღალდში ჩასჩერებოდა. მის სიტყვებში, მის გამოხედვაში, ღიმილში, ტანის ყველა მოძრაობაში, სურნელებაში, რომელიც მას ჰქონდა გადასხმული, იყო ის, რაც პოლტორაცკის ყველაფერს ავიწყებდა, გარდა იმისა, რომ ეს ქალი მის ახლოს იყო, და ამიტომ მას შეცთომა შეცთო-

[1] პარტნიორი—თანაშონაწილე, ამხანაგი.

[2] კრინოლინი—ძველებური განიერი კაბა.

მაზე მოსდიოდა, რითაც თავის პარტნიორს უფრო და უფრო აბრაზებდა.

— არა, ეს შეუძლებელია! ისევ დაკარგა ტუზი, — მთლიანად გაწითლებული ამბობდა ადიუტანტი, როცა პოლტორაცკი ტუზს გადმოვიდა.

პოლტორაცკი, თითქო ახლა გაიღვიძაო, ვერაფერს ვერ გებულობდა და თავისი კეთილი ფართე და გაღებული თვალებით შესცქეროდა უკმაყოფილო ადიუტანტს.

— აპატიეთ, — ღიმილით თქვა მარია ვასილევნამ — ხომ ხედავთ, მე აკი გითხარით, — მიუბრუნდა ის პოლტორაცკის.

— თქვენ ეს სრულიადაც არ გითქვამთ, — ღიმილით მიუგო პოლტორაცკიმ.

— ნუთუ ეს არ გითხარით? — თქვა მან და თვითონაც გაიღიმა. და ამ საპასუხო ღიმილმა ისე გააცხარა და უცნაურად ააღელვა პოლტორაცკი, რომ ის მთლად გაწითლდა, ხელი დაავლო ქაღალდს და დაუწყო ჩაჭრა.

— შენი ჯერი არ არის, — მკვახედ უთხრა ადიუტანტმა და ისე დაიწყო თავისი თეთრი, ბეჭდიანი ხელით ქაღალდის დარიგება, თითქო მხოლოდ ის უნდოდა რაც შეიძლება მალე განთავისუფლებულიყო ამ ქაღალდისაგან.

სასტუმროში შემოვიდა თავადის კამერდინერი[1] და მოახსენა მათ: თავადს მორიგე თხოულობსო.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონებო,—თქვა თავადმა ინგლისურ აქცენტით,—ჩემ მაგიერ, Marie, შენ დაჯდები.

— თანახმანი ხართ?—იკითხა კნეინამ, მარდად და მსუბუქად წამოდგა მთელი თავისი მაღალი ტანით, აბრეშუმი ააშრიალა და გაილიმა ბედნიერი ქალის ბრწყინვალე ღიმილით.

— მე ყოველთვის და ყველაფრის თანახმა ვარ, — თქვა ადიუტანტმა, ძალიან კმაყოფილმა იმით, რომ მის წინააღმდეგ თამაშობს ახლა თამაშის სრულიად უცოდინარი კნეინა. პოლტორაცკიმ მხოლოდ ხელები გაშალა ღიმილით.

რობერი თავდებოდა, როცა თავადი დაბრუნდა სასტუმროში. ის ძალზე აღგზნებული და მხიარული იყო.

— იცით, რა წინადადება უნდა მოგცეთ?

— მაინც, რა?

— შამპანური დავლიოთ.

— ამისთვის ყოველთვის მზად ვარ,—თქვა პოლტორაცკიმ.

— ძალიან სასიამოვნოა,—დაუმატა ადიუტანტმა.

---

[1] კამერდინერი—მსახური მამაკაცი.

— ვასილ, შემოიტანეთ, — თქვა თავადმა.

— რისთვის გაგიხმეს? — ჰკითხა მარია ვასილევნამ.

— მორიგე იყო და კიდევ ერთი კაცი.

— ვინ? რა? — აჩქარებით დაეკითხა მარია ვასილევნა.

— თქმა არ შემიძლია, — მხრების აწევით სთქვა ვორონცოვმა.

— თქმა არ შეგიძლია, — გაიმეორა მარია ვასილევნამ. — ამას ვნახავთ!

მოიტანეს შამპანური. სტუმრებმა დალიეს თითო ჭიქა, გაათავეს თამაში, გაუსწორეს ერთმანეთს ანგარიში და დაიწყეს დამშვიდობება.

— თქვენი როტაა ხვალ ტყეში დანიშნული? — ჰკითხა თავადმა პოლტორაცკის.

— ჩემი. მერე რა?

— მაშ ხვალ ერთმანეთს შევხვდებით, — თქვა თავადმა და ოდნავ გაიღიმა.

— ძალიან მოხარული ვარ, — თქვა პოლტორაცკიმ, თუმცა კარგად ვერ გაიგო, რა უთხრა მას ვორონცოვმა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ჩამოართმევდა მაგრად ხელს მარია ვასილევნას.

მარია ვასილევნამ, როგორც ყოველთვის, არა თუ მაგრად ჩამოართვა, არამედ ძლიერ დაიქნია

კიდეც პოლტარაცკის ხელი. ერთხელ კიდევ რომ მოაგონა, თუ როგორ შეცდა, როცა აგურს გადავიდა, ქალმა გაუღიმა, როგორც პოლტორაცკის მოეჩვენა, მშვენიერი, ალერსიანი და მნიშვნელოვანი ღიმილით.

პოლტორაცკი მიდიოდა შინ და ისე იყო აღტაცებული, რომ მისი სულიერი განწყობილების გაგება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, რომელნიც, როგორც პოლტორაცკი, დაბადებული და გაზრდილი არიან მაღალი წრის საზოგადოებაში და მთელი თვეების განმავლობაში სამხედრო ცხოვრების ტარების შემდეგ ხელახლავ შეხვდებიან ქალს თავისი წინანდელი წრიდან, და თან ისეთ ქალს, როგორიცაა ვორონცოვის კნეინა.

პოლტორაცკი მიუახლოვდა სახლს, სადაც ცხოვრობდა თავის ამხანაგთან ერთად, და მიარტყა ფეხი შესასვლელ კარს, მაგრამ კარი დაკეტილი იყო. დააკაკუნა,—კარი არ გაიღო. მას ძალიან ეწყინა და დაიწყო დაკეტილ კარებზე ფეხისა და ხმლის ბრახუნი. კარის უკან მოისმა ფეხის ხმა, და ვავილამ, პოლტორაცკის შინაყმამ, ასწია კარის კოჭაკი.

— რად დაგიკეტავს, ჩერჩეტო!

— როგორ შეიძლება, ალექსი ვლადიმერ...

— კიდევ დამთვრალხარ. აი, მე გაჩვენებ, როგორ შეიძლება...

პოლტორაცკის უნდოდა შემოერტყა ვავილასათვის, მაგრამ გადაიფიქრა.

— ჯანდაბას შენი თავი. სანთელი აანთე...

— ამ წამში.

ვავილა მართლა მთვრალი იყო, და იმიტომ იყო მთვრალი, რომ კაპტენარმუსის დღეობაზე იყო. შინ რომ დაბრუნდა, დაფიქრდა თავის ცხოვრებაზე, შეადარა თავისი ცხოვრება კაპტენარმუს ივანე მათეს ძის ცხოვრებას. ივანე მათეს ძეს ჰქონდა შეჰოსავალი, ჰყავდა ცოლი და იმედი ჰქონდა ერთი წლის შემდეგ სულ განთავისუფლებულიყო. ვავილა კი ბავშვობიდან წაიყვანეს ზევით, ე. ი. ბატონებთან სამოსამსახურეოდ, და, აი, მას უკვე ორმოცზე მეტი წელი უსრულდება და ჯერ ცოლი არ უთხოვია და ცხოვრობს ლაშქრული ცხოვრებით თავის დაუდევარ ბატონთან. ბატონი კი კარგი ჰყავდა, ცოტას ეჩხუბებოდა, მაგრამ ეს მაინც რა ცხოვრება იყო!.. ,,დამპირდა, გაგათავისუფლებ, როცა კავკასიიდან დავბრუნდებიო, მაგრამ სად უნდა წავიდე ამ თავისუფლებით. ძაღლური ცხოვრებაა!'' — ფიქრობდა ვავილა. მას საშინლად მოუნდა ძილი, თანაც შიში ჰქონდა სახლში არავინ შემოსულიყო და არ გაეტანა რაიმე. ამიტომ კოჭაკით დაკეტა კარი და დაიძინა.

პოლტორაცკი შევიდა ოთახში, სადაც თავისი ამხანაგ ტიხონოვთან ეძინა ხოლმე.

— რა ჰქენი, წააგე?—ჰკითხა გაღვიძებულმა ტიხონოვმა.

— არა, ჩვიდმეტი მანეთი მოვიგე და ერთი ბოთლი კლიკოც დავლიეთ.

— და მარია ვასილევნას უყურებდი?

— და მარია ვასილევნას ვუყურებდი,—გაიმეორა პოლტორაცკიმ.

— მალე უნდა ავდგეთ,—თქვა ტიხონოვმა,—ექვს საათზე უნდა გავიდეთ კიდეც.

— ვავილა!—დაუყვირა პოლტორაცკიმ.—იცოდე, ხვალ ხუთ საათზე კარგი ყოჩაღად დამიწყე გაღვიძება.

— როგორ გაგაღვიძოთ, როცა მეჩხუბებით.

— მე გეუბნები, უნდა გამაღვიძო. გესმის?

— მესმის.

ვავილა წავიდა და თან წაიღო ტანისამოსი და წაღები, პოლტორაცკი კი ჩაწვა ლოგინში და ღიმილით მოუკიდა ცეცხლი პაპიროსს და დააქრო სანთელი. ბნელაში თავის წინ მარია ვასილევნას მოღიმარ სახეს ხედავდა.

ვორონცოვთან იმ წამსვე არ დაუძინიათ. როცა სტუმრები წავიდნენ, მარია ვასილევნა მივიდა ქმართან, დადგა მის წინ და მკვახედ დაიწყო:

— Eh bien, vous allez me dire ce que c'est?

— Mais, ma chère...

— Pas de ma chère! C'est un èmissaire, n'est-ce pas?

— Quand même je ne puis pas vous le dire.

— Vous ne pouvez pas? Alors c'est moi qui vais vous le dire.

— Vous?[1]

— ჰაჯი-მურატია, ხომ? — თქვა კნეინამ, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ გაეგონა, რომ ჰაჯი-მურატთან მოლაპარაკება წარმოებს და ამიტომ წარმოედგინა, რომ მის ქმართან სწორედ ჰაჯი-მურატი იყო.

ვორონცოვს არ შეეძლო უარყოფა, მაგრამ ცივი წყალი გადაასხა ცოლს, რადგან ეთხრა, რომ თვითონ ჰაჯი-მურატი კი არ ყოფილა, არამედ მისი მოგზავნილი კაცი, რომელმაც განაცხადა, ხვალ ჰაჯი-

[1] — აბა, ახლა მეტყვით, რა ამბავია?

— კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო...

— ძვირფასო კი არა... ეს მსტოვარი იყო, ხომ?

— მართლაც რომ მსტოვარი ყოფილიყო, მე მაინც არ შემიძლია თქმა.

— თუ არ შეგიძლიათ, მაშინ მე გეტყვით.

— თქვეს?

მურატი მოვა თქვენთან იმ ადგილას, სადაც ტყის გაკაფვაა განზრახულიო.

ციხის ცხოვრება ერთფეროვანი იყო, და ახალგაზრდა ვორონცოვებს — ქმარსაც და ცოლსაც — ეს ამბავი ძალიან ესიამოვნათ. ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ გაეხარდება ეს ამბავი ვორონცოვის მამას, და ცოლ-ქმარი ღამის სამ საათზე დაწვა დასაძინებლად.

თავი მეოთხე

ჰაჯი-მურატს, რომელსაც სამი ღამის განმავლო-
ბაში არ დაუძინია, ვინაიდან შამილისგან მის წი-
ნააღმდეგ გამოგზავნილ მიურიდებს გაურბოდა, ის
წამსვე დაეძინა, როგორც კი სადო სახლიდან გავი-
და და მშვიდობის ძილი უსურვა. ჰაჯი მურატს ტან-
გაუხდელად ეძინა; ის დაყრდნობილი იყო ხელზე,
იდაყვი კი მასპინძლისგან შემოტანილ ბუმბულის წი-
თელ ბალიშებში იყო ჩაფლული. მისგან ცოტა მო-
შორებით კედელთან ეძინა ელდარს. ელდარი გულ-
ალმა იწვა, გაეშხლართა ძალღონით სავსე ახალგაზრ-
და ხელ-ფეხი, ასე რომ მისი მაღალი მკერდი, შავი
ქილებით თეთრ ჩოხაზე, უფრო მაღლა იყო, ვიდრე
ახლადმოპარსული ლურჯი თავი, რომელიც ბალი-
შიდან ძირს ჩამოვარდნოდა. მისი ზედა ბაგე, წინ
წამოწეული, როგორც ბავშვებს აქვთ ხოლმე, რო-
მელსაც ძლივს ფარავდა ბუსუსი, თითქოს ხვრეპდა
რაღაცას და ხან შეიკუმშებოდა, ხან გაიხსნებოდა.
მასაც ისე ეძინა, როგორც ჰაჯი-მურატს: ტანთ ეცვ-
ა, ქამარში დამბაჩა ჰქონდა გარჭობილი და ხანჯა-
ლიც ეკიდა. ბუხარში იფერფლებოდა ჩინჩხვარი, და
ღუმელში ოდნავ ბჟუტავდა ღამის ნათურა. შუალა-

მისას საყონაღოში კარმა გაიჭრიალა; ჰაჯი-მურატი იმ წამსვე წამოდგა და დამბაჩაზე გაივლო ხელი. ოთახში შემოვიდა სადო, რომელიც რბილად ადგამდა ფეხს მიწის იატაკზე.

— რა გინდა? — ჰკითხა ჰაჯი-მურატმა ისეთი ხმით, თითქოს არასდროს არ სძინებია.

— უნდა მოვიფიქროთ, — თქვა სადომ და ჰაჯი-მურატის წინ ჩაჯდა. — ერთ ქალს ბანიდან დაუნახავს შენი შემოსვლა და ქმრისთვის უთქვამს, ახლა კი მთელმა აულმა იცის. ახლა ჩემ ცოლთან მეზობელმა ქალმა მოირბინა და გვიამბო, რომ მოხუცნი მეჩეთში შეკრებილან და შენი დაჭერა უნდათ.

— წასვლაა საჭირო, — თქვა ჰაჯი-მურატმა.

— ცხენები მზად არის, — თქვა სადომ და საჩქაროდ გავიდა სახლიდან.

— ელდარ, — წაიჩურჩულა ჰაჯი-მურატმა, და ელდარი, როგორც კი გაიგონა თავისი სახელი და, რაც უმთავრესია, თავისი მიურშიდის ხმა, იმ წამსვე წამოხტა ღონიერ ფეხებზე და გაისწორა ფაფახი. ჰაჯი-მურატმა აისხა იარაღი და ნაბადი მოიხურა. ელდარიც ასევე მოიქცა და ორივენი ჩუმად გამოვიდნენ სახლიდან ფარდულში. შავთვალა ბიჭმა მოართვა მათ ცხენები. ცხენის ჩლიქის ხმაზე, დატკეპნილ ქუჩაზე რომ გაისმა, ვილაცას თავი გამოჩნდა მეზობელი სახლის კარში და ხის ქოშების ჰაკუნით ვილაც კაცი გაიქცა ალმართში მეჩეთისაკენ.

მთვარე არ მოჩანდა, მხოლოდ ვარსკვლავები ბრწყინავდნენ შავ ცაზე და სიბნელეში მოჩანდა სახლების ბანების მოხაზულობა, ყველაზე უკეთ კი ჩანდა აულის ზემო ნაწილში მეჩეთი მინარეთით. მეჩეთიდან ხმების გუგუნი მოისმოდა.

ჰაჯი-მურატმა მარდად დაავლო ხელი თოფს, შეჰყო ფეხი ვიწრო უზანგში და ჩუმად, შეუმჩნევლად მოახტა ცხენს, დაჯდა უნაგირის მაღალ ბალიშზე.

— ღმერთმა გადაგიხადოთ, — თქვა მან და მოუბრუნდა მასპინძელს, თან ჩვეულ მარჯვენა ფეხს ამოძრავებდა — მეორე უზანგს ეძებდა. ის მათრახით ოდნავ შეეხო პატარა ბიჭს, რომელსაც ცხენი ეჭირა, იმის ნიშნად, რომ ის გაწეულიყო. პატარა ბიჭი განზე გადგა, და ცხენი, თითქო თვითონ მიხვდა, რა უნდა ჰქნასო, მტკიცე ნაბიჯით დაიძრა ქუჩაბანდიდან მთავარი გზისკენ. ელდარი უკან მიჰყვებოდა. სადოს ჩაეცვა ქურქი, მარდად აქნევდა ხელს და თითქმის მისდევდა მათ უკან და ვიწრო ქუჩის ხან ერთ და ხან მეორე მხარეს გადარბოდა. გზის გასავალთან გამოჩნდა ერთი მოძრავი ლანდი, მერე მეორე.

— შეჩერდი! ვინ მოდის? შეჩერდი! — დაიყვირა ხმამ, და რამდენიმე კაცმა გზა შეკრა.

გაჩერების მაგიერ ჰაჯი-მურატმა ქამრიდან იძრო დამბაჩა და ნაბიჯსაც უმატა, ცხენი პირდაპირ

იმ ხალხისკენ გაუშვა, გზაზე რომ გადაეღობა. გზაზე მდგომი ხალხი გაირღვა და ჰაჯი-მურატი უკან მოუხედავად ჩქარი თოხარიკით დაეშვა გზაზე. ელდარი ჩორთით მისდევდა უკან. მათ უკან ორჯერ გავარდა თოფი, მაგრამ არც ჰაჯი-მურატს მოხვდა და არც ელდარს. ჰაჯი-მურატს ისევ თოხარიკით მიჰყავდა ცხენი. სამასი ნაბიჯი რომ გაიარა, გააჩერა ოდნავ აქოქინებული ცხენი და დააყურა. წინ, ძირს, ჩქარი წყალი ხმაურობდა. უკანიდან ისმოდა აულში მამლების ყივილი. ამ ხმებს გარდა ბოისმა მოახლოვებული ცხენების თქარათქური, და ჰაჯი-მურატს უკანიდან ადამიანების ხმაც მოესმა. ჰაჯი-მურატმა დასძრა ცხენი და იმავე თანაბარი სვლით გასწია.

დადევნებულნი ძალზე მოაჭენებდნენ ცხენებს და ჰაჯი-მურატს მალე დაეწიენ. ოცამდე ცხენოსანი იყო. ესენი იყვნენ აულის მცხოვრებნი, რომელთაც უნდოდათ ჰაჯი-მურატის დაჭერა, ან, ყოველ შემთხვევაში, შამილის წინაშე თავის გასამართლებლად იქცეოდნენ ისე, თითქოს ჰაჯი-მურატის დაჭერა უნდოდათ. როცა იმდენად მოახლოვდნენ, რომ გამოჩნდნენ ბნელაში, ჰაჯი-მურატი შეჩერდა, გაუშვა ალვირს ხელი და გაწაფული მარცხენა ხელით შეხსნა შაშხანის ხალთა და მარჯვენა ხელით ამოიღო თოფი. ელდარიც ასე მოიქცა.

— რა გინდათ? — დაუყვირა ჰაჯი-მურატმა. — დაჭერა გინდათ? აბა, დამიჭირეთ.

და მან ასწია შაშხანა.

აულის მცხოვრებნი გაჩერდნენ. ჰაჯი-მურატს არ გაუშვია ხელი შაშხანისათვის და ნელ-ნელა ჩავიდა ხევში.

ცხენოსნები არ უახლოვდებოდნენ, ისე მისდევდნენ უკან. როცა ჰაჯი-მურატი გადავიდა ხევის მეორე ნაპირას, უკან მდევრებმა დაუყვირეს: მოგვისმინე, რაღაც უნდა გითხრათო. ამის საპასუხოდ ჰაჯი-მურატმა გაისროლა შაშხანა და გააჭენა თავისი ცხენი. როცა ცხენი გააჩერა, მდევარი არ ჩანდა, არც მამლების ყივილი ისმოდა, მხოლოდ უფრო მკაფიოდ ისმოდა ტყეში წყლის ჩხრიალი და ხანდახან ჭოტის ტირილი. ტყის შავი კედელი სულ ახლო იყო. ეს სწორედ ის ტყე იყო, სადაც მას მიურიდები ელოდებოდნენ. ჰაჯი-მურატი მიუახლოვდა ტყეს და გაჩერდა, მერე ბევრი ჰაერი ჩაისუნთქა ფილტვებში და დასტვინა, შემდეგ გაჩუმებული უგდებდა ყურს. ერთი წამის შემდეგ ასეთივე სტვენა მოისმა ტყიდან. ჰაჯი-მურატმა გზას გადაუხვია და ტყისკენ წავიდა. როცა ასი ნაბიჯით წინ წაიწია, ჰაჯი-მურატმა ხეებში დაინახა გაჩაღებული ცეცხლი და ადამიანების ლანდები, რომელნიც კოცონს შემოსხდომოდნენ, გაარჩია აგრეთვე ცეცხლით ნახევრად განათებული

ფეხებდაბლანდული უნაგირიანი ცხენი. ცეცხლს გარს უსხდა ოთხი კაცი. ერთი ცეცხლთან მჯდომთაგანი მარდად წამოხტა და მივიდა ჰაჯი-მურატთან, მოჰკიდა ხელი ლაგამსა და უზანგს. ეს იყო ჰაჯი-მურატის ძმადნაფიცი, რომელიც მის მეურნეობას განაგებდა.

— დააქრეთ ცეცხლი! — თქვა ჰაჯი-მურატმა და ცხენიდან გადმოხტა.

ხალხი ეცა კოცონს და დაუწყო მოკიდებულ მუგუზლებს ფეხით დაქრობა.

— ბატა იყო აქ? — იკითხა ჰაჯი-მურატმა და მიუახლოვდა დაგებულ ნაბადს.

— იყო. დიდი ხანია, რაც წავიდა ხან-მაგომასთან ერთად.

— რა გზით წავიდნენ?

— აი ამ გზით, — უპასუხა ხანეფიმ და მიუთითა იმის მოპირდაპირე მხარეს, საიდანაც ჰაჯი-მურატი მოვიდა.

— მაშ კარგი, — თქვა ჰაჯი-მურატმა, მოიძრო შაშხანა და დაუწყო ვაზნებს ჩაწყობა. — თავს უნდა გავუფრთხილდეთ, მომდევდნენ, — მიუბრუნდა ჰაჯი-მურატი იმ კაცს, რომელიც ცეცხლს აქრობდა.

ეს კაცი იყო ჩეჩნელი გამზალო. გამზალო მივიდა ნაბადთან, აიღო იმაზე დაგდებული ბუდიანი შაშხანა და ჩუმად წავიდა მინდვრის ნაპირისკენ, იმ ადგილისკენ, საიდანაც ჰაჯი-მურატი მოვიდა.

ელდარი ჩამოხტა ცხენიდან და ჩამოართვა ჰაჯი-მურატს ცხენი, თავები ორივე ცხენს მაღლა აუწია და მიაბა იქვე ხეებზე. მერე, როგორც გამზალო, მხარზე შაშხანაგადაკიდებული დადგა მინდვრის მეორე ნაპირას. კოცონი ჩააქრეს, და ტყე უკვე არ მოჩანდა ისეთი შავი, როგორც წინათ; ცაზე, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც ანათებდნენ ვარსკვლავები.

ჰაჯი-მურატმა შეხედა ვარსკვლავებს, მერე ხომლს, რომელიც უკვე ცის შუაგულამდე ასულიყო. გაიანგარიშა, რომ შუაღამე უკვე დიდი ხნის გასული იყო, და უკვე დიდი ხანია ღამის ლოცვის დროა. ჰაჯი-მურატმა სთხოვა ხანეფის კუმგანი, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდათ ხურჯინით, მერე მოისხა ნაბადი და წავიდა წყლისკენ.

ჰაჯი-მურატმა ფეხსაცმელი გაიხადა, შეასრულა განბანვის წესი, შემდეგ დადგა ნაბადზე შიშველი ფეხებით, მიიკეცა ფეხები, ჩაჯდა, დაიცვა ყურები თითებით, თვალები დახუჭა და ალმოსავლეთისკენ მიბრუნებულმა წარმოთქვა ჩვეულებრივი ლოცვა.

როცა გაათავა ლოცვა, დაბრუნდა თავის ძველ ადგილას, სადაც ეყარა ხურჯინები, დაჯდა ნაბადზე, ხელები მუხლებზე დააყრდნო, დახარა თავი და დაფიქრდა.

ჰაჯი-მურატს ყოველთვის სჯეროდა, რომ მას ბედი სწყალობდა. როცა ახალ რამეს დაიწყებდა,

წინდაწინ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, — და ყველაფერი უღიმოდა. ასე იყო თითქმის ყოველთვის, სულ მცირე გამონაკლისით, მთელი მისი ქარიშხლიანი სამხედრო ცხოვრების განმავლობაში. ის დაიმედებული იყო, რომ ახლაც ასე მოხდებოდა. ის თვალწინ იდგენდა, როგორ წავიდოდა დიდძალი ჯარით, რომელსაც მას ვორონცოვი მისცემდა შამილის წინააღმდეგ, ჩაიგდებდა მას ტყვედ და შურსაც იძიებდა, როგორ დააჯილდოვებდა მას რუსის მეფე და ის ხელახლავ შეიქნებოდა არა მარტო ავარიის[1] მფლობელი, არამედ მთელი საჩეჩნოსი, რომელიც მას დაემორჩილებოდა. არც კი შეუმჩნევია, ისე დაეძინა ასეთ ფიქრებში გართულს.

სიზმრად ნახა, რომ მას ახლავს თავისი ვაჟკაცები და სიმღერითა და ყვირილით: „ჰაჯი-მურატი მოდის“ მივარდება შამილს, დაიჭერს მას მისი ცოლებით და ესმის, როგორ სტირიან და მოსთქვამენ შამილის ცოლები. მას გამოეღვიძა. „ლია ილლიახ“ და ყვირილი „ჰაჯი-მურატი მოდის“, შამილის ცოლების მოთქმა და ვაი-ვაგლახი — ეს იყო ტურების კივილი და ხარხარი, რამაც გამოაღვიძა იგი. ჰაჯი-მურატმა ასწია თავი, მიაჩერდა ცას, რომელიც ხეების ტანებს შორის აღმოსავლეთისკენ უკვე თეთრად

[1] ავარია—დაღესტნის ნაწილი. მთიანი ადგილი კავკასიის ქედის სამხრეთით—გაშლილია თითქმის მთელი შიგა დაღესტნის გასწვრივ.

გამოიყურებოდა, და ჰკითხა მოშორებით მჯდომარე მიურიდს ხან-მაგომას შესახებ. როცა გაიგო, რომ ხან-მაგომა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა, დახარა თავი და იმ წამსვე ისევ ჩათვლიმა.

ის გამოაღვიძა ხან-მაგომას მხიარულმა ხმამ; ის, ელჩად წასული, ბატასთან ერთად უკან ბრუნდებოდა. ხან-მაგომა იმ წამსვე მიუჯდა ჰაჯი-მურატს და დაუწყო თხრობა, როგორ შეხვდნენ მათ ჯარისკაცები და როგორ მიიყვანეს პირდაპირ თავადთან, როგორ ელაპარაკა ის თვითონ თავადს, როგორ გაუხარდა ყველაფერი ეს თავადს და როგორ აღუთქვა მან შეხვედროდა მათ იმ ადგილას, სადაც რუსები ტყეს გაკაფავენ — მიჩიკის უკან, შალინის ველზე. ბატა ხანდახან აწყვეტინებდა თავის ამხანაგს ლაპარაკს და ჩაუმატებდა ხოლმე თავის წვრილმანებს.

ჰაჯი-მურატმა დაწვრილებით გამოჰკითხა იმის შესახებ, სახელდობ რა სიტყვებით უპასუხა მათ ვორონცოვმა ჰაჯი-მურატის წინადადებაზე რუსებისკენ გადასვლის შესახებ.

ხან-მაგომაცა და ბატაც ერთხმად ამბობდნენ, რომ თავადმა აღუთქვა — ჰაჯი-მურატს სტუმარივით მივიღებ და ყველაფერს ისე გავაკეთებ, რომ მისთვის კარგი იყოსო. ჰაჯი-მურატი შეეკითხა კიდევ გზის შესახებ, და როცა ხან-მაგომამ დაარწმუნა, რომ მან

კარგად იცის გზა და პირდაპირ მიიყვანს იქ, ჰაჯი-მურატმა ამოიღო ფული და მისცა ბატას შეპირებული სამი მანეთი, თავისიანებს კი უბრძანა ამოეღოთ ხურჯინებიდან მოოქროვილი იარაღი და ჩალმიანი ფაფახი, მიურიდებს უბრძანა დასუფთავებულიყვნენ, რომ რუსებთან კარგად გამოჩენილიყვნენ. სანამ სწმენდნენ იარაღს, უნაგირს, მოსართაველებსა და ცხენებს, ვარსკვლავებიც მიიბჟუტნენ, მთლად ინათლა, და განთიადის წინამორბედი ნელი ქარიც ამოვარდა.

თავი მეხუთე

დილას, ძალიან ადრე, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა, ნაჯახებით შეიარაღებული ორი როტა პოლტორაცკის მეთაურობით გავიდა ათ ვერსზე შახგირეის ჭიშკარს იქით, შარში გაუშვა მსროლელნი და, როგორც კი ინათლა, შეუდგნენ ტყის ჭრას. რვა საათისათვის ნისლი, რომელიც უერთდებოდა სურნელოვან კოცონზე ატკაცუნებული სველი ტოტების ბოლს, თანდათან მაღლა წავიდა, და ტყის მჭრელები, რომელნიც წინათ ხუთ ნაბიჯზე ვერაფერს ვერ ხედავდნენ და რომელთაც ერთმანეთის მხოლოდ ხმა ესმოდათ, ახლა მშვენივრად ხედავდნენ კოცონებს და ხეებით ჩახერგილ გზას, რომელიც ტყეში მიდიოდა. მზე ხან გამოჩნდებოდა ნათელ ლაქად ნისლში, ხან კი დაიმალებოდა. მინდორზე, გზის შორიახლო, დოლებზე ისხდნენ: პოლტორაცკი თავის სუბალტერნ-ოფიცერ[1] ტიხონოვით, ორი ოფიცერი მესამე როტისა და ყოფილი კავალერგარდი[2], დუელის გულისთვის ჩამოქვეითებული, პოლტორაცკის

---

[1] სუბალტერნ-ოფიცერი—ასე იწოდებოდა უმცროსი, ხელქვეითი ოფიცერი.

[2] კავალერგარდები—ცხენოსანთა ჯვარდიის პოლკი მეფის ჯარში.

ამხანაგი პაჟების კორპუს'მი, ბარონი ფრეზე. დოლების ირგვლივ ეყარა ქაღალდები, რომელშიც საუზმე ჰქონდათ გახვეული და ნასაუზმევს კი გადაყარეს, პაპიროსის ნამწვები და ცალიერი ბოთლები. ოფიცრებმა დალიეს არაყი, ისაუზმეს და ახლა პორტერს სვამდნენ. მედოლე მესამე ბოთლს ხსნიდა. პოლტორაცკი, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო გამოძინებული, სულიერ ძალთა აღგზნებას გრძნობდა და უდარდელ მხიარულ გუნებაზე იყო,—ასეთ გუნებაზე იყო ხოლმე ის ყოველთვის თავის ჯარისკაცებსა და ამხანაგებს შორის იქ, სადაც საფრთხე მოსალოდნელი იყო.

ოფიცრები ხალისიანად ლაპარაკობდნენ უკანასკნელ ახალ ამბავზე—გენერალ სლეპცოვის სიკვდილზე. ამ სიკვდილში არავინ არ ხედავდა იმ უდიდეს მომენტს, რომელიც მდგომარეობს სიცოცხლის გათავებაში და სიცოცხლის დაბრუნებაში იმავე წყაროსთან, საიდანაც გამოვიდა, ხედავდნენ მხოლოდ ყოჩაღი ოფიცრის სიკვდილს, რომელიც ხმალამოღებული დაერია მთიულებს და უწყალოდ სჩეხავდა მათ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად იცოდა, და განსაკუთრებით კი ომში ნამყოფმა ოფიცრებმა, რომ არც კავკასიის ომში მაშინ და არც სხვაგან არასოდეს ხელდახელ არ დაერეოდნენ ხოლმე ერთმანეთს ხმლებით,—ასეთი შეტაკება მხოლოდ იგუ-

ლისხმება და მას ასწერენ ხოლმე კიდეც, ხოლო, თუ ხანდახან კიდეც მოხდება ხელჩართული ბრძოლა ხმლებითა და ხიშტებით, ხმლებით სჭრიან და ხიშტებზე აგებენ მხოლოდ გაქცეულებს,—ხელჩართული ომის ფიქციას[1] ოფიცრები მაინც სცნობდნენ და ეს აძლევდა მათ მშვიდ სიამაყეს და მხიარულებას, და ისინი, ზოგი ყოჩაღური და ზოგი, პირიქით, სრულიად უბრალო პოზით, ამაყად და მხიარულად ისხდნენ დოლებზე, სწევდნენ თუთუნს, სვამდნენ, ოხუნჯობდნენ და სრულიად არ ეშინოდათ სიკვდილის, რომელსაც ისე, როგორც სლეპკოვი, ყოველ წამს შეეძლო თითოეული მათგანი მოეტაცნა. და მართლაც, თითქო მათი ლოდინის დასამტკიცებლად, შუა საუბარში გზიდან მარცხნივ მოისმა გამაცოცხლებელი მჭახე ლამაზი ხმა შაშხანის, ტყვიამ მხიარულად გაიზუზუნა, სადღაც ნისლიან ჰაერში გაიქროლა და ხეს მოხვდა. მტრის მიერ თოფის გასროლის საპასუხოდ გავარდა ჯარისკაცების რამდენიმე თოფი; სროლის ხმა ტლანქი და ძლიერი იყო.

— ოჰო!—მხიარული ხმით დაიყვირა პოლტორაცკიმ,—ეს ხომ ჩვენ წარშია. აბა, ჩემო ძმაო კოსტია,—მიუბრუნდა ის ფრეზეს,—ბედი გქონია, მიდი როტასთან. ჩვენ ახლა ისეთ ბრძოლას გავაჩაღებთ, რომ უკეთესი ნუ გინდა. წარდგენაც იქნება.

[1] ფიქცია—არარსებულის მიჩნევა ნამდვილ ფაქტად.

ჩამოქვეითებული ბარონი წამოხტა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა იქით, სადაც კვამლი მოჩანდა, სადაც მისი როტა იყო. პოლტორაცკის მოუყვანეს მისი პატარა ქურანა ყაბარდოული ცხენი, შეჯდა ზედ, დააწყო როტა და წაიყვანა შარისკენ, იმ მხარეს, საიდანაც სროლა ისმოდა. შარში იყო როტა ტყის ნაპირას, მოტიტვლებული დაქანებული ხრამის წინ. ქარი ტყისკენ უბერავდა, და ხრამის ჩასავალი კი არა, მეორე მხარეც ნათლად მოჩანდა.

როცა პოლტორაცკი შარს მიუახლოვდა, მზემ გამოიხედა ნისლიდან, და ხრამის მეორე ნაპირას, სადაც იწყებოდა მეორე პატარა ტყე, ასი საჟენის მანძილზე გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი. ეს ჩეჩნები სწორედ ისინი იყვნენ, ჰაჯი-მურატს რომ მოსდევდნენ და რომელთაც უნდოდათ დაენახათ, თუ როგორ მივიდოდა ის რუსებთან. ერთმა იმათგანმა ესროლა შარში მყოფებს. რამდენიმე ჯარისკაცმა სროლითვე გასცა პასუხი. ჩეჩნებმა უკან დაიხიეს, და სროლაც შეწყდა. მაგრამ როგორც კი მივიდა პოლტორაცკი თავისი როტით, უბრძანა აეტეხათ სროლა; როგორც კი გადასცეს ბრძანება, შარის მთელ ხაზზე მოისმა თოფების მხიარული, ალმგზნები გრიალი; სროლის შემდეგ ლამაზად იფანტებოდა კვამლი. ჯარისკაცებს უხაროდათ ეს გართობა, ჩქარობდნენ დაეტენათ თოფები და ტყვიას ტყვიაზე

ისროდნენ. ჩეჩნებმა, ალბათ, იგრძნეს ეს გამოწვევა, გამოხტებოდნენ წინ და ზედიზედ ისროდნენ თოფებს რუსებისაკენ. ერთმა ტყვიამ დასჭრა რუსის ჯარისკაცი. ეს ჯარისკაცი სწორედ ის ავდეევი იყო, რომელიც საყუჩში იჯდა. როცა ამხანაგები მივიდნენ იმასთან, ის თავდაღმა იწვა, ორივე ხელი შემოეხვია მუცლის ჭრილობაზე, თანაბრად ირხეოდა და წყნარად კვნესოდა.

— როგორც კი დავიწყე თოფის გატენა, მესმის, რაღაცამ გაიჩხრიალა,—ამბობდა ის ჯარისკაცი, რომელიც იმასთან ერთად იყო წყვილში,—ვხედავ—მას თოფი ძირს დაუვარდა.

ავდეევი პოლტორაცკის როტიდან იყო. პოლტორაცკი, როდესაც დაინახა ერთად შეკრებილი ჯარისკაცების ჯგუფი, მიუახლოვდა მათ.

— რაო, ძმაო, მოგხვდა?—იკითხა მან. —სად?

ავდეევი არ უპასუხებდა.

— ის იყო დაიწყო თოფის გატენა, თქვენო კეთილშობილებავ,—დაიწყო ჯარისკაცმა, რომელიც ავდეევთან ერთად იყო წყვილში,—ვხედავ—მას თოფი ძირს დაუვარდა.

— ნწუ, ნწუ...—დაიწრუპუნა ენით პოლტორაცკიმ.—ძალიან გტკივა, ავდეევო?

— არ მტკივა, მაგრამ ადგომას მიშლის. ცოტა ღვინო რომ იყოს, თქვენო კეთილშობილებავ!

არაყი, ე. ი. სპირტი, რასაც ჯარისკაცები სვამდნენ კავკასიაში, აღმოჩნდა, და პანოვმა ძალზე მოღუშულმა მიუტანა ავდეევს სპირტი.

ავდეევმა დაიწყო სმა, მაგრამ მალე ხელით მოიშორა.

-- გულს არ უნდა,—თქვა მან,—თვითონ დალიე

პანოვმა დაცალა სპირტი. ავდეევმა კიდევ ს

— დიახ, ძალიან სამწუხაროა. კარგი ჯარისკაცია.

— მძიმედ არის დაჭრილი?

— მგონი მძიმედ უნდა იყოს, — მუცელშია დაჭრილი.

— იცით, მე სად მივდივარ? — იკითხა ვორონცოვმა.

— არ ვიცი.

— ნუთუ ვერ მიხვდით?

— ვერა.

— ჰაჯი-მურატი გადმოვიდა და ახლა შეგვხვდება.

— შეუძლებელია!

— გუშინ მისგან მოვიდა მსტოვარი, — თქვა ვორონცოვმა და ძლივს იკავებდა სიხარულის ღიმილს. — ახლა უნდა მიცდიდეს შალინის მინდორზე; გაშალეთ შარი ამ მინდვრამდე და მოდით ჩემთან.

— მესმის, — უპასუხა პოლტორაცკიმ, ხელი ფაფახზე მიიდვა და თავისი როტისკენ წავიდა ცხენით. თვითონ დააწყო შარი მარჯვენა მხარისკენ, მარცხენა მხარეზე დაწყობა კი ფელდფებელს უბრძანა. დაჭრილი ავდეევი ამასობაში ჯარისკაცებმა ციხეში წაიღეს.

პოლტორაცკი ვორონცოვთან ბრუნდებოდა, როცა უკან შეამჩნია ცხენოსნები, რომელნიც ეწეოდნენ. ის შეჩერდა და დაუცადა მათ.

ყველაზე წინ მოდიოდა წარმოსადეგი კაცი, რომელიც თეთრფაფარიან ცხენზე იჯდა, თეთრი ჩოხა ეცვა, ფაფარზე ჩალმა ჰქონდა და მოოქროვილ იარაღში იყო ჩამჯდარი.

ეს კაცი ჰაჯა-მურატი იყო. ის მიუახლოვდა ცხენით პოლტორაცკის და თათრულად რაღაც უთხრა.

პოლტორაცკიმ მაღლა ასწია წარბები, ხელები გაშალა იმის ნიშნად, რომ არ ესმის ნათქვამი, და გაიღიმა.

ჰაჯი-მურატმა ღიმილით უპასუხა ღიმილზე, და ამ ღიმილმა გააკვირვა პოლტორაცკი თავისი ბავშვური გულკეთილობით. პოლტორაცკი არ მოელოდა, რომ ასეთი იქნებოდა ეს საშინელი მთიული. პოლტორაცკი ელოდა კუშტ, ცივ და მიუკარებელ ადამიანს, მის წინ კი იდგა სრულიად უბრალო ადამიანი, რომელიც ისე კეთილად იღიმებოდა, თითქო ძველის-ძველი ნაცნობიაო. მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა ამ კაცს თავისებური—ეს იყო მისი შორი-შორს მსხდომი გამჭრიახი თვალები, რომელნიც გულდასმით და მშვიდად უცქეროდნენ თვალებში სხვა ადამიანებს.

ჰაჯი-მურატის ამალა ოთხი კაცისგან შესდგებოდა. ამ ამალაში იყო ის ხან-ძაგომა, რომელიც წუხელი იყო ვორონცოვთან. ეს იყო ღაჟღაჟა კაცი, რომელსაც ჰქონდა შავი, უწამწამო თვალები და

მრგვალი პირისახე. მას სიცოცხლით სავსე გამომეტყველება ჰქონდა. კიდევ იყო ერთი მკვრივი, ბანჯგვლიანი, წარბებშეერთებული კაცი. ეს იყო ტავლინელი ხანეფი, ჰაჯი-მურატის მთელი ქონების მნე. იმას მოჰყავდა ხურჯინებით მძიმედ დატვირთული ცხენები. ამალიდან განსაკუთრებით გაირჩეოდა ორი კაცი: ერთი --ახალგაზრდა, ქალივით წვრილი წელში და ბეჭებში ფართე, ოდნავ ამოსული ქერა წვერ-ულვაშით, ლამაზი, ცხვრისთვალებიანი—ეს იყო ელდარი. მეორე—ცალი თვალით ელამი, უწამწამო და უწარბო, წითელი შეკრეჭილი წვერით, ცხვირზე და სახეზე რომ ჭრილობის ზოლი გადაუყვებოდა,—ჩეჩნელი გამზალო.

პოლტორაცკიმ მიუთითა ჰაჯი-მურატს გზაზე გამოჩენილ ვორონცოვზე. ჰაჯი-მურატი წავიდა იმისკენ, მიუახლოვდა, ჭარჯვენა ხელი მიიდო გულზე, რაღაც უთხრა თურქულად და გაჩერდა. თარჯ ჭანმა ჩეჩნელმა გადათარგმნა მისი ნათქვამი.

— ჩემი ნებით ვეძლევი რუსის ხელმწიფესო, მინდაო, ამბობს, იმას ვემსახუროო. დიდი ხანია მინდოდა ასე მექნა, მაგრამ შამილი არ მიშვებდაო.

ვორონცოვმა მოუსმინა თარჯიმანს და ნატის ხელთათმანიანი ხელი გაუწოდა ჰაჯი-მურატს.

ჰაჯი-მურატმა შეხედა ამ ხელს, ერთი წამი დაყოვნა, მაგრამ მერე მაგრად ჩამოართვა და კიდევ

რაღაც თქვა, თან ხან თარჯიმანს უყურებდა, ხან ვორონცოვს.

— ამბობს, რომ არავისთან არ უნდოდა გადმოსვლა, მხოლოდ შენთან კი, რადგან სარდალის შვილი ხარ. ძალიან პატივს გცემს.

ვორონცოვმა თავი დააქნია, ნიშნად მადლობისა. ჰაჯი-მურატმა კიდევ თქვა რაღაცა და ამალაზე უჩვენა.

— ამბობს, ეს ხალხი ჩემი მიურიდებია და, როგორც მე, ისე ემსახურებიან რუსებსო.

ვორონცოვმა გადახედა ამ ხალხს და იმათაც თავი დაუქნია.

მხიარული, შავთვალა, უწამწამო ჩეჩნელი ხანმაგომაც აქნევდა თავს და, ეტყობოდა, რაღაც სასაცილოს ამბობდა ვორონცოვზე, რადგან ბანჯგვლიანმა ავარიელმა ღიმილით გამოაჩინა თავისი კბილები. წითურმა გამზალომ მხოლოდ ერთი წამით შეხედა თავისი მოელვარე წითელი თვალით ვორონცოვს და კვლავ თავისი ცხენის ყურებს მიაჩერდა.

როცა ჰაჯი-მურატი და ვორონცოვი თავისი ამალის თანხლებით ბრუნდებოდნენ ციხეში, შარიდან მოხსნილმა ჯარისკაცებმა ერთად შეიყარეს თავი და დაიწყეს თავისი შენიშვნები:

— რამდენი ადამიანი დაულუპავს ამ წყეულს, ახლა ერთი ნახე, მაგას როგორ დაუწყებენ ლოლიაობას,—თქვა ერთმა.

— მაშ, მაშ. პირველი კამანდერი იყო შმელთან. ახლა მით უმეტეს.

— ყოჩაღი ჯიგიტი კი არის, რაღა ლაპარაკი უნდა.

— წითური კი, წითური, — მხეცივით იბღვირება.

— ოხ, ალბათ, ძაღლი იქნება.

წითური ყველამ განსაკუთრებით შეამჩნია.

იქ, სადაც ტყეს სჭრიდნენ, ჯარისკაცები, რომელნიც გზაზე უფრო ახლოს იყვნენ, გადმოცვივდნენ საყურებლად. ოფიცერმა დაუყვირა მათ, მაგრამ ვორონცოვმა შეაჩერა ოფიცერი.

— დაე, ნახონ თავისი ძველი ნაცნობი.

— იცით, ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხა ვორონცოვმა ერთ ახლო მდგომ ჯარისკაცს, თანაც სიტყვებს ნელა ამბობდა თავისი ინგლისური აქცენტით.

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ჰაჯი-მურატია, — გაგიგონია?

— როგორ არ გაგვიგონია, თქვენო ბრწყინვალებავ, ბევრჯერ დაგვიმარცხებია.

— მაგრამ მისგანაც ბევრჯერ მოგხვედრიათ.

— მართალია, თქვენო ბრწყინვალებავ, — უპასუხა ჯარისკაცმა, ძალიან კმაყოფილმა იმით, რომ უფროსთან ლაპარაკის შემთხვევა მიეცა.

ჰაჯი-მურატს ესმოდა, რომ იმაზე ლაპარაკობდნენ, და მის თვალებში მხიარული ღიმილი კრთოდა.

ვორონცოვი ძალიან კარგ გუნებაზე დაბრუნდა ციხე-სიმაგრეში.

თავი მეექვსე

ვორონცოვი ძალიან კმაყოფილი იყო იმით, რომ მას, სწორედ მას ხვდა წილად გადმოებირებია ყველაზე მთავარი და უძლიერესი, შამილს შემდეგ მეორე მტერი რუსეთისა. ერთი იყო მხოლოდ არასასიამოვნო: ოზდვიჟენსკში ჯარების კომანდირი იყო გენერალი მელერ-ზაკომელსკი, და წესიერი ის იქნებოდა, რომ სწორედ მისი მეშვეობით ეწარმოებინა მთელი საქმე. ვორონცოვმა კი ყველაფერი თვითონ გააკეთა და არაფრის შესახებ მისთვის არ მოუხსენებია, ამას კი უსიამოვნების გამოწვევა შეეძლო. ეს აზრი ცოტა უწამლავდა ვორონცოვს სიამოვნებას.

როცა მიუახლოვდა თავის სახლს, ვორონცოვმა ჰაჯი-მურატის მიურიდები პოლკის ადიუტანტს ჩააბარა, ჰაჯი-მურატი კი თავის სახლში შეიყვანა.

კნეინა მარია ვასილევნა გამოწყობილი და მოლიმარი, თავისი ექვსი წლის ლამაზი თმახუჭუჭა ვაჟით შეხვდა ჰაჯი-მურატს სასტუმრო ოთახში. ჰაჯი-მურატმა მიიდო ხელები გულზე და თარჯიმანის პირით, რომელიც მასთან ერთად შემოვიდა, ერთ-

გვარი ალტაცებით უთხრა, რომ თავის თავს თავადის ყონაღად სთვლის, ვინაიდან თავადმა ის მიიღო თავის სახლში, და რომ ყონაღის მთელი ოჯახი ისევე ძვირფასია ყონაღისათვის, როგორც თვითონ ყონაღი.

ჰაჯი-მურატის გარეგნობა და ქცევა მოეწონა მარია ვასილევნას.

ჰაჯი-მურატს ალმური მოეკიდა, გაწითლდა, როცა მარია ვასილევნამ გაუწოდა თავისი დიდი თეთრი ხელი, ამით კი ჰაჯი-მურატმა უფრო მეტად მოინადირა კნეინას გული. კნეინამ სთხოვა დაბრძანდიო, ჰკითხა, სვამს თუ არა ყავას და უბრძანა მოეტანათ. ჰაჯი-მურატმა მაინც უარი თქვა ყავაზე, როცა მოუტანეს. მას ცოტათი ესმოდა რუსული, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო, და როცა არ ესმოდა რას ამბობდნენ, იღიმებოდა; მისი ღიმილი მარია ვასილევნასაც ისე მოეწონა, როგორც პოლტორაცკის. მარია ვასილევნას თმახუჭუჭა ვაჟი, რომელსაც მეტად ცოცხალი თვალები ჰქონდა და დედა ბულკას ეძახდა, დედის ახლო იდგა და თვალს არ აშორებდა ჰაჯი-მურატს, რომლის შესახებაც გაეგონა, რომ ის არაჩვეულებრივი მეომარი იყო.

ჰაჯი-მურატი ვორონცოვმა ცოლთან დასტოვა, თვითონ კი გავიდა კანცელარიაში, რომ თავისი

უფროსისთვის შეეტყობინებინა ჰაჯი-მურატის გადმოსვლა. მან დასწერა მოხსენება მარცხენა ფლანგის უფროსის გენერალ კოზლოვსკის [1] სახელზე გროზნოში [2] გასაგზავნად, მერე მისწერა წერილი მამას და გაეშურა შინისაკენ, ვინაიდან ეშინოდა ცოლს არ ეთქვა საყვედური, რადგან მას თავზე მოახვია უცხო და საშინელი კაცი, რომელსაც ისე უნდა მოპყროდა, რომ არც შეურაცხყოფა მიეყენებინა და არც გადაჭარბებულად მიალერსებოდა. მაგრამ მისი შიში ამაო გამოდგა. ჰაჯი-მურატი იჯდა სავარძელში და მუხლებზე ფუნთუშა დაესვა, ვორონცოვის გერი, თავი ძირს დაეხარა და ყურადღებით ისმენდა, რასაც ელაპარაკებოდა თარჯიმანი, რომელიც თარგმნიდა მოცინარი მარია ვასილევნას სიტყვებს. მარია ვასილევნა კი ეუბნებოდა, რომ თუ ის მისცემს თავის ყონაღს იმ ნივთს, რომელსაც ყონაღი მოიწონებს, მაშინ მალე მას ადამიანით მოუხდება სიარული.

---

[1] კოზლოვსკი ვიკენტი მიხეილის ძე (1796-1873) — გენერალი, ახალგაზრდობიდანვე ირიცხებოდა ეგერთა პოლკში, რომელიც კავკასიაში იყო დაბანაკებული. მეთაურობდა ყაბარდოს პოლკს, რომელსაც რამდენჯერმე მოუხდა შეტაკება შამილთან. მონაწილეობდა დარგოს ექსპედიციაში 1845 წ. 1868 წლიდან დატოვა კავკასია და მუშაობდა სამხედრო სამინისტროში.

[2] გროზნი—ქალაქის სახელია. ადმინისტრაციული ცენტრი საჩეჩნოს ავტონომიური ოლქისა. გაშენებულია მდ. სუნჯის (თერგის შენაკადია) ნაპირზე. გროზნი განთქმულია ნავთის მრეწველობით.

ჰაჯი-მურატმა თავადის შემოსვლისთანავე კალთიდან ჩამოიყვანა გაკვირვებული და ამით ნაწყენი ფუნთუშა, წამოდგა და მისმა მხიარულმა სახემ იმ წამსვე კუშტი და სერიოზული გამომეტყველება მიიღო. ჰაჯი-მურატი მხოლოდ მაშინ დაჯდა, როცა ვორონცოვი დაჯდა. მან განაგრძო საუბარი და მარია ვასილევნას უპასუხა, რომ მათი კანონი ასეთია: ყველაფერი, რაც-კი მოეწონება ყონაღს, უნდა აჩუქოს ყონაღმა.

— შენი შვილი ყონაღია,—თქვა მან რუსულად და ხელს უსვამდა ხუჭუჭ თმაზე ფუნთუშას, რომელიც ხელახლად ჩასჯდომოდა კალთაში.

— დიდებულია ეს შენი ყაჩაღი,—ფრანგულად უთხრა მარია ვასილევნამ ქმარს.— ფუნთუშას ძალიან მოეწონა მაგისი ხანჯალი, მაგანაც აიღო და აჩუქა.

ფუნთუშამ აჩვენა ხანჯალი თავის მამინაცვალს.

— Cest un objet de prix[1]—თქვა მარია ვასილევნამ.

— Il faudra trouver l'occasion de lui faire cadeau[2],—თქვა ვორონცოვმა.

ჰაჯი-მურატი იჯდა თვალებდახრილი, ყმაწვილს ხუჭუჭა თმაზე უსვამდა ხელს და თანაც ამბობდა:

---

[1] ეს ძვირფასი ნივთია.

[2] უნდა ვიპოვოთ შემთხვევა და სამაგიეროდ ვაჩუქოთ რამე.

— ჯიგიტია,[1] ჯიგიტი!

— მშვენიერი, მშვენიერი ხანჯალია,– თქვა ვორონცოვმა და შუამდე ამოიღო ქარქაშიდან ფხიანი სატევარი, რომელსაც შუაზე ზოლი მიუყვებოდა.— მადლობა გადაუხადე.

— ჰკითხე, რით ვცე პატივი,—უთხრა ვორონცოვმა თარჯიმანს.

თარჯიმანმა გადასცა ჰაჯი-მურატს, რომელმაც იმ წამსვე უპასუხა, რომ მას არაფერი არ უნდა, მაგრამ სთხოვს მიუჩინონ ისეთი ადგილი, სადაც შეეძლება ილოცოს. ვორონცოვმა დაუძახა კამერდინერს და უბრძანა აესრულებინა ჰაჯი-მურატის სურვილი.

როგორც კი მარტო დარჩა ჰაჯი-მურატი მისთვის მიჩენილ ოთახში, მისი სახე გამოიცვალა: გაქრა სიამოვნების გრძნობა— სახის ხან ალერსიანი, ხან გაბრწყინვებული გამომეტყველება, და მისი ადგილი დაღრეჯილობამ დაიჭირა.

ვორონცოვმა ბევრად უფრო კარგად მიიღო, ვიდრე მოელოდა, მაგრამ რაც უფრო კარგი იყო ეს მიღება, მით უფრო ნაკლებ ენდობოდა ვორონცოვს და მის ოფიცრებს. ჰაჯი-მურატს ყველაფრის ეშინოდა: ეშინოდა, რომ დაიჭერდნენ, ბორკილებს

[1] ჯიგიტი—მამაცი ცხენოსანი, მხედარი.

დაადებდნენ და ციმბირში გაგზავნიდნენ, ანდა პირდა-პირ მოჰკლავდნენ; ამიტომ ის ძალიან ფრთხილობდა.

მან ჰკითხა შემოსულ ელდარს, სად მოათავსეს მიურიდები, სად არის ცხენები, ხომ არ ჩამოართვეს მიურიდებს იარაღიო.

ელდარმა მოახსენა, რომ ცხენები თავადის საჯინიბოში შეიყვანეს, ხალხი სარაიაში მოათავსეს, იარაღი არ ჩამოურთმევიათ და თარჯიმანი უმასპინ-ძლდება მათ საჭმლითა და ჩაითო.

ჰაჯი-მურატმა გაკვირვებით გადააქნია თავი, გაი-ხადა ტანისამოსი და შეუდგა ლოცვას. როცა ლო-ცვა გაათავა, უბრძანა მოეტანათ ვერცხლის ხანჯალი, ჩაიცვა, სარტყელი შემოირტყა, მოირთხა ფეხები ტახტზე და დაიწყო ლოდინი, თუ რა მოხდებოდა.

ხუთ საათზე მას დაუძახეს თავადთან სასადილოდ.

სადილზე ჰაჯი-მურატი არაფერს არ ჭამდა, გარ-და ფლავისა, რომელიც თეფშზე გადაიღო იმ ადგი-ლიდან, საიდანაც თავისთვის აიღო მარია ვასი-ლევნამ.

— მაგას ეშინია არ მოვწამლოთ, — უთხრა მარია ვასილევნამ ქმარს. — იქიდან აიღო, საიდანაც მე ავიღე. — და იმ წამსვე ჰკითხა ჰაჯი-მურტს თარ-ჯიმნის პირით, როდის უნდა ილოცოს კიდევ. ჰაჯი-მურატმა ასწია ხუთი თითი და მზეზე მიუთითა.

— მაშ მალე.

ვორონცოვმა ამოიღო ბრეგეტი და დააწვა ზამბარას,—საათმა დარეკა ოთხი და ერთი ჩარექი. ჰაჯი-მურატი, უეჭველია, გააკვირვა საათის რეკამ და ითხოვა კიდევ დაერეკათ და ენახა საათი.

—Voilá l'occasion! Donnez-lui la montre [1]—უთხრა ქმარს მარია ვასილევნამ.

ვორონცოვმა იმ წამსვე შესთავაზა საათი ჰაჯი-მურატს. ჰაჯი-მურატმა ხელი მიიდო გულზე და ჩამოართვა საათი. მან რამდენჯერმე დააჭირა ზამბარას ხელი, უგდებდა ყურს და სიამოვნებით აქნევდა თავს.

სადილის შემდეგ თავადს მოახსენეს მელერ-ზაკომელსკის ადიუტანტის მოსვლის შესახებ.

ადიუტანტმა გადასცა თავადს: გენერალმა რომ გაიგო ჰაჯი-მურატის გადმოსვლის შესახებ, ძალიან უკმაყოფილო დარჩა, რომ ამის შესახებ მას არაფერი არ მოახსენეს; ის მოითხოვს ჰაჯი-მურატი დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მასთანო. ვორონცოვმა უპასუხა, გენერლის ბრძანება დაუყოვნებლივ იქნება შესრულებულიო და თარჯიმნის პირით გადასცა ჰაჯი-მურატს გენერლის მოთხოვნა და სთხოვა—ერთად წავიდეთ მელერთანო.

მარია ვასილევნამ რომ გაიგო რატომაც იყო მოსული ადიუტანტი, ის იმ წამსვე მიხვდა,

[1] აი შემთხვევა! საათი უთავაზე მაგას.

რომ გენერალსა და მის ქმარს შორის შეიძლება ,,ესიამოვნება ჩამოვარდნილიყო და, მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ურჩევდა დარჩენილიყო, მაინც დაეპირა ქმართან და ჰაჯი-მურატთან ერთად წასვლა გენერალთან.

— Vous feriez bien mieux de rester; c'est mon affaire, non pas la vôtre[1].

— Vous ne pouvez pas m'empê-cher d'aller voir madame la générale[2]

— სხვა დროსაც ხომ შეიძლება.

— მე კი ახლა მინდა.

ძალაუნებურად უნდა დამორჩილებოდა. ვორონცოვი დათანხმდა, და სამივენი ერთად წავიდნენ.

როცა ისინი შევიდნენ, მელერმა კუშტი თავაზიანობით მიაცილა მარია ვასილევნა თავის ცოლთან, ადიუტანტს კი უბრძანა გასძღოლოდა ჰაჯი-მურატს მისაღებ ოთახში და არსად არ გაეშვა მის ბრძანებამდე.

— გთხოვთ,—მიმართა გენერალმა ვორონცოვს, შეაღო კაბინეტის კარი და გაუშვა თავადი წინ.

როდესაც შევიდა კაბინეტში, მელერ-ზაკომელსკი გაჩერდა თავადის წინ და არც უთხოვია დაჯდომა, ისე უთხრა:

---

[1] გაცილებით უკეთესი იქნება, თუ დარჩებით; ეს ჩემი საქმეა, და არა თქვენი.

[2] თქვენ არ შეგიძლიათ დამიშალოთ ვეწვიო გენერლის ცოლს.

— აქ მე ვარ ჯარის უფროსი და ამიტომ ყოველგვარი მოლაპარაკება მტერთან ჩემი მეშვეობით უნდა წარმოებდეს. რატომ არ მომახსენეთ ჰაჯი-მურატის გადმოსვლის შესახებ?

—ჩემთან მოვიდა ჰაჯი-მურატის მსტოვარი და განმიცხადა, რომ ჰაჯი-მურატს სურდა მე ჩამბარებოდა,—უპასუხა ვორონცოვმა და აღელვებისგან გაფითრდა განრისხებული გენერლის უხეში საქციელის მოლოდინში, თანაც მასაც გადაედო გენერლის განრისხება.

— მე გეკითხებით, რატომ არ მომახსენეთ ამის შესახებ?

— მე ვფიქრობდი ასე მოვქცეულიყავი, ბარონო, მაგრამ...

— მე თქვენთვის ბარონი კი არ ვარ, არამედ თქვენი აღმატებულება.

და აქ გადმოხეთქა ბარონის დიდი ხნის შეკავებულმა ბრაზმა. გენერალმა ყველაფერი გამოთქვა, რაც დიდი ხანია გულში ჰქონდა დაგუბებული.

— მე იმისთვის კი არ ვემსახურები ოცდაშვიდი წელიწადი ჩემ ხელმწიფეს, რომ იმათ, რომლებმაც გუშინ დაიწყეს სამსახური, ისარგებლონ თავისი გავლენიანი ნათესავებით და აქ ჩემ ცხვირწინ აკეთონ ის, რაც მათ არ ეხება.

— თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ ნუ ამბობთ იმას,რაც უსამართლობაა,—შეაწყვეტინა ვორონცოვმა.

— მართალს ვამბობ და ნებას არ მოგცემთ... — უფრო მეტი აღელვებით დაიწყო, გენერალმა.

ამ დროს კაბის შრიალით შემოვიდა მარია ვასილევნამ და მას შემოჰყვა მომცრო ტანის თავმდაბალი ქალი, მელერ-ზაკომელსკის ცოლი.

— გეყოფათ, ბარონო, Simon-ს არ უნდოდა თქვენთვის უსიამოვნების მოყენება, — დაიწყო მარია ვასილევნამ.

— მე, კნეინა, ამის შესახებ კი არ ვლაპარაკობ...

— იცით, ბარონო, სჯობს ამას თავი დავანებოთ. ხომ იცით, ცუდი დავა სჯობს კარგ ჩხუბს. მაგრამ რას ვამბობ... — კნეინამ გაიცინა.

და გულმოსული გენერალი დაემორჩილა ლამაზი ქალის თავბრუდამხვევ ღიმილს. მისი ულვაშების ქვეშ ღიმილმა გაიელვა.

— უნდა გამოვტყდე, რომ მართალი არ ვიყავი, — თქვა ვორონცოვმა, მაგრამ...

— ჰო და მეც ცოტა ავღელდი, — უპასუხა მელერმა და გაუწოდა ხელი თავადს.

ასე ჩამოვარდა ზავი. გადაწყვიტეს დროებით ჰაჯი-მურატი მელერთან დაეტოვებინათ და მერე გაეგზავნათ მარცხენა ფლანგის უფროსთან.

ჰაჯი-მურატი იქვე გვერდით იჯდა ოთახში და, თუმცა არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ, მაინც მიხვდა იმას, რასაც უნდა მიმხვდარიყო: მიხვდა, რომ

ისინი მის შესახებ დავობდნენ და რომ შამილისგან მის გადმოსვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსებისთვის და ამიტომ, თუკი მას არ მოჰკლავენ ან ციმბირში არ ვააგზავნიან, მას შეუძლია ბევრი რამ მოსთხოვოს რუსებს. ამას გარდა იმასაც მიხვდა, რომ თუმცა მელერ-ზაკომელსკი უფროსია, მას არა აქვს იმდენი გავლენა, რამდენიც მის ხელქვეით ვორონცოვს, მიხვდა, რომ მნიშვნელობა აქვს ვორონცოვს და არა აქვს მნიშვნელობა მელერ-ზაკომელსკის. და ამიტომ, როცა მელერ-ზაკომელსკიმ მოიხმო თავისთან ჰაჯი-მურატი და დაუწყო დაკითხვა, მას თავი ამაყად ეჭირა და ამბობდა იმიტომ გადმოვედი მთებიდან, რომ თეთრ მეფეს ვემსახურო და ყველაფრის შესახებ კი ანგარიშს ჩავაბარებ მხოლოდ მის სარდალს, ე. ი. მთავარსარდალს, თავად ვორონცოვს, თბილისშიო.

თავი მეშვიდე

დაჭრილი ავდეევი წაიყვანეს საავადმყოფოში, რომელიც ყავრით დახურულ პატარა სახლში იყო, ციხის გასავალთან, და საერთო პალატაში მოათავსეს ერთ ცარიელ საწოლზე.

პალატაში ოთხი ავადმყოფი იწვა. ერთი — სახადიანი — სიცხისაგან ბორგავდა, მეორე — გაფითრებული, ჩალურჯებული თვალებით, ციებ-ცხელებიანი, ელოდა პაროქსიზმს[1] და შეუწყვეტლივ აზმორებდა; ორი სხვა ამ სამი კვირის წინათ დაეჭრათ ერთერთი თარეშის დროს ერთი ხელში (ეს კაცი არ იწვა), მეორე მხარში (ეს იჯდა საწოლზე). ყველა, გარდა სახადიანისა, გარს შემოერტყა ახლადმოყვანილს და ეკითხებოდნენ მის შესახებ იმათ, რომლებმაც ის აქ მოიყვანეს.

— ხანდახან ისე გვაყრიან ტყვიებს, როგორც ცერცვს, — და არაფერია, აქ კი ერთი ხუთჯერ გაისროლეს, — მოუთხრობდა ერთი მომყვანთაგანი.

— ვის რა უწერია!

— ოჰ! — ხმამაღლა წამოიყვირა ავდეევმა, თან იკავებდა ტკივილს, როცა საწოლზე აწვენდნენ. როცა

---

[1] პაროქსიზმი — ავადმყოფობის შეტევა.

დააწვინეს, ის მოიღუშა და მეტს აღარ ,ვნესოდა, მხოლოდ განუწყვეტლივ ანძრევდა ტერფებს. მას ხელით ეჭირა ჭრილობა და უძრავად იცქირებოდა წინ. მოვიდა ექიმი და ბრძანა დაჭრილის გადაბრუნება, უნდოდა ენახა, ხომ არ გამოსვლია ტყვია უკანო.

— ეს რაღაა? —იკითხა ექიმმა და მიუთითა ჭრილობის დიდ, გადაჯვარედინებულ თეთრ შენახორცებზე ზურგზე და უკანალზე.

— ეს ძველია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — კრუსუნით წარმოთქვა ავდეევმა.

ეს იყო იმ სასჯელისგან დატოვებული დაღი, რომელიც მან ლოთობაში შეჭმული ფულის გამო მოიხადა.

ავდეევი ხელმეორედ გადააბრუნეს, და ექიმი დიდხანს უჩხიკინებდა ზონდს მუცელში, დაეძებდა ტყვიას, იპოვნა კიდეც, მაგრამ ვერ მოახერხა ამოღება. ექიმმა შეუხვია ჭრილობა, დაადო წებოიანი პლასტირი და წავიდა. სანამ ექიმი ჭრილობას უსინჯავდა და უხვევდა, ავდეევი იწვა პირმოკუმული და თვალები დახუჭული ჰქონდა. როცა ექიმი წავიდა, მან გააღო თვალები და გაკვირვებით მიმოიხედა. ის ავადმყოფებსა და ფერშალს მისჩერებოდა, მაგრამ იმათ თითქოს ვერც ხედავდა, ხედავდა სულ სხვა რამეს, რაც მას აკვირვებდა.

მოვიდნენ ავდეევის ამხანაგები — პანოვი და სერეგინი. ავდეევი ისევ ისე იწვა და გაკვირვებული იცქირებოდა წინ. მან დიდხანს ვერ იცნო ამხანაგები, მიუხედავად იმისა, რომ მისი თვალები პირდაპირ იმათ უყურებდა.

— პეტრე, ხომ არ გინდა შინ რამე შეთვალო? — დაეკითხა პანოვი.

ავდეევი არ უპასუხებდა, თუმცა პირდაპირ სახეში უცქეროდა პანოვს.

— გეუბნები, ხომ არ გინდა რამე შეთვალო შინ, — ისევ დაეკითხა პანოვი და შეეხო მის ცივ ფართოძვლიან ხელს.

ავდეევი თითქო გამოფხიზლდა.

— ა, ანტონიჩ!

— ჰო, აი, მოვედი, ხომ არაფერს შეთვლი შინ. სერეგინი დაწერს.

— სერეგინ, — წარმოთქვა ავდეევმა და ძლივს გადაიტანა თვალები სერეგინისკენ, დასწერ? ასე დასწერე: თქვენმა შვილმა პეტრუხამ თქვენი ჭირი წაიღო-თქო. ძმის შური მჭირდა. მე დღეს ამაზე გელაპარაკე. ახლა კი მე თვითონ მიხარია. კარგად იცხოვროს. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მე მიხარია. სწორედ ასე ჩაუწერე.

თქვა ეს და დიდი ხნით გაჩუმდა. თვალები პანოვს მიაშტერა.

— ჰო, ყალიონი ნახე? — უცებ შეეკითხა პანოვს.

პანოვმა არ უპასუხა.

— ყალიონი, ყალიონი, გეუბნები, ნახე მეთქი? — გაიმეორა ავდეევმა.

— ჩანთაში იყო.

— ჰო. მაშ ახლა სანთელი მომეცით, მე ახლავე მოვკვდები, — თქვა ავდეევმა.

ამ დროს მოვიდა პოლტორაცკი თავისი ჯარისკაცის სანახავად.

— როგორა ხარ, კაცო, ცუდად? — თქვა მან.

ავდეევმა დახუჭა თვალები და უარის ნიშნად თავი გააქნია. მისი სახე, ლოყების ძვლები რომ წინ წამოწეული ჰქონდა, ახლა გაფითრებული და სასტიკი იყო. არაფერი არ უპასუხა და ხელმეორედ მიმართა პანოვს.

— სანთელი მომეცი, ვკვდები!

მისცეს სანთელი ხელში, მაგრამ თითები არ იღუნებოდნენ, ჩაუდეს თითებში და დაუჭირეს.

პოლტორაცკი წავიდა. მისი წასვლის შემდეგ გავიდა ხუთი წუთი. ფერშალმა მიადო ყური ავდეევის გულს და თქვა უკვე გარდაიცვალაო.

ავდეევის სიკვდილი იმ რელაციაში,[1] რომელიც თბილისში გაიგზავნა, შემდეგნაირად იყო აწერილი:

[1] რელაცია — მოხსენება, თხრობა.

„23 ნოემბერს კურსკის პოლკის ორი როტა გავიდა ციხიდან ტყის საჭრელად. შუადღისას მთიულების მნიშვნელოვანმა ბრბომ მოულოდნელად იერიში მოიტანა ხის მჭრელებზე. შარში მყოფებმა დაიწყეს უკან დახევა; ამ დროს მეორე როტა ეძგერა მტერს ხიშტებით და უკუაგდო მთიულები. ამ საქმის დროს მსუბუქად დაიჭრა ორი ჯარისკაცი და ერთიც მოჰკლეს. მთიულებმა დაკარგეს ასამდე კაცი—დაჭრილი და მოკლული“.

თავი მერვე

სწორედ იმ დღეს, როცა პეტრუხა ავდეევი კვდებოდა ვოზდვიჟენსკის საავადმყოფოში, მისი ბებერი მამა, რძალი — ცოლი იმ ძმისა, რომლის მაგივრადაც ის წავიდა ჯარისკაცად, და უფროსი ძმის ქალიშვილი, საპატარძლო გოგო, ყინულზე შვრიას ლეწავდნენ. წინა ღამეს დიდი თოვლი მოვიდა, და დილას საშინელი ყინვა დაიჭირა. მოხუცებულს გაეღვიძა მამლის მესამე ყივილზე და, როცა გაყინულ ფანჯარაში დაინახა მთვარის სინათლე, ჩამოვიდა ღუმელიდან, ჩაიცვა ფეხსაცმელი, ქუდი დაიხურა და კალოზე გავიდა. ერთი საათი წაიმუშავა და დაბრუნდა ქოხში, გააღვიძა შვილი და ქალები. როცა დედაკაცები და გოგო მოვიდნენ, კალოზე ყინული გაწმენდილი იყო, და თეთრ ფხვიერ თოვლში იყო ჩასობილი ხის ნიჩაბი, მის გვერდით კი — ცოცხი, რომელსაც ტარი ძირს ჰქონდა. შვრიის ძნები ორ წყებად იყო დამწკრივებული გრძელი თოკით სუფთა კალოზე, ბეწვი ბეწვთან.

მოხსნეს ჯაჭვები და დაიწყეს გალეწვა სამ-სამი თანაბარი დარტყმით. ბებერი მაგრად ურტყამდა მძიმე ჯაჭვს, ამტვრევდა ბზეს, ქალიშვილი ზევიდან თანაბარად ურტყამდა, დედამთილი აბრუნებდა.

ჩავიდა მთვარე და თენება დაიწყო; უკვე ათავებდნენ თოკს, როცა გამოვიდა მომუშავეებთან უფროსი ვაჟი აკიმი, რომელსაც ქურქი ეცვა და ქუდი ეხურა.

— რას ზარმაცობ! — დაუყვირა მამამ, შეაჩერა გალეწვა და ჯაჭვს დაეყრდნო.

— ცხენებს მოვლა არ უნდა?

— ცხენებს მოვლა არ უნდა? — გააჯავრა მამამ. დედაბერი მოუვლის. აიღე ჯაჭვი. ძალზე გასუქდი, შე ლოთო, შენა!

— შენ ხომ არ დაგითვრივარ? — წაიბუტბუტა შვილმა.

— რაო? — მოიღუშა, გამოტოვა ერთი დარტყმა და შეეკითხა მოხუცი.

შვილმა ჩუმად აიღო ჯაჭვი და დაიწყო მუშაობა ოთხ ჯაჭვზე: ტრაპ-ტა-პა-ტაპ, ტრაპ-ტა-პა-ტაპ... ტრაპ, — დაეცემოდა სამი დარტყმის შემდეგ მოხუცის მძიმე ჯაჭვი.

— ქეჩოს უყურე, ისე არ აქვს, როგორც კარგ ცხვარს? მე კი ფეხსახვევი ტილო მვარდება, — თქვა მოხუცმა და გამოტოვა თავისი დარტყმა, მაგრამ, რომ ტაქტი არ დაეკარგა, ჯაჭვი ჰაერში გადაატრიალა.

თოკი გამოილია, და ქალებმა ფოცხით დაიწყეს ბზის აღება.

— სულელია პეტრუხა, რომ შენს მაგივრად წავიდა. შენ რომ ჯარში წასულიყავი, თავიდან ოფოფებს ამოგიფრენდნენ, ის კი შინ ხუთ შენისთანას სჯობდა.

— გეყოფათ, ბატონო! — თქვა მძახალმა და გადაყარ-გადმოყარა ძნის დამტვრეული შესაკრავები.

— დიახ, ერთმა ექვსი უნდა გკვებოთ და მუშაობით კი ერთიც არ მუშაობს. პეტრუხა ორი კაცის ოდენას მუშაობდა და ეს კი...

ეზოში გატკეპნილი ბილიკით მათთან მოვიდა დედაბერი, რომელსაც მატყლის ქსოვილი მაგრად ჰქონდა ფეხზე შემოხვეული და ფეხზე ბანდულები ეცვა, რომელიც ძალზე ჭრიალებდა თოვლზე. მამაკაცები გაუნიავებელ შვრიას ერთად აგროვებდნენ, ქალები და გოგო კი ჰგვიდნენ.

— ამორჩეული კაცი მოვიდა. ბეგარაზე გვეძახიან, აგურის საზიდავად, — თქვა დედაბერმა. — საუზმე მოვამზადე, წადით ბარემ.

— კარგი. ლურჯა შეაბი და წადი, — უთხრა ბერიკაცმა აკიმს. — იცოდე, ისე არ მოიქცე, ამასწინათ რომ შენ მაგიერ პასუხი მაგებინეს. პეტრუხა გაახსენდება კაცს, მა რა!

— ის რომ შინ იყო, იმას აგინებდი, — წაელაპარაკა აკიმი მამას, — ახლა ის არ არის და მე მჭამ.

— მაშასადამე, ღირსიც ხარ, — აგრეთვე გულმოსულმა დაუძახა დედამ. — პეტრუხას ფასი არა ხარ, არა!

— კარგი, აგრე იყოს, — თქვა შვილმა.

— ოღონდაც რომ კარგი. ფქვილი არაყში შეთქვლიფა და ახლა იძახის კარგიო.

— ძველ საფუარს ორჯერ არ იხსენებენ, — უპასუხა მძახალმა.

ყველამ დასდო ჯაჭვები და სახლისაკენ გაემართნენ.

მამასა და შვილს შორის უკმაყოფილება დიდი ხანია დაიწყო, თითქმის პეტრუხას ჯარში წასვლის დღიდან. ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა მამა, რომ მან გუგული გაცვალა მიმინოში. მართალია, კანონი, როგორც მოხუცს ესმოდა, ისეთი იყო, რომ უშვილო უნდა წასულიყო ცოლშვილიანის მაგივრად. აკიმს ოთხი ბავშვი ჰყავდა, პეტრუხას — არავინ. მაგრამ პეტრუხა მამის მსგავსი მუშა იყო: მარჯვე, გამჭრიახი, ღონიერი, ამტანი და, რაც მთავარია, შრომისმოყვარე. ის ყოველთვის შრომობდა. თუ ჩაუვლიდა ახლოს მუშა-ხალხს, ის ისე, როგორც მამამისი, იმ წამსვე მიეხმარებოდა მათ, ორ სვრელს მაინც გაიტანდა ცელით, ან ურემს დაუტვირთავდა, ან ხეს მოსჭრიდა, ან შეშას დააპობდა. მოხუცს ეცოდებოდა ის, მაგრამ რა უნდა ექნა. ჯარისკაცობა სიკვდი-

ლივით იყო. ჯარისკაცი მოჭრილი პურის ნატეხია, მისი გახსენება და სულის გამწარება რა საჭიროა. მხოლოდ ხანდახან, უფროსი შვილისთვის რომ გაეკრა კბილი, ბერიკაცი, როგორც დღეს, გაიხსენებდა ხოლმე მას. დედას კი ხშირად აგონდებოდა უმცროსი შვილი და ორი წელია სთხოვდა ქმარს პეტრუხასთვის ფული გაეგზავნა, მაგრამ მოხუცი ხმას არ იღებდა.

ავდეევის ოჯახი მდიდარი იყო, და მოხუცს შენახული ჰქონდა ფული, მაგრამ არაოდეს არ ახლებდა ხელს გადამალულ ფულს. ახლა, როცა დედაბერმა გაიგონა, მამა იგონებს უმცროს შვილსო, გადაწყვიტა კიდევ ეთხოვა, რომ შვრიის გაყიდვის დროს გაეგზავნა შვილისთვის თუნდაც ერთი მანეთი. ასეც მოიქცა. როცა ორნი დარჩნენ, ახალგაზრდები კი წავიდნენ ბეგარაზე, დედაბერმა დაითანხმა მოხუცი შვრიის ფულიდან ერთი მანეთი პეტრუხასთვის გაეგზავნა. ასე რომ, როდესაც გაანიავეს შვრია და 42 კოდი პური დაჰყარეს ბარდანებზე სამ მარხილში და ბარდანებს გულმოდგინედ გაუკეთეს ხის შპილები, დედაბერმა მისცა ბერიკაცს წერილი, დიაკვნის მიერ დაწერილი მისი კარნახით, და ბერიკაცი დათანხმდა ქალაქში წერილისთვის მანეთიც დაერთო და შვილისათვის გაეგზავნა.

ბერიკაცმა ჩაიცვა ტყავის ახალი ქურქი და კაფტანი, მატყლის სუფთა პაიჭები, წაიღო წერილი, ჩადვა ქისაში, ილოცა, მერე დაჯდა წინა მარხილზე და გაემგზავრა ქალაქში. უკანა მარხილით მოდიოდა მისი შვილიშვილი. ქალაქში მოხუცმა მეეზოვეს სთხოვა წაეკითხა წერილი და გულდასმით და თანხმობის ნიშნად თავის ქნევით უსმენდა.

პეტრუხას დედის წერილში უპირველეს ყოვლისა იყო დალოცვა, მერე—ყველასგან მოკითხვა, მერე ნათლიის სიკვდილის ამბავი და ბოლოს — ცნობა იმის შესახებ, რომ აქსინიამ (პეტრეს ცოლი) არ მოინდომა მათთან ცხოვრება და წავიდა ხელზე სამუშაოდ. გვესმის, პატიოსნად და კარგად ცხოვრობსო. მერე მოხსენებული იყო ძღვენი, ერთი მანეთი, შემდეგ სიტყვა-სიტყვით დამატებული იყო ის, რაც გულამოჯდარმა დედაბერმა თვალცრემლიანმა უთხრა დიაკონს და სთხოვა დაეწერა:

„გარდა ამისა, ჩემო ძვირფასო შვილიკო, ჩემო მტრედო, პეტრუშკა, ცრემლით დამევსო თვალები შენზე ჯავრით. ჩემო სანატრელო მზეო, ვის იმედით დამტოვე...“ ამ ადგილას დედაბერმა მოთქმა დაიწყო, ატირდა და თქვა:

— აი ასე იყოს.

სწორედ ასე დარჩა ეს ადგილი ამ წერილში, მაგრამ პეტრუხას არ ეწერა არც იმის გაგება, რომ

მისი ცოლი საბლიდან წავიდა, და არც მანეთის და არც დედის უკანასკნელი სიტყვების მიღება. ფული და წერილი უკან დააბრუნეს და აცნობეს, რომ პეტრუხა ომში მოჰკლეს მეფისა, მამულისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვისთვის. ასე დასწერა სამხედრო მწერალმა.

დედაბერმა რომ გაიგო ეს ანბავი, მოთქვამდა, სანამ დრო ჰქონდა, მერე კი ისევ საქმეს მიუბრუნდა. პირველსავე კვირას წავიდა ის საყდარში, — გადაუხადა პანაშვიდი, ჩაწერა პეტრე მოსახსენებელ მიცვალებულებში და კეთილ ხალხს დაურიგა სეფისკვერის ნაწილები, რომ მოიხსენიონ ხოლმე მონა ღვთისა პეტრე.

აქსინიაც მოსთქვამდა, როცა გაიგო საყვარელი ქმრის სიკვდილი, რომელთანაც მხოლოდ ერთი წელიწადი იცხოვრა. მას ქმარიც ებრალებოდა და თავისი დაღუპული ცხოვრებაც, თავის მოთქმაში იხსენებდა პეტრე მიხეილის ძის ხუჭუჭა თმებს, მის სიყვარულს, თავის გაჭირვებულ ცხოვრებას ობოლი ვანკათი და საშინლად უსაყვედურებდა პეტრუხას, რომ მან ძმა შეიცოდა და არ შეიცოდა საწყალი, სხვის კარზე მოხეტიალე ცოლი.

გულის სიღრმეში კი აქსინიას უხაროდა პეტრეს სიკვდილი. ის ისევ ორსულად იყო და ამის მიზეზი იყო ის ნოქარი, რომელთანაც ცხოვრობდა, და ახლა არავის არ შეეძლო მისი გინება, ამ ნოქარსაც შეეძლო მისი ცოლად შერთვა, როგორც ელაპარაკებოდა, როცა სიყვარულს უხსნიდა.

თავი მეცხრე

მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი ინგლისში იყო აღზრდილი, სადაც მისი მამა ელჩად იყო. რუსეთის დიდ მოხელეებში ის გამოირჩეოდა იშვიათი ევროპული განათლებით, იყო პატივმოყვარე, რბილი, დაბალ მოხელეებს თავაზიანად ეპყრობოდა, უფროს მოხელეებთან კი გამოქნილი კარისკაცი იყო. მას არ სწამდა ცხოვრება გარეშე ძალა-უფლებისა და დამორჩილებისა. მას ჰქონდა ყველა უდიდესი ჩინი და ორდენი და დახელოვნებულ სამხედრო პირად ითვლებოდა, კრასნისთან ნაპოლეონის დამმარცხებლადაც კი სთვლიდნენ მას. 52 წელს ვორონცოვი სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი იყო, მარჯვედ მოძრაობდა და, რაც უმთავრესია, დიდებულად ხმაროობდა თავის მოქნილსა და საღ გონებას, რომელიც იქეთკენ იყო მიმართული, რომ თავისი უფლება განემტკიცებინა და თავისი პოპულარობა გაეფართოვებინა. ვორონცოვი ძალიან მდიდარი იყო, დიდი ქონება ჰქონდა თავისი და აგრეთვე ცოლისაც, გრაფის ქალის ბრანიცკის, ძალიან დიდი ჯამაგირი ჰქონდა, როგორც მეფის ნაცვალს, და თავისი ქონების უმეტეს ნაწილს ყი-

რიმის სამხრეთ ნაპირას სასახლისა და ბაღის მოწყობაზე ხარჯავდა.

1852 წლის 4 დეკემბრის საღამოს მის სასახლესთან თბილისში შიკრიკის ეტლი გაჩერდა. დაღლილმა, გზაზე მტვრისაგან სულ გაშავებულმა ოფიცერმა, რომელმაც გენერალ კოზლოვსკისაგან მოიტანა ცნობა ჰაჯი-მურატის რუსების მხარეზე გადმოსვლის შესახებ, გაშალა ჯდომით დახუთული ფეხები, ჩაუარა ყარაულებს და შევიდა მეფის ნაცვლის სასახლის ფართე აივანზე. საღამოს 6 საათი იყო და ვორონცოვი სასადილოდ მიდიოდა, როცა მოახსენეს შიკრიკის მოსვლის შესახებ.

ვორონცოვმა არ გადასდო შიკრიკის მიღება და ამიტომ სადილზე რამდენიმე წუთი დაიგვიანა. როცა ის სასტუმრო ოთახში შევიდა, სადილად დაპატიჟებულნი, ოცდაათი კაცი, ზოგი რომ კნეინა ელისაბედ ქსავერის ასულის [1] ახლო იჯდა და ზოგნიც ფანჯარასთან იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად, წამოდგნენ და შემოსულისკენ მიიბრუნეს პირი. ვორონცოვს ეცვა თავისი ჩვეულებრივი, უეპოლეტო, ნახევარ-პოგონებიანი შავი სამხედრო სერთუკი და ყელზე თეთრი ჯვარი ეკიდა. მისი მელიის სახე, გაპარსული, სასიამოვნოდ იღიმებოდა, ის თვალებს ნაბავდა და შეკრებილ სტუმრებს ათვალიერებდა.

[1] ელისაბედ ქსავერის ასული (1792-1880) მეფის ნაცვლის მიხ. ვორონცოვის მეუღლე, დიდი მემამულის გრაფ ბრანიცკის ასული იყო.

ვორონცოვი შემოვიდა აჩქარებული მსუბუქი ნაბიჯით, ბოდიში მოიხადა ქალების წინაშე დაგვიანებისთვის, მიესალმა მამაკაცებს და მიუახლოვდა ქართველ კნეინა მანანა ორბელიანს[1], აღა მოსავლური იერის მქონე 45 წლის მსუქან და მაღალ ლამაზ ქალს და გაუწოდა ხელი, რომ სუფრისკენ წაეყვანა. კნეინა ელისაბედ ქსაველრის ასულმა გაუწოდა ხელი ერთ ახლადჩამოსულ წითურ გენერალს, რომელსაც ჯაგარის მაგვარი ულვაშები ჰქონდა. ქართველმა თავადმა გაუწოდა ხელი გრაფ შუაზელის მეუღლეს, კნეინას მეგობარ ქალს. ექიმი ანდრეევსკი[2], ადიუტანტები და სხვები ზოგი ქალებით და ზოგიც უქალებოდ გაჰყვნენ ორ ჯგუფს. ლაქიები, რომლებსაც ეცვათ კაფტანები, ჩულქები და ფეხსაცმელები, ხან მიუწევდნენ და ხან გამოუწევდნენ სკამებს იმათ, რომელნიც სხდებოდნენ.

მეტრ'დოტელი[3] დიდი ზეიმით ასხამდა ორთქლიან წვენს ვერცხლის ბადიიდან.

---

[1] მანანა ორბელიანი (1808-1870)—მირმანოზ ერისთავის ქალი, დავით ორბელიანის მეუღლე. მანანა განთქმული იყო სილამაზით და სტუმარმოყვარეობით. ის ბწერლობისა და ხელოვნების იშვიათი მოყვარული იყო და მაღალ არისტოკრატიულ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

[2] ანდრუეევსკი—ერასტი სტეფანეს ძე, მიხ. ვორონცოვის კარის ექიმი. ჩამოჰყვა მას კავკასიაში. 1847 წელს მართავთა საექიმო საქმეს კავკასიაში. ცოლად თუმანიშვილი ჰყავდა.

[3] მეტრდოტელი—უფროსი ლაქია.

—ვორონცოვი გრძელი მაგიდის შუაგულში დაჯდა. მის პირდაპირ დაბრძანდა კნეინა, მისი მეუღლე, გენერალთან. მის მარჯვნივ იჯდა მისი ბანოვანი, ლამაზი ორბელიანი, მარცხნივ—ტანწერწეტა, შავგვრემანი, ყირმიზი, ბრწყინვალე სამკაულის მქონე ქართველი თავადის ქალი, რომელიც განუწყვეტლივ იღიმებოდა

— Excellientes, chère amie[1],—უპასუხა მან კნეინას, რომელიც შეეკითხა იმის შესახებ, თუ რა ამბავი მოიტანა შიკრიკმა.—Simon a eu de la chance[2].

და თავადმა დაიწყო მოყოლა ისე, რომ ყველას შეეძლო მოსმენა, ვინც კი სუფრაზე იყო, ახალი საოცარი ამბის—მხოლოდ მისთვის არ იყო ეს ამბავი სრულებით მოულოდნელი, რადგან დიდი ხანია სწარმოებდა მოლაპარაკება—იმის შესახებ, რომ სახელგანთქმული და უმამაცესი თანაშემწე შამილისა ჰაჯი-მურატი რუსების მხარეზე გადმოვიდა და მას დღეს თუ ხვალ ტფილისში ჩამოიყვანდნენ.

ყველანი, ვინც სადილობდა, ახალგაზრდობაც კი, ადიუტანტები და მოხელეები, რომელნიც შორს ისხდნენ მაგიდაზე და თავისთვის რაღაცაზე ჩუმად იცინოდნენ, ახლა გაჩერდნენ და სმენად გადაიქცნენ.

---

[1] მშვენიერი, ჩემო მეგობარო.
[2] სიმონს ბედი სწყალობს.

— თქვენ, გენერალო, შეხვედრიხართ ჰაჯი-მურატს? – შეეკითხა კნეინა თავის მეზობელს, წითურ, ჯაგარაულვაშებიან გენერალს, როცა თავადმა გაათავა ლაპარაკი.

– დიახ, და არა ერთხელ, კნეინა!

და გენერალი მოჰყვა იმის შესახებ, თუ 43 წელს ჰაჯი-მურატი, მთიულების მიერ გერგებილის[1] აღების შემდეგ, როგორ წააწყდა თავს გენერალ პასეკის[2] რაზმს და როგორ მოჰკლა თითქმის მათ თვალწინ პოლკოვნიკი ზოლოტუხინი[3].

ვორონცოვი ჭუსმენდა გენერალს სიამოვნების ღიმილით, იმით კმაყოფილი, ალბათ, რომ გენერალმა ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ მალე ვორონცოვის სახე დაბნეული და მოწყენილი გამომეტყველება მიიღო.

ალაპარაკებულმა გენერალმა დაიწყო თხრობა, თუ საღ შეხვდა მეორეჯერ ჰაჯი-მურატს.

— ეს ხომ ის არის,—ამბობდა გენერალი,—გახსოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ნამხმარის ექსპედიციაში რომ ჩაგვისაფრდა საშველზე.

---

[1] გერგებილი—სოფელი დაღესტნის ოლქში, შამილის დროს გამაგრებული აული, აღებულ იქნა რუსების მიერ 1848 წ.

[2] პასეკი—დიომიდ გასელის ძე, გენერალი. 1842 წ. რაზმის კომანდირი ავარიაში (დაღესტანში). მოკლულ იქნა მთიელების მიერ დარგოს ექსპედიციის დროს 1845 წ.

[3] ზოლოტუხინი—პოლკოვნიკი პასეკის რაზმში. მოკლულ იქნა ჰაჯი-მურატის მიერ ბრძოლაში 1843 წელს.

— სად?—შეეკითხა ვორონცოვი და თვალები მიწაბა.

საქმე ისაა, რომ მამაცი გენერალი „საშველს“ ეძახდა იმ უბედურ დარგოს[1] ლაშქრობას, სადაც მართლაც დაიღუპებოდა მთელი რაზმი, ვორონცოვთან ერთად, რომელიც მას უფროსობდა, რომ არ მოესწრო ახალ ჯარებს. ყველამ იცოდა, რომ მთელი ეს დარგოს ლაშქრობა, ვორონცოვის უფროსობით, რომელშიც რუსებს აუარებელი ხალხი დაუჭრეს და მოუკლეს და რამდენიმე ზარბაზანიც წაართვეს, სამარცხვინო საქმე იყო, და ამიტომ, თუ ვინმე ჩამოაგდებდა ამ ლაშქრობაზე ვორონცოვთან ლაპარაკს, ისე აშუქებდა ამ საქმეს, როგორც ვორონცოვმა მოახსენა მეფეს, ე. ი. რომ ეს იყო რუსეთის მხედრობის უდიდესი გმირობა.

სიტყვა საშველი კი იმას აღნიშნავდა, რომ ეს არ იყო ბრწყინვალე გმირობა, არამედ იყო შეცთომა, რომელმაც დაღუპა აუარებელი ხალხი. ყველა მიხვდა ამას. ზოგი ისე იჭერდა თავს, თითქო ვერ ხვდებოდა გენერლის სიტყვების მნიშვნელობას, სხვები კი შეშინებული უცდიდნენ, რა მოხდებოდა შემ-

[1] დარგო—გამაგრებული აული ჩეჩნეთში. შამილის რეზიდენცია (მუდმივად საცხოვრებელი ადგილი) 1840-1845 წლებში, მდებარეობს მდ. აკსაის მარჯვენა მხარეს. დარგოს ლაშქრობა მოეწყო მ. ვორონცოვის ხელმძღვანელობით 1845 წ. და რუსის ჯარის დიდი მარცხით დამთავრდა.

დეგ. ზოგიერთებმა ერთმანეთს გადახედეს ღიმილით. მხოლოდ წითური, ჯაგარულვაშებიანი გენერალი ვერ ამჩნევდა ვერაფერს და, თავისი თხრობით გატაცებულმა, წყნარად უპასუხა:

— საშველზე, თქვენო ბრწყინვალებავ! — და ერთხელვე ალაპარაკებული თავის საყვარელ თემაზე, გენერალი დაწვრილებით ჰყვება: „ამ ჰაჯი-მურატმა ისე ოსტატურად გააპო რაზმი შუაზე, საშველად რომ არ მოსულიყვნენ, — ის თითქო განსაკუთრებული სიყვარულით იმეორებდა ამ „საშველად“, — ყველას იქ დაგვხოცავდნენ, რადგან“...

გენერალმა ვერ მოასწრო ამბის დათავება, რადგან მანანა ორბელიანმა, რომელიც მიხვდა საქმის ვითარებას, გააწყვეტინა სიტყვა გენერალს და დაუწყო გამოკითხვა, თუ როგორ არის მოწყობილი ახალ ბინაზე თბილისში. გენერალი გაკვირდა, გადახედა ყველას, მერე თავის ადიუტანტს, სუფრის ბოლოში მჯდომს, რომელიც მნიშვნელოვანი და უტეხი გამომეტყველებით შეჰყურებდა მას, და უცებ მიხვდა. მან არაფერი არ უპასუხა კნეინას, მოიღუშა, გაჩუმდა და გამალებით დაუწყო დაუღეჭავად ჭამა მის თეფშზე დადებულ რაღაც ნაზ საჭმელს, რომელსაც მისთვის გაუგებარი შესახედაობა და გემო ჰქონდა.

ყველამ უხერხულად იგრძნო თავი, მაგრამ მდგომარეობის უხერხულება გამოასწორა ქართველმა თავადმა, ძალზე სულელმა, მაგრამ მეტად ცბიერმა და გამოქნილმა კარისკაცმა, რომელიც ვორონცოვის კნეინის მეორე მხარეს იჯდა. მან, თითქო ვერაფერს ამჩნევსო, ხმამაღლა დაიწყო თხრობა, თუ როგორ მოიტაცა ჰაჯი-მურატმა მეხტულელი ახმეტ-ხანის [1] ქვრივი.

— ღამე შევიდა სოფელში, დაავლო ხელი რაც მისთვის საჭირო იყო, და მთელი თავისი პარტიით გაქუსლა.

— რად უნდოდა მას სწორედ ეს ქალი?—იკითხა კნეინამ.

— ჰაჯი-მურატი მისი ქმრის მტერი იყო, დასდევდა მას, მაგრამ ხანს მის სიკვდილამდე ვერსად ვერ შეხვდა და ამიტომ ქვრივის მეოხებით იძია შური.

კნეინამ ეს ამბავი ფრანგულად გადაუთარგმნა თავის ძველ მეგობარს, გრაფ შუაზელის მეუღლეს, რომელიც ქართველი თავადის გვერდით იჯდა.

— Quelle horreur! — წამოიძახა კნეინამ, თვალები დახუჭა და თავი გადააქნია.

---

[1] ახმეტ-ხანი—ავარიის ხანების სამხედრო ნაწილების კომანდირი და ავარიის მმართველი 1842 წ. მემკვიდრე ხუნძახის, ჰაჯი-მურატის მეტოქე და მტერი. ახმეტ-ხანი ხელს უწყობდა დაღესტნის დაპყრობას მეფის რუსეთის ჯარების მიერ.

— ო, არა, — თქვა ვორონცოვმა ღიმილით, — მე მითხრეს, რომ ის რაინდული პატივისცემით მოეპყრო ამ ტყვე ქალს და მერე გაანთავისუფლა კიდეც.

— დიახ, როცა გამოისყიდეს ქალი.

— რასაკვირველია, მაგრამ მაინც კეთილშობილურად მოიქცა.

თავადის ამ სიტყვებს მოჰყვა სხვა ამბებიც ჰაჯი-მურატზე. კარისკაცები მიხვდნენ, რომ რაც უფრო მეტ მნიშვნელობას მიაწერდნენ ჰაჯი-მურატს, მით უფრო ნასიამოვნები იქნებოდა თავადი ვორონცოვი.

— საოცარი გამბედაობა აქვს ამ ადამიანს! დიდებული კაცია!

— როგორ არა, 49 წელს პირდაპირ შუადღისას შევარდა თემირხანშურაში [1] და გაძარცვა დუქნები.

სუფრის ბოლოს მჯდომმა სომეხმა, რომელიც მაშინ თემირხანშურაში ყოფილიყო, დაწვრილებით უამბო მათ ჰაჯი-მურატის ამ გმირობის შესახებ. საერთოდ, მთელი სადილის განმავლობაში სულ ჰაჯი-მურატის შესახებ იყო საუბარი, ყველანი აქებდნენ მის გამბედაობას, ჭკუას და სულგრძელობას.

---

[1] თემირხანშურა ყოფ. თემირხანშურის საოლქო ქალაქი კასპიის მხარეთა ჯარების სამყოფელი ადგილი კავკასიური ომების დროს. ამჟამად მას ეწოდება დაღესტნის რევოლუციონერის ბუინაკსის სახელი—ქ. ხეინაკსი.

ვილაცამ თქვა, ჰაჯი-მურატმა ერთხელ გასცა ბრძანება, რომ მოეკლათ 26 ტყვეო, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ჩვეულებრივ უპასუხეს:

— მერე რა ვუყოთ, á la guerre, comme á la guerre [1].

— დიდი ადამიანია!

— ის რომ ევროპაში დაბადებულიყო, შეიძლება ახალი ნაპოლეონი გამხდარიყო, — თქვა სულელმა ქართველმა თავადმა, რომელსაც ცბიერების დიდი ნიჭი ჰქონდა.

ქართველმა თავადმა კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონის ყოველი ხსენება, რომლის დამარცხებისთვის ვორონცოვი თეთრ ჯვარს ატარებდა ყელზე, მისთვის სასიამოვნო იქნებოდა.

— არა, ნაპოლეონი კი არა და კავალერიის მარჯვე გენერალი კი იქნებოდა, — თქვა ვორონცოვმა.

— ნაპოლეონი თუ არა, მიურატი [2] ხომ იქნებოდა.

— სახელიც ისეთი აქვს — ჰაჯი-მურატი.

---

[1] ომში—როგორც ომში (ე. ი. ომში ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს შეეფერებაო).

[2] მიურატი იოხიმ (1771-1815) ნეოპოლიტის კოროლი, სიმამაცით და გამბედაობით განთქმული გენერალი ნაპოლეონის დროისა.

— ჰაჯი-მურატი რაკი ჩვენკენ გადმოვიდა, ახლა შამილის საქმე წასულია,—თქვა ვილაცამ.

— ისინი გრძნობენ, რომ ახლა (ეს ახლა ნიშნავდა „ვორონცოვის დროს“) ველარ გასძლებენ, — თქვა სხვამაც.

— Tout cela est gráce á vous [1]—ბრძანა მანანა ორბელიანმა.

ვორონცოვი ცდილობდა ცოტა შეენელებია პირმოთნეობის ტალღები, რომელნიც მას წალეკვას უქადდენ. მაგრამ ის მაინც ნასიამოვნები იყო და როდესაც თავისი ბანოვანი სუფრიდან სასტუმრო ოთახში გაიყვანა, მშვენიერ გუნებაზე იყო.

საღილის შემდეგ, როცა სასტუმრო ოთახში ყავა ჩამოარიგეს, თავადი განსაკუთრებული ალერსით ეპყრობოდა ყველას, მივიდა წითურ ჯაგარაულვაშებიან გენერალთან და ცდილობდა ისე მოეჩვენებია თავი, თითქოს არ შეუმჩნევია მისი უხერხულობა.

სტუმრებს რომ ჩამოუარა, თავადი ქალალდის სათამაშოდ დაჯდა. ის მხოლოდ ძველის-ძველ ლომბერს [2] თამაშობდა. მისი პარტნიორები იყვნენ: ქართველი თავადი, მერე სომხის გენერალი, რომელმაც თავადის კამერდინერისგან ისწავლა ლომბერის

[1] ეს ყველაფერი თქვენი წყალობითაა.
[2] ლომბერი—ქალალდის ერთგვარი თამაში.

თამაში, და მეოთხე—თავისი გავლენით სახელგანთქმული ექიმი ანდრეევსკი.

ვორონცოვმა ახლოს დაიდო ოქროს სათუთუნე, რომელზეც ალექსანდრე I ეხატა, გახია ატლასის ქაღალდი და ის იყო უნდოდა დაერიგებია, რომ შემოვიდა კამერდინერი, იტალიელი ჯოვანი, რომელსაც ვერცხლის ლანგარზე ედო წერილი.

— კიდევ შიკრიკია, თქვენო ბრწყინვალებავ!

ვორონცოვმა დადო სათამაშო ქაღალდი, ბოდიში მოიხადა, გახსნა წერილი და დაიწყო კითხვა.

წერილი მისი შვილისგან იყო. შვილი უწერდა ჰაჯი-მურატის გადმოსვლას და თავის შეტაკებას მელერ-ზაკომელსკისთან.

კნეინა მივიდა და ჰკითხა, რას იწერებოდა მათი ვაჟი.

— ისევ იმის შესახებ. Il a eu quelques désagréments avec le commandant de la place. Simon a eu tort. But all is well that ends well [1]—თქვა მან გადასცა წერილი მეუღლეს და მერე თავაზიანად მიმართა პარტნიორებს და სთხოვა აეღოთ ქაღალდი.

როცა პირველად ჩამოარიგა ქაღალდი, ვორონცოვმა აიღო სათუთუნე და, ისე მოიქცა, როგორც იქცეოდა ხოლმე, როცა კარგ გუნებაზე იყო: აიღო მოხუცის დანაოჭებული თეთრი ხელებით ფრანგული თუთუნი და ცხვირთან მიიტანა.

[1] მას ერთგვარი უსიამოვნება მოსვლია ციხე-სიმაგრის კომენდანტთან. სიმონი მტყუანი იყო. მაგრამ კარგია ყოველივე, რაც კარგად დაბოლოვდება.

თავი მეათე

მეორე დღეს, როდესაც ჰაჯი-მურატი გამოცხადდა ვორონცოვთან, თავადის მისაღები ოთახი ხალხით იყო სავსე. აქ იყო ჯაგარაულვაშებიანი გენერალი, რომელსაც ეკვა სამხედრო ტანისამოსი ორდენებით და მოსულიყო გამოსათხოვრად, აქ იყო პოლკის უფროსი, რომელსაც პასუხისგებაში უპირებდნენ მიცემას პოლკის მომარაგების საქმეში ბოროტმოქმედებისთვის. აქ იყო მდიდარი სომეხი, რომელსაც ექიმი ანდრეევსკი მფარველობდა და რომელსაც იჯარით ჰქონდა არაყი აღებული და ახლაც კონტრაქტის განახლებისათვის დავიდარაბობდა. აქ იყო — სულ ძაძებში გამოწყობილი — ომში მოკლული ოფიცრის ქვრივი, რომელიც ითხოვდა პენსიას ანდა შვილების სახელმწიფო ხარჯზე აყვანას. აქ იყო გაკოტრებული ქართველი თავადი დიდებული ქართული ტანისამოსით, რომელმაც იდავიდარაბა და ხელთ იგდო გაუქმებული საეკლესიო მამული. აქ იყო ბოქაული, რომელსაც იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი დიდი შეკვრა, რომელშიც იყო კავკასიის დაპყრობის ახალი ლონისძიების პროექტი. აქ იყო ერთი ხანი, მხოლოდ იმიტომ მოსული, რომ შინ ეთქვა თავადთან ვიყავიო.

ყველანი უცდიდნენ რიგს და ისინი სათითაოდ შეჰყავდა თავადის კაბინეტში თმახუჭუჭა ჭაბუკ ადიუტანტს.

როდესაც სასტუმრო'ში შემოვიდა გაბედული ნაბიჯით და ოდნავი კოქლობით ჰაჯი-მურატი, ყველას თვალები იმას მიაჩერდა, და მას ყველა კუთხიდან ეტმოდა ჩურჩულით წარმოთქმული თავისი სახელი.

ჰაჯი-მურატს, რომელსაც ყავისფერ ახალოხზე ვერცხლის სირმა ჰქონდა საყელოზე შემოვლებული, გრძელი თეთრი ჩოხა ეცვა. ფეხებზე ეცვა შავი პაჭიჭები და ასეთივე მესტები, ტერფზე ხელთათმანივით მოსხებილი, თავზე ჩალმიანი ფაფახი ეხურა, — ეს სწორედ ის ჩალმა, რომლისთვისაც ახმეტ-ხანის დასმენით დაიჭირა გენერალმა კლიუგენაუმ, რის გამოც ჰაჯი-მურატი შამილს მიემხრო. ჰაჯი-მურატი სწრაფად ადგამდა ფეხს მისალები ოთახის პარკეტს და მთელი წვრილი ტანით ირხეოდა, ცოტა კოქლობდა ერთ ფეხზე, რომელიც უფრო მოკლე იყო, ვიდრე მეორე. შორი-შორს მსხომი მისი თვალები მშვიდად იცქირებოდნენ წინ და, თითქოს, ვერავის ვერ ამჩნევდნენ.

ლამაზი ადიუტანტი მიესალმა და სთხოვა დაბრძანებულიყო, სანამ თავადს მოახსენებდა. მაკრამ ჰაჯი-მურატმა უარი თქვა დაჯდომაზე, ხელები ხანჯალზე დაიდვა, ფეხი გაიდგა და გაბაგრძობდა დგომას, თან ზიზღით ათვალიერებდა ყველა იქ მყოფს.

თარჯიმანი, თავადი თარხანოვი, მიუახლოვდა ჰაჯი-მურატს და დაუწყო ლაპარაკი. ჰაჯი-მურატი

უგულოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხებდა. კაბინეტიდან გამოვიდა კუმიკის თავადი, რომელიც ბოქაულს უჩიოდა, და მის შემდეგ ადიუტანტმა დაუძახა ჰაჯი-მურატს, მიიყვანა კარებთან და შეუშვა.

ვორონცოვი ჰაჯი-მურატის შესვლის დროს მაგიდის ნაპირთან იდგა. მთავარსარდალის თეთრი მოხუცებული სახე არ იყო ისეთი, როგორც გუშინ: ის კუშტი და ზვიადი უფრო იყო, ვიდრე მოღიმარი.

როცა შევიდა დიდ ოთახში, სადაც უზარმაზარი მაგიდა იდგა და რომელსაც დიდი ფანჯრები ჰქონდა მწვანე დარაბებით, ჰაჯი-მურატმა თავისი მზით დამწვარი ხელები მიიდვა მკერდის იმ ადგილას, სადაც თეთრი ჩოხა ჯვარედინდებოდა და მერე გარკვევით და მოწიწებით, კუმიკურ ენაზე, რომელიც მან კარგად იცოდა, თვალებდაშვებულმა დაიწყო:

— მოვსულვარ, რომ ვიყო დიდი მეფისა და თქვენი მაღალი მფარველობის ქვეშ. გპირდებით ერთგულად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვემსახურო თეთრ მეფეს და იმედი მაქვს, რომ შამილთან ომში, რომელიც ჩემი და თქვენი მტერია, გამოგადგებით.

ვორონცოვმა მოუსმინა თარჯიმანს, შემდეგ შეხედა ჰაჯი-მურატს, და ჰაჯი-მურატმაც სახეში შეხედა ვორონცოვს.

მათ თვალი თვალში გაუყარეს ერთიმეორეს, და მათი თვალები ეუბნებოდნენ ერთმანეთს ბევრ რამეს, სიტყვით გამოუთქმელს და ყოველ შემთხვევაში არა იმას, რასაც თარჯიმანი ლაპარაკობდა. მათ პირდაპირ, უსიტყვოდ უთხრეს ერთმანეთს მთელი სიმართლე. ვორონცოვის თვალები აშბობდნენ, რომ მას არ სჯერა არცერთი სიტყვა, რასაც ჰაჯი-მურატი ამბობდა, რომ მან იცის, რომ ის მტერია ყოველივე რუსულის, ყოველთვის ასეთი იქნება და ახლა მხოლოდ იმიტომ ემორჩილება, რომ იძულებულია ასე მოიქცეს. ჰაჯი-მურატსაც ესმოდა ეს და, მიუხედავად ამისა, მაინც არწმუნებდა, რომ ის მათი ერთგულია. ჰაჯი-მურატის თვალები კი ამბობდნენ, რომ ეს მოხუცი სიკვდილზე უნდა ფიქრობდეს და არა ომზე, მაგრამ ის თუმც მოხუცია, მაინც ეშმაკია და ამიტომ სიფრთხილეა საჭიროო. ვორონცოვსაც ესმოდა ეს და მაინც ელაპარაკებოდა ჰაჯი-მურატს იმას, რაც, მისი ფიქრით, საჭირო იყო ომის მოგებისთვის.

— უთხარი მაგას, — უთხრა ვორონცოვმა თარჯიმანს (თავადი შენობით ელაპარაკებოდა ახალგაზრდა ოფიცერს), რომ ჩვენი ხელმწიფე ისევე მოწყალეა, როგორც ძლიერია და ამიტომ, ალბათ, ჩემი თხოვნით, აპატიებს მას და მიიღებს სამსახურში. გადაეცი? — იკითხა თავადმა და თან ჰაჯი-მურატს

მისჩერებოდა. მანამდე კი, სანამ მივიღებდე მოწყალე გარდაწყვეტილებას ჩემი მბრძანებლისაგან, უთხარი, რომ ჩემ თავზე ვიღებ მაგის მიღებას და ვეცდები აქ ყოფნა სასიამოვნოდ დარჩეს.

ჰაჯი-მურატმა კიდევ მიიდო ხელი მკერდის შუაგულზე და ცოცხლად დაიწყო რაღაც ლაპარაკი.

როგორც თარჯიმანმა ახსნა, ის ამბობდა, რომ წინათაც, როცა ავარიის მართველი იყო, 39 წელს, ერთგულად ემსახურებოდა რუსებს და არაოდეს არც უღალატებდა, რომ მის მტერს, ახმეტ-ხანს, რომელსაც მისი დაღუპვა უნდოდა, ცილი არ დაეწამებია გენერალ კლიუგენაუსთან [1].

— ვიცი, ვიცი, უპასუხა ვორონცოვმა (თუმცა, თუ მან მართლაც იცოდა, დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა), ვიცი, — თქვა მან, დაჯდა და სთხოვა ჰაჯი-მურატს დამჯდარიყო კედელთან მიდგმულ ტახტზე. მაგრამ ჰაჯი-მურატი არ დაჯდა, თავისი მძლავრი მხრების აჩეჩვით ანიშნა, რომ ის ვერ ბედავს დაჯდეს, როცა აქ ასეთი დიდი კაცია.

— ახმეტ-ხანიცა და შამილიც ჩემი მტრები არიან, — მიბრუნდა თარჯიმნისაკენ და განაგრძო ჰაჯი-მურატმა. — უთხარი თავადს, ახმეტ-ხანი მოკვდა,

[1] კლუჯენაუ, ფრანც კარლოს ძე, (1791—1851) გენერალ—ლეიტ ენანტი. 1820 წლიდან იყო საქართველოს გრენადიორთა პოლკში 1833 1845 წ. იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. სახელი გაითქვა როგორც მებრძოლმა და მამაცმა გენერალმა.

არ შემეძლო შური მეძია, მაგრამ შამილი კიდევ ცოცხალია, და ისე არ მოვკვდები, თუ არ გადავუხადე სამაგიერო, — თქვა მან წარბების შეჭმუხვნით და მაგრად დააჭირა კბილები ერთმანეთს.

— ჰო, ჰო, — მშვიდად წარმოთქვა ვორონცოვმა.—მერე და როგორ სურს სამაგიეროს გადახდა შამილისათვის?—უთხრა მან თარჯიმანს. — უთხარი, რომ შეუძლია დაჯდეს.

ჰაჯი-მურატმა ხელმეორედ თქვა უარი დაჯდომაზე და იმ კითხვაზე, რომელიც გადასცეს, უპასუხა: სწორედ იმიტომ გადმოვედი რუსების მხარეს, რომ მათ დავეხმარო შამილის განადგურებაშიო.

— კარგი, კარგი, — თქვა ვორონცოვმა.—მაინც რას აპირებს? დაჯექი, დაჯექი. ჰაჯი-მურატი დაჯდა და თქვა, რომ თუ მას ლეკების ხაზზე გააგზავნიან და ჯარს მისცემენ, პირობას სდებს, რომ მთელ დაღესტანს ფეხზე დააყენებს, და შამილი იქ ველარ გაჩერდება.

— ეს კარგია. ეს შეიძლება, — თქვა ვორონცოვმა. — მოვიფიქრებ ამის შესახებ.

თარჯიმანმა გადასცა ჰაჯი-მურატს ვორონცოვის სიტყვები. ჰაჯი-მურატი ჩაფიქრდა.

— უთხარი სარდალს, — თქვა მან კიდევ, — რომ ჩემი ოჯახი ჩემი მტრის ხელშია, და სანამ ჩემი ოჯახი მთებშია, ხელშეკრული ვარ და სამსახური არ

შემიძლია. შამილი მოჰკლავს ჩემ ცოლს, ჩემ დედას, მოჰკლავს ჩემ შვილებს, თუ პირდაპირ მის წინააღმდეგ წავედი. ოღონდ თავადმა ჩემი ოჯახი გამოიყვანოს, გადაცვალოს ტყვეებზე და მაშინ ან მოვკვდები, ან შამილს გავანადგურებ.

— კარგი, კარგი,—თქვა ვორონცოვმა.—ამაზე მოვიფიქრებთ. ახლა კი წავიდეს შტაბის უფროსთან და დაწვრილებით უამბოს თავისი მდგომარეობა, თავისი განზრახვანი და სურვილები.

ამით გათავდა ჰაჯი-მურატის პირველი შეხვედრა ვორონცოვთან.

ამავე დღეს, საღამოს, აღმოსავლურ გემოვნებაზე მოწყობილ თეატრში იტალიურ ოპერას[1] დგამდნენ.

ვორონცოვი თავის ლოჟაში იჯდა, და პარტერში გამოჩნდა ჩალმიანი კოჭლი ჰაჯი-მურატის შესამჩნევი ფიგურა.

ჰაჯი-მურატი შემოვიდა ვორონცოვის მიერ მიჩენილ ადიუტანტ ლორის-მელიქოვის[2] თანხლებით

---

[1] იტალიური ოპერის სეზონი, მთავარმართებელ მ. ს. ვორონცოვის ინიციატივით, ტფილისში გაიხსნა 1851 წლის 9 ნოემბერს.

[2] ლორის-მელიქოვი, გრაფი მიხეილ ტარიელის ძე (1825—1882). 1847 წლიდან მსახურობდა ვორონცოვთან. მონაწილეობას ღებულობდა ე. წ. კავკასიურ ომებში. უკანასკნელ დროს მიაღწია უზენაესი კომისიის თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას.

და პირველ რიგში დაჯდა. პირველი აქტი ჰაჯი-მურატმა მოისმინა აღმოსავლური, მაჰმადიანების დამახასიათებელი მედიდურობით და არა თუ არ გამოუხატავს განცვიფრება, გულგრილად გამოიყურებოდა, მერე ადგა, მშვიდად ათვალიერებდა მაყურებლებს და გავიდა, თანაც ყველა მაყურებლის ყურადღება მიიპყრო.

მეორე დღე ორშაბათი იყო, ვორონცოვის ოჯახში საღამოს გამართვის ჩვეულებრივი დღე. დიდ, ძალიან განათებულ დარბაზში უკრავდა საზამთრო ბაღში დამალული მუსიკა. ახალგაზრდა და არც მთლად ახალგაზრდა ქალები, ისეთი ტანისამოსით, რომელშიც გატიტვლებული ჰქონდათ ყელი, ხელები და მკერდი, დაცურავდნენ ბრჭყვიალამუნდირებიან მამაკაცებთან გადახვეულნი.

ბუფეტის მთასთან იდგნენ ლაქიები წითელი ფრაკებით, წინდებით და ფეხსაცმელებით, ასხამდნენ შამპანურს და ქალებს ურიგებდნენ კონფეტებს.

„სარდარის“ ცოლიც, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა არ იყო, ნახევრადტიტველი დადიოდა სტუმრებში, საამოდ იღიმებოდა და თარჯიმნის პირით უთხრა რამდენიმე საალერსო სიტყვა ჰაჯი-მურატს, რომელიც ისეთივე გულგრილობით ათვალიერებდა სტუმრებს, როგორც გუშინ თეატრში. დიასახლისის შემდეგ ჰაჯი-მურატთან მიდიოდნენ გატი-

ტვლებული ქალებიც, და ყველანი დაურცხვენლად იდგნენ მის წინ და ღიმილით ეკითხებოდნენ სულ ერთსადაიმავეს: მოსწონს თუ არა, რასაც ხედავს? თვითონ ვორონცოვი, ოქროს ეპოლეტებითა და აქსელბანტებით, თეთრი ჯვრით ყელზე და ლენტით მიუახლოვდა ჰაჯი-მურატს და მანაც ის ჰკითხა, რასაც სხვები ჰკითხავდნენ, რადგან, უეჭველია, როგორც ყველა მკითხველი, ისიც დარწმუნებული იყო, შეუძლებელია ჰაჯი-მურატს არ მოსწონდეს ის, რასაც ხედავსო. ჰაჯი-მურატმა ვორონცოვსაც ის უპასუხა, რასაც სხვებს ეუბნებოდა: რომ მათ ეს არ იციან, და არ ამბობდა, კარგია თუ ცუდი ის, რომ ეს მათ შორის არ არის მიღებული.

ჰაჯი-მურატი შეეცადა დალაპარაკებოდა აქ, ბალზე, ვორონცოვს თავის საქმეზე — ოჯახის გამოყიდვის შესახებ, მაგრამ ვორონცოვმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისი სიტყვები არ გაუგონია და განშორდა, ლორის-მელიქოვმა კი შემდეგ აუხსნა, აქ უადგილოა საქმეზე ლაპარაკი.

როცა დაირეკა თერთმეტი საათი, ჰაჯი-მურატმა, რომ გაეგო, თუ რა დრო იყო, დახედა მარია ვასილიევნას ნაჩუქარ საათს და ჰკითხა ლორის-მელიქოვს, შეიძლება თუ არა წასვლაო. ლორის-მელიქოვმა უთხრა: შეიძლება, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ დარჩებიო. მიუხედავად ამისა, ჰაჯი-მურატი არ დარჩა და წავიდა მის განკარგულებაში მყოფი ფაეტონით იმ ბინაზე, რომელიც მას მისცეს.

თავი მეთერთმეტე

ტფილისში ყოფნის მეხუთე დღეს ჰაჯი-მურატთან მივიდა მეფის ნაცვალის ადიუტანტი ლორის-მელიქოვი, მთავარსარდლისაგან გამოგზავნილი.

— თავიცა და ხელებიც მოხარული არიან ემსახურონ სარდალს, — თქვა ჰაჯი-მურატმა, თავისი ჩვეულებრივი დიპლომატიური გამომეტყველებით დაღუნა თავი და ხელი მკერდზე დაიდო. — მიბრძანე, უთხრა და ალერსით შეხედა თვალებში ლორის-მელიქოვს.

ლორის-მელიქოვი ჩაჯდა სავარძელში, რომელიც იქვე მაგიდასთან იდგა. ჰაჯი-მურატიც მის პირდაპირ დაჯდა დაბალ ტახტზე, ხელებით მუხლებზე დაეყრდნო, დახარა თავი და ყურადღებით დაიწყო იმის მოსმენა, რასაც ლორის-მელიქოვი ელაპარაკებოდა. ლორის-მელიქოვმა, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობდა თათრულად, თქვა, რომ თუმცა თავადმა კარგად იცის ჰაჯი-მურატის წარსული, მაინც უნდა მისგან გაიგოს მთელი მისი თავგადასავალი.

— შენ მიამბე, — თქვა ლორის-მელიქოვმა, — მე კი ჩავიწერ, მერე გადავთარგმნი რუსულად, და თავადი ხელმწიფეს გაუგზავნის.

ჰაჯი-მურატი გაჩუმდა (ის არასოდეს არავის არ შეაწყვეტინებდა ლაპარაკს, პირიქით, უცდიდა, ხომ არ იტყვის მოსაუბრე კიდევ რამესო), მერე ასწია

თავი, უკან გადაიწია ფაფახი და გაიღიმა იმ თავისებური, ბავშვური ღიმილით, რომლითაც ერთხელ დაატყვევა მარია ვასილევნა.

— ეს შეიძლება! — თქვა მან და, როგორც ეტყობოდა, მისთვის მეტად სასიამოვნო იყო ის, რომ მის თავგადასავალს ხელმწიფეს წაუკითხავდნენ.

— მიამბე (თათრულ ენაზე არ არის თქვენობით ლაპარაკი) ყველაფერი, თავიდან დაწყებული, და ნუ აჩქარდები, — უთხრა ლორის-მელიქოვმა და ამოიღო უბის წიგნაკი.

— შეიძლება, მაგრამ ძალიან ბევრია, ძალიან ბევრია ბოსაყოლი. ძალიან ბევრი საქმე შემხვედრია, — თქვა ჰაჯი-მურატმა.

— თუ ერთ დღეს ვერ მოასწრებ, მეორე დღეს დაასრულებ, — თქვა ლორის-მელიქოვმა.

— თავიდან დავიწყო?

— ჰო, სულ თავიდან: სად დაიბადე, სად ცხოვრობდი.

ჰაჯი-მურატმა ჩაღუნა თავი და დიდხანს ასე იჯდა. შემდეგ აიღო პატარა ჯოხი, ტახტის ახლოს რომ იდვა, მერე ამოიღო სპილოს ხანჯლიდან, რომელსაც ოქროთი მოჭედილი სპილოს ძვლის ტარი ჰქონდა, სამართებელივით ბასრი დანა, და დაუწყო ამ ჯოხს გათლა, თანაც დაიწყო მოყოლა.

— დაწერე: დავიბადე ცელმესში,[1] პატარა აულია, ვირის თავის ოდენა, როგორც ამბობენ ჩვენში, მთაში, — დაიწყო ჰაჯი-მურატმა. — ჩვენს ახლო, ორი სროლის მანძილზე, ხუნზახია,[2] სადაც ხანები ცხოვრობდნენ. ჩვენი ოჯახი მათთან დაახლოებული იყო. ჩემი დედა, როცა უფროსი ძმა ოსმანი ეყოლა, ძუძუს აწოვებდა უფროს ხანს, აბუნუნცალ-ხანს, მერე ძუძუ აწოვა ხანის მეორე შვილს, უმა-ხანს, და გამოკვება კიდეც, მაგრამ ახმეტი, ჩემი მეორე ძმა, მოკვდა. და მაშინ, როცა მე დავიბადე, ხანის ცოლსაც ეყოლა ბულაჩ-ხანი. დედამ არ მოისურვა კვლავ წასულიყო ძიძად. მამამ უბრძანა, მაგრამ დედას არ უნდოდა; დედამ თქვა: მეორე შვილიც შიმშილით მომიკვდება, არ წავალო. მაშინ მამამ, — ის ძალიან ფიცხი კაცი იყო, — დაარტყა ხანჯალი და მოჰკლავდა კიდეც, რომ ხელიდან არ გამოეგლიჯათ ასე რომ მან არ გამაბარა, მერე გამოთქვა ლექსი... მაგრამ განა ამის მოყოლა საჭიროა?

— არა, საჭიროა, ყველაფერს მოყევი, - უთხრა ლორის-მელიქოვმა.

ჰაჯი-მურატი ჩაფიქრდა. მას აგონდებოდა დედა, სახლის ბანზე გვერდით რომ იწვენდა დასაძინებლად,

---

[1] ცელმესი—პატარა აული ავარიაში, ხუნძახის მახლობლად.

[2] ხუნძახი—ციხე-სიმაგრე და სოფელი დაღესტანში, წინათ ავარიის ხანთა მთავარი ქალაქი. 1843 წ. მთელი ავარია და ხუნძახი შეყრია შამილს. ხუნძახი აღებულ იქნა რუსეთის ჯარების მიერ 1859 წ. ხუნძახი ამჟამად ავარიის რაიონული ცენტრია.

ქურქს რომ ახურავდა, და თვითონ ჰაჯი-მურატი კი სთხოვდა ეჩვენებინა დედას თეძოზე ის ადგილი, სადაც დარჩა ჭრილობის ნიშანი.

— დიალ. დედა არ წავიდა ძიძად, — თქვა მან თავის გაქნევით, — ხანის ცოლმა სხვა ძიძა აიყვანა, დედაჩემი კი მაინც უყვარდა. დედას დავყავდით ჩვენ, ბავშვები, ხანის სასახლეში, და ჩვენც ხანის შვილებთან ვთამაშობდით, ხანის ცოლსაც ძალიან ვუყვარდით.

სამნი იყვნენ ხანები: აბუნუნცალ-ხანი, ჩემი ძმის ოსმანის ძმობილი, უმა-ხანი, ჩემი ძმადნაფიცი, და უმცროსი — ბულაჩ-ხანი, რომელიც შამილმა კლდიდან გადააგდო. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. თხუთმეტი წლის ვიქნებოდი, როცა აულებში მიურიდებმა დაიწყეს სიარული. ისინი ხის ხმლებს ურტყამდნენ ქვებზე და გაიძახოდნენ: „მაჰმადიანებო, ჰაზავატი!“[1] ჩეჩნელები ყველანი მიურიდების მხარეზე გადავიდნენ, და ავარიელებმაც დაიწყეს მათ მხარეზე გადასვლა. მე მაშინ სასახლეში ვცხოვრობდი. მე ისე ვიყავი, როგორც ხანის ძმა: რასაც მოვისურვებდი, იმას ვაკეთებდი, და გავმდიდრდი. მყავდა ცხენები, იარაღიც და ფულიც მქონდა. ვცხოვრობდი არხეი-

[1]. ჰაზავატი — „საღვთო ომი“ ურჯულოებთან — ესე იგი რუსებთან; სიძულვილი და განადგურება „ურჯულოების“, ე. ი. რუსეთის კოლონიზატორების — ასეთი იყო ჰაზავატის მოძღვრების დედააზრი. ჰაზავატი დაღესტანში იწყება 1830 წლებიდან.

ნად და არაფერზე არ ვზრუნავდი. ასე ვცხოვრობ-
დი მანამ, სანამ ყაზი-მულას მოჰკლავდნენ და მის
ადგილას გამზატი დადგებოდა გამზატმა გამოუგზა-
ვნა ხანებს ელჩები: თუ ჰაზავატს არ მიიღებთ,
ხუნზახს ავაოხრებო. აქ საჭირო იყო დაფიქრება.
ხანებს რუსების ეშინოდათ, ეშინოდათ ჰაზავატის
მიღება. ხანის ცოლმა გამაგზავნა ტფილისში და გა-
მატანა თავისი მეორე შვილი უმა-ხანი, რომ რუსე-
ბის მთავარი უფროსისათვის დახმარება გვეთხოვა გამ-
ზატის საწინააღმდეგოდ. მთავარი უფროსი მაშინ
როზენი[1] იყო, ბარონი. არც მე მიმიღო და არც
უმა-ხანი. ებრძანებინა ჩვენთვის ეთქვათ დაგეხმარე-
ბითო, და არაფერი კი არ გაუკეთებია. მხოლოდ
მისმა ოფიცრებმა დაიწყეს ჩვენთან სიარული და
უმა.-ხანთან ქალალდის თამაში. ისინი ასმევდნენ მას
ღვინოს და ცუდ ადგილებში დაჰყავდათ; ხანმა მა-
ლე წააგო ქალალდში, თუ რამე ჰქონდა. ტანით ის
ისე მაგარი იყო, როგორც ხარი, და ლომივით გუ-
ლადი, სული კი წყალივით სუსტი ჰქონდა. ის უკა-
ნასკნელ ცხენებსა და იარაღსაც წააგებდა, მე რომ
არ წამეყვანა. ტფილისის შემდეგ აზრი შემეცვალა
და დავუწყე ხანის ცოლსა და ახალგაზრდა ხანებს
ლაპარაკი, რომ მიეღოთ ჰაზავატი.

[1] ბარონ როზენი, გრიგოლ ვლადიმერის ძე (1782-1841), გენერა-
ლი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1831-1837 წლებში იყო კავკასიის
სამოქალაქო საქმეების მთავარმართებელად და კავკასიის კორპუსის
სარდლად.

— რატომ შეგეცვალა აზრი? — ჰკითხა ლორის-მელიქოვმა, — არ მოგეწონა რუსები?

— არა, არ მომეწონენ, — მტკიცედ თქვა და თვალები დახუჭა. — კიდევ იყო ერთი საქმე, რის გამოც ჰაზავატის მილება მომინდა.

— რა საქმე იყო?

— ცელმესთან მე და ხანი შევეტაკეთ სამ მიურიდს, ორი გაიქცა, მესამე კი დამბაჩით მოვკალი. როცა მივუახლოვდი და იარაღი უნდა ამეყარა, ის კიდევ ცოცხალი იყო. შემომხედა. შენ, — მითხრა — მომკალი. მე კარგად ვგრძნობ თავს, შენ კი მაჰმადიანი ხარ, ახალგაზრდა და ძლიერი, მიიღე ჰაზავატი. ღმერთი ასე გვიბრძანებს.

— მერე, მიიღე?

— არ მიმილია, მაგრამ დავიწყე ფიქრი, — თქვა ჰაჯი-მურატმა და განაგრძო ამბავი:

— ჰამზატი რომ ხუნზახს მიადგა, მოხუცებულები მივუგზავნეთ და დავავალეთ ეთქვათ, რომ მზად ვართ ჰაზავატი მივიღოთ, მხოლოდ მან გამოგვიგზავნოს მეცნიერი კაცი, რომელიც აგვიხსნის, როგორ უნდა ჰაზავატს შენახვა. ჰამზატმა ბრძანა მოეპარსათ მოხუცებისათვის ულვაში, გაეხვრიტათ ცხვირის ნესტოები, ცხვირზე შაფართხელა დაეკიდათ და ისე გამოისტუმრა. ელჩები დაბრუნდნენ და გადმოგვცეს,

რომ გამზატი მზად არის გამოაგზავნოს შეიხი[1] გვასწავლოს ჰაზავატი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ხანის ცოლმა გაუგზავნოს ამანათად უმცროსი ვაჟი. ხანის ცოლმა დაიჯერა და გაუგზავნა გამზატს ბულაჩ-ხანი. გამზატმა კარგად მიიღო ის და გამოგზავნა ჩვენთან კაცები, რომ მას სწვევოდნენ უფროსი ძმებიც. მას დაებარებინა: მზად ვარ ვემსახურო ხანებს, როგორც მამაჩემი ემსახურებოდა იმათ მამასო. ხანის ცოლი სუსტი ქალი იყო, ჩერჩეტი და კადნიერი, როგორც ყველა ქალი, როცა ისინი თავის ნებაზე ცხოვრობენ. მას შეეშინდა ორივე შვილის გაგზავნა და გაუგზავნა მარტო უმა-ხანი. მეც იმას წავყევი. ერთ ვერსზე შემოგვხდნენ მიურიდები, გალობდნენ, ისროდნენ თოფებს და ჩვენ გარშემო ჯირითობდნენ. როცა ჩვენ მივედით, ჰამზატი გამოვიდა კარავიდან, მივიდა უმა-ხანის უზანგთან და ისე მიიღო, როგორც ხანი. მან თქვა: „მე თქვენი სახლისათვის ცუდი არაფერი არ მიქნია და არც ვაპირებ რაიმე სიცუდის ჩადენას. მხოლოდ ნუ მომკლავთ და ნუ დამიშლით ხალხს ჰაზავატი მივაღებინო. გემსახურებით მთელი ჩემი ჯარით, როგორც მამაჩემი ემსახურებოდა თქვენ მამას. შემიშვით თქვენ სახლში საცხოვრებლად, დაგეხმარებით ხოლმე რჩევით, თქვენ კი ისე იმოქმედეთ, როგორც გენებოთ".

[1] შეიხი—წინათ მუსულმანური რწმენის ხალხში იხმარებოდა გვარის ან ტომის უხუცესისა და ბელადის მნიშვნელობით.

უმა-ხანს ლაპარაკი არ ეხერხებოდა. მან არ იცო
და რა ეთქვა და გაჩუმებული იყო. მაშინ მე ვუთ
ხარი, თუ ასეა, ჰამზატი წავიდეს ხუნზახში, ხან
და მისი დედა სიხარულით მიიღებენ მეთქი. მაგრამ
არ მომცეს საშუალება სიტყვა დამეთავებინა და აკ
პირველად შეეტაკე შამილს. ისიც იქვე იყო, იმა
მის გვერდით.

— შენ კი არა, ხანს ეკითხებიან, — მითხრა მან.

მე გავჩუმდი, ჰამზატმა კი უმა-ხანი კარავამდე
მიაცილა. მერე მე დამიძახა ჰამზატმა და მიბრძანა
ჩემი ელჩებით წავსულიყავი ხუნზახში. მე წავედი.
ელჩებმა დაუწყეს ხანის ცოლს ლაპარაკი, რომ და
თანხმებულიყო ჰამზატთან უფროსი ხანის გაგზავნაზე.
შევატყვე ღალატი და ვუთხარი ხანის ცოლს, შვილი
არ გაგზავნო მეთქი. მაგრამ ქალს თავში იმდენი
ჭკუა აქვს, რამდენიც კვერცხს თმა. ხანის ცოლმა
დაუჯერა მათ და უბრძანა შვილს წასულიყო. აბუ
ნუნცალ-ხანს არ უნდოდა წასვლა. მაშინ დედამ უთხ
რა: „გეტყობა, გეშინია“. მან, როგორც ფუტკარმა,
იცოდა, რა ადგილას უნდა ეკბინა, რომ უფრო
სტკენოდა. აბუნუნცალ-ხანი აენთო, არ დაუწყია
მასთან ბევრი ლაპარაკი, უბრძანა ცხენები შეეკაზ
მათ. მეც თან წავყევი. ჰამზატი უკეთესად შეგვხვდა,
ვიდრე წინათ უმა-ხანს დაუხვდა. ორი სროლის
მანძილზე წინ მოგვეგება თვითონ თავდალმართში.

უკან მოსდევდნენ ნიშნებიანი ცხენოსნები, გალობ-დნენ, ისროდნენ თოფებს, ჯირითობდნენ. როდესაც მივუახლოვდით ბანაკს, ჰამზატმა ხანი კარავში შეი-ყვანა, მე კი ცხენებთან დავრჩი. მთის ძირას ვიყავი, როცა ჰამზატის კარავში სროლა დაიწყეს. მივირბინე კარავთან. უმა-ხანი პირქვე ეგდო სისხლის გუბეში, აბუნუნცალ-ხანი კი ებრძოდა მიურიდებს. ნახევარი სახე მოჩეხილი ჰქონდა და ისე ეკიდა. ერთი ხელი მოჭრილ სახეზე ეფარა, მეორე ხელში ხანჯალი ჰქონდა და ჩეხავდა ყველას, ვინც მიუახლოვდებოდა. ჩემ თვალწინ მოჰკლა ჰამზატის ძმა და მიუტრიალ-და მეორეს, მაგრამ აქ მიურიდებმა აუტეხეს სრო-ლა, და ის დაეცა.

ჰაჯი-მურატი შეჩერდა, მის მზით დამწვარ სახეს ალმური მოეკიდა, თვალებში სისხლი მოაწვა.

— მე თავზარი დამეცა და გავიქეცი.

— მართლა? — თქვა ლორის-მელიქოვმა. — მე კი მეგონა, რომ შენ არასოდეს არაფრის არ გში-ნებია.

— შემდეგ არასოდეს. ამის შემდეგ ყოველთვის ვიგონებდი ამ სირცხვილს და როცა გავიხსენებდი, მერე არაფრის არ მეშინოდა.

თავი მეთოთრმეტე

— ახლა კი კმარა. ლოცვაა საჭირო, — თქვა ჰაჯიმურატმა, ამოიღო ჩოხის გულის ჯიბიდან ვორონცოვის ბრეგეტი, ფრთხილად დაადო ზამბარას ხელი, თავი გვერდზე გადიგდო და ბავშვური ღიმილის შეკავებით უსმენდა. საათმა დარეკა თორმეტი და ერთი მეოთხედი.

— კონაღი ვორონცოვის ფეშკაშია, — თქვა მან ღიმილით.

— დიაღ, კარგი საათია, — უთხრა ლორის-მელიქოვმა. — მაშ ილოცე, მე კი მოგიცდი.

— იახში (კარგი), — უთხრა ჰაჯი-მურატმა და წავიდა დასაძინებელ ოთახში.

როცა მარტო დარჩა, ლორის-მელიქოვმა თავის წიგნაკში ჩაიწერა ჰაჯი-მურატის ნაამბობიდან ის, რაც მთავარი იყო. მერე მოუკიდა ცეცხლი პაპიროსს და დაიწყო ოთახში ბოლთას ცემა. როცა მიუახლოვდა კარს, რომელიც დასაძინებელი ოთახის პირდაპირ იყო, ლორის-მელიქოვს მოესმა თათრულად გაცხარებით მოლაპარაკეთა ხმები. ის მიხვდა, რომ ეს ჰაჯი-მურატის მიურიდები იყვნენ, გაიღო კარი და შეევიდა.

ოთახში იდგა თავისებური, მჟავე ტყავის სუნი, რომელიც მთიელებს უდით. იატაკზე ფანჯარასთან, ნაბადზე იჯდა ელამი წითური გამზალო, რომელსაც დახეული და გაზიფთული ახალუხი ეცვა; ის ლაგამს

წნავდა. თავისი ჩახლეჩილი ხმით ის ხმამაღლა ლაპარაკობდა რაღაცას, მაგრამ ლორის-მელიქოვის შესვლისთანავე გაჩუმდა, მისთვის არ მიუქცევია ყურადღება და თავის საქმეს განაგრძობდა. მის პირდაპირ იდგა მხიარული ხან-მაგომა, თეთრი კბილები დაეკრიჭა, 'შავი უწამწამო თვალები უბრწყინავდა და თან სულ ერთსადაიმავეს იმეორებდა. ლამაზ ელდარს სახელოები შეეკეცა და თავისი ძლიერი ხელებით ზელდა ლურსმანზე დაკიდებული უნაგირის სამკერდულებს. ხანეფი, მთავარი მუშა და მეურნეობის გამგე, ოთახში არ იყო, ის სამზარეულოში ამზადებდა საღილს.

— რაზე კამათობდით?—შეეკითხა ლორის-მელიქოვი ხან-მაგომას, როცა მიესალმა.

— ეს სულ შამილს აქებს, - უპასუხა ხან-მაგომამ და ჩამოართვა ხელი ლორის-მელიქოვს. —ამბობს, შამილი დიდი კაციაო. მეცნიერიცაა, წმინდანიც და ჯიგიტიცო.

— როგორ მოხდა, რომ მისგან წამოვიდა და მაინც მას აქებს?

— წამოვიდა და მაინც აქებს, — კბილების კრეჭით და გაბრწყინებული თვალებით ჩაილაპარაკა ხან-მაგომამ.

— მართლა წმინდანად მიგაჩნია? იკითხა ლორის-მელიქოვმა.

— წმინდანი რომ არ იყოს, ხალხი არც გაუგონებდა, — საჩქაროდ უპასუხა გამზალომ.

— წმინდანი შამილი კი არა, მანსური იყო, — თქვა ხან-მაგომამ. — ის მართლა წმინდანი იყო. როცა ის **იმამი**[1] იყო, ხალხი სულ სხვა იყო. ის დადიოდა აულებში, და ხალხი გამოდიოდა მისი ჩოხის კალთების სამთხვევად, ინანიებდა თავის ცოდვას და ფიცს სდებდა ცუდი რამ არ ჩაედინა. მოხუცები ამბობენ, მაშინ ადამიანები წმინდანებივით ცხოვრობდნენო, არც თუთუნს სწევდნენ, არც სვამდნენ, არც ლოცვებს უშვებდნენ, ერთმანეთს აპატიებდნენ შეურაცხყოფას, სისხლსაც კი აპატიებდნენო. მაშინ როცა ფულსა და ნივთებს იპოვიდნენ, სარებზე ჩამოკიდებდნენ და გზებზე დგამდნენ. მაშინ ღმერთიც ყველაფერში ხელს უმართავდა ხალხს და ისე კი არა, დღეს რომ არის, — თქვა ხან-მაგომამ.

— ახლაც მთებში არც თუთუნს სწევენ და არც ლოთობენ, — თქვა გამზალომ.

— ლამოროია შენი შამილი, — თქვა ხან-მაგომამ და ლორის-მელიქოვს თვალი ჩაუკრა.

„ლამოროის" მთიულებს ეძახიან საცინად აგდებით.

---

[1] იმამი სასულიერო და საერო საქმეების უფროსი და ხელმძღვანელი დაღესტანისა და ჩეჩნეთში 1860 წლებამდე.

— ლამოროი მთიულია, — უპასუხა გამზალომ. — და სწორედ მთებში ცხოვრობენ არწივები.

— ყოჩაღ, კარგად მომიჭერი, — კბილების კრეჭით წარმოთქვა ხან-მაგომამ, რომელსაც გაუხარდა თავისი მოწინააღმდეგ-ს მოხდენილი პასუხი.

როცა ლორის-მელიქოვის ხელში ვერცხლის სათუთუნეს შეხედა, სთხოვა მისთვის მიეცა პაპიროსი. და როდესაც ლორის-მელიქოვმა უთხრა, თქვენ ხომ აკრძალული გაქვთ თუთუნის მოწევაო, ხან-მაგომამ ერთი თვალი კიდევ ჩაუკრა, მერე თავი გადააქნია ჰაჯი-მურატის დასაძინებელი ოთახისაკენ და სთქვა: შეიძლება, სანამ არ ხედავენო. იმ წამსვე დაიწყო მან პაპიროსის მოწევა, მაგრამ კვამლს არ ყლაპავდა და თან უხერხულად სწევდა წინ თავის წითელ ტუჩებს, როდესაც კვამლს უშვებდა.

— არ ვარგა ასე, — გულმოსულად თქვა გამზალომ და გავიდა ოთახიდან. ხან-მაგომამ იმის შესახებაც ჩაუკრა თვალი და დაუწყო ლორის-მელიქოვს გამოკითხვა, სად უფრო კარგია აბრეშუმის ახალუხისა და თეთრი ფაფახის ყიდვაო.

— განა შენ ასე ბევრი ფული გაქვს?

— მაქვს, მეყოფა. — თვალის ჩაკვრით უპასუხა ხან-მაგომამ.

— ერთი ეს ჰკითხე, საიდან აქვს ფული, — თქვა ელდარმა და მოაბრუნა თავისი ღიამაზი, მოლიმარი თავი ლორის-მელიქოვისაკენ.

— მოვიგე,—სწრაფად თქვა ხან-მაგომამ. და ხან-მაგომა მოჰყვა, თუ როგორ გადააწყდა გუშინ, ტფილისში ქუჩაში სეირნობის დროს, რუსებსა და სომხებს, რომელნიც ფულის მაღლა აგდებას, „არ-წივობიას“ თამაშობდნენ. დიდი კონი იყო: სამი ოქრო და ბევრი ვეცხლი. ხან-მაგომა მაშინვე მიხ-ვდა, რაშიც იყო თამაში, ჯიბეში გააჩხარუნა თითი-ბრის ფული, შევიდა წრეში და დაიძახა, რაც აქ ფულია, ყველაზე ვთამაშობო.

— როგორ თუ ყველაზე? განა ამდენი ფული გქონდა?—ჰკითხა ლორის-მელიქოვმა.

— სულ თორმეტი კაპეიკი მქონდა,—კბილების კრეჭით თქვა ხან-მაგომამ.

— რომ წაგეგო?

— აი!

და ხან-მაგომამ დამბაჩაზე მიუთითა.

— რა? მისცემდი?

— რატომ ულნდა მიმეცა? გავიქცეოდი და, თუ ვინმე დამიჭერდა, მოვკლავდი. მორჩა და გათავდა.

— მერე, რა ჰქენი, მოიგე?

— მთელი ფული ავკრიფე და წამოვედი.

ლორის-მელიქოვს კარგად ესმოდა, რას წარმოა-დგენდნენ ხან-მაგომა და ელდარი. ხან-მაგომა იყო ხუმარა მოქეიფე კაცი, რომელმაც არ იცოდა სად დაეხარჯა მოჭარბებული სასიცოცხლო ენერგია, იყო

ყოველთვის მხიარული, აჩქარებული, არც თავის და არც სხვის სიცოცხლეს არ უფრთხილდებოდა და სწორედ ამის გამო იყო, რომ ახლა რუსებისაკენ გადმოვიდა, მაგრამ სწორედ ამის გამოვე შეეძლო ხვალ ისევ შამილის მხარეს გადასვლა. ელდარი ადვილი საცნობი იყო: ის იყო თავისი მიურშიდის ძალზე ერთგული, წყნარი, ლონიერი და მტკიცე. მხოლოდ წითური გამზალო იყო გაუგებარი ლორის მელიქოვისათვის. ლორის-მელიქოვი ხედავდა, რომ ეს კაცი იყო თავდადებული ერთგული შამილისა, საშინლად სძულდა, ეზიზღებოდა, სძაგდა ყველა რუსი; ამიტომ ლორის-მელიქოვისათვის გაუგებარი იყო, რატომ გადმოვიდა ის რუსებისაკენ. ლორის-მელიქოვს დაებადა აზრი, რომელსაც იზიარებდნენ სხვა უფროსი მოხელეებიც, რომ ჰაჯი მურატის გადმოსვლა და მისი ლაპარაკი შამილის მტრობაზე სიცრუეა, რომ ის მხოლოდ იმისათვის გადმოვიდა, რომ რუსების სუსტი მხარეები აათვალიეროს და მერე, როცა მთებში გაიქცევა, იქით წაიყვანოს თავისი ძალები, სადაც რუსები სუსტი არიან. გამზალო მთელი თავისი არსებით ამტკიცებდა ამ ეჭვს „ისინი და თვით ჰაჯი-მურატი ახერხებენ თავისი განზრახვების დამალვას, — ფიქრობდა ლორის-მელიქოვი, — მაგრამ ეს კი ვერ ფარავს თავის სიძულვილს და ამით ყველაფერს ააშკარავებს“.

ლორის-მელიქოვი შეეცადა დალაპარაკებოდა გამზალოს. ჰკითხა, ხომ არ მოგეწყინაო. მაგრამ გამზალო განაგრძობდა თავის საქმეს, თავისი ცალი თვალით გვერდზე გადახედა ლორის-მელიქოვს და ჩახლეჩილი ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტ წაიბურდღუნა:

— არა, არ მომწყენია.

ასევე უპასუხებდა დანარჩენ კითხვებზეც.

სანამ ლორის-მელიქოვი ნუკერების [1] ოთახში იყო, შემოვიდა ჰაჯი-მურატის მეოთხე მიურიდიც, ავარიელი ხანეფი, რომელსაც ბინჯგვლიანი სახე და კისერი ჰქონდა, წინ წამოწეული გულ-მკერდი კი ისე ჰქონდა ბალნით გადავლილი, თითქოს ცხოველის ბეწვი ამოსვლიაო. ამას არ უყვარდა მსჯელობა, ძალ-ღონით სავსე მუშა იყო, მუდამ თავის საქმეში ჩაფლული, და, როგორც ელდარი, უსიტყვოდ ემორჩილებოდა თავის პატრონს.

როდესაც ის ბრინჯისთვის შემოვიდა ნუკერების ოთახ'ში, ლორის-მელიქოვმა შეაჩერა და გამოჰკითხა, საიდან არის და დიდი ხანია თუ არა, რაც ჰაჯი-მურატთანაა.

— ხუთი წელია, — უპასუხა ხანეფიმ ლორის-მელიქოვს კითხვაზე. — მე და ის ერთი აულიდან ვართ. მამაჩემმა მოჰკლა მისი ბიძა და მათ უნდოდათ ჩემი მოკვლა, — თქვა მან და თან შეერთებული წარ

[1] ნუკერი—მხლებელი, მცველი.

ბის მოჭმუხვნით მშვიდად უცქერდა ლორის-მელიქოვს ქვეშქვეშ. — მაშინ ვითხოვე ძმად მიეღეთ.

— რას ნიშნავს ძმად მიღება?

— ორი თვე თავი არ მომიპარსავს, ფრჩხილი არ მომიქნია და მივედი იმათთან. შემიშვეს დედამის პატიმატთან. პატიმატმა მომცა ძუძუ, და მე ჰაჯი-მურატის ძმა გავხდი.

მეორე ოთახიდან ჰაჯი-მურატის ხმა მოისმა. ელდარი იმ წამსვე მიხვდა, რომ ბატონი ეძახოდა, ხელი შეიხოცა და დიდი ნაბიჯით წავიდა სასტუმრო ოთახისაკენ.

— გეძახის, — თქვა მან, როდესაც დაბრუნდა. ლორის-მელიქოვმა კიდევ მისცა პაპიროსი მხიარულ ხან-მაგომას და სასტუმრო ოთახში წავიდა.

თავი მეცამეტე

როდესაც ლორის-მელიქოვი შეევიდა სასტუმრო ოთახში, ჰაჯი-მურატი მხიარული სახით შეხვდა მას.

— რა ვქნათ, განვაგრძო? — ჰკითხა ჰაჯი-მურატმა და დაჯდა ტახტზე.

— დიალ, უეჭველად, — თქვა ლორის-მელიქოვმა. — მე შენს ნუკერებთან შეევედი, ველაპარაკე მათ. ერთი - მხიარული კაცია, — დაუმატა ლორის-მელიქოვმა.

— დიაღ, ხან-მაგომა მჩატე კაცია, — უპასუხა ჰაჯი-მურატმა.

— მომეწონა ერთი — ახალგაზრდა და ლამაზი.

— აჰა, ელდარი. ის ახალგაზრდაა, მაგრამ მაგარია, რკინაა.

ორივე გაჩუმდა.

— მაშ განვაგრძო?

— დიაღ, დიაღ.

— მე გიამბეთ, როგორ დახოცეს ხანები. ჰო, დახოცეს და ჰამზატი [1] შეეშოვიდა ხუნზახში, დაბრძანდა ხანის სასახლეში, — დაიწყო ჰაჯი-მურატმა. — დარჩა ხანების დედა ჰამზატმა მიიწვია თავისთან. ხანების დედამ საყვედური დაუწყო. ჰამზატმა თვალი უქნა თავის მიურიდს ასელდერს, იმანაც უკანიდან დაარტყა და მოჰკლა.

— მერე, ის მაინც რად მოჰკლა? — იკითხა ლორის-მელიქოვმა.

— მაშ რა ექნა: წინა ფეხებით რომ გადახტები, უკანა ფეხებიც უნდა გადაიტანო. საჭირო იყო მთელი მათი მოდგმის მოსპობა. ასეც მოიქცნენ. შამილმა უმცროსი მოჰკლა, კლდიდან გადააგდო.

---

[1] ჰამზატ ბეგი მეორე იმამი (ყაზი მოლას შემდეგ), მთიელთა წინამძღოლი მეფის რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. დაიბადა ავარიაში 1789 წ. 1834 წ. დაიპყრო ავარია და ამოხოცა ავარიის მფლობელთა—ხანთა გვარეულობა, მაგრამ მოკლულ იქნა ამ ხანების ნათესავი ოსმანის (ჰაჯი-მურატის ძმის) მიერ.

—მთელი ავარია დაემორჩილა ჰამზატს, მხოლოდ მე და ჩემი ძმა არ დავემორჩილეთ. ჩვენ ხანების სისხლი უნდა აგვეღო. ჩვენ ისე ვაჩვენებდით თავს, თითქოს დავემორჩილეთ და მხოლოდ იმაზე კი ვფიქრობდით, როგორ აგვეღო იმისგან სისხლი. მოველაპარაკეთ პაპას. და გადავწყიტეთ შეგვერჩია დრო—როცა ის სასახლიდან გამოვიდოდა, უნდა ჩავსაფრებოდით და მოგვეკლა. ვიღაცამ ყური მოჰკრა ჩვენ ლაპარაკს და უამბო ჰამზატს; მან მიიხმო პაპა და უთხრა: „იცოდე, თუ შენს შვილიშვილებს მართლა ცუდი რაიმე აქვთ განზრახული ჩემს წინააღმდეგ, შენ და ისინი ერთ სახრჩობელაზე დაეკიდებით. მე ღვთის საქმეს ვაკეთებ და ჩემი ხელის შეშლა არ შეიძლება. წადი და გახსოვდეს, რაც გითხარი“.

პაპა მოვიდა შინ ყველაფერი გვიამბო. მაშინ გადავწყიტეთ აღარ გვეცადა და საქმე დღესასწაულის პირველ დღესვე მოგვეთავებინა მეჩეთში. ამხანაგებმა უარი სთქვეს, დავრჩით მე და ჩემი ძმა.

—ავიღეთ ორ-ორი დამბაჩა, მოვიხურეთ ნაბდები და წავედით მეჩეთში. ჰამზატი შემოვიდა იცდაათი მიურიდით. ყველა მათგანს ხელში გაშიშვლებული ხმალი ეჭირა. ჰაზმატის გვერდით მოდიოდა ასელდერი, მისი საყვარელი მიურიდი, სწორედ ის, რომელმაც თავი წააგდებინა ხანების დედას. ჩვენ რომ

დაგვინახა, გვიყვირა, რომ ნაბდები მოგვეხსნა, და ჩემთან მოვიდა. ხანჯალი ხელში მქონდა, მოვკალი და ჰამზატს შეუტიე. მაგრამ ჩემმა ძმამ ოსმანმა მოა. სწრო და ესროლა დამბაჩა. ჰამზატი კიდევ ცოცხალი იყო და ხანჯლით ეცა ჩემ ძმას, მაგრამ მე თავში დავარტყი და მოვკალი. მიურიდები ოცდაათი იყვნენ, ჩვენ კი ორნი ვიყავით. მოჰკლეს ჩემი ძმა ოსმანი, მე კი მოვიგერიე ისინი, გადავხტი ფანჯარაში და გავიქეცი.

როცა გაიგეს ჰამზატის მოკვლის ამბავი, მთელი ხალხი აღდგა, და მიურიდები გაიქცნენ. ისინი კი, რომლებიც არ გაქცეულან, დახოცეს.

ჰაჯი-მურატი შეჩერდა და მძიმედ ამოისუნთქა.

— ეს ყველაფერი კარგი იყო, განაგრძობდა ჰაჯი-მურატი,— მერე კი ყველაფერი გაფუჭდა. შამილმა დაიჭირა ჰამზატის ადგილი. გამომიგზავნა ელჩები და შემომითვალა წავყოლოდი მას რუსების წინააღმდეგ. მემუქრებოდა: თუ უარს იტყვი, ხუნზახს დავანგრევ და შენც მოგკლავო. მე შევუთვალე: არ მოვალ შენთან და არც ჩემთან მოგიშვებ მეთქი.

— რატომ არ წახვედი?— ჰკითხა ლორის-მელიქოვმა.

ჰაჯი-მურატი მოიღუშა და მაშინვე არ უპასუხა.

— არ შეიძლებოდა. შამილს ემართა ჩემი ძმის ოსმანისა და აბუნუნცალ-ხანის სისხლი. მე არ წა-

ვედი მასთან. გენერალმა როზენმა გამომიგზავნა ოფიცრის ჩინი და მიბრძანა ავარიის უფროსობა ამეღო. ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ როზენმა ავარიის ხანად დანიშნა პირველად ყაზი-ყუმიხის ხანი მაჰმად-მირზა, მერე კი ახმეტ-ხანი. ამას შევძულდი. მას უნდოდა თავისი შვილისათვის შეერთო ხანის ქალიშვილი სალთანეტ, მაგრამ არ მისცეს. ის ფიქრობდა, რომ ეს ჩემი ბრალი იყო. ამიტომ შემიძულა და თავისი ნუკერები რამდენჯერმე მომიგზავნა მოსაკლავად, მაგრამ თავი დავახწიე. მერე დამასმინა გენერალ კლიუგენაუსთან, უთხრა, რომ ვუკრძალავ ავარიელებს ჯარისკაცებს შეშა მისცენ. მერე უთხრა კიდევ, რომ მე მახურავს ჩალმა, აი ეს, — თქვა ჰაჯი-მურატმა და მიუთითა ჩალმაზე, რომელიც ფაფახზე ჰქონდა, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე შამილის მხარეზე გადავედი. გენერალმა არ დაუჯერა და არც უბრძანებია ჩემი ხელის ხლება. მაგრამ როცა გენერალი ტფილისში წავიდა, ახმეტ ხანი თავის ნებაზე მოიქცა: ჯარისკაცების ასეულით დამიჭირა, დამადო ბორკილები და ზარბაზანზე მიმაბა.

— ექვსი დღედაღამე ასე ვიყავი. მეშვიდე დღეს ამხსნეს და წამიყვანეს თემირხან-შურაში. ორმოც ჯარისკაცს მივყავდი, თოფი ყველას გატენილი ჰქონდა. ხელები შეკრული მქონდა და ნაბრძანები ჰქონდათ მოვეკალით, თუ გაქცევას დავაპირებდი. მეც ვიცოდი

ეს. როდესაც მოკსოხის ახლო მივდიოდით, ვიწრო ბილიკი იყო, მარჯვნივ კი ორმოცდაათი საჟენის სიმაღლის ხრამი იყო. გადავედი ჯარისკაცის მარჯვნივ, ხრამის პირად. ჯარისკაცმა ჩემი შეჩერება მოინდომა, მაგრამ გადავხტი კლდიდან და თან გადავიტანე ჯარისკაცი. ჯარისკაცი მოკვდა, მე კი აი, ცოცხალი გადავრჩი. გვერდები, თავი, ხელები, ფეხები — ყველაფერი დამემტვრა. მოვინდომე გაცოცება — და ვერ შევძელი. თავბრუ დამესხა და დამეძინა. როდესაც გამომეღვიძა, სველი ვიყავი, სისხლი მდიოდა. მწყემსმა დამინახა, დაუძახა ხალხს და აულში წამიყვანეს. გვერდები და თავი მომირჩა, ფეხიც მომირჩა, მაგრამ ცოტათი დამოკლდა.

და ჰაჯი-მურატმა გამოსწია გამრუდებული ფეხი.

— მემსახურება და ესეც კარგია, — თქვა მან. — ხალხმა გაიგო, დაიწყეს ჩემ სანახავად სიარული. მოვრჩი, ცელმესში გადავედი. ავარიელები ისევ მეპატიჟებოდნენ მათ მმართველად დავმდგარიყავი, — მტკიცედ, სიამაყით თქვა ჰაჯი-მურატმა. — მეც დავთანხმდი.

ჰაჯი-მურატი საჩქაროდ წამოდგა, ხურჯინიდან ამოიღო პორტფელი, საიდანაც ამოიღო ორი გაყვითლებული წერილი და გადასცა ლორის-მელიქოვს. ეს გენერალ კლიუგენაუს წერილები იყო. ლორის-მელიქოვმა წაიკითხა ისინი. პირველ წერილში ეწერა:

„პრაპორშჩიკო ჰაჯი-მურატო. შენ ჩემთან მსახურობდი, მე კმაყოფილი ვიყავი შენი სამსახურით და კეთილ ადამიანად გთვლიდი. ამასწინათ გენერალ-მაიორმა ახმეტ-ხანმა მომახსენა, რომ შენ მოღალატე ხარ, რომ ჩალმა დაიხურე და ურთიერთობა გაქვს შამილთან, რომ შენ ასწავლე ხალხს არ დაემორჩილოთ რუსეთის მთავრობასო. მე გავეცი ბრძანება, რომ შენ დაეჭირეთ და ჩემთან მოეყვანეთ, — შენ გაიქეცი. არ ვიცი, ეს ცუდია თუ კარგი, რადგან არ ვიცი, დამნაშავე ხარ თუ არა. ახლა გამიგონე. თუ შენი სინიდისი წმინდაა დიდი მეფის წინაშე, თუ შენ არაფერში არ ხარ დამნაშავე, — მოდი ჩემთან. ნურავისი ნუ გეშინია, მე შენი დამცველი ვარ. ხანი ვერაფერს ვერ გიზამს, ის ჩემი ხელქვეითია. მაშასადამე, შენ არაფერი არა გაქვს საშიში“.

მერე კლიუგენაუ სწერდა იმის შესახებ, რომ ის ყოველთვის ასრულებდა თავის სიტყვას და სამართლიანი იყო, და კვლავ ურჩევდა ჰაჯი-მურატს მისულიყო მასთან.

როდესაც ლორის-მელიქოვმა გაათავა პირველი წერილის კითხვა, ჰაჯი-მურატმა ამოიღო მეორე წერილი, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადასცა ლორის-მელიქოვს და მოჰყვა, თუ რა პასუხი გაუგზავნა პირველ წერილზე:

— მე მივწერე, რომ ჩალმას ვატარებდი არა შამილისათვის, არამედ სულის ცხონებისათვის; რომ შამილთან გადასვლა არ მინდა და არც შემიძლია, რადგან მისი მეოხებით მოჰკლეს ჩემი მამა, ძმები და ნათესავები, მაგრამ არც რუსებთან შემიძლია გადასვლა, რადგან მათ პატივი ამყარეს. ხუნზახში, როდესაც შეკრული ვიყავი, ერთმა არამზადამ მე და... და არ შემიძლია თქვენკენ გადმოვიდე, სანამ ეს კაცი არ იქნება მოკლული. მთავარი კი ის არის, რომ მეშინია მატყუარა ახმეტ-ხანის მეთქი. მაშინ გენერალმა გამომიგზავნა ეს წერილი, — თქვა ჰაჯი-მურატმა და გადასცა ლორის-მელიქოვს მეორე გაყვითლებული ქაღალდი.

„შენ მიპასუხე ჩემ წერილზე. მადლობელი ვარ, — წაიკითხა ლორის-მელიქოვმა. — მწერ, რომ არ გეშინია დაბრუნების, მაგრამ შეურაცხყოფა, რომელიც მოგაყენა ერთმა გიაურმა, გიკრძალავს ამას. მე კი გარწმუნებ, რომ რუსეთის კანონი სამართლიანია და შენი თვალით ნახავ იმ კაცის დასჯას, რომელმაც ეს შეურაცხყოფა მოგაყენა. მე უკვე გავეცი ბრძანება გამოიძიონ ეს საქმე. გამიგონე, ჰაჯი-მურატო. მე უფლება მაქვს უკმაყოფილო ვიყო, რადგან შენ არ გჯერა ჩემი და ჩემი პატიოსნების, მაგრამ მიპატივებია, რადგან ვიცი საერთოდ მთიულების ხასიათის უნდობლობა. თუ შენი სინიდისი წმინდაა,

თუ ჩალმას საკუთარი სულის ცხონებისათვის იხურავდი, მაშინ მართალი ხარ და თამამად შეგიძლია შეხედო რუსეთის მთავრობას და მეც თვალებში, ის კი, ვინც შენ პატივი აგყარა, გარწმუნებ, დასჯილი იქნება, შენი ქონება დაგიბრუნდება, და შენ ნახავ და გაიგებ, რას ნიშნავს რუსეთის კანონი მით უმეტეს, რომ რუსები სხვანაირად უცქერიან ყველაფერს, იმათ თვალში შენ არაფერი არ დაგიკარგავს იმით, რომ ვიღაც არამზადამ პატივი აგყარა. მე თვითონ მივეცი ნება გიმრინელებს ატარონ ჩალმა და მათ მოქმედებას ისე ვუყურებ, როგორც საჭიროა. მაშასადამე, გიმეორებ, არაფრის არ უნდა გეშინოდეს. გადმოდი ჩემთან იმ კაცთან ერთად, რომელსაც გიგზავნი; ეს კაცი ჩემი ერთგულია, ის შენი მტრების მონა კი არ არის, ის იმ კაცის მეგობარია, რომელსაც მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს".

შემდეგ კლიუგენაუ კიდევ ურჩევდა ჰაჯი-მურატს მისულიყო მასთან.

— მე არ დავიჯერე ეს, — თქვა ჰაჯი-მურატმა, როცა ლორის-მელიქოვმა გაათავა წერილის კითხვა, — და არ წავედი კლიუგენაუსთან. უმთავრესი ის არის, რომ მე სამაგიერო უნდა გადამეხადა ახმეტ-ხანისათვის, რუსების მეოხებით კი ამას ვერ შევძლებდი. ამ დროს ახმეტ-ხანმა ალყა შემოარტყა ცელმესს და უნდოდა ან დავეჭირე, ან მოვეკალი. მე

ძალიან ცოტა ხალხი მყავდა; არ შემეძლო გავძროომოდი. და სწორედ ამ დროს მოვიდა ჩემთან შამილისგან გამოგზავნილი კაცი წერილით. ის მპირდებოდა: დაგეხმარები, რომ ახმეტ-ხანს დააღწიო თავი, მოჰკლა იგი და მთელ ავარიასაც მოგცემ სამმართველოდო. დიდხანს ვიფიქრე და შამილთან გადავედი. ამ ხნიდან დაწყებული განუწყვეტლივ ვეომებოდი რუსებს.

აქ ჰაჯი-მურატი მოჰყვა ყველა თავის სამხედრო საქმეს. ძალიან ბევრი ასეთი საქმე ჰქონდა ჩადენილი. ლორის-მელიქოვმა ნაწილობრივ იცოდა კიდეც მათ შესახებ. მისი ყველა ლაშქრობა და თარეში გასაოცარი იყო გადასვლების არაჩვეულებრივი სიჩქარით და გაბედული თავდასხმით, რაც ყოველთვის გამარჯვებით ბოლოვდებოდა.

— მე და შამილი მეგობრები არასოდეს არ ვყოფილვართ, —დაამთავრა თავისი მოთხრობა ჰაჯი-მურატმა, —მაგრამ მას ჩემი ეშინოდა, და მე მისთვის საჭირო ვიყავი. მაგრამ აქ ის მოხდა, რომ მე მკითხეს, ვინ უნდა იყოს შამილს შემდეგ იმამადო. მე ვუპასუხე, იმამი ის იქნება, ვისაც ბასრი ხმალი აქვს მეთქი. ეს სიტყვები შამილს მიუტანეს, და მან მოინდომა ჩემი მოშორება. ტაბასარანში გამაგზავნა. წავედი, გამოვიტაცე ათასი ცხვარი, სამასი ცხენი. მაგრამ მითხრა, ისე არ მოქცეულხარ, როგორც სა-

ჭირო იყოო, და ნაიბობიდან გადამაყენა, მიბრძანა მისთვის გამეგზავნა მთელი ფული. ათასი ოქრო გავუგზავნე. გამომიგზავნა თავისი მიურიდები და მთელი ქონება წამართვა. ის მოითხოვდა, რომ მასთან მივსულიყავი. ვიცოდი, რომ ჩემი მოკვლა უნდოდა, და არ წავედი. გამოგზავნა ხალხი ჩემ წასაყვანად, მაგრამ თავი დავაღწიე და ვორონცოვთან გადმოვედი.

ოჯახი არ გამომიყვანია. დედა, ცოლი და შვილიც მის ხელშია. უთხარი სარდალს, სანამ ჩემი ოჯახი იქ არის, მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

— ვეტყვი, —თქვა ლორის-მელიქოვმა.

— ეცადე, დამეხმარე. რაც ჩემია, ის შენია. მხოლოდ თავადთან დამეხმარე. მე გაბაწრული ვარ, და ბაწრის წვერი შამილის ხელშია.

ამ სიტყვებით გაათავა ჰაჯი-მურატმა თავისი საუბარი ლორის-მელიქოვთან.

თავი მეთოთხმეტე

ოც დეკემბერს ვორონცოვი სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს[1] ასე სწერდა (წერილი ფრანგულად იყო დაწერილი):

---

[1] ჩერნიშოვი, ალექსანდრე ივანეს ძე (1786—1857)—გენერალი, სამჩეღრო მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. სამხედრო მინისტრად ჩერნიშოვი დაინიშნა 1832 წელს. 1840 წ. ის ინიშნება იმ კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელსაც კავკასიაში უნდა გაეტარებია ახალი სამოქალაქო წესები. სამეედრო მინისტრად ჩერნიშოვი ითვლებოდა 1852 წლამდის.

„მე თქვენთვის უკანასკნელი ფოსტით არ მომიწერია, ძვირფასო თავადო, რადგან ჯერ მინდოდა გადამეწყვიტა, რა გვექნა ჰაჯი-მურატისათვის. მე ეს ორი-სამი დღე ვერ ვგრძნობ თავს კარგად. უკანასკნელ წერილში გწერდით ჰაჯი-მურატის აქ მოსვლის შესახებ: ის ტფილისში რვას ჩამოვიდა; მეორე დღესვე გავიცანი, რვა თუ ცხრა დღეს ველაპარაკებოდი და ვფიქრობდი, რის გაკეთებას შესძლებს ის ჩვენთვის შემდგომ, უფრო კი იმაზე ვფიქრობდი, ჩვენ თვითონ რა უნდა ვუქნათ მას ახლა, ვინაიდან ის ძალიან სწუხს თავისი ოჯახის ბედზე, ლაპარაკობს, და მის გულახდილობას მოწმობს ყველაფერი, რომ სანამ მისი ოჯახი შამილის ხელშია, მას არაფრით არ შეუძლია დახმარების გაწევა და დამტკიცება, რომ მადლობელია, ვინაიდან კარგად მივიღეთ და ყველაფერი ვაპატიეთ. მან არაფერი იცის მისთვის ძვირფასი ადამიანების შესახებ და ამის გამო ციებ-ცხელებიანივით არის; ისინი, ვინც მივუჩინე თვალყურის დევნებისათვის, მარწმუნებენ, რომ მას მთელი ღამეები არ სძინავს, თითქმის არაფერს არ ჭამს, განუწყვეტლივ ლოცულობს და ითხოვს ნებართვას, რომ ცხენით გაისეირნოს ყაზახების თანხლებით,— ეს მისთვის ერთადერთი შესაძლებელი გართობა და მოძრაობაა, რაც აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან ეს მისი დიდი ხნის ჩვეულებაა. ყოველდღე მო-

დის ჩემთან, რომ გაიგოს, მაქვს თუ არა რაიმე ცნობა მისი ოჯახობის შესახებ, მთხოვს შევკრიბო ჩვენს სხვადასხვა ხაზზე წამოყვანილი ტყვეები, რომლებიც ახლა ჩვენს განკარგულებაში არიან, რომ წინადადება მივსცე შამილს გადაგვიცვალოს, ის თვითონ კი ცოტაოდენ ფულსაც დაუმატებს. სულ მიმეორებდა: დაიხსენით ჩემი ოჯახობა და მერე მომეცით საშუალება გემსახურო თ (მისი აზრით, ყველაზე უკეთესია ლეკების ხაზზე), და თუ ერთი თვის განმავლობაში დიდ სამსახურს არ გაგიწევთ, დამსაჯეთ, როგორც საჭიროდ მიიჩნიოთო.

„მე ვუპასუხე, რომ ყველაფერი ეს სამართლიანად მიმაჩნია, და რომ ჩვენში ბევრი გამოჩნდება ისეთი პირი, რომელნიც არცკი დაუჯერებენ მას, თუ მისი ცოლშვილი მთებში იქნება და არა ჩვენთან მძევლად; რომ ყოველგვარ ღონეს ვიხმარ, რაც კი შესაძლებელია, რომ ჩვენ საზღვრებზე შევაგროვო ტყვეები, და რომ თუმც მე არა მაქვს უფლება, ჩვენი წესდების ძალით, მივსცე გამოსასყიდელი, იმ ფულის დასამატებლად, რომელსაც თვითონ იშოვის. მაგრამ შეიძლება სხვა საშუალებანი გამოვნახო დახმარების აღმოსაჩენად. ამის შემდეგ გულახდილად ვუთხარი მას ჩემი აზრი, რომ შამილი არაფრის გულისათვის არ მისცემს მას ოჯახს, რომ ის, შეიძლება, ამას პირდაპირ განუცხადებს, აღუთქვამს სრულ პატი-

ებას და ძველ თანამდებობათა დაბრუნებას, დაემუქრება—თუ არ დაბრუნდები, დედას, ცოლსა და ექვს ბავშვს დაგიხოცავო. შეეკითხე, შეუძლია თუ არა გულახდილად თქვას, როგორ მოიქცევა იგი, შამილისაგან რომ მიიღოს ასეთი წინადადება. ჰაჯი-მურატმა აღაპყრო თვალები და მითხრა, რომ ყველაფერი ღვთის ხელშია, მაგრამ ის კი არასოდეს ნებით არ ჩაუვარდება ხელში თავის მტერს, რადგან სრულიად დარწმუნებულია, რომ შამილი არ აპატიებს და მას მალე გამოასალმებენ წუთისოფელს. რაც შეეხება მისი ცოლშვილის დახოცვას, ის ფიქრობს, რომ შამილი არ მოიქცევა ასე წინდაუხედავად: 1) რომ არ გახადოს ის. უფრო საშინელ და მოსისხლე მტრად; 2) დაღესტანში ბევრი ისეთი გავლენიანი პირია, რომლებიც უარს ათქმევინებენ ასეთ საქმეზე. ბოლოს, მან გამიმეორა რამდენჯერმე, რომ როგორიც გინდა იყოს ღვთის ნება მომავლის შესახებ, ახლა მას მხოლოდ ოჯახობის გამოყიდვის აზრი აწუხებს. მევედრება, ღვთის გულისათვის, მივცე საშუალება დაბრუნდეს ჩეჩნეთის მიდამოებში, საიდანაც, ჩვენი ჯარების უფროსების მეოხებით და ნებართვით, შეეძლება გააბას კავშირი თავის ოჯახობასთან, მუდამ ექნეს ცნობები მის ახლანდელ მდგომარეობაზე და იმაზე, თუ რა საშუალებით შეიძლება მისი განთავისუფლება; რომ ბევრი ხალხი და ბევრი ნაიბიც კი

მტრის ქვეყნის ამ ნაწილში ცოტად თუ ბევრად მეგობრულიდ არის მისდამი განწყობილი; რომ მთელ მოსახლეობაში, რომელიც რუსებს უკვე ჰყავთ დამორჩილებული ანდა ნეიტრალურია, მას ადვილად შეუძლია, ჩვენი დახმარებით, ისეთი ,ავშირის გაბმა, რომელიც სასარგებლო იქნება იმ მიზნის მისაღწევად, მას რომ არ ასვენებს არც დღისით, არც ღამით და რის შესრულებაც მას დააწყნარებს და მისცემს შესაძლებლობას ჩვენ სასარგებლოდ იმუშაოს და ჩვენი ნდობა დაიმსახუროს. მთხოვს—გამაგზავნეთ ისევ გროზნოში ოცი ან ოცდაათი მამაცი ყაზახის თანხლებით, რომელნიც დამეხმარებიან მტრისაგან თავის დაცვაში, და თქვენთვის კი ეს იქნება ერთგვარი საწინდარი, რომ ჩემი ზრახვები ნამდვილიაო.

„თქვენ მიხვდებით, ძვირფასო თავადო, რომ ყველაფერმა ამან ძალიან დამაფიქრა, ვინაიდან, რაც გინდა გავაკეთო, დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული. მეტად დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა, რომ მისთვის ყველაფერი დაგვეჯერებია. მაგრამ თუ მოვინდომებდით მოგვესპო მისთვის გაქცევის საშუალება, საჭირო იყო მისი ჩაკეტვა, ეს კი, ჩემი ფიქრით, უსამართლო და არაპოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა. ასეთი ღონისძიება, რის შესახებაც მალე გავრცელდებოდა ხმა მთელ დაღესტანში, იქ ძალიან გვავნე-

ბდა, ვინაიდან ხალისს დაუკარგავდა ყველას (ასეთები კი ბევრია), რომელნიც მზად არიან ცოტად თუ ბევრად აშკარად წავიდნენ შამილის წინააღმდეგ და რომელთაც ძალიან აინტერესებთ იმამის ყველაზე უფრო მამაცი და გულადი თანაშემწის ბედი, რომელიც იძულებული გახდა ჩვენკენ გადმოსულიყო. ჩვენ რომ ჰაჯი-მურატს ისე მოვპყრობოდით, როგორც ტყვეს, მაშინ მთელი ეფექტი იმისა, რომ მან ულალატა შამილს, ჩვენთვის წახდებოდა.

„ამიტომ ვფიქრობ, რომ სხვანაირად, ვიდრე მოვიქეცი, არ შემეძლო მოვქცეულიყავ, თუმცა ვგრძნობ, რომ შეიძლება ბრალი დამედოს დიდი შეცდომის ჩადენაში, თუ ჰაჯი-მურატმა კვლავ მოინდომა წასვლა. სამსახურის დროს და ასეთ აწეწილ საქმეებში ძნელია, რომ არ ითქვას შეუძლებელიაო, ერთი სწორი გზით სიარული ისე, რომ არ იყოს შეცდომის ჩადენის შიში და რომ არ აიღო თავზე პასუხისმგებლობა, მაგრამ რადგან გვონიათ, რომ ეს გზა სწორია, უნდა იაროთ ამ გზით,—დე, რაც იყოს და იყოს!

„გთხოვთ, ძვირფასო თავადო, ეს წარუდგინოთ განსახილველად მის უდიდებულესობას. ხელმწიფე იმპერატორს, და მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი უზენაესი მბრძანებელი ინებებს ჩემი საქციელის მოწონებას. ყველაფერი, რაც თქვენ ზემოთ მოგწერეთ,

ჭივწერე აგრეთვე გენერალ ზავადოვსკის[1] და კოზლოვსკის, რომ უშუალო კავშირი ექნეს კოზლოვსკის ჰაჯი-მურატთან, ჰაჯი-მურატი კი გავაფრთხილე, რომ მას კოზლოვსკის დაუკითხავად არაფრის გაკეთება და არც არსად წასვლა არ შეუძლია. მე განვუცხადე, რომ ჩვენთვის უკეთესიცაა, თუ ის ჩვენი რაზმით ივლის ხოლმე, თორემ შამილი ხმას გაავრცელებს, რომ ჩვენ ჰაჯი-მურატი დამწყვდეული გვყავს. მაგრამ მას ჩამოვართვი სიტყვა, რომ არასოდეს არ წავა ვოზდვიჟენსკოეში, ვინაიდან ჩემი შვილი, რომელთანაც ის გადმოვიდა და რომელსაც ის თავის ყონაღად (მეგობრად) სთვლის, არ არის ამ ადგილის უფროსი და შესაძლებელია გაუგებრობას (უსიამოვნებას) ექნეს ადგილი. სხვათა შორის, ვოზდვიჟენსკოე ძალიან ახლოა ჩვენდამი მტრულად განწყობილ მრავალრიცხოვან სოფელთან, ხოლო თავის სანდო ხალხთან კავშირის გაბმისათვის მისთვის გროზნო ყოველმხრივ მოხერხებული ადგილია.

„გარდა ოცი რჩეული ყაზახისა, რომელნიც, მისივე თხოვნით, ერთ ნაბიჯზეც არ მოსცილდებიან მას, მე გავუგზავნე როტმისტრი ლორის-მელიქოვი

[1] ზავადოვსკი, ნიკოლოზ სტეფანეს ძე (1788—1853), კავალერიის გენერალი. მეფის რუსეთის ჯარების მეთაური 40-წლებში კავკასიის გაზსა და შავი ხღვის სანაპიროებზე.

ღირსეული, გამოჩენილი და ძალიან ჭკვიანი ოფიცერი, რომელიც თათრულადაც ლაპარაკობს და კარგად იცნობს ჰაჯი-მურატს, რომელიც, მგონი, სავსებით ენდობა მას. ათ დღეს, რომელიც ჰაჯი-მურატმა აქ გაატარა, ის ცხოვრობდა იმ სახლში, რომელშიც იყო პოდპოლკოვნიკი თავადი თარხანოვი, [1] შუშის მაზრის უფროსი, რომელიც საქმეების გამო არის აქ. ეს ჭეშმარიტად ღირსეული კაცია და მე სავსებით ვენდობი მას. ჰაჯი-მურატიც ენდობა მას, და მხოლოდ მისი მეოხებით, რადგან ის მშვენივრად ლაპარაკობს თათრულად, ჩვენ ველაპარაკებოდით ერთმანეთს მეტისმეტად საიდუმლო საქმეებზე.

„მე ვეთათბირე თარხანოვს ჰაჯი-მურატის შესახებ, და ისიც სავსებით დამეთანხმა იმაში, რომ საჭირო იყო ან ისე მოქცევა, როგორც მე მოვიქეცი, ან დამწყვდევა ჰაჯი-მურატის ციხეში და ყოველგვარი სასტიკი ზომის მიღება მის სადარაჯოდ, — თუ ცუდად მოექცევი, მისი დარაჯობა ძნელია, — ანდა ის სულ უნდა გაგვეძევებია ამ მხარიდან, მაგრამ ამ ორი უკანასკნელი ზომის მიღება არათუ გააქარწყლებდა ჩვენთვის იმ სარგებლობას, რომელსაც გვაძლევს შამილისა და ჰაჯი-მურატის წაჩხუბება, არამედ აუცილებლად შეაჩერებდა მთიულების დრტვინვას და შა-

[1] თარხანოვი, კონსტანტინე დავითის ძე, ნუხისა და შემახიის მხარის უფროსი, შემდეგ ბაქოს გუბერნატორი. პოლკოვნიკი.

მილის ძალაუფლების წინააღმდეგ მთიულეთა აჯანყების შესაძლებლობას, თავადმა თარხანოვმა მითხრა, რომ თვითონ მას სჯერა ჰაჯი-მურატის გულწრფელობა, და რომ ჰაჯი-მურატსაც არ ეპარება ეჭვი, რომ შამილი მას არასოდეს არ აპატიებს და სიკვდილით დასჯის, მუხედავად იმისა, რომ პატიება აღუთქვა. ერთადერთი, რამაც ჩააფიქრა თარხანოვი ჰაჯი-მურატთან კავშირის გაბმის დროს, ისაა, რომ ჰაჯი-მურატს უყვარს თავისი სარწმუნოება, და თარხანოვი არ მალავს, რომ ამ მხრივ შამილს შეუძლია იმოქმედოს ჰაჯი-მურატზე, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ის ვერასოდეს ვერ დაარწმუნებს ჰაჯი-მურატს იმაში, რომ სიცოცხლეს არ გამოასალმებს ან დაბრუნებისთანავე, ან დაბრუნებიდან ცოტა ხნის გაკლის შემდეგ.

„აი, ყველაფერი, ძვირფასო თავადო, რაც უნდა მეთქვა თქვენთვის აქაური საქმეების ამ ეპიზოდის შესახებ„.

თავი მეთხუთმეტე

ეს მოხსენება ტფილისიდან 24 დეკემბერს გაიგზავნა, ახალი წლის, 52 წლის, წინალმეს ფელდიეგერმა, რომელმაც ჭენებით მოჰკლა ათიოდე ცხენი და სისხლი ადინა ათიოდე მეეტლეს, ეს მოხსენება მიუტანა თავად ჩერნიშოვს, მაშინდელ სამხედრო მი-

ნისტრს, და 1852 წლის 1 იანვარს ჩერნიშოვმა წაუწერა იმპერატორ ნიკოლოზს, სხვა საქმეებთან ერთად, ვორონცოვის ეს მოხსენებაც.

ჩერნიშოვს არ უყვარდა ვორონცოვი, ვინაიდან მას საერთოდ ყველა პატივს სცემდა, აგრეთვე იმიტომ რომ მას უამრავი სიმდიდრე ჰქონდა, იმიტომაც, რომ ვორონცოვი ნამდვილი ბატონი იყო და ჩერნიშოვი კი მაინც parvenu[1], უმთავრესად კი იმიტომ, რომ იმპერატორს განსაკუთრებით მოსწონდა იგი; ამიტომ ჩერნიშოვი სარგებლობდა ყოველივე შემთხვევით, რომ, რამდენადაც კი შეეძლო, ევნო ვორონცოვისათვის. კავკასიის საქმეებზე გაკეთებული წინა მოხსენებით ჩერნიშოვმა შესძლო გამოეწვია ნიკოლოზის უკმაყოფილება ვორონცოვის მიმართ იმის გამო, რომ, უფროსების დაუდევრობის წყალობით, მთიულებმა თითქმის სულ გაწყვიტეს კავკასიის პატარა რაზმი. ახლაც მას უნდოდა არახელსაყრელად გამოეყვანა ვორონცოვის განკარგულება ჰაჯი-მურატის შესახებ. ჩერნიშოვს უნდოდა იმპერატორისათვის ჩაეგონებინა, რომ ვორონცოვი, რომელიც მუდამ ივიწყებს რუსების ინტერესებს და კავკასიის მკვიდრთ კი მფარველობას უწევს და ბევრ რამეში უთმობს კიდეც, უგნურად მოიქცა, ჰაჯი-მურატი რომ კავკასიაში დატოვა; რომ, ალბათ,

---

[1] მეტიჩარა.

ჰაჯი-მურატი მხოლოდ იმისთვის არის გადმოსული, რომ დაათვალიეროს ჩვენი თავდაცვის საშუალებანი და ამიტომ უმჯობესია ჰაჯი-მურატი ცენტრალურ რუსეთში გაიგზავნოს, ხოლო როდესაც მის ოჯახობას დაიხსნიან და წამოიყვანენ მთებიდან, მაშინ უნდა იქნეს ჰაჯი-მურატი გამოყენებული, და რუსებსაც შეეძლებათ დარწმუნდნენ მის ერთგულებაში.

მაგრამ ჩერნიშოვს ეს გეგმა ჩაეფუშა, ვინაიდან 1 იანვარს დილით ნიკოლოზი განსაკუთრებით ცუდ ხასიათზე იყო და არ მიიღებდა არავითარ წინადადებას, სულერთია, ვისგანაც გინდა ყოფილიყო, მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის გრძნობის გამო; მით უმეტეს არ იყო ის განწყობილი მიეღო ჩერნიშოვის წინადადება, რომელსაც ის მხოლოდ ითმენდა, ვინაიდან ჯერჯერობით საჭირო კაცად თვლიდა, მაგრამ იცოდა, რომ ის დეკაბრისტების პროცესის დროს ცდილობდა ზაქარია ჩერნიშოვის დაღუპვას, შემდეგ მისი ქონება რომ მიეთვისებია, და მას დიდ არამზადად თვლიდა. ამრიგად, ნიკოლოზის ცუდი სულიერი განწყობილების გამო, ჰაჯი-მურატი კავკასიაში დარჩა და მისი ბედი არ შეიცვალა, როგორც შესაძლებელია შეცვლილიყო, ჩერნიშოვს თავისი მოხსენება სხვა დროს რომ გაეკეთებინა.

ათის ნახევარი იყო, როცა ოცგრადუსიან ყინვაში ჩერნიშოვის სქელ, წვერიანმა მეეტლემ, ცისფერი ხავერდის ქუდით, რომელსაც ბოლოები წაწვეტებული ჰქონდა, პატარა მარხილის კოფოზე მჯდომმა, ისეთი მარხილის, როგორითაც სეირნობდა ნიკოლოზ პავლეს ძე, საზამთრო სასახლის შესასვლელთან მოაქროლა მარხილი და ჰიესალმა თავის მეგობარს, თავად დოლგორუკის მეეტლეს, რომელსაც დიდი ხანია უკვე ჩამოესვა თავისი ბატონი და იცდიდა სასახლის შესასვლელთან, აღვირი თავის სქელ დაბამბულ საჯდომქვეშ ამოედო და გაყინულ ხელებს ისრესდა.

ჩერნიშოვს ეცვა შინელი ბებერი წავის ღინღლიანი საყელოთი და ფორმის მიხედვით ეხურა მამლისფრთეპიანი სამკუთხოვანი ქუდი. მან გადაიძრო ფეხებიდან დათვის ტყავი და ფრთხილად გადმოდგა გაყინული უკალოშო ფეხები მარხილიდან, ის ამაყობდა იმით, რომ არ იცვამდა კალოშებს, მერე ნაძალადევი სიყოჩაღით, დეზების ჩხარუნით გაიარა ხალიჩაზე და შევიდა დერეფნის კარებში, რომელიც მოწიწებით გაულო მეკარემ. მერე ჩერნიშოვმა მოიძრო თავისი ქურქი, რომელსაც ხელი დასტაცა შემოგებებულმა მოხუცმა კამერ-ლაქიამ, შემდეგ მივიდა სარკესთან და ფრთხილად მოიხადა ქუდი დახუჭუჭებული პარიკიდან. მან უცქირა თავის თავს სარ-

კეში, შემდეგ თავისი მოხუცებული ხელებით დაიხუჭუჭა თმა საფეთქლებზე და ქოჩორი, გაისწორა ჯვარი, აქსელბანტები და დიდი ვენზელებიანი ეპოლეტები, შემდეგ წავიდა წინ, თუმცა ბებერი ფეხები კარგად არ ემორჩილებოდა, და დაიწყო ხალიჩებითმოგებულ დაქანებულ კიბეზე ასვლა.

ჩერნიშოვმა ჩაუარა სააღლუმო ფორმაში გამოწყობილ კამერ-ლაქიებს, რომლებიც პირმოთნეობით უკრავდნენ თავს, და მისაღებ ოთახში შევიდა. მორიგე, ახლად დანიშნული ფლიგელ-ადიუტანტი,[1] მბრწყინავი ახალი მუნდირით, ეპოლეტებით, აქსელბანტებით[2] და ღაჟღაჟა, ჯერ ცხოვრებისგან მოუღლელი სახით, შავულვაშა, თვალებისკენ ისე მივარცხნილი საფეთქლის თმებით, როგორც ივარცხნიდა ნიკოლოზ პავლეს ძე, მოწიწებით მიეგება მას. ჩერნიშოვს მიესალმა თავადი ვასილი დოლგორუკი[3] სამხედრო მინისტრის ამხანაგი, რომლის სულელურ, მოწყენილ სახეს ისეთივე ბაკენბარდები, ულვაშები და საფეთქლის თმები ამშვენებდა, როგორიც ჰქონდა ნიკოლოზს.

---

[1] ფლიგელ-ადიუტანტი—მეფის მხლებელი, უფროსი ოფიცერი.

[2] აქსელბანტი—სამხედრო სამკაული მეფის არმიაში.

[3] დოლგორუკი ვასილი ანდრიას ძე (1803-1863). 1848 წ. დოლგორუკი დანიშნული იყო სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვის ამხანაგად. ჩერნიშოვის შემდეგ კი 1852 წლიდან, სამხედრო მინისტრად. 1866 წ. ის დათხოვნილ იქნა სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან რადგან, მეფის აზრით, ვერ დაიცვა იგი, იმპერატორ ალექსანდრე II, კარაკოზოვის თავდასხმისაგან. (კარაკოზოვმა 1866 წ. ესროლა მეფეს)

— L' empereur?[1] —შეეკითხა ჩერნიშოვი ფლიგელ-ადიუტანტს და თვალით ანიშნა კაბინეტის კარზე.

— Sa Majetés vient de rentrer, [2]—უპასუხა ადიუტანტმა, რომელიც, ეტყობოდა, თვითონ კმაყოფილებით ისმენდა თავის ხმას და ისე მსუბუქად და მდორულად გაიარა, თავზე წყლით სავსე ჭიქა რომ ჰქონოდა დადებული, არ გადმოიღვრებოდა. მივიდა კართან, რომელიც უხმოდ იღებოდა, მთელი თავისი არსებით გამოხატავდა მოწიწებას იმ ადგილისადმი, სადაც უნდა შესულიყო, შეაღო კარი და მიიმალა.

ამასობაში დოლგორუკიმ გაშალა თავისი პორტფელი და შეამოწმა შიგ ჩალაგებული ქაღალდები. ჩერნიშოვი კი, დაღვრემილი, ბოლთას სცემდა და იგონებდა ყოველივე იმას, რაც უნდა მოეხსენებინა იმპერატორისათვის. ჩერნიშოვი კაბინეტის კართან იყო, როცა კარი ისევ გაიღო და გამოვიდა წინანდელზე უფრო გაბრწყინებული და მოწიწებული ფლიგელ-ადიუტანტი და ანიშნა მინისტრსა და მის ამხანაგს, რომ იმპერატორთან შესულიყვნენ.

საზამთრო სასახლე ხანძრის შემდეგ დიდი ხნის გაკეთებული იყო, და ნიკოლოზი ჯერ კიდევ ზემო

[1] იმპერატორი?

[2] მათი უდიდებულესობა ეს-ეს არის დაბრუნდა.

სართულში ცხოვრობდა. კაბინეტი, სადაც ის იღებდა მოხსენებებისათვის მინისტრებს და დიდ მოხელეებს, ძალიან მაღალ ოთახს წარმოადგენდა, რომელსაც ოთხი დიდი ფანჯარა ჰქონდა. იმპერატორ ალექსანდრეს დიდი პორტრეტი ეკიდა უმთავრეს კედელზე. ფანჯრებს შორის ორი ბიურო იდგა, კედლებთან მიდგმული იყო რამდენიმე სკამი, ოთახის შუაადგილას იყო უზარმაზარი საწერი მაგიდა, მაგიდის წინ—ნიკოლოზის სავარძელი და სკამები იმათთვის, ვისაც ის იღებდა. ნიკოლოზს ეცვა უეპოლეტო შავი ნახევარპოგონებიანი სერთუკი და მაგიდასთან იჯდა; უზარმაზარი ტანი უკან გადაეწია და წინწამოწეულ მუცელზე ტანისამოსი ძალზე შემოჭერილი ჰქონდა. ის თავისი უსიცოცხლო თვალებით უცქეროდა შემოსულებს. გრძელი თეთრი სახე, უზარმაზარი დაქანებული შუბლით, რომელიც წინ წამოწეული ჩანდა მელოტის დამფარავ პარიკთან ხელოვნურად შეერთებული დავარცხნილი ბაკების მეოხებით, დღეს განსაკუთრებით ცივი და უძრავი იყო. მისი ყოველთვის უსიცოცხლო თვალები ჩვეულებრივზე უფრო უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა; მაღლა აგრეხილი ულვაშების ქვეშ მოკუმული პირი და მსუქანი, ახლად მოპარსული ლოყები, დატოვებული ბაკენბარდების წესიერი ძეხვებით, რომლებსაც მიბჯინებოდა მაღალი საყელო, და ნიკაპი, საყელოს

რომ ებჯინებოდა, — მის სახეს უკმაყოფილებისა და თვით გაბრაზების გამომეტყველებასაც კი აძლევდა.

დაღლილობის მიზეზი ის იყო, რომ წინალამით იმპერატორი მასკარადზე იყო და, როგორც ჩვეულება ჰქონდა, მიდიოდა თავის კავალერგარდის კასკით, თავზე ფრინველით, და მას წინ შეეფეთა იგივე ნილაბოსანი, რომელმაც წარსულ მასკარადზე თავისი სითეთრით, მშვენიერი ტანადობით და ნაზი ხმით გააღიზიანა მისი ბებრული მგრძნობელობა, მერე დაემალა და აღუთქვა შემდეგ მასკარადზე შეხვედრა. გუშინდელ მასკარადზე ნილაბოსანი მივიდა მასთან, და მან აღარ გაუშვა იგი. მან წაიყვანა იგი სპეციალურად ასეთი შემთხვევისათვის მომზადებულ ლოჟაში, სადაც მას შეეძლო თავის ბანოვანთან მარტოდმარტო დარჩენა. გაჩუმებული მივიდა ლოჟის კართან ნიკოლოზი და მიიხედ-მოიხედა, თვალებით ეძებდა კაპელდინერს, მაგრამ ის არ ჩანდა. ნიკოლოზი მოიღუშა, თვითონ შეაღო ლოჟის კარი და წინ გაუშვა თავისი ბანოვანი.

—Il y a quelq'un—წარმოთქვა ნილაბოსანმა და თან შეჩერდა.

ლოჟა მართლაც დაკავებული იყო. ხავერდის პაწია სავარძელზე ერთმანეთის ახლო ისხდნენ ულანის ოფიცერი და დომინოიანი ახალგაზრდა ლამაზი ქერათმახუჭუჭა ქალი, რომელსაც ნილაბი მოხსნი-

ლი ჰქონდა. როდესაც შეხედა მთელი ტანით გამოჭიმულ განრისხებული ნიკოლოზის ფიგურას, თმახუჭუჭა ქალმა საჩქაროდ აიფარა ნიღაბი. ულანის ოფიცერი შიშისაგან გაშეშდა, სავარძლიდან ვერ ამდგარიყო და გამოშტერებული თვალებით შეჰყურებდა ნიკოლოზს.

თუმც ნიკოლოზი შეჩვეული იყო იმას, რომ იგი ხალხში შიშს იწვევდა, ასეთი შიში მას მაინც ყოველთვის სიამოვნებდა და უყვარდა ხანდახან სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანების გაკვირვება საალერსო სიტყვების კონტრასტით. ის ახლაც ასე მოიქცა.

— არა, ძმობილო, შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, —მიუბრუნდა შიშისაგან გაშეშებულ ოფიცერს,— შეგიძლია დამითმო ადგილი.

ოფიცერი წამოხტა, ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა, მოიღუნა და ჩუმად გამოჰყვა ლოჟიდან ნიღაბოსანს, ნიკოლოზი კი მარტო დარჩა თავის ბანოვანთან.

ნიღაბოსანი ოცი წლის მშვენიერი უბიწო ქალიშვილი გამოდგა, შვედი გამდელი ქალის შვილი. ამ ქალიშვილმა უამბო ნიკოლოზს, რომ ჯერ ბავშვობიდანვე შეუყვარდა მას, პორტრეტების წყალობით, იგი, აღმერთებდა მას და ცდილობდა, რადაც გინდა დასჯდომოდა, მისი ყურადღება მიექცია, და,

აი, კიდეც მიაღწია მან მიზანს და, როგორც თვითონ ამბობდა, მისთვის მეტი არაფერი არ იყო საჭირო. ეს ქალიშვილი წაიყვანეს იმ ადგილას, რომელიც დანიშნული ჰქონდა ნიკოლოზს ქალებთან შესახვედრად, და იმპერატორმა დაჰყო მასთან ერთ საათზე მეტი.

როცა ის დაბრუნდა იმ ღამეს თავის ოთხში და დაწვა ვიწრო ხმელ ლოგინზე, რომელიც მას მიაჩნდა—და ასე ამბობდა კიდეც—ისევე შესანიშნავად, როგორც ნაპოლეონის ქუდი, მას დიდხანს არ ეძინებოდა. მას აგონდებოდა ხან ქალიშვილის თეთრი სახის შეშინებული და აღტაცებით სავსე გამომეტყველება, ხან კი მძლავრი და მსუქანი ბეჭები თავისი დიდი ხნის საყვარლის, ნელიდოვის ქალის, და ერთმანეთს ადარებდა მათ. ცოლიანი კაცის ავხორცობა რომ ცუდია, ეს აზრადაც არ მოსდიოდა და ძალიანაც გაუკვირდებოდა, ვინმეს რომ დაეძრახა იგი ამ საქციელისათვის. თუმცა ის დარწმუნებული იყო, რომ ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, მაინც ჩარჩა გულში რაღაც უსიამოვნო გრძნობა და რომ ეს გრძნობა ჩაეკლა, დაიწყო ფიქრი იმაზე, რაც მას ყოველთვის ამშვიდებდა: იმაზე, თუ რა დიდი კაცია ის.

მიუხედავად იმისა, რომ გვიან დაიძინა, ის მაინც ადგა მერვე საათზე, არ დაივიწყა თავისი ჩვეულებ-

რივი ტუალეტი, ყინულით დაიზილა თავისი დიდი და დონდლო ტანი, ილოცა,—წარმოთქვა ჩვეულებრივი ლოცვები, ბავშვობიდანვე რომ ამბობდა ხოლმე—„ღვთისმშობელო“, „მრწამს“, „მამაო ჩვენო“, თანაც წარმოთქმულ სიტყვებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა,—და პატარა ალაყაფიდან გავიდა სანაპირო ქუჩაზე ქურქითა და ქუდით. სანაპირო ქუჩის შუა მას შეხვდა მასავით ახოვანი ტანის მოწაფე უფლებათამეცნიერების სკოლისა, რომელსაც მუნდირი ეცვა და ქუდი ეხურა. ნიკოლოზ პავლეს ძემ როცა შეხედა მუნდირს იმ სასწავლებლისა, რომელიც მას არ უყვარდა თავისუფალი აზროვნებისათვის, მოიღუშა, მაგრამ მოწაფის ახოვანმა ტანმა, მის წინ ძალზე ყოჩაღურად გამოჭიმვამ და მოწიწებით, იდაყვის განსაკუთრებულად გაწევით სალამის მიცემამ შეარბილა მისი უსიამოვნება.

— შენი გვარი? ჰკითხა მან.

— პოლოსატოვი, თქვენო იმპერატორობით უდიდებულესობავ!

— ყოჩაღ!

მოწაფე მაინც იდგა და ხელი ქუდზე ჰქონდა მიბჯენილი. ნიკოლოზი გაჩერდა.

---გინდა სამხედრო სამსახურში წასვლა?

— არა, თქვენო იმპერატორობით უდიდებულესობავ!

— ჩერჩეტო!

ნიკოლოზი მიტრიალდა, განაგრძო გზა და ხმამაღლა ამბობდა პირველად გახსენებულ სიტყვებს „კოპერვენ“ „კოპერვეინ“—გაიმეორა რამდენჯერმე წუხანდელი ქალის სახელი. „ცუდია, ცუდია“. ის არ ფიქრობდა იმაზე, თუ რას ლაპარაკობდა, მაგრამ თავის გრძნობას ახრჩობდა იმისადმი უკერადღების მიპყრობით, რასაც ამბობდა. „მართლაც რა იქნებოდა უჩემოდ რუსეთი“,—უთხრა თავის თავს, რა იგრძნო ისევ უსიამოვნო გრძნობის მოწოლა. „ჰო, რა იქნებოდა უჩემოდ მარტო რუსეთი კი არა, ევროპა“. და მას მოაგონდა თავისი ცოლიძმა, პრუსიის მეფე, მისი სისუსტე, სისულელე, და თავი გაიქნია.

უკან დაბრუნებული რომ მიუახლოვდა აივანს, დაინახა ელენა პავლოვნას კარეტა, წითელი ლაქიით რომ უახლოვდებოდა სალტიკოვის სახლის შესასვლელს. ელენა პავლოვნა მისთვის ისეთი ქარაფშუტა ადამიანების განხორციელება იყო, რომელნიც მსჯელობენ არა მარტო მეცნიერებაზე, პოეზიაზე, არამედ ხალხის მართვა-გამგეობაზეც და წარმოუდგენიათ, რომ მათ შეუძლიათ უკეთესად უპატრონონ, მოუარონ თავის თავს, ვიდრე ნიკოლოზი პატრონობდა მათ. ნიკოლოზმა იცოდა, რომ თუმც ის ყოველგვარად სრესდა, ასეთი ადამიანები მაინც

ამოცურდებოდნენ და ამოცურდებოდნენ ხოლმე ზედაპირზე, და მას მოაგონდა ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ძმა მიხეილ პავლოვიჩი და რაღაც უსიამოვნო, მოწყენის გრძნობამ მოიცვა იგი. ის მოიღუშა და ისევ დაიწყო ჩურჩულით იმ სიტყვების თქმა, რომლებიც პირველად გაახსენდა. მან მხოლოდ მაშინ შეწყვიტა ჩურჩული, როცა სასახლეში შევიდა. ის შევიდა თავის ოთახში, სარკის წინ გაისწორა ბაკენბარდები, თმები საფეთქლებზე და კეფაზე დადებული თმა, მერე აიგრიხა ულვაშები და პირდაპირ შევიდა კაბინეტში, სადაც ისმენდა ხოლმე მოხსენებებს.

პირველად მან ჩერნიშოვი მიიღო. ჩერნიშოვმა იმ წამსვე სახეზე და, უმთავრესად, თვალებზე შეატყო ნიკოლოზს, რომ ის დღეს განსაკუთრებით ცუდ გუნებაზე იყო; იცოდა რა წუხანდელი მისი თავგადასავალი, მიხვდა, რაც იყო ამის მიზეზი. ნიკოლოზმა ცივად მისცა სალამი ჩერნიშოვს, სთხოვა დამჯდარიყო და მიაჩერდა თავისი უსიცოცხლო თვალებით.

პირველი საქმე ჩერნიშოვის მოხსენებაში შეეხებოდა საინტენდანტო მოხელეების ქურდობას, რომელიც აღმოაჩინეს, შემდეგი საქმე იყო ჯარების გადაჯგუფება პრუსიის საზღვარზე, შემდეგ რამდენიმე პირისათვის, რომელნიც პირველ სიაში გამორ-

ჩნენ, საახალწლო საჩუქრების მიცემა, შემდეგ იყო ვორონცოვის მოხსენება ჰაჯი-მურატის გადმოსვლაზე და, ბოლოს, უსიამოვნო საქმე სამკურნალო აკადემიის სტუდენტის შესახებ, რომელმაც თავის პროფესორს მოკვლა მოუნდომა.

პირმოკუმული ნიკოლოზი, რომელსაც იქრონ ბეჭედი ჰქონდა არათითზე, თავის დიდ თეთრ ხელებს უხმოდ უსვამდა ქაღალდის ფურცლებს და ისე ისმენდა მოხსენებას ქურდობის შესახებ, რომ თვალს არ აშორებდა ჩერიშოვის შუბლსა და ქოჩორს.

ნიკოლოზი დარწმუნებული იყო, რომ ყველანი ქურდობდნენ. მან იცოდა, რომ ახლა უნდა დაესაჯათ საინტენდანტო მოხელეები, და გადაწყვიტა ყველა ისინი ჯარისკაცებად გაეგზავნა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს არაფერს არ დაუშლიდა იმათ, რომელნიც დაიჭერდნენ სამსახურიდან დათხოვნილების ადგილს, იგივე ჩაედინათ. მოხელეების თვისება იყო ქურდობა, მისი მოვალეობა იყო იმათი დასჯა, და თუმც ეს ძალიან მიბეზრდა, მაინც კეთილსინდისიერად ასრულებდა ამ მოვალეობას.

— ეტყობა, რუსეთში ჩვენ მხოლოდ ერთი პატიოსანი კაცი გვყავს, — თქვა მან.

ჩერნიშოვი მიხვდა, რომ ეს ერთადერთი კაცი თვითონ ნიკოლოზი იყო, და თანხმობის ნიშნად გაიღიმა.

— ალბათ, ასეა, თქვენო უდიდებულესობავ, — თქვა მან.

— დასტოვე, რეზოლუციას დავაწერ, — უთხრა ნიკოლოზმა, აიღო ქაღალდი და მაგიდის. მარცხენა მხარეს გადადო.

ამის შემდეგ ჩერნიშოვმა დაიწყო მოხსენება საჩუქრებისა და ჯარების გადაჯგუფების შესახებ... ნიკოლოზმა გადახედა სიას, ამოშალა რამდენიმე გვარი და შემდეგ მოკლედ და მტკიცედ გასცა განკარგულება პრუსიის საზღვარზე ორი დივიზიის გაგზავნის შესახებ.

ნიკოლოზს ვერანაირად ვერ ეპატიებინა პრუსიის მეფისათვის, რომ მან 48 წლის შემდეგ კონსტიტუცია მისცა ხალხს და ამიტომ, თუმცა წერილებშიაც და სიტყვიერადაც თავის ცოლიძმას გულითად მეგობრობას უმტკიცებდა, მაინც საჭიროდ სცნობდა პრუსიის საზღვარზე ყოველი შემთხვევისათვის ჰყოლოდა ჯარი. ეს ჯარი საჭირო გახდებოდა, თუ პრუსიაში ხალხი აჯანყდებოდა (ნიკოლოზს ეგონა, რომ ყველგან მზად იყვნენ აჯანყებისათვის). მაშინ ამ ჯარს გააგზავნიდა ცოლიძმის ტახტის დასაცავად, როგორც ავსტრიას მიაშველა ჯარი ჰუნგრელების წინააღმდეგ. ეს ჯარი საზღვარზე იმისათვისაც იყო საჭირო, რომ მეტი წონა და ფასი ჰქონოდა იმ რჩევებს, რომელსაც ნიკოლოზი აძლევდა პრუსიის მეფეს.

„მართლაც რა დღეში იქნებოდა ახლა რუსეთი, მე რომ არა ვყოფილიყავი“—კიდევ გაიფიქრა მან.

— აბა, კიდევ რა?—თქვა მან.

— ფელდიეგერი მოვიდა კავკასიიდან, — უპასუხა ჩერნიშოვმა და მოახსენა, რასაც ვორონცოვი იწერებოდა ჰაჯი-მურატის გადმოსვლის შესახებ.

—ოჰო!—თქვა ნიკოლოზმა. — კარგი დასაწყისია.

— უეჭველია, თქვენი უდიდებულესობის მიერ შედგენილი გეგმა უკვე იძლევა ნაყოფს, — თქვა ჩერიშოვმა.

ეს შექება მისი სტრატეგიული ნიჭისა განსაკუთრებით ესიამოვნა ნიკოლოზს, რადგან ის, თუმცა ამაყობდა თავისი სტრატეგიული ნიჭით, გულის სიღრმეში მაინც გრძნობდა, რომ ეს ნიჭი არ ჰქონდა. ამიტომ ახლა უნდოდა უფრო დაწვრილებით მოესმინა, როგორ შეაქებდნენ მას.

— შენ როგორ-ღა გესმის?—შეეკითხა იგი.

— მე ასე მესმის, დიდი ხნის წინათ რომ დაეჯერებიათ თქვენი უდიდებულესობის გეგმა: თანდათან, თუმცა ნელნელა, წაწევა, ტყეების გაკაფვა და მარაგის განადგურება, მაშინ კავკასია უკვე დიდი ხნის დაპყრობილი იქნებოდა. ჰაჯი-მურატის გადმოსვლას მე მხოლოდ ამას მივაწერ. ის მიხვდა, რომ უკვე აღარ შეუძლიათ მეტი გაძლება.

— მართალია,—თქვა ნიკოლოზმა.

მიუხედავად იმისა, რომ ნელნელა წინსვლის, ტყეების გაკაფვისა და მტრის სურსათ-სანოვაგის განადგურების გეგმა ერმოლოვისა[1] და ველიამინოვის[2] მიერ იყო შედგენილი და სრულიად ეწინააღმდეგებოდა ნიკოლოზის გეგმას, რომლის მიხედვითაც უცბად უნდა აეღოთ შამილის რეზიდენცია და გაენადგურებინათ ეს ყაჩაღების ბუდე, და ამ გეგმის მიხედვით მოეწყო კიდეც 1845 წელს დარგოს ექსპედიცია, რამაც აუარებელი ხალხი იმსხვერპლა, მიუხედავად ამისა, ნელნელა წინსვლის, ტყეების გააკაფვისა და მტრის სურსათ-სანოვაგის განადგურების გეგმაც თავის გეგმად მიაჩნდა ნიკოლოზს. იმისთვის, რომ სარწმუნო ყოფილიყო—ნელნელა წინსვლის, ტყეების გაკაფვისა და სურსათ-სანოვაგის განადგურების გეგმა ნიკოლოზის გეგმაა, თითქოს საჭირო იყო იმის დაფარვა, რომ სწორედ ის ემხრობოდა დაჟინებით 45 წლის სრულიად საწინააღმდეგო სამხედრო ექსპედიციას. მაგრამ ის ამას არ მალავდა და ამაყობდა თავისი 45 წლის ექსპედიციის გეგმითაც და ნელნელა წინსვლის გეგმი-

---

[1]. ერმოლოვი ალექსეი პეტრეს ძე (1779—1861) იყო საქართველოში მთავარსარდალად 1816-1827 წ. მის დროს დაიწყო კავკასიის მთიელ ხალხთა დამორჩილება ცეცხლითა და მახვილით.

[2] ველიამინოვი ალექსეი ალექსანდრეს ძე (1783-1838), გენერალი ღებულობდა მონაწილეობას კავკასიის დასაპყრობად წარმოებულ ომებში. ერმოლოვთან ერთად ძან შეადგინა გეგმა კავკასიის თანდათანობით დაპყრობისა, მთიელთა მოსახლეობის განადგურებით.

თაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი გეგმა აშკარად ეწინააღმდეგებოდა ერთი-მეორეს. მის ირგვლივ მყოფი ხალხის მუდმივმა და აშკარა, თანაც სინამდვილის საწინააღმდეგო პირმოთნეობამ ნიკოლოზი იქამდე მიიყვანა, რომ ის უკვე ვერ ხედავდა თავის წინააღმდეგობებს, უკვე არ უფარდებდა თავის საქციელსა და სიტყვებს სინამდვილეს, ლოგიკას ანდა უბრალო ჯანსაღ აზროვნებას და სრული დარწმუნებული იყო, რომ მისი ბრძანებები, რაგინდ უაზრო, უსამართლო და ულოგიკო ყოფილიყო ისინი, აზრიანი, სამართლიანი და ერთმანეთთან შეთანხმებული ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ის იძლეოდა ამ ბრძანებებს. ასეთივე იყო მისი ეადაწყვეტილება სამკურნალო-სადოსტაქრო აკადემიის სტუდენტის შესახებ, რომლის თაობაზეც მოახსენა ჩერნიშოვმა კავკასიის შესახებ მოხსენების შემდეგ.

საქმე ასე იყო: ახალგაზრდა კაცი ორჯერ ჩაიჭრა გამოცდებზე, მესამეჯერ მივიდა, და როცა ეგზამენატორმა კიდევ ჩაჭრილად ჩათვალა, ნერვებაშლილმა ავადმყოფმა სტუდენტმა ეს უსამართლობად მიიჩნია, ეცა მაგიდაზე დადებულ პატარა დანას და გაცოფებულმა პროფესორი რამდენიმე ადგილას მსუბუქად დაჭრა.

— რა გვარია? — იკითხა ნიკოლოზმა.

— ბეზოვსკი.

— პოლონელია?

— პოლონელია და კათოლიკე, — უპასუხა ჩერნიშოვმა.

ნიკოლოზი მოიღუშა.

ბევრი ცუდი რამ უქნია მას პოლონელებისათვის. ის დარწმუნებული იყო, რომ ყველა პოლონელი არამზადაა — ამით აიხსნება ეს სიავე; ნიკოლოზს სწორედ ასეთებად მიაჩნდა პოლონელები და სძულდა ისინი, სძულდა იმდენად, რამდენ ბოროტებას ჩადიოდა მათ მიმართ.

— ცოტა მოიცადე, — თქვა მან, დახუჭა თვალები და თავი ძირს დასწია.

ჩერნიშოვმა იცოდა, რადგან არა ერთხელ გაუგონია ეს ნიკოლოზისგან, რომ როცა ნიკოლოზს უხდებოდა რაიმე რთული საქმის გადაწყვეტა, მისთვის საჭირო იყო რამდენიმე წუთის მოფიქრება, და მაშინ ზეშთაგონება ეწვეოდა მას, და თავისთავად მზად იყო ყველაზე უფრო სწორი გადაწყვეტილება, თითქო რაღაც შინაგანი ხმა ეუბნებოდა რაც უნდა ექნა. ახლა იგი იმაზე ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მეტად დაეკმაყოფილებინა პოლონელებისადმი მტრული განწყობილების გრძნობა, რომელიც აღეძრა მას გულში ამ სტუდენტის ისტორიის გამო, და შინაგანმა ხმამ მას შემდეგი გადაწყვეტილება უკარნახა. მან აიღო მოხსენება და მის არეზე თავისი მსხვილი ხელით წააწერა:

„სიკვდილით დასჯის ღირსია. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენში არ არის სიკვდილით დასჯა და მე არ შემფერის მისი შემოღება. 12-ჯერ გატარებულ იქნეს ათას კაცში. ნიკოლოზი“. მოაწერა არაბუნებრივ მსხვილად.

ნიკოლოზმა იცოდა, რომ თორმეტი ათასი შპიცრუტენი ნიშნავდა არა მხოლოდ უეჭველ და საშინელი ტკივილებით აღსავსე სიკვდილს, არამედ ზედმეტი სისასტიკეც იყო, რადგან საკმაო იყო ხუთიათასჯერ დარტყმა, რომ ყველაზე უფრო ღონიერი კაციც კი მომკვდარიყო, მაგრამ მას ესიამოვნებოდა, რომ ასე ყოვლად შეუბრალებელი იყო და თან ატკბობდა ფიქრი — ჩვენში სიკვდილით დასჯა არ არსებობსო.

როცა დაწერა რეზოლუცია სტუდენტის შესახებ, ის ჩერნიშოვისაკენ მისწია.

— აი, — თქვა მან, — წაიკითხე.

ჩერნიშოვმა წაიკითხა და ნიშნად იმისა, რომ ეს ბრძნული განაჩენი მას აოცებს, მოწიწებით დაღუნა თავი.

— აგრეთვე გამოიყვანეთ ყველა სტუდენტი პლაცზე, რომ დაესწრონ დასჯას, — დაუმატა ნიკოლოზმა. „მათთვის სასარგებლო იქნება. მე მოვსპობ ამ რევოლუციურ სულისკვეთებას, ძირიან-ფესვიანად აღმოვფხვრი“, — გაიფიქრა მან.

— მესმის, — უპასუხა ჩერნიშოვმა, ცოტა ხნით გაჩუმდა, გაისწორა ქოჩორი და კავკასიის მოხსენებას დაუბრუნდა.

— რას მიბრძანებთ, რა მივწერო მიხეილ სიმონიჩს?

— მტკიცედ აასრულონ ჩემი სისტემა: დაანგრიონ საცხოვრებელი სახლები, გაანადგურონ სურსათსანოვაგე ჩეჩნეთში და შეაწუხონ ისინი თარეშით,— თქვა ნიკოლოზმა.

— ჰაჯი-მურატის შესახებ რას მიბრძანებთ? — დაეკითხა ჩერნიშოვი.

— ვორონცოვი აკი იწერება, რომ კავკასიაში უნდა გამოიყენოს იგი.

— განა ეს საშიში არ არის? — თქვა ჩერნიშოვმა და თვალი მოარიდა ნიკოლოზს, რომელიც მას მისჩერებოდა. — მე იმის მეშინია, რომ მიხეილ სიმონიჩმა მეტისმეტად დიდი ნდობა იცის.

— შენ კი რას ფიქრობდი? — მკვახედ შეეკითხა ნიკოლოზი, რომელმაც შეატყო, რომ ჩერნიშოვი ცდილობდა შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვორონცოვის განკარგულება ცუდი იყო.

— მე მგონია, უფრო უსაშიშრო იქნება, თუ ჰაჯი-მურატს რუსეთში გადმოვაგზავნით.

— შენ გგონია? — დაცინვით უპასუხა ნიკოლოზმა. — მე კი არ მგონია და ვეთანხმები ვორონცოვს. სწორედ ასე მისწერე მას.

— მესმის,—უპასუხა ჩერნიშოვმა, ადგა და დაიწყო გამოსამშვიდობებლად თავის დაკვრა.

თავის დაკვრით გამოემშვიდობა დოლგორუკიც, რომელმაც ნიკოლოზის შეკითხვებზე მთელი მოხსენების დროს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა ჯარების გადაჯგუფების შესახებ.

ჩერნიშოვის შემდეგ მიღებულ იქნა დასავლეთის მხარის გენერალ-გუბერნატორი ბიბიკოვი, რომელიც გამოსათხოვრად მოსულიყო.

იმპერატორმა მოიწონა ლონისძიებანი, ბიბიკოვის მიერ მიღებული აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ, რომელთაც არ უნდოდათ მართლმადიდებლობის მიღება; იმპერატორმა უბრძანა ბიბიკოვს, რომ ყველა, ვინც არ დაემორჩილებოდა, სამხედრო სასამართლოს წესით გაესამართლებინა.

ეს ნიშნავდა მწკრივს შორის გატარებას. გარდა ამისა, მან ბრძანა ჯარისკაცად გაეგზავნათ იმ გაზეთის რედაქტორი, რომელმაც დაბეჭდა ცნობები რამდენიმე ათასი სახელმწიფო გლეხის საუფლისწულო გლეხებად გადარიცხვის შესახებ.

— მე ამას იმიტომ ჩავდივარ, რომ ეს საჭიროდ მიმაჩნია,—თქვა მან.—ამის შესახებ მსჯელობის ნებას კი არ ვიძლევი.

ბიბიკოვს ესმოდა მთელი სისასტიკე უნიატების შესახებ გაცემული განკარგულებისა და მთელი უსა-

მართლობა სახელმწიფოსი, ე. ი. ერთადერთი თავისუფალი პირების, საუფლისწულო პირებად, ე. ი. მეფის საგვარეულო ყმებად გადაქცევისა. მაგრამ სიტყვის შებრუნება არ შეიძლებოდა. თუ ნიკოლოზის განკარგულებას არ დაეთანხმებოდა, ეს ნიშნავდა იმ ბრწყინვალე მდგომარეობის დაკარგვას, რომელიც მან ორმოცი წლის განმავლობაში მოიპოვა და რომლითაც სარგებლობდა. ამიტომ მან მშვიდად დახარა თავისი შავი, შეჭაღარებული თავი, ნიშნად მორჩილებისა და იმისა, რომ მზად არის შეასრულოს სასტიკი, გიჟური და უპატიოსნო უმაღლესი ნება.

როდესაც ბიბიკოვი გაისტუმრა, ნიკოლოზმა, რომელიც გრძნობდა, რომ კარგად შეასრულა მოვალეობა, გააზმორა, დახედა საათს და წავიდა, რომ ჩაეცვა გამოსასვლელად. როდესაც ჩაიცვა ეპოლეტებიანი, ორდენებიანი და ლენტიანი მუნდირი, ის გამოვიდა მისაღებ ოთახში, სადაც მუნდირიანი მამაკაცები და ქალები ამოჭრილი ძვირფასი კაბებით, ასზე მეტი, განსაზღვრულ ადგილებზე ჩამწკრივებულნი, გულისფანცქალით ელოდნენ მის გამოსვლას.

უსიცოცხლო თვალებით, გამოწეული მკერდით და შემოჭერილი მუცლით, — თანაც შემოჭერილ ადგილას ზევიდან და ქვევიდან გადმომჯდარი ჰქონდა მუცელი, — გამოვიდა იგი მათთან, რომელნიც ელოდებოდნენ და, რომ გრძნობდა, რა კრთომითა

და პირმოთნეობით შესჩერებოდა მას ყველა, მან კიდევ უფრო ზვიადი სახე მიიღო. თვალს რომ მოჰკრავდა ნაცნობ სახეებს და იგონებდა ვინ ვინ იყო, ხშირად ჩერდებოდა და ხან რუსულად, ხან ფრანგულად ამბობდა რამდენიმე სიტყვას, ცივი, უსიცოცხლო თვალებით აშტერდებოდა მათ და ისმენდა, რასაც ელაპარაკებოდნენ.

ნიკოლოზმა მიიღო მილოცვები და შევიდა ეკლესიაში. ღმერთიც, თავისი მოსამსახურეების მეშვეობით, ისე, როგორც ერის კაცები, ესალმებოდა და აქებდა ნიკოლოზს, და ისიც ისე იღებდა ამ მილოცვებსა და შექებას, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუმც ეს უკვე მოსწყინდა მას. ყველაფერი ეს ასე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იმაზე იყო დამოკიდებული მთელი ქვეყნიერების კეთილდღეობა და ბედნიერება, და თუმცა ეს ჰღლიდა მას, მაინც არ აკლებდა ქვეყნიერებას თავის შემწეობას. როცა წირვის გათავებისას მშვენიერმა დავარცხნილმა დიაკონმა წარმოთქვა „მრავალ ჟამიერ“ და მგალობელნი მშვენიერი ხმით მწყობრად აჰყვნენ, ნიკოლოზმა მოიხედა და შეამჩნია ფანჯარასთან მდგომი ნელიდოვის ქალი, მისი ბეჭები და, რა შეადარა ისა და წუხანდელი ქალიშვილი, უპირატესობა ნელიდოვის ქალს მიაკუთვნა.

წირვის შემდეგ ის დედოფალთან წავიდა და ოჯახურ წრეში გაატარა რამდენიმე წუთი, ეხუმრებოდა ბავშვებს და ცოლს, შემდეგ ეკატერინეგოფიდან შევიდა სამეფო კარის მინისტრ ვოლკონსკისთან[1] და სხვათა შორის დაავალა — ჩემი საგანგებო თანხებიდან ყოველწლიურად აძლიე პენსია წუხანდელი ქალიშვილის დედასო. მინისტრისაგან ის, ჩვეულებისამებრ, სასეირნოდ წავიდა.

ამ დღეს სადილი პომპეის დარბაზში იყო გაწყობილი; გარდა უმცროსი შვილებისა — ნიკოლოზისა და მიხეილისა, მოწვეული იყვნენ: ბარონი ლივენი, გრაფი რჟევუსკი, დოლგორუკი, პრუსიის ელჩი და პრუსიის მეფის ფლიგელ-ადიუტანტი.

დედოფლისა და იმპერატორის გამოსვლის მოლოდინში პრუსიის ელჩსა და ბარონ ლივენს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა პოლონეთიდან უკანასკნელად მოსული შემაშფოთებელი ამბების შესახებ.

— La Poloqne et le Caucase ce sont les deux cautéres de la Russie — თქვა ლივენმა: — il nous faut 100.000 hommes á peu prés dans chacun de ces pays.

ელჩმა ცბიერი გაკვირვება გამოსთქვა, რომ ეს ასეა.

— Vous dites la Poloqne? — თქვა მან.

---

[1] ვოლკონსკი პეტრე მიხეილის ძე (1776 — 1852) გენერალ-ფელდმარშალი, სამეფო კარის მინისტრი. საეფო კარის მინისტრად დაინიშნა 1825 წ. და სიკვდილამდის შეინარჩუნა ეს თანამდებობა.

- Oh oui, c'etait un coup de maître de Maeternich de nous en avoir laissé l'embarras...

საუბრის ამ ადგილას შემოვიდა დედოფალი თავისი მოცანცარე თავით და ტუჩზე მიმკვდარი ღიმილით, და მას შემოჰყვა ნიკოლოზი.

სადილზე ნიკოლოზი მოჰყვა ჰაჯი-მურატის გადმოსვლისა და იმის შესახებ, რომ კავკასიაში ომი მალე უნდა გათავდეს, რადგან მან გასცა განკარგულება შეავიწროონ მთიულები ტყეების გაკაფვით და გამაგრების სისტემით.

ელჩმა საჩქაროდ გადახედა პრუსიის ფლიგელ-ადიუტანტს, რომელსაც დღეს დილას ელაპარაკებოდა ნიკოლოზის საცოდავ სისუსტეზე — რომ მას თავი დიდ სტრატეგად მიაჩნდა, შემდეგ დიდად შეაქო ეს გეგმა, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა ნიკოლოზის დიდ სტრატეგიულ ნიჭს.

სადილის შემდეგ ნიკოლოზი ბალეტში წავიდა, სადაც ტრიკოჩაცმული რამდენიმე ასი გაშიშვლებული ქალი ნაბიჯით დადიოდა. ერთი განსაკუთრებით მოეწონა მას, მოიხმო ბალეტმეისტერი, მადლობა გადაუხადა და ბრძანა მიეცათ მისთვის ბრილიანტებიანი ბეჭედი.

მეორე დღეს, ჩერნიშოვის მოხსენების დროს, ნიკოლოზმა კვლავ დაადასტურა თავისი განკარგუ-

ლება ვორონცოვისადმი იმის შესახებ, რომ ახლა, როცა ჰაჯი-მურატი გადმოვიდა, ძალზე შეაწუხონ ჩეჩნეთი და კორდონის ხაზით მოსწურონ იგი.

ჩერნიშოვმა სწორედ ამგვარად მისწერა ვორონცოვს, და მეორე ფელდიეგერი გაექანა თბილისისაკენ, თანაც ცხენებს ხოცავდა ჭენებით და მეეტლეებს თავპირს ამტვრევდა.

თავი მეთექვსმეტე

ნიკოლოზ პავლეს ძის ამ მოწერილობის ასასრულებლად მაშინვე; 1852 წლის იანვარში, მოაწყვეს ჩეჩნეთზე თავდასხმა.

რაზმი რომელიც თავს უნდა დასხმოდა ჩეჩნეთს, შესდგებოდა ოთხი ათასეული ქვეითი ჯარისაგან, ორასი ყაზახისა და რვა ზარბაზნისაგან.

რაზმეული გზაზე მიდიოდა, რაზმეულის ორივე მხარეს შეუწყვეტელი შარით მიდიოდნენ ეგერები,[1] რომლებსაც ეცვათ მაღალყელიანი ჩექმები და ჯუბები, ფაფახები ეხურათ, თოფები მხარზე ჰქონდათ და ვაზნები შესაკრავზე, თან ხევებში ხან ძირს ეშვებოდნენ, ხან ზევით ადიოდნენ. როგორც ყოველ-

[1] ეგერები—ქვევითი ჯარის ტყვიამფრქვეველთა ნაწილები მეფის რუსეთის არმიაში.

თვის, რაზმი მტრის მიწაწყალზე რამდენადაც შეიძ-
ლებოდა ჩუმად მიდიოდა. მხოლოდ ხანდახან რახრა-
ხებდა თხრილებზე შენჯღრეული ზარბაზნები, ან
არტილერიის ცხენი, რომელსაც არ ესმოდა ბრძანე-
ბა სიჩუმის დაცვის შესახებ, ფრუტუნებდა ან ჭიხვი-
ნებდა, ანდა ჩახლეჩილი და თავშეკავებული ხმით
უყვიროდა გაბრაზებული უფროსი თავის ხელქვეი-
თებს იმის გამო, რომ შარი ან ძალიან გაიწეოდა,
ან ძალიან ახლო ან შორს მიჰყვებოდა რაზმეულს.
მხოლოდ ერთხელ დაირღვა სიჩუმე იმით, რომ ეკ-
ლიანი ბუჩქიდან, რომელიც რაზმეულსა და შარს
შუა იყო, გამოხტა თეთრმუცელა და რუხზურგა დე-
დალი თხა და ამნაირივე მამალი თხა, რომელსაც
პატარა რქები ზურგისკენ ჰქონდა გადაღუნული.
ლამაზი, ფრთხალი ცხოველები დიდი ნახტომებით,
წინა ფეხების შეკეცვით ისე ახლოს მოვარდნენ რა-
ზმეულთან, რომ რამდენიმე ჯარისკაცი ყიჟინითა და
სიცილით დაედევნა მათ და სურდათ ხიშტზე წამო-
ევოთ; მაგრამ თხებმა უკან იბრუნეს პირი და გაარ-
ღვიეს შარი; მათ დაედევნა რამდენიმე ცხენოსანი
და ასეულის ძაღლები, ისინი კი ფრინველებივით
გაქანდნენ და მთებში მიიმალნენ.

ზამთარი ჯერ კიდევ არ გასულიყო, მაგრამ მზე
მაღლა ადიოდა და შუადღისას, როდესაც დილა-
ადრიან გამოსულმა რაზმმა უკვე ოთხი ვერსი გაია-

რა, ისე კაშკაში იყო, რომ ხიშტების ფოლადი და ზარ-ბაზნების სპილენძი, უცბად პატარა მზეებივით რომ აელვარდებოდა ხოლმე, თვალს სჭრიდა.

რაზმი ეს ეს არის უკან მოიტოვა სწრაფი და ანკარა პატარა მღინარე; წინ იყო დამუშავებული ყანები და პატარა ხევები — მინდვრები; უფრო წინ ტყით დაფარული იდუმალი, შავი მთები; შავ მთებს იქით—კლდეები, ჯერ კიდევ რომ მოსჩანდა, და მაღალ ჰორიზონტზე—მუდამ მშვენიერი, მუდამ ცვალებადი, ალმასებივით მოციმციმე თოვლიანი მთები.

მეხუთეა სეულის წინ მიდიოდა გვარდიიდან ახლახან გადმოსული მაღალი და ლამაზი ოფიცერი ბუტლერი, რომელსაც შავი სერთუკი ეცვა, ფაფახი ეხურა და ხშალი მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. ის გამსჭვალული იყო სიცოცხლის სიყვარულის ალმატკინებული გრძნობით, ამავე დროს გრძნობდა სიკვდილის საფრთხეს, სურდა მოქმედება, შეგნებული ჰქონდა, რომ ეკუთვნოდა უზარმაზარ მთელს, რომელსაც ერთი ნებისყოფა განაგებდა. ბუტლერი დღეს მეორეჯერ მოხვდა საქმეში, მას ეგონა, რომ ახლავე დაუწყებდნენ მათ სროლას და რომ იგი არა თუ არ დახრიდა თავს მაშინ, როდესაც ყუმბარა გადაუფრენდა, ანდა არ მიაქცევდა ყურადღებას ტყვიების სტვენას, არამედ, როგორც ეს ჰქნა ამასწინათ, უფრო მაღლა ასწევდა თავს და გაღიმებული თვალებით

დაუწყებდა ამხანაგებსა და ჯარისკაცებს თვალიერებას და სრულიად დამშვიდებული ხმით დაიწყებდა ლაპარაკს სულ სხვა რამეზე. რაზმმა ვადაუხვია კარგი გზიდან და ნახევრად უვალ გზაზე გავიდა, რომელიც სიმინდის ყანებში გადიოდა, და ტყეს მიუახლოვდა, როდესაც—არავის არ დაუნახავს საიდან—შემაძრწუნებელი სტვენით გაიქროლა ყუმბარამ და საბარგულეს შუა დაეცა გზის პირად, სიმინდის ყანაში, სადაც მიწა ამოთხარა.

—დაიწყო— მხიარული ღიმილით უთხრა ბუტლერმა მასთან ერთად მიმავალ ამხანაგს.

და მართლაც, ყუმბარის შემდეგ ტყიდან გამოჩნდა ნიშნიანი ცხენოსანი ჩეჩნელების დიდი ჯგუფი, ჯგუფის შუაგულში მოჩანდა დიდი ლურჯი ნიშანი, და ასეულის ბებერმა ფელდფებელმა, რომელიც ძალიან შორსმხედველი იყო, უთხრა ბეც ბუტლერს—ეს, ალბათ, თვითონ შამილიაო. ეს ჯგუფი მთიდან ჩამოდიოდა, გამოჩნდა უახლოესი ხევის თხემზე მარჯვნივ და დაიწყო ქვევით ჩასვლა. პატარა ტანის გენერალი, რომელსაც შავი თბილი სერთუკი ეცვა და დიდი თეთრიანი (ზემო ნაწილი) ფაფახი ეხურა, თოხარიკზე მჯდომი მიუახლოვდა ბუტლერის ასეულს და უბრძანა მას მარჯვნივ წასულიყო ცხენოსნების წინააღმდეგ, რომელნიც ქვევით ჩადიოდნენ. ბუტლერმა საჩქაროდ წაიყვანა ნაჩვენები მიმართულებით

თავისი ასეული, მაგრამ ვერ მოასწრო ხევთან ჩასვლა, რომ უკანიდან ორჯერ ზედიზედ მოესმა გასროლილი ზარბაზნის ხმა. მან მოიხედა: მტრედის ფერი კომლის ორი ღრუბელი ავიდა ორი ზარბაზნიდან და ხევის გასწვრივ გაიძაბა. ჯგუფი, რომელიც, ალბათ, არ ელოდა არტილერიას, უკან გაბრუნდა. ბუტლერის ასეულმა სროლა აუტეხა მთიულებს, და მთელი ღელე დენთის კვამლმა დაფარა. მხოლოდ ღელის ზევით მოჩანდა, რომ მთიულები საჩქაროდ იხევდნენ უკან და თოფს ესროდნენ ყაზახებს, რომელნიც მათ დაედევნენ. რაზმი მიჰყვა მთიულებს, და მეორე ხევის თხემზე აული გამოჩნდა.

ბუტლერი თავისი ასეულით სირბილით შევიდა აულში ყაზახების შემდეგ. მცხოვრებლები სრულიად არ ჩანდნენ. ჯარისკაცებს უბრძანეს დაეწვათ პური, თივა და თვით სახლებიც. მთელი აული მწვავე კვამლში იყო გახვეული, და ამ კვამლში დაეხეტებოდნენ ჯარისკაცები და გამოქონდათ სახლებიდან, რასაც პოულობდნენ, უმთავრესად კი იჭერდნენ და თოფს ესროდნენ ქათმებს, რომლების წაყვანაც ვერ მოეხერხებინათ მთიულებს. ოფიცრები კვამლიდან შორს დასხდნენ, ისაუბრეს და დალიეს. ფელდფებელმა მოუბრძანა მათ ფიცარზე დადებული რამდენიმე ფიჭა თაფლი. ჩეჩნელები არსად ჩანდნენ. შუადღეს ცოტა გადასცილდა, როდესაც გაიცა ბრძანება წა-

სვლის შესახებ. ასეულები დაეწყო აულის იქით რაზმეულად, და ბუტლერი არიერგარდში[1] მოხვდა; როგორც კი დაიძრნენ, გაჩოჩნდნენ ჩეჩნელები, უკან გაჰყვნენ რაზმს და თოფებს ესროდნენ.

როდესაც რაზმი გაშლილ ადგილას გავიდა, მთიულები ჩამოშორდნენ მას. ბუტლერთან არავინ დაჭრილა, და ის მშვენიერ გუნებაზე ბრუნდებოდა უკან. როდესაც რაზმი გამოვიდა იმ მდინარეზე, რომელშიც დილას ფონით გავიდა, და გაიშალა სიმინდის ყანებსა და კორდებზე, ასეულებში მომღერლები წინ დადგნენ, და გაისმა სიმღერა. ქარი არ იყო, ჰაერი იყო გრილი, სუფთა და ისე გამჭვირვალე, რომ ასი ვერსით დაშორებული თოვლიანი მთები სულ ახლო მოჩანდა, და როცა მომღერლები გაჩუმდნენ, ისმოდა ფეხების თანაბარი ბაკუნი და ზარბაზნების რახა-რუხი, როგორც ფონი, რომელზეც იწყებოდა და თავდებოდა სიმღერა. ის, რასაც ბუტლერის მეხუთე როტა მღეროდა, იუნკერმა შეთხზა პოლკის სადიდებლად და მას საცეკვაო მოტივზე მღეროდნენ ასეთი სიმღერებით: „То ли дело, то ли дело, егеря, егеря!“.

ბუტლერი ცხენით მოდიოდა თავისი უახლოესი უფროსის მაიორ პეტროვის გვერდით, რომელთანაც

---

[1] არიერგარდი—ლაშქრის უკანა ნაწილი.

ცხოვრობდა და უფრო და უფრო ახარებდა თავისი გადაწყვეტილება—რომ გვარდიიდან გამოვიდა და კავკასიაში წამოვიდა გვარდიიდან მისი გამოსვლის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ პეტერბურგში ქალალდში წააგო მთელი ქონება, ასე რომ არაფერი არ დარჩენია. მას ეშინოდა, რომ ძალა არ ეყოფოდა შეეკავებინა თავი და ქალალდი არ ეთამაშა, თუ გვარდიაში დარჩებოდა წასაგები კი აღარაფერი დარჩა.

ახლა ყველაფერი ეს გათავებული იყო, ახლა სხვანაირი ცხოვრება ჰქონდა, და თან ასეთი კარგი და ყოჩაღური. ახლა მას დაავიწყდა თავისი გაკოტრებაც და თავისი ვალებიც. და კავკასია, ომი, ჯარისკაცები, მთვრალი და გულკეთილი ყოჩაღი ბიჭები, მაიორი პეტროვი—ყველაფერი ეს ისე კარგი ეჩვენებოდა, რომ ხანდახან არც კი სჯეროდა, რომ პეტერბურგ'ში არ არის, პაპიროსის კვამლით გატენილ ოთახებში არ ღუნავს ქალალდის კუთხეებს, არ ეზიზღება, როგორც პონტერს, ბანკის დამრიგებელი და არ სტკივა თავი, თითქოს რაღაც აწვებაო. არამედ აქ არის, ამ მშვენიერ ქვეყანაში, ყოჩაღ კავკასიელებს შორის.

„То ли дело, то ли дело егеря, егеря!“—მღეროდნენ მისი მომღერალი ბიჭები. ბუტლერის ცხენი მხიარული ნაბიჯით მიჰყვებოდა ამ მუსიკას. ასეულის ბანჯგვლიანი რუხი ტრეხორკა, როგორც

უფროსი, მაღლა აპრეხილი კუდით და შეწუხებული სახით მირბოდა ბუტლერის ასეულის წინ. ბუტლერი ყოჩაღად გრძნობდა თავს, დამშვიდებული და მხიარული იყო. ომად ის მიაჩნდა მხოლოდ რომ საფრთხეში აგდებდა თავისთავს, შესაძლო იყო იგი მოეკლათ, და ამით იმსახურებდა საჩუქრებს და აქაური ამხანაგებისა და თავისი რუსი მეგობრების პატივისცემას. ომის მეორე მხარე: სიკვდილი ჯარისკაცების, ოფიცრებისა და მთიულების ჭრილობები, თუმც ეს სათქმელადაც კი უცნაურია, მას ვერც კი წარმოედგინა. იგი შეუგნებლადაც კი, რომ არ გაქარწყლებოდა თავისი პოეტური წარმოდგენა ომზე, არასოდეს არ დახედავდა მკვდრებს და დაჭრილებს. ასე იყო ახლაც. ჩვენ სამი კაცი მოგვიკლეს და თორმეტი დავვიჭრეს. მან ჩაუარა მკვდარს, რომელიც გულაღმა იწვა, და მხოლოდ ცალი თვალით ხედავდა, რომ ცვილის ფერი ხელი უცნაურად იდვა, ხედავდა მუქ-წითელ ლაქას თავზე და არც დაკვირვებია. მთიულები მას წარმოუდგენელი ჰყავდა მხოლოდ ცხენოსან ჯიგიტებად, რომელთაგანაც საჭირო იყო თავის დაცვა.

— აი, როგორ არის, ძამია, — ამბობდა მაიორი სიმღერის ნაწილებს შორის შესვენების დროს. — ისე არ გახლავს, როგორც თქვენთან პიტერში: მარჯვნივ სწორდი, მარცხნივ სწორდი. აი, ვიღვაწეთ

და შინისაკენ. მაშურკა პიროგს მოგართმევს და კარგ შჩის. ეს ცხოვრებაა! ასეა, ხომ? აბა, „Как вознялась заря“,—უბრძანა ჯარისკაცებს ემღერათ საყვარელი სიმღერა.

ვაიორი ისე ცხოვრობდა, როგორც ქმარი, ფერშლის ქალიშვილთან, ჯერ მაშკასთან, მერე კი მარია დმიტრიევნასთან. მარია დმიტრიევნა იყო ლამაზი, სულ ჭორფლიანი, ოცდაათი წლის უშვილო ქალი. როგორიც გინდა ყოფილიყო მისი წარსული, ახლა ის მაიორის ერთგული მეგობარი იყო, უვლიდა მას, როგორც ძიძა,—ეს მაიორისათვის საჭირო იყო, რადგან ხშირად ისე ითვრებოდა რომ გრძნობასაც კარგავდა.

როდესაც ციხე-სიმაგრეში მივიდნენ, ყველაფერი ისე იყო, როგორც მაიორი წინასწარმეტყველებდა. მარია დმიტრიევნამ დაახვედრა მაიორსა და ბუტლერს და კიდევ რაზმიდან დაპატიჟებულ ორ ოფიცერს გემრიელი და ნოყიერი სადილი, და მაიორმა იმდენი სვა და ჭამა, რომ ლაპარაკი აღარ შეეძლო და წავიდა თავის ოთახში დასაძინებლად. ბუტლერიც, აგრეთვე დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი და ზედმეტი ჩიხირიდან [1] ცოტა შემთვრალიც, წავიდა თავის ოთახში და ძლივს მოასწრო ტანისამოსის გახდა, რომ შემოიდვა თავის ლამაზ ხუჭუჭ თმიან თავის ქვეშ ხელი და ისე გულიანად დაეძინა, რომ არც სიზმრები უნახავს და არც გამოღვიძებია.

---

[1] ჩიხირი—წითელი კავკასიური ღვინო; მდარე ხარისხისა.

თავი მეჩვიდმეტე.

მტრის რაზმისგან დაბნეული აული სწორედ ის აული იყო, სადაც გაათია ღამე ჰაჯი-მურატმა რუსებისკენ გადმოსვლის წინ. სადო, რომელთანაც იყო ჩამომხტარი ჰაჯი-მურატი, თავისი ოჯახით მთებში მიდიოდა, როცა რუსები აულს უახლოვდებოდნენ. როდესაც თავის აულში დაბრუნდა, სადოს სახლი დანგრეული დაუხვდა. სახურავი ჩატეხილი იყო. კარები და აივნის სვეტები დაეწვათ, სახლის შიდა ნაწილი წაებილწათ. მისი შვილი კი, ის ლამაზი ბიჭი, თვალები რომ უბრწყინავდა, რომელიც აღფრთოვანებით უყურებდა ჰაჯი-მურატს, მკვდარი მეჩეთთან მოიყვანეს ნაბადგადაფარებული ცხენით. ხიშტით გაეგმირათ მისი ზურგი. იმ ლამაზ ქალს, რომელიც სტუმრობის დროს ჰაჯი-მურატს ემსახურებოდა, ახლა პერანგი გულზე გახეული ჰქონდა, საიდანაც მოჩანდა ბებრული ჩამოგრძელებული ძუძუები, თმაგაშლილი ადგა მკვდარ შვილს თავზე, სახეს ისე იკაწრავდა, რომ ისისხლიანებდა, და შეუწყვეტლად ქვითინებდა. სადო წერაქვითა და ნიჩბით წავიდა თავის მოკეთეებთან ერთად შვილისთვის საფლავის გასათხრელად. მოხუცი პაპა იჯდა დანგრეული სახლის კედელთან, თლიდა ჯოხს და გამოშტერებული იყურებოდა წინ.

ეს ეს იყო დაბრუნდა იგი თავისი საფუტკრიდან. იქ თივის ორი პატარა ზვინი დაეწვათ; დარგულ გახეირებული ჭერამისა და ალუბლის ხეები დამტვრეული და დამწვარი იყო და, რაც მთავარია, ფუტკრიანად დაეწვათ ყველა სკა. ისმოდა ქალების მოთქმა, პატარა ბავშვები დედებთან ერთად ღრიალებდნენ. ბღაოდა მშიერი საქონელიც, რომლისთვისაც მისაცემი არაფერი ჰქონდათ. მოზრდილი ბავშვები კი არ თამაშობდნენ. ისინი შეშინებული თვალებით შესცქეროდნენ უფროსებს.

შადრევანი წაბილწული იყო, ალბათ განზრახ, ასე რომ იქიდან წყლის აღება შეუძლებელი იყო. ასევე წაბილწული იყო მეჩეთიც, და მოლა მუტალიმებიანად ასუფთავებდა მას. რუსებისადმი სიძულვილზე არავინ არც კი ლაპარაკობდა. ის გრძნობა, რომელსაც განიცდიდენ ჩეჩნელნი დიდიდან პატარამდე, სიძულვილზე უფრო ძლიერი იყო. ეს სიძულვილი კი არ იყო, მათ ეს რუსის ძაღლები ადამიანებად არ მიაჩნდათ და ისე ეზიზღებოდათ, ისე სძაგდათ, ამ არსებათა მიერ ჩადენილი უაზრო სისასტიკე ისე აოცებდათ, რომ მათი მოსპობის სურვილი, როგორც სურვილი ვირთაგვებისა და შხამიანი ობობების მოსპობისა, ისეთივე ბუნებრივი გრძნობა იყო, როგორც თავის გადარჩენის გრძნობა.

მცხოვრებლების წინაშე არჩევანი იყო: დარჩენილიყვნენ თავის ადგილებზე და საშინელი ვაი-ვაგლახით აღედგინათ ასეთი შრომით მოწყობილი და ასე უაზროდ დანგრეული ყოველივე, თანაც ყოველწუთს ჰქონდათ ამავე ამბის გამეორების მოლოდინი, თუ, სარწმუნოებრივი გრძნობის, კანონისა და რუსებისადმი ზიზღისა და სიძულვილის წინააღმდეგ, დამორჩილებოდნენ მათ.

მოხუცებმა ილოცეს და ერთხმად გადაწყვიტეს გაუგზავნონ შამილს ელჩები და სთხოვონ დახმარება, და იმ წამსვე შეუდგნენ დანგრეულის აღდგენას.

თავი მეთვრამეტე

თარეშის მეორე დღეს დილას ბუტლერი უკვე გვიან გაშოვიდა სახლის უკანა დერეფნიდან ქუჩაში, უნდოდა გაეარა და ესუნთქა სუფთა ჰაიერი დილის ჩაის დალევამდე, რომელსაც ის ჩვეულებრივად პეტროვთან ერთად სვამდა. მზე უკვე ამოვიდა მთებიდან და ძნელი იყო ქუჩის მარჯვენა მხარეზე მზით განათებული შელესილი თეთრი სახლების ცქერა, მაგრამ როგორც ყოველთვის, სასიამოვნო და დამაშვიდებელი იყო მარცხნივ გახედვა, სადაც მიჩანდა ტყით დაბურული შავი მთები, თანდათან რომ შორდებოდნენ და ატყორცნილი იყვნენ,

და ქრქალი ჯაჭვი თოვლიანი მთებისა, რომელნიც, როგორც ყოველთვის, ახლაც ცდილობდნენ ღრუბლებად გამოჩენილიყვნენ.

ბუტლერი უყურებდა ამ მთებს, სუნთქავდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და უხაროდა, რომ ცხოვრობს, რომ სახელდობრ ის ცხოვრებს, და ცხოვრობს ამ მშვენიერ ადგილზე. ცოტა ისიც უხაროდა, რომ ასე კარგად ეჭირა თავი ბრძოლისა და შეტევის დროს, განსაკუთრებით კი უკან დახევის დროს როცა საქმე მართლაც გამწვავებული იყო. იმის მოგონებაც ახარებდა, რომ გუშინ ბრძოლიდან, როდესაც დაბრუნდნენ, მაშა, ანუ მარია დმიტრიევნა, პეტროვის საყვარელი, გაუმასპინძლდა, მათ და ყველას განსაკუთრებით უბრალოდ და კარგად ექცეოდა, განსაკუთრებით კი, როგორც მას ეგონა, მას ეფერებოდა. მარია დმიტრიევნა თავის გრძელი ნაწნავებით, ფართე ბეჭებით, მაღალი მკერდით და ღიმილით გაბრწყინებული კეთილი ჭორფლიანი სახით უნებურად იზიდავდა ბუტლერს, როგორც ღონიერ ახალგაზრდა ულოლო კაცს, და მას ეჩვენებოდა კიდეც, რომ მარია დმიტრიევნას სურდა იგი. მაგრამ ის ფიქრობდა, რომ ეს ცუდი საქციელი იქნებოდა კეთილი და გულბრიყვილო ამხანაგის მიმართ და ამიტომ მარია დმიტრიევნასთან თავი ეჭირა უბრალოდ და თავაზიანად და თვითონ უხაროდა, რომ ასე იქცეოდა. ახლა იგი ამის შესახებ ფიქრობდა.

მისი ფიქრი გაართო რამდენიმე ცხენის ფეხის თქარუნმა მტვრიან გზაზე, თითქოს წინიდან რამდენიმე კაცი მოჰქროდა. ასწია თავი ბალლა და ქუჩის ბოლოზე დაინახა, რომ ცხენოსანთა ჯგუფს უახლოვდებოდა ნაბიჯით. ორი ათეული ყაზახის წინ მოდიოდა ორი ცხენოსანი: ერთს ეცვა თეთრი ჩოხა და მაღალი ჩალმიანი ფაფახი ეხურა, მეორე იყო რუსის სამსახურში მყოფი ოფიცერი, შავი, მოღუნული ცხვირით, რომელსაც ჭარბად ჰქონდა ვერცხლი ტანისამოსსა და იარაღზე. ჩალმიანი ცხენოსანი იჯდა ლამაზ ოქროსფერ ცხენზე, რომელსაც პატარა თავი და მშვენიერი თვალები ჰქონდა. ოფიცერი ყარაბაღულ მაღალ მოხდენილ ცხენზე იჯდა. ბუტლერმა, რომელსაც ძალიან უყვარდა ცხენები, უცბად შეაფასა პირველი ცხენის ძალ-ღონე და შეჩერდა, რომ გაეგო, თუ ვინ იყვნენ ესენი. ოფიცერმა მიმართა ბუტლერს:

— ეს ჯარის უფროსის სახლია? — იკითხამ ან და გამოთქმასა და სიტყვებზე, რომლების ბრუნებას ვერ ახერხებდა, ეტყობოდა, რომ რუსი არ იყო. ბუტლერმა უპასუხა, რომ სწორედ ეს სახლია.

— ეს ვიღაა?-დაეკითხა ბუტლერი, მიუახლოვდა ოფიცერს და თვალით ჩალმიან კაცზე ანიშნა.

— ეს ჰაჯი-მურატია. აქ მოდიოდა და ჯარების უფროსი იქნება სტუმრად,—უპასუხა ოფიცერმა.

ბუტლერმა იცოდა ჰაჯი-მურატისა და რუსების მხარეზე მისი გადმოსვლის შესახებ, მაგრამ არ მოელოდა მის ნახვას აქ, ამ პატარა ციხე-სიმაგრეში.

ჰაჯი-მურატი მეგობრულად ეცქერიდა მას.

— გამარჯობა, ხოშ გელდი,[1] — მიმართამან დასწავლილი თათრული სალამით.

— საუბულ,[2] — უპასუხა ჰაჯი-მურატმა თავის დაქნევით. ის მიუახლოვდა ბუტლერს და ჩამოართვა ხელი, რომლის ორ თითზე მათრახი ეკიდა.

— უფროსი, — თქვა მან.

— არა, უფროსი აქ არის, წავალ, დავუძახებ, — თქვა ბუტლერმა, მიუბრუნდა რა ოფიცერს, ავიდა საფეხურებზე და ხელი ჰკრა კარებს.

მაგრამ საალლუმო აივნის კარები, როგორც ეძახდა მარია დმიტრიევნა, დაკეტილი იყო. ბუტლერმა დააკაკუნა, მაგრამ, რომ ვერ მიიღო პასუხი, უკანა შესავლისაკენ წავიდა და სახლს მოუარა. მან დაუძახა თავის დენშჩიკს და, რადგან პასუხი არ იყო და ვერ იპოვა ვერცერთი და ვერც მეორე დენშჩიკი, სამზარეულოში შევიდა,

მარია დმიტრიევნა, რომელსაც ხელსახოცი ჰქონდა თავზე წაკრული, გაწითლებული იყო და თავისი

---

1 ხოშ, გელდი—მისალმება კეთილი იყოს მოსვლა.

2 საუბულ—გაგიმარჯოს, კარგად იყავი.

თეთრი, მსუქანი ხელები დაეკარწახებინა, ნაბრტყელევ ცომს, თავისი ხელებივით თეთრს, პიროჟკებისათვის სჭრიდა პატარ-პატარა ნაჭრებად.

— სად დაიკარგნენ დენშჩიკები? — თქვა, ბუტლერმა.

— წავიდნენ, რომ ილოთონ, — უპასუხა მარია დმიტრიევნამ. — მაგრამ თქვენ რა გინდათ?

— კარის გაღებაა საჭირო. თქვენი სახლის წინ მთიულების მთელი ხროვაა. ჰაჯი-მურატი მოვიდა.

— კიდევ გამოიგონეთ რამე, — ღიმილით თქვა მარია დმიტრიევნამ.

— არა ვხუმრობ, მართალია. აივანთან დგანან.

— ნუთუ მართლა? — თქვა მარია დმიტრიევნამ.

— რა მრჯის, რომ მოვიგონო. წადით, ნახავთ, ის აივანთან დგას.

— აი სეირი, — თქვა მარია დმიტრიევნამ, ჩამოიწია სახელოები და თავის მსხვილ ნაწნავში შპილკები გასინჯა. — მაშ მე წავალ და ივან მატვეევიჩს გავაღვიძებ.

— არა, მე თვითონ წავალ — თქვა ბუტლერმა.

— ჰო, ესეც კარგი იქნება, — უპასუხა მარია დმიტრიევნამ და ისევ თავის საქმეს შეუდგა.

როცა გაიგო, რომ მასთან ჰაჯი-მურატი მოვიდა, ივან მატვეევიჩს, რომელსაც უკვე ჰქონდა გაგონილი ჰაჯი-მურატი გროზნაში არისო, სრულია-

დაც არ გაჰკვირვებია ეს ამბავი, წამოიწია, პაპიროსი დაახვია, ცეცხლი მოუკიდა და დაიწყო ჩაცმა, თანაც მაგრად ახველებდა და უფროსებზე ჯავრობდა, რომელთაც მას ეს ეშმაკი გამოუგზავნეს. როდესაც ჩაიცვა, დენშჩიკს წამალი მოსთხოვა, დენშჩიკმა, ვინაიდან იცოდა, რომ წამალი არაყს ერქვა, არაყი მიართვა.

— ამაზე უარესი ნარევი არც არსებობს,—წაიბუზღუნა მან, როდესაც დალია არაყი და შავი პური მიაყოლა.—გუშინ ჩიხირი დავლიე, და თავი მტკივა. აბა ახლა მზად ვარ,—დაათავა მან და წავიდა სასტუმრო ოთახში, სადაც ბუტლერს კიდეც შეეყვანა ჰაჯი-მურატი და ოფიცერი, რომელიც მას ახლდა.

ოფიცერმა, რომელიც ჰაჯი-მურატს აცილებდა, გადასცა ივან მატვეევიჩს მარცხენა ფლანგის უფროსის ბრძანება—მიიღოს ჰაჯი-მურატი, დართოს ნება კავშირი გააბას მთიულებთან მსტოვარების მეოხებით, ციხე-სიმაგრიდან კი არავითარ შემთხვევაში არ გაუშვას ისე, თუ ყაზახების რაზმს არ გააყოლებს.

ივან მატვეევიჩმა წაიკითხა ქაღალდი, შემდეგ დაკვირვებით შეხედა ჰაჯი-მურატს და ისევ ქაღალდს დაუწყო ჩაკვირვება, ასე რამდენჯერმე გადაიტანა თვალი ქაღალდიდან ჰაჯი-მურატზე და, ბოლოს, ჰაჯი-მურატს შეაჩერდა და თქვა.

— იახში,[1] ბეგ, იახში. დე, იცხოვროს ასე უთხარი, რომ მე ნაბრძანები მაქვს არსად არ გავუშვა. რაც ნაბრძანებია ის წმინდად უნდა ასრულდეს. მაგას დავაბინავებთ—შენ რას ფიქრობ ბუტლერ?—კანცელარიაში დავაბინაოთ?

ბუტლერმა ვერ მოაბწრო პასუხის მიცემა, რომ მარია დმიტრიევნა რომელიც სამზარეულოდან მოვიდა და კარებში იდგა, მიუბრუნდა ივან მატვეევიჩს.

— რისთვის? აქ დააბინავეთ. საყონაღო[2] და საკუჭნაო მივცეთ სხვა არა იყოს რა, თვალწინ გვეყოლება,—თქვა მან და შეხედა ჰაჯი-მურატს და, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, საჩქაროდ მიბრუნდა.

— მართლაც, მე მგონია, რომ მარია დმიტრიევნა მართალია,—თქვა ბუტლერმა.

— აბა, აბა, წადი, აქ ქალების საქმე არ არის,—მოღუშვით თქვა ივან მატვეევიჩმა.

ამ ლაპარაკის დროს ჰაჯი-მურატი იჯდა, ხელი ხანჯლის ტარზე დაედო და ოდნავ დამცინავად იღიმებოდა. ერთი, რაც მას სურს და რის ნებაც დართო სარდალმა—ის არის, რომ მთიულებთან კავშირი ჰქონდეს გაბმული, და ამიტომ სურს მთიულები მოუშვან

[1] იახში—კარგი, კეთილი.
[2] საყონაღო—სასტუმრო.

მასთან. ივან მატვეევიჩმა თქვა ამას ვიზამთო, მერე სთხოვა ბუტლერს—შეიქციეთ სტუმარი, სანამ საუზმეს მოიტანდნენ და ოთახებს გაამზადებდნენ, მე კი წავალ კანცელარიაში საჭირო ქაღალდების დასაწერად და საჭირო განკარგულებების გასაცემადო.

ჰაჯი-მურატის განწყობილება ახალი ნაცნობებისადმი მაშინვე სავსებით გამოირკვა. ივან მატვეევიჩი მას პირველი გაცნობისთანავე შესძაგდა, შეეზიზღა და ყოველთვის მედიდურად ეჭირა თავი მასთან. მარია დმიტრიევნა რომელიც უმზადებდა საჭმელს და მოჰქონდა მასთან, განსაკუთრებით მოსწონდა; მას მოსწონდა მისი უბრალოებაც. მისთვის უცხო ეროვნების განსაკუთრებული სილამაზეც და ისიც, რომ ამ ქალს რაღაც იზიდავდა მისკენ, და ამას ჰაჯი-მურატიც გრძნობდა შეუგნებლად. ის ცდილობდა არ შეეხედა მისთვის, არ დალაპარაკებოდა, მაგრამ მისი თვალები უნებურად ხვდებოდა ამ ქალს და თვალყურს ადევნებდა მის მოძრაობას.

ბუტლერს კი ის მაშინვე, პირველ გაცნობისთანავე, დაუმეგობრდა და ბევრს და ხალისით ემუსაიფებოდა, ეკითხებოდა მისი ცხოვრების შესახებ და თავის ცხოვრებასაც უამბობდა, უზიარებდა იმ ცნობებსაც თავის ოჯახობის მდგომარეობის შესახებ, რაც მსტოვარებს მოჰქონდათ მასთან და რჩევასაც კი სთხოვდა ხოლმე, თუ რაოგორ მოქცეულიყო.

მსტოვრებს ცუდი ცნობები მოჰქონდათ. ოთხი დღის განმავლობაში, ციხე-სიმაგრეში რომ გაატარა, მსტოვრები ორჯერ მოვიდნენ მასთან და ორივეჯერ ცუდი ამბები მოიტანეს.

თავი მეცხრამეტე

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჰაჯი-მურატი რუსების მხარეზე გადავიდა, რომ მისი ოჯახი აულ ვედენოში[1] გადაიყვანეს და დაამწყვდიეს, თანაც ელოდნენ შამილის განკარგულებას. ქალებს — მოხუც პატიმატს და ჰაჯი-მურატის ორ ცოლს და მათ ხუთ პატარა ბავშვს ყარაული მიუყენეს ასისთავ იბრაგიმ ‘რაშიდის სახლში; ჰაჯი-მურატის 18 წლის ვაჟი იუსუფი კი საპყრობილეში იჯდა, ე. ი. საკენზე უფრო ღრმა ორმოში შვიდ სხვა დამნაშავესთან ერთად, რომელნიც მასავით ელოდნენ თავის ბედის გადაწყვეტას.

გადაწყვეტილება არა ჩანდა, რადგან შამილი წასული იყო. ის რუსების წინააღმდეგ ომობდა.

1852 წლის 6 იანვარს შამილი ბრუნდებოდა ვედენოში, რუსებთან ბრძოლის შემდეგ, სადაც, რუსების ფიქრით, ის დამარცხდა და ვედენოში გაიქცა. მისი აზრით და ყველა მიურიდის აზრით კი

[1] ვედენო—იგივე აული დარგო.

მან გაიმარჯვა და რუსები გარეკა. ამ ბრძოლაში, რაც იშვიათად ხდებოდა, თვითონ შამილმა გაისროლა შაშხანა, იძრო ხმალი და ის იყო ცხენი პირდაპირ რუსებისაკენ უნდა გაექროლებინა, მაგრამ მისმა მხლებელმა მიურიდებმა არ გაუშვეს. ორი იმათგანი იქვე, შამილის გვერდით, მოჰკლეს.

შუადღე იყო, როცა შამილი, მიურიდების რაზმით გარსშემორტყმული, რომელნიც ჯირითობით მოსდევდენ და დამბაჩებსა და თოფებს ისროდნენ და გალობდნენ „ლა ილახ ილ ალაჰ," თავის საცხოვრებელ ადგილს მიუახლოვდა.

დიდი აულის ვედენოს მთელი ხალხი ქუჩაში და ბანებზე გამოეფინა თავისი მბრძანებლის შესახვედრად, და ზეიმის ნიშნად ისიც ისროდა თოფებსა და დამბაჩებს. შამილი იჯდა თეთრ არაბულ ცხენზე, რომელიც სახლთან მიახლოვების დროს გახარებული ითხოვდა ლაგამს; ცხენს ძალიან სადა მორთულობა ჰქონდა, არ იყო მოკაზმული არც ოქროთი და არც ვერცხლით: წითელი ღვედის ლაგამი, კარგად გაკეთებული, რომელსაც შუაზე ზოლი დაუყვებოდა, უზანგები, რომელსაც ლითონის პაწაწა ჭიქები ჰქონდა და წითელი ჩამჩა, უნაგირის ქვეშ რომ მოჩანდა. იმამს ეცვა ყავისფერი მაუდით დაფარული ქურქი, სახელოებთან და საყელოებთან ბეწვი უჩანდა, კარგად მოყვანილ წვრილ წელზე ქამარი ჰქონდა

შემორტყმული და ზედ ხანჯალი ეკიდა. თავზე ეხურა მაღალი, ზევით ბრტყელი ფაფახი შავი ყალამით; ფაფახს შემოვლებული ჰქონდა თეთრი ჩალმა, რომლის ბოლო კისერს ქვეით იყო ჩაშვებული, ფეხის ტერფებზე მწვანე წულები ეცვა, მუხლებზე შავი პაჭიჭები ჰქონდა, უბრალო ზონარებით შეკრული.

საერთოდ იმამს არაფერი არ ეცვა ბრწყინვალე, ოქროსი ან ვერცხლისა, და მისი მაღალი, სწორი და ძლიერი ფიგურა, სადა ტანისამოსით, მიურიდებით გარშემორტყმული, რომლების ტანისამოსი და იარაღი ვერცხლითა და ოქროთი იყო მოკაზმული, სწორედ იმ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც მას სურდა და შეეძლო კიდეც ხალხზე მოეხდინა. მისი გაფითრებული, შეკრეჭილი წითელწვერიანი სახე, ყოველთვის მილულული პატარა თვალებით, როგორც ქვის, სრულიად უძრავი იყო. აულზე რომ მიდიოდა, ის გრძნობდა, რომ ათასობით თვალი მისჩერებოდა, მაგრამ მისი თვალები არავის არ უყურებდა. ჰაჯი-მურატის ცოლებიც სხვა მცხოვრებლებთან ერთად გამოვიდნენ იმამის მობრძანების სანახავად აივანზე. მხოლოდ მოხუცი პატიმატი, ჰაჯი-მურატის დედა, არ გამოვიდა გარეთ, განაგრძობდა სახლის იატაკზე ჯდომას გაშლილი ჭალარა თმებით, გრძელი ხელები გამხდარ მუხლებზე შემოეხვია, აპარპალებდა თავის შავ მწველ თვალებს

და მისჩერებოდა, თუ როგორ ქრებოდა ბუხარში ტოტები. მას, როგორც მის შვილს, ყოველთვის სძულდა შამილი, ახლა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, და ამიტომ არ უნდოდა მისი დანახვა.

არც ჰაჯი-მურატის შვილს დაუნახავს შამილის დიდებით შემოსვლა. მას თავისი ბნელ მყრალ ორმოში მხოლოდ თოფების სროლის ხმა და გალობა ესმოდა და ისე იტანჯებოდა, როგორც იტანჯებიან ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ადამიანები, როცა მოკლეპულნი არიან თავისუფლებას. ამ მყრალ ორმოში მჯდარი, იგი ყოველთვის უყურებდა ერთსდაიმავე საცოდავ, ჭუჭყიან და ილაჯგაწყვეტილ ადამიანებს, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ დამწყვდეული და იყვნენ ბოროტი უმეტეს შემთხვევაში სძულდათ ერთმანეთი, და მას საშინლად შურდა, შენატროდა იმათ, რომლებიც სარგებლობდნენ ჰაერით, სინათლით, თავისუფლებით და ახლა, დიდებულ ცხენებზე შემსხდარნი, თავისი მბრძანებლის გარეშო დაჯირითობდნენ, თოფებს ისროდნენ და ხმაშეწყობილად მღეროდნენ: „ლა ილაჰ ილ ალაჰ„.

აული რომ გაიარა, შამილი შევიდა დიდ ეზოში, რომლის უკანაც იყო შამილის სერალის ეზო. ორი შეიარაღებული ლეკი შემოეგება შამილის პირველი ეზოს გაღებულ აღიაყაფთან. ეს ეზო ხალხით იყო სავსე. აქ იყვნენ თავისი საქმეების გამო შორი

ადგილებიდან მოსული პირები, იყვნენ მთხოვნელებიც, იყვნენ შამილისაგან გასასამართლებლად და განაჩენის გამოსატანად დაბარებულებიც. როდესაც შამილი შევიდა ცხენით ეზოში, ყველანი, ვინც კი ეზოში იყო ადგნენ და მკერდზე ხელის მიდებათ მოწიწებით მიესალმენ იმამს. ზოგიერთები მუხლებზე დაეცნენ და ასე იდგნენ, სანამ შამილი ეზოს გაივლიდა ალაყაფის კარებიდან შიგნით კარებამდე. თუმცა შამილმა ამ დამხვდურ ხალხში იცნო ბევრი მისთვის უსიამოვნო პირი და მოსაწყენი მთხოვნელები, რომელნიც მზრუნველობას ითხოვდნენ, მაგრამ მაინც მუდამ გაქვავებული სახით ჩაუარა მათ და როდესაც შიგნითა ეზოში შევიდა, ჩამოხტა თავისი ბინის დერეფანთან, ჭიშკრიდან მარცხნივ. ლაშქრობაში დაძაბულობის შემდეგ,—იმდენად ფიზიკურისა არა, რამდენადაც სულიერისა, ვინაიდან შამილმა იცოდა, თუმცა თავის ლაშქრობას სიტყვიერად ცამარჯვებით დამთავრებულად აღიარებდა, რომ მას ლაშქრობა წაგებული ჰქონდა, რომ ჩეჩნების ბევრი აული დაწვეს და დაარბიეს, და მერყევი, მჩატე ხალხი, ჩეჩნები, უკვე ირყევიან და ზოგიერთები, რომელნიც უფრო ახლოს არიან რუსებთან უკვე მზად არიან რუსებისაკენ გადავიდნენ,—ყველაფერი ეს მძიმე იყო, მის წინააღმდეგ ზომები უნდა მიეღო, მაგრამ ამ წუთს შამილს არაფერზე არ უნდოდა ეფიქრა.

ახლა მას მარტო ერთი რამ უნდოდა: დასვენება და უსაყვარლესი ცოლის, 18 წლის შავთვალა და ფეხმარდი ქისტი ამინეტის ოჯახური ალერსის სიტკბოება, მაგრამ ახლა ამინეტის ნახვის შესახებ ფიქრიც არ შეიძლებოდა, თუმცა ის იქვე იყო, ყორეს იქით რომლითაც იყო შიგნითა ეზოში ცოლების ბინა მამაკაცთა განყოფილებისაგან გამოყოფილი (შამილი დარწმუნებული იყო, რომ ახლაც კი როცა ის ცხენიდან ხტებოდა, ამინეტი სხვა ცოლებთან ერთად ლობის ჭუჭრუტანიდან მას უცქერდა), არა თუ არ შეიძლებოდა მასთან წასვლა, არამედ არ შეიძლებოდა უპირველეს ყოვლისა ბალიშებზე წამოწოლილიყო და დაესვენა. საჭირო იყო შუადღის ნამაზის ასრულება, თუმცა ამის გუნებაზე სრულიადაც არ იყო, მაგრამ ამის შეუსრულებლობა არა თუ შეუძლებელი იყო მისთვის, როგორც ხალხის რელიგიური წინამძღოლისათვის, არამედ თვითონ მისთვისაც აუცილებელი იყო, როგორც ყოველდღიური საქმელი, და იგი განიბანა და ილოცა. ლოცვა რომ გააათავა, დაუძახა იმათ რომელნიც ელოდნენ.

პირველად მასთან შევიდა მისი სიმამრი და მასწავლებელი, ქაღალი, ჭალარა, კარგი შეხედულების მოხუცი, რომელსაც თოვლივით თეთრი წვერი და შეწითლებული სახე ჰქონდა.— ჯემალ-ედინი; მან ილოცა და დაუწყო შამილს ლაშქრობის ამბების

გამოკითხვა და თვითონაც უამბო, რაც მოხდა შეთებში შამილის იქ არ ყოფნის დროს.

ბევრს სხვა ამბავს შორის, რომელიც შეეხებოდა სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობას საქონლის ქურდობას, თარიქატის[1] კანონის გადადგომას: თლუთუნის წვეას, ღვინის სმას -- ჯემალ-ედინმა[2] უამბო შამილს, რომ ჰაჯი-მურატმა გამოგზავნა კაცები თავის ოჯახის რუსებთან გასაყვანად, მაგრამ ეს გამომჟღავდა და მისი ოჯახი ვედენოში იქნა გადმოყვანილი, სადაც ახლაც იმყოფება, ყარაული ჰყავს მიყენებული და უცდის იმამის განაჩენს. მეზობელ საყონაღოში შეკრებილი იყვნენ უხუცესები ამ საქმეების გასარჩევად, და ჯემალ ედინმა ურჩია შამილს დღესვე გაეთავისუფლებინა ეს ხალხი, რადგან ისინი მას უკვე სამი დღე ელოდებოდნენ.

როცა გაათავა სადილი, რომელიც შემოუტანა წკრილცხვირა, შავმა, უსიამოვნო სახის ცოლმა ზაიდეტმა რომელიც მას არ უყვარდა მაგრამ, რომელიც, უფროსი ცოლი იყო, შამილი გავი-

---

[1] თარიქატი — მუსულმანთა რელიგიური-ზნეობრივი მოძღვრება, რომელიც ქადაგებს ამ ქვეყნიურ სიამოვნებათაგან თავშეკავებაზე.

[2] ჯემალ-ედინი — ნაციონალურ-გამანთავისუფლებული მოძრაობის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დაღესტანსა და ჩეჩნეთში. შამილის უახლოესი მრჩეველი. ჯემალ-ედინმა საუკეთესოდ იცოდა მუსულმანთა რელიგიის წესები და იყო დიდი ფანატიკოსი.

და საყონალოში. ექვსი კაცი—რომელნიც შეადგენდნენ შამილ-ს საბჭოს, ჭალარა, ნაცრისფერი და წითური წვერებით, ჩალმებით და უჩალმოდ, მაღალი ფაფახებით და ახალი ახალუხებითა და ჩოხებით, რომელთაც ერტყათ ხანჯლიანი ქამრები — ადგა და მიეგება მას. შამილი მთელი თავით ყველაზე მაღალი მოჩანდა. მოხუცებმა ისე, როგორც შამილმა — ხელისგულები ზევით ასწიეს, თვალები დახუჭეს, ლოცვები წაიკითხეს, შემდეგ სახეზე ხელები ჩამოისვეს, წვერებზე ჩააყოლეს და ერთი ხელი მეორეს შეუერთეს, როცა გაათავეს ეს, ყველანი დასხდნენ; შამილი შუაში დაჯდა უფრო მაღალ ბალიშზე, და დაიწყეს ყველა მომავალი საქმის შესახებ ბჭობა.

ვისაც ბრალი ედებოდა ბოროტმოქმედების ჩადენაში, მათ შარიათის[1] კანონით სჯიდნენ: ორს, რომელთაც ქურდობა ბრალდებოდათ, ხელის მოჭრა მიუსაჯეს, ერთს — თავის მოკვეთა მკვლელობისათვის, სამს აპატიეს. შემდეგ უმთავრეს საქმეს შეუდგნენ: რუსების მხარეზე ჩეჩნების გადასვლის საწინააღმდეგო ზომების მიღების შესახებ დაიწყეს ფიქრი. ამ გადასვლის საწინააღმდეგოდ ჯემალ-ედინმა შემდეგი მიმართვა შეადგინა:

„გისურვებთ სამუდამო მშვიდობიანობას ყოვლის შემძლე ღმერთთან. მესმის, რომ რუსები გეალერ-

[1] შარიათი—მუსულმანთა წერილობითი კანონი.

სებიან თქვენ და დამორჩილებისაკენ მოგიწოდებენ. არ დაუჯეროთ მათ და არ დაემორჩილოთ, არამედ მოიიმინეთ. თუ ამისათვის ამ ცხოვრებაში არ იქნებით დაჯილდოებული, მაშინ სამაგიერო ჯილდოს მომავალ ცხოვრებაში მიიღებთ. მოიგონეთ, რა იყო წინათ, როცა იარაღს გართმევდნენ. მაშინ, 1840 წელს, ღმერთს რომ არ ჩაეგონებინა თქვენთვის, ახლა ჯარისკაცები იქნებოდით, თქვენი ცოლები კი უშარვლოდ ივლიდნენ და შეურაცხყოფილი იქნებოდნენ. წარსულით განსაჯეთ მომავალი. სჯობია რუსების მტრებად დაიხოცოთ, ვიდრე ურწმუნოებთან იცხოვროთ. მოითმინეთ, და მე ყურანითა და ხმლით მოვალ თქვენთან და წაგიყვანთ რუსების წინააღმდეგ. ახლა კი სასტიკად გიბრძანებთ, არა თუ არ განიზრახოთ, არამედ არც კი გაიფიქროთ დაემორჩილოთ რუსებს"

შამილმა მოიწონა ეს მიმართვა, ხელი მოაწერა და გადაწყვიტა დაეგზავნა.

ამ საქმეების შემდეგ იმსჯელეს ჰაჯი-მურატის საქმის შესახებ. ამ საქმეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შამილისათვის, თუმცა მას არ უნდოდა ამაში გამოტეხილიყო, — მან იცოდა, მასთან რომ ჰაჯი-მურატი ყოფილიყო თავისი სიმარდით, სიყოჩაღით, გამბედაობითა და ვაჟკაცობით, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა ახლა ჩეჩნეთში. კარგი იყო

ჰაჯი-მურატთან შერიგება და მისი გამოყენება; მაგრამ თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ არ უნდა მიეყვანათ საქმე იქამდე, რომ ის რუსებს მიხმარებოდა, ამიტომ ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო მისი გამოწვევა და გამოწვევის შემდეგ მოკვლა. საამისო საშუალება ის იყო, რომ ან უნდა მიეგზავნათ ისეთი კაცი, რომელიც მას ტფილისში მოკლავდა, ან გამოეწვიათ და აქ მოეკლათ. საშუალება ამისათვის ერთი იყო—მისი ოჯახი და, უმთავრესად, მისი შვილი, რომელიც, როგორც შამილმა იცოდა, ჰაჯი-მურატს გაგიჟებით უყვარდა. ამიტომ შვილის საშუალებით უნდა ემოქმედათ.

როცა მრჩეველებმა მოილაპარაკეს ამის შესახებ, შამილმა თვალები დახუჭა და გაჩუმდა.

მრჩეველებმა იცოდნენ, ეს რასაც ნიშნავდა — ახლა ის ისმენდა წინასწარმეტყველის ხმას, რომელიც მიუთითებდა, თუ რა უნდა ექნათ. ხუთი წუთის საზეიმო დუმილის შემდეგ შამილმა თვალები გაახილა, კიდევ უფრო მეტად მილულა და წარმოთქვა:

— მომიყვანეთ ჰაჯი-მურატის შვილი.

— ის აქ არის, — უპასუხა ჯემალ-ედინმა.

და მართლაც, იუსუფი, ჰაჯი-მურატის შვილი, გამხდარი, ფერმკრთალი, ჩამოხეული და აყროლებული, მაგრამ მაინც ლამაზი თავისი ტანითა და სახით,

რომელსაც ისეთივე შავი მწველი თვალები ჰქონდა, როგორც მის დიდედა ჰატიმატს, გარეთა ეზოს ჭიშკართან იდგა და ელოდა როდის დაუძახებდნენ.

იუსუფი არ იზიარებდა მამის განწყობილებას შამილის მიმართ. იმან არ იცოდა ყველაფერი, რაც იყო წარსულში, ან იცოდა, მაგრამ რადგან არ განეცადა, არ ესმოდა, რატომ ემტერებოდა მამამისი შამილს ასე დაჟინებით. იგი, მხოლოდ ერთი რამის მსურველი: განეგრძო ისე იოლად დროსტარებით ცხოვრება, როგორც ცხოვრობდა, ვით ნაიბის შვილი ხუნძახში, სრულიად არ თვლიდა საჭიროდ შამილის მტრობას. მამის საწინააღმდეგოდ, ის განსაკუთრებით იყო მოხიბლული შამილით და აღტაცებული სცემდა მას თაყვანს, მთაში კი შამილის ასე თაყვანისცემა გავრცელებული იყო. ახლა ის მეტისმეტი მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობით აღსავსე შევიდა იმამთან საყონაღოში და როდესაც კარებთან გაჩერდა, დაინახა, რომ შამილს თვალი მიელულა და შეუპოვრად მისჩერებოდა მას. ის ერთხანს იდგა, შემდეგ მიუახლოვდა შამილს და აკოცა გრძელთითებიან თეთრ ხელზე.

— შენა ხარ ჰაჯი-მურატის შვილი?

— მე ვარ, იმამო.

— იცი, რა ჰქნა მამაშენმა?

— ვიცი, იმამო, და ვწუხვარ.

— წერა იცი?

— მე ვემზადებოდი, რომ მოლა გავიხდარვიყავ.

— მაშ მისწერე მამას, რომ თუ ჩემთან გადმოვა ახლა, ბაირამამდე,[1] მე მივუტევებ მას, და ყველაფერი ძველებურად იქნება; თუ არ გადმოვა და რუსებთან დარჩება, მაშინ — შამილი სასტიკად მოიღუშა — შენს დიდედას, შენს დედას აულებში სათრევად მივცემ და შენც თავს მოგკვეთ.

იუსუფის სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებულა. მან თავი ძირს დაღუნა, ნიშნად იმისა, რომ გაიგო შამილის სიტყვები.

— ასე დასწერე და მიეცი ჩემს ელჩს.

შამილი გაჩუმდა და დიდხანს მისჩერებოდა იუსუფს.

— მისწერე, რომ შემეცოდე და კი არ მოგკლავ, თვალებს დაგთხრი, როგორც ყველა მოღალატეს ვექცევი. წადი.

იუსუფი შამილთან დაწყნარებული ჩანდა, მაგრამ საყონაღოდან რომ გაიყვანეს, ის ეცა თავის მხლებელს, ამოაძრო ქარქაშიდან ხანჯალი და უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ ხელები დაუჭირეს, შეკრეს და ისევ ორმოში ჩააგდეს.

ამ საღამოს, როცა საღამოს ლოცვა გათავდა და დაბინდდა, შამილმა ჩაიცვა თეთრი ქურქი და ლობის

[1] ბაირამი—მუსულმანთა დღესასწაული.

იქით გავიდა ეზოს იმ ნაწილში, სადაც მისი ცოლები იმყოფებოდნენ, და ამინეტის ოთახს მიაშურა. მაგრამ ამინეტი იქ არ იყო. ის უფროს ცოლებთან იყო. მაშინ შამილი, ცდილობდა რა, რომ არ შეემჩნიათ, ოთახის კარს უკან გაჩერდა და დაუწყო ამინეტს ლოდინი. მაგრამ ამინეტი შამილზე გულმოსული იყო, რადგან მან აბრეშუმის ქსოვილი ზაიდეტს აჩუქა და არა მას მან დაინახა, როგორ გამოვიდა შამილი სახლიდან, როგორ შევიდა მის ოთახში და ეძებდა მას, და განზრახ არ წავიდა თავის ოთახში. დიდხანს იდგა ის ზაიდეტის ოთახის კართან, წყნარად იცინოდა და უცქერდა შამილის თეთრ ფიგურას, რომელიც ხან შედიოდა მის ოთახში და ხან გამოდიოდა. ამაოდ უცადა შამილმა ამინეტს და მერე დაბრუნდა თავის სახლში, როდესაც შუალამის ლოცვა მოახლოებული იყო.

თავი მეოცე

ჰაჯი-მურატი ერთი კვირა ცხოვრობდა ციხე-სიმაგრეში ივან მატვეევიჩის სახლში. მიუხედავად იმისა, რომ მარია დმიტრიევნა ეჩხუბებოდა ბანჯგვლიან ხანეფის (ჰაჯი-მურატმა თან მხოლოდ ორი კაცი წაიყვანა—ხანეფი და ელდარი) და ერთხელ სამზარეულოდანაც კი გამოაგდო, რადგან მან კინალამ მოჰკლა იგი ხანჯლით, მარია დმიტრიევნა, როგორც,

ეტყობოდა, განსაკუთრებული პატივისცემითა და სიმპათიურად უკქერ და ჰაჯი-მურატს. მას ახლა აღარ შეჰქონდა ჰაჯი-მურატთან საუბელი, ეს ელდარს მიანდო, მაგრამ ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რომ ენახა ჰაჯი-მურატი და, რამე ესიამოვნებინა. ბარია დმიტრიევნა მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჰაჯი-მურატის ოჯახის შესახებ მოლაპარაკების წარმოებაში, იცოდა, რამდენი ცოლი ჰყავს, რამდენი ბავშვი, რა ხნის, და ყოველთვის, მსტოვარების მოსვლის შემდეგ, დაკითხავდა, ვისი დუკითხვაც კი შეეძლო, მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

ბუტლერი კი ამ ერთ კვირაში სულ დაუმეგობრდა ჰაჯი-მურატს. ხანდახან ჰაჯი-მურატი შედიოდა მის ოთახში, ხან კი ბუტლერი მიდიოდა ჰაჯი-მურატთან. ხანდახან ისინი თარჯიმნის მეოხებით ებაასებოდნენ ერთმანეთს, ხან კი საკუთარი საშუალებებით, ნიშნებით და, უმთავრესად, ღიმილით. ჰაჯი-მურატს, როგორც ეტყობოდა, შეუყვარდა ბუტლერი, ეს ჩანდა ელდარის ბუტლერისადმი შოპყრობაში. როდესაც ბუტლერი შევიდოდა ჰაჯი-მურატის ოთახში, ელდარი სიხარულით შეხვდებოდა, თავის მოელვარე კბილებს გამოაჩენდა, ხელად ბალიშებს დაუდებდა დასაჯდომად და ხმალს ჩამოართმევდა, თუ მას ხმალი ეკიდა.

ბუტლერი გაეცნო და დაუმეგობრდა აგრეთვე ბანჯგვლიან ხანეფის, ჰაჯი-მურატის ძმადნაფიცს. ხანეფიმ ბევრი მეიულური სიმღერა იცოდა და კარგადაც მღეროდა. ბუტლერისათვის რომ ესიამოვნებინა, ჰაჯი-მურატი დაუძახებდა ხოლმე ხანეფის და უბრძანებდა ემღერა, თანაც დაუსახელებდა იმ სიმღერებს, რომლებიც მისი აზრით, კარგი იყო. ხანეფის მაღალი ტენორი ჰქონდა და მეტისმეტად გარკვევითა და გრძნობით მღეროდა. ერთი სიმღერა განსაკუთრებით მოსწონდა ჰაჯი-მურატს, და ბუტლერი მან გააკვირვა თავისი სევდიანი მოტივით. ბუტლერმა სთხოვა თარჯიმანს გადმოეცა მისი შინაარსი.

სიმღერა ეხებოდა სისხლის აღებას, სწორედ იმას რაც ხანეფსა და ჰაჯი-მურატს შორის იყო.

ეს სიმღერა ასეთი იყო:

„ჩემს საფლავზე მიწა გახმება, და შენც დაგავიწყდები, ჩემო მშობელო დედა. საფლავზე სამარის ბალახი ამოვა, ბალახი ჩაახშობს შენს სევდას, ჩემო მოხუცო მამა. ჩემი დის თვალებზე ცრემლები გაშრება, და მწუხარებაც გაქრინდება მისი გულიდან.

„მაგრამ არ დამივიწყებ შენ, ჩემო უფროსო ძმაო, სანამ ჩემი სიკვდილისათვის შურს არ იძიებ. არ დაგავიწყდები შენც ჩემო მეორე ძმაო, სანამ ჩემს გვერდით თვითონ არ დაწვები.

„ცხელი ხარ, ტყვიავ, და სიკვდილი მოგაქვს, მაგრამ შენ არ იყავი ჩემი ერთგული მონა?.. შავო მიწა, შენ დამფარავ, მაგრამ ცხენით განა მე არ გთელავდი? ცივი ხარ, სიკვდილო, მაგრამ მე ვიყავ შენი ბატონი. ჩემ სხეულს მიწა წაიღებს, ჩემს სულს ზეცა ჩაიბარებს“.

ჰაჯი-მურატი ყოველთვის დახუჭული თვალებით ისმენდა ამ სიმღერას და როცა ის გაჭიანურებული, თანდათან მოსუსტებული ნოტით თავდებოდა, ყოველთვის ამბობდა რუსულად:

— კარგი სიმღერა, ჭკვიანი სიმღერა. ბუტლერი ჰაჯი-მურატის მოსვლისა და მასთან და მის მიურიდებთან დაახლოვების შემდეგ კიდევ უფრო გაიტაცა. განსაკუთრებული, ენერგიული მთიულური ცხოვრების პოეზიამ. მან იყიდა ახალოხი, ჩოხა, პაჭიჭები. მას ეგონა, რომ თვითონაც მთიულია და ისევე ცხოვრობს, როგორც ეს ხალხი.

ჰაჯი-მურატის წასვლის დღეს ივან მატვეევიჩმა შეკრიბა რამდენიმე ოფიცერი მის გასაცილებლად. ზოგი ოფიცერი ჩაის მაგიდასთან იჯდა, სადაც მარია დმიტრიევნა ჩაის ასხამდა, ზოგი მეორე მაგიდასთან, სადაც იყო არაყი, ჩიხირი და საუზმე, როცა ჰაჯი-მურატი, სამგზავროდ ჩაცმული, ბსუბუქი ნაბიჯით, კოჭლობით შემოვიდა ოთახში.

ყველანი ადგნენ და რიგ-რიგობით ხელი ჩამოართვეს. ივან მატვეევიჩმა სთხოვა ტახტზე დამჯდა-

რიყო, მაგრამ ჰაჯი-მურატმა მადლობა გადაუხადა და ფანჯარასთან დაჯდა სკამზე. ის სიჩუმე, რომელიც გამეფდა, როდესაც ის შემოვიდა, როგორც ეტყობოდა, მას სრულიად არ აბნევდა. მან ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ყველა და გულგრილად დააცქერდა მაგიდას, სადაც სამოვარი იდგა და საუზმე ელაგა. ცქვიტი ოფიცერი პეტროკოვსკი, რომელიც პირველად ხედავდა ჰაჯი-მურატს, თარჯიმნის საშუალებით შეეკითხა მას მოგეწონა ტფილისი თუ არაო.

— აია თქვა მან.

— ეს ამბობს: კი — თქვა თარჯიმანმა.

— მაინც რა მოეწონა?

ჰაჯი-მურატმა რაღაც უპასუხა.

— ყველაზე უფრო თეატრი მოეწონა.

— მთავარსარდლის ბალი მოეწონა?

ჰაჯი-მურატი მოიღუშა.

— ყოველ ხალხს თავისი ზნე-ჩვეულება აქვს. ჩვენი ქალები ასე არ იცვამენ, — თქვა მან და მარია დმიტრიევნას შეხედა.

— მერე, არ მოეწონა?

— ჩვენ ანდაზა გვაქვს, — უთხრა მან თარჯიმანს: ძაღლი ვირს ხორცს აჭმევდა, ვირი ძაღლს თივას — და ორივე მშიერი დარჩაო. — მან გაიღიმა. — ყოველი ხალხისათვის თავისი ზნე-ჩვეულებაა კარგი.

ამის შემდეგ ლაპარაკი არ გაიბა. ზოგმა ოფიცერმა ჩაის სმა დაიწყო, ზოგმა საუზმობა. ჰაჯი-მურატმა აიღო მოწოდებული ჭიქა ჩაი და წინ დაიდო.

— ნაღებს, ფუნთუშს არ მიირთმევთ? — თქვა მარია დმიტრიევნამ და მიაწოდა. ჰაჯი-მურატმა თავი დაღუნა.

— მაშ მშვიდობით! — უთხრა ბუტლერმა და მუხლზე შეეხო. — როდის ვნახავთ ერთმანეთს?

— მშვიდობით, მშვიდობით, — ღიმილით უპასუხა ჰაჯი-მურატმა რუსულად.

— ყონაღ ბულუურ. შენი ყონაღი ძალიან ვარ, დროა აიდა, წავიდე, — თქვა მან და თავი შეიქნია თითქოს იმ მიმართულებისაკენ, საითაც უნდა წასულიყო.

ოთახის კარებში გამოჩნდა ელდარი, მხარზე დიდი თეთრი რაღაც ჰქონდა გადადებული და ხელში ხმალი ეჭირა, ჰაჯი-მურატმა ხელით მოიხმო, და ელდარიც მიუახლოვდა თავისი დიდი ნაბიჯით და გადასცა თეთრი ნაბადი და ხმალი. ჰაჯი-მურატი ადგა, გამოართვა ნაბადი, ხელზე გადაიგდო და მერე მიაწოდა მარია დმიტრიევნას, თანაც რაღაცა უთხრა თარჯიმანს. თარჯიმანმა თქვა:

— ეს ამბობს, — შენ ნაბადი აქე, მიირთვიო.

— რა საჭიროა ეს? — თქვა მარია დმიტრიევნამ და გაწითლდა.

— ასეა საჭირო. ასეთი ადათი გვაქვს,—თქვა ჰაჯი-მურატმა.

— მაშ გმადლობთ, —თქვა მარია დმიტრიევნამ და აიღო ნაბადი.— ღმერთმან ხელი მოგიმართოთ და შვილი დაიხსნათ, -დაუმატა მან.—ულან იახში, — თქვა მან, გადაეცით მაგას, რომ ვუსურვებ ოჯახის დახსნას.

ჰაჯი-მურატმა შეხედა მარია დმიტრიევნას და სიამოვნების ნიშნად თავი დაუქნია. მერე გამოართვა ელდარს ხმალი და ივან მატვეევიჩს გაუწოდა. ივან მატვეევიჩმა აიღო ხმალი და თარჯიმანს უთხრა:

—უთხარი, რომ ჩემი ქურანა ცხენი წაიყვანოს, სხვა არაფერი მაქვს, რომ სამაგიეროდ ვაჩუქო.

ჰაჯი-მურატმა სახის წინ გაიქნია ხელი და ამით ანიშნა, არაფერი არ მინდა და არ წავიყვანო, მერე მიუთითა მთებზე, თავის გულზე და წავიდა გასასვლელისაკენ. ყველანი უკან გაჰყვნენ... ოთახებში დარჩენილმა ოფიცრებმა ამოიღეს ხმალი, გასინჯეს პირი და გადაწყვიტეს ნამდვილი გურდაანი.

ბუტლერი გაჰყვა ჰაჯი-მურატის პარმაღზე მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა და რაც შეიძლება ჰაჯი-მურატის სიკვდილით გათავებულიყო, თუ მას არ გამოეჩინა თავისი მიხვედრილობა, სიმტკიცე და მოთმინებულობა.

კუმიკის აულის ტალია-კაჩუს მცხოვრებლებმა, რომელნიც დიდის პატივისცემით იყვნენ გამსჭვა-

ლული ჰაჯი-მურატის მიმართ და ბევრჯერ მოვიდნენ ციხე-სიმაგრეში, რომ მხოლოდ შეეხედათ სახელგანთქმული ნაიბისათვის, ჰაჯი-მურატს გამგზავრებამდე სამი დღით ადრე მიელგზავნეს ელჩები და სთხოვეს პარასკევს მათ მეჩეთში მისულიყო. კუმიკის თავადებმა კი, რომელნიც ტალია-კაჩუში ცხოვრობდნენ და ეზიზღებოდათ ჰაჯი-მურატი, რადგან მათი სიახლე ემართა, როცა ეს გაიგეს, ხალხს გამოუცხადეს ჰაჯი-მურატს მეჩეთში არ შეუშვებთო. ხალხი აღელდა და ატყდა ჩხუბი ხალხსა და თავადების მომხრეებს შორის. რუსის მთავრობამ დააწყნარა მთიულები და ჰაჯი-მურატს შეუთვალა მეჩეთში არ მისულიყო. ჰაჯი-მურატი არ წავიდა, და ყველას ეგონა, რომ საქმე ამით გათავდა.

მაგრამ სწორედ იმ წუთს, როდესაც ჰაჯი-მურატი წასვლას აპირებდა, როდესაც ის პარმაღზე გავიდა, შეკაზმული ცხენები კი შესასვლელთან ელოდა, ივან მატვეევიჩის სახლთან ცხენით მოვიდა ივან მატვეევიჩისა და ბუტლერის ნაცნობი კუმისელი თავადი არსლან-ხანი.

როდესაც ჰაჯი-მურატი დაინახა, მან ქამრიდან ამოიძრო დამბაჩა და დაუმიზნა ჰაჯი-მურატს. მაგრამ ვერ მოასწრო არსლან-ხანმა გასროლა, რომ ჰაჯი-მურატი, მიუხედავად თავისი სიკოჭლისა, როგორც კატა, უცბად გადახტა პარმაღიდან და ეცა არსლან-

ხანს. არსლამ-ხანმა ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა. ჰაჯი-მურატმა, როდესაც კი მიირბინა მასთან, ცალი ხელი წაავლო მის ცხენის აღვირს, მეორე ხელით ხანჯალი იძრო და რაღაც შეჰყვირა მას თათრულად.

ბუტლერი და ელდარი ერთსადაიმავე დროს მივარდნენ მოსისხლე მტრებთან და ხელები დაუჭირეს. სროლის ხმაზე ივან მატვეევიჩიც გამოვიდა.

— ეს რა ამბავია არსლან, ჩემ სახლში ასეთ სისაძაგლეს სჩადიხარ?—თქვა მან, როდესაც გაიგო როგორც იყო საქმე.—კარგი არ არის, ძმობილო, მინდვრად ჰო, მაგრამ ჩემ სახლში რა საჭიროა ასეთი ჩეხვა-კეპა.

არსლან-ხანი პატარა შავულვაშა კაცი, გაფითრებული და აცახცახებული ჩამოვიდა ცხენიდან, ბოროტად გადახედა ჰაჯი-მურატს და წაჰყვა ივან მატვეევიჩს სახლში. ჰაჯი-მურატი კი ცხენებთან დაბრუნდა, მძიმედ სუნთქავდა და ილიმებოდა.

— რატომ უნდოდა იმას მაგის მოკვლა? —ჰკითხა თარჯიმანს ბუტლერმა.

— ეს ამბობს, ჩვენ ასეთი კანონი გვაქვსო,— გადათარგმნა თარჯიმანმა ჰაჯი-მურატის სიტყვები.— არსლან-ხანმა სისხლი უნდა იძიოს,- აი ამიტომაც უნდოდა მოკვლა.

— გზაში რომ დაეწიოს, მერე?—იკითხა ბუტლერმა.

ჰაჯი-მურატმა გაიღიმა.

— რა ვუყოთ, — თუ ნომკლავს, მაშასადამე, ალაჰს ასე უნდა. აბა, მშვიდობით, — თქვა მან კიდევ რუსულად, ცხენის ფაფარს მოჰკიდა ხელი, ყველა გამცილებელს მიმოავლო თვალი და ალერსიანად შეხედა მარია დმიტრიევნას.

ჰაჯი-მურატი მიბრუნდა მარია დმიტრიევნასაკენ და უთხრა:

— მშვიდობით, დედილო. გმადლობთ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, რომ ოჯახი გამოგეხსნათ, — გაუმეორა მარია დმიტრიევნამ.

ჰაჯი-მურატმა ვერ გაიგო სიტყვები, მაგრამ მიხვდა მის თანაგრძობას და თავი დაუქნია.

— იცოდე, არ დაივიწყო ყონაღი, — უთხრა ბუტლერმა.

— უთხარი, რომ მაგის ერთგული მეგობარი ვარ, არასოდეს არ დავივიწყებ, — უპასუხა მან თარჯიმანის პირით და, მიუხედავად თავისი კოჭლი ფეხისა, როგორც კი დააკარა ფეხი ავჟანდს, სწრაფად და მსუბუქად აიტანა თავისი ტანი მაღალ ჟნაგირზე, ნაჩვევი მოძრაობით მოსინჯა დამბაჩა, გაისწორა ხმალი და იმ განსაკუთრებული, ამაყი, ერთადერთი გამომეტყველებით, როგორც ზის მთიული ცხენზე, გაშორდა ივან მატვეევიჩის სახლს. ხანეფი და ელ-

დარიც შესხდნენ ცხენებზე, მეგობრულად დაემშვიდობნენ მასპინძლებსა და ოფიცრებს და ჩორთით გაჰყვნენ თავის მიურიდს.

როგორც ყოველთვის, ახლაც შეიქნა ლაპარაკი წასულის შესახებ.

— ყოჩაღ! მგელივით არ მივარდა ასლან-ხანს! სახე სულ გამოეცვალა.

— მოგვატყუებს კი, ეტყობა, ძალიან თაღლითი ვინმეა, — თქვა პეტროკოვსკიმ.

— ღმერთმა ქმნას და ბევრი იყოს რუსებში მაგისთანა თაღლითი, — ჩაერია უცებ ლაპარაკში ნაწყენი მარია დმიტრიევნა. — ერთი კვირა იცხოვრა ჩემთან და კარგის მეტი მაგისაგან არაფერი გვახსოვს, — დაუმატა მან. - ზრდილი, ჭკვიანი, სიმართლის მოყვარული.

— თქვენ საიდან იცით ყოველივე ეს?

— ვიცი, გავიგე.

— შეჰყვარებია, — თქვა შემოსულმა ივან მატვეევიჩმა — ეს ცხადია.

— ჰოდა შემიყვარდა. მერე, თქვენ რა გნებავთ? რათ აძაგებთ, როცა კარგი კაცია. ათათარია მაგრამ კარგია.

— მართალია მარია დმიტრიევნა — თქვა ბუტლერმა — ყოჩაღ, რომ გამოექომაგეთ.

თავი ოცდაპირველი

ჩეჩნეთის ხაზზე მოწინავე ციხე-სიმაგრეებში მყოფთა ცხოვრება ძველებურად მიდიოდა. სულ ორჯერ იყო მას შემდეგ განგაში, რაზეც გამოცვივდნენ ასეულები და მილიციონერებიც დააჭენებდნენ ცხენებს, მაგრამ მთიულები ვერცერთხელ ვერ შეაჩერეს: ისინი წავიდნენ, და ერთხელ ვოზდვიჟენსკოედან ყაზახების ცხრა ცხენი გამოირეკეს წყლის დასალევინებელი ადგილიდან და ერთი ყაზახიც მოჰკლეს. უკანასკნელი თარეშის შემდეგ, როდესაც აული დაარბიეს, სათარეშოდ აღარ წასულან. ახლა ელოდნენ დიდ ექსპედიციას დიდ ჩეჩნეთში, ვინაიდან მარცხენა ფლანგზე ახალი უფროსი დანიშნეს, თავადი ბარიატინსკი.

თავადმა ბარიატინსკიმ, ტახტის მემკვიდრის მეგობარმა, ყაბარდოს ლეგიონის ყოფილმა მეთაურმა, ახლა, როგორც მთელი მარცხენა ფლანგის უფროსმა, როგორც კი მოვიდა გროზნოში, შეკრიბა რაზმი, რომ გაეგრძელებია ხელმწიფის ის, გეგმა, რომლის შესახებაც წერდა ჩერნიშოვი ვორონცოვს. ვოზდვიჟენსკოეს ციხე-სიმაგრეში შეკრებილი რაზმი ციხიდან პოზიციებზე გავიდა კურინსკის მიმართულებით. იქ იდგნენ ჯარები და ტყეს კაფავდნენ. ახალგაზრდა ვორონცოვი მაუდის მშვენიერ კარავში

ცხოვრობდა და მისი ცოლი, მარია ვასილიევნა, მოდიოდა ბანაკში და ხშირად ღამესაც ათევდა.

არავისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას ბარიატინსკის[1] დამოკიდებულება მარია ვასილიევნასთან, და ამიტომ ის ოფიცრები, რომლებიც კართან არ იყვნენ დაახლოვებული, დაჯარისკაცები უხეშად აგინებდნენ მას, რადგან მისი იქ ყოფნის გამო მათ ღამით საყუჩში გზავნიდნენ. მთიულები, ჩვეულებრივ, ახლოს მოაგორებდნენ ზარბაზნებს და ბანაკს ყუმბარებს უშენდნენ. ყუმბარები უმეტეს შემთხვევაში არ ხვდებოდა მიზანში და ამიტომ ჩვეულებრივ დროს მათ წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებდნენ; მაგრამ იმისათვის, რომ მთიულებს ზარბაზნები არ მოეტანათ და მარია ვასილიევნა არ შეეშინებინათ, საყუჩებს გზავნიდნენ. ყოველ ღამე საყუჩში წასვლა იმიტომ, რომ ქალბატონს არ შეშინებოდა, შეურაცხმყოფელი და საზიზღარი იყო, და ამიტომ მარია ვასილიევნას ცუდი სიტყვებით ამკობდნენ ჯარისკაცები და ის ოფიცრები, რომელნიც მაღალ წრეში არ იყვნენ მიღებული.

---

[1] ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815—1879) კავკასიის მთავარმართებელი და ფელდმარშალი. კავკასიაში სამხედრო სამსახური დაიწყო 1835 წ. იბრძოდა უმთავრესად ჩეჩნეთში 1856 წ. დაინიშნა კავკასიის ჯარების სარდლისა და მეფის ნაცვლის თანამდებობაზე. მის დროს იქნა დაპყრობილი სრულიად დაღესტანი და ჩეჩნეთი. 1859 წ. მან დაატყვევა შამილი ჩეჩნეთში. კავკასიაში იმყოფებოდა 1862 წლამდის, გარდაიცვალა ჟენევაში 1879 წ.

ამ რაზმში, რომ ენახა თავისი ამხანაგები პაჟების კორპუსიდან[1] და კურინის ლეგიონში[2] მასთან ერთად ნამსახური ოფიცრები, ახლა რომ ადუტანტებად და თანამხლებლებად იყვნენ, მოვიდა ბუტლერი, როდესაც შვებულება მისცეს. მოსვლის დღიდანვე ძალიან მხიარულობდა იგი. ის პოლტორაცკის კარავში დაბინავდა. იქ ბევრი ამხანაგიც ნახა, რომელნიც სიხარულით შეხვდნენ. ის წავიდა ვორონცოვთან, რომელსაც ცოტათი იცნობდა, ვინაიდან, ერთ დროს მასთან ერთად ერთ ლეგიონში მსახურობდა. ვორონცოვმა ძალიან ალერსიანად მიიღო, გააცნო თავად ბარიატისკის, და დაპატიჟა გამოსათხოვარ სადილზე, რომელსაც უმართავდა გენერალი კოზლოვსკის, რომელიც იყო ბარიატინსკის დანიშვნამდე ამ მარცხენა ფლანგის უფროსი.

დიდებული სადილი იყო. მოიტანეს და დადგეს მთელი რიგი კარვები. მთელ მათ სიგრძეზე გაიშალა სუფრა. სუფრაზე დადგმული იყო სასადილო მოწყობილობა და ბოთლები. ყველაფერი მიაგავდა პეტერბურგში გვარდიაში ცხოვრებას. ორ საათზე დასხდნენ სუფრაზე. სუფრის შუაში ისხდნენ ერთ

---

[1] სამხედრო სასწავლებელი მეფის დროინდელ რუსეთში.

[2] კურინის ლეგიონი არსებობდა 1802 წლიდან. ერთ დროს ის იწოდებოდა სევასტაპოლის პოლკად, შემდეგ თავად ვორონცოვის ეგერთა ლეგიონად 40-50 წლებში ეს პოლკი იბრძოდა დაღესტანისა და ჩეჩნეთის დასაპყრობად.

მხარეზე კოზლოვსკი, მეორეზე — ბარიატინსკი. კოზლოვსკის მარჯვნივ იჯდა ვორონცოვი, მარცხვნივ — ვორონცოვის ცოლი. მთელ სიგრძეზე ორივე მხრივ ისხდნენ ყაბარდოს და კურინის ლეგიონების ოფიცრები.

ბუტლერი პოლტორაცკის გვერდით იჯდა, ორივე მხიარულად მასლაათობდა და სვამდნენ მეხობელ ოფიცრებთან ერთად. როდესაც საქმე შემწვარ კერძამდე მივიდა, დენშჩიკებმა დაიწყეს ჭიქების ავსება შამპანურით. პოლტორაცკიმ გულწრფელი შიშითა და შეცოდებით უთხრა ბუტლერს:

— თავი მოეჭრება ჩვენს „როგორცს".

— რა არის?

— მაგან ხომ სიტყვა უნდა თქვას, და რა სიტყვის თქმა შეუძლია?

— ჰო ჩემო ძმაო, ეს ტყვიების ზუზუნის დროს სიმაგრის აღება როდია. თანაც გვერდით ბანოვანი უზის და კართან დაახლოებული ბატონები. სწორედ საცოდაობაა მაგის მზერა, — ეუბნებოდნენ ერთმანეთს ოფიცრები.

მაგრამ დადგა საზეიმო წუთი. ბარიატინსკი ადგა, აიღო ჭიქა და მიმართა კოზლოვსკის მოკლე სიტყვით. როდესაც ბარიატინსკიმ დაასრულა, ადგა კოზლოვსკი და საკმაოდ მტკიცე ხმით დაიწყო:

— მისი უდიდებულესობის უმაღლესი ნებით, როგორც, მე თქვენგან მივდივარ, გშორდებით, ბა-

ტონო ოფიცრებო, — თქვა მან. — მაგრამ ყოველთვის, როგორც, თქვენთან მყოფად მიგულეთ... თქვენ, ბატონებო იცნობთ, როგორც, ჭეშმარიტებას — ერთი კაცი მინდვრად მებრძოლი არ არისო. ამიტომ ყველაფერი, როგორც, ჩემი სამსახურში დაჯილდოვება, როგორც, ყველაფერი, რითაც ვარ ავსებული ხელმწიფე იმპერატორის დიდი მოწყალებით, როგორც მთელი ჩემი მდგომარეობა, როგორც, და კეთილი სახელი, ყველაფერი, სულ ყველაფერი, როგორც... — აქ ხმა აუკანკალდა, — როგორც, ეს ყველაფერი მხოლოდ თქვენი წყალობითაა ჩემო მეგობრებო! — და ნაოჭებიანი სახე კიდევ უფრო დაუნაოჭდა. მას გული აუჩუქდა და თვალებზე ცრემლები მოადგა. — გულწრფელად გწირავთ, როგორც, ჩემს ნამდვილ, გულის სიღრმიდან მოძღვნილ მადლობას...

კოზლოვსკიმ ველარ შეძლო მეტი ლაპარაკი, ადგა და გადაეხვია ოფიცრებს.

კნეინამ სახე ცხვირსახოცით დაიფარა. თავად სემიონ მიხაილოვიჩს პირი მოეგრიხა და თვალებს აპარპალებდა. ოფიცერიც აცრემლდა. ბუტლერი, რომელიც ძალიან ნაკლებად იცნობდა კოზლოვსკის, ვერ იკავებდა ცრემლებს. ყველაფერი ეს მას მეტის მეტად მოსწონდა. შემდეგ დაიწყეს ბარიატინსკის, ვორონცოვის, ოფიცრების, ჯარისკაცების სადღეგრ-

ძელოების სმა, და სტუმრები აიშალენ სუფრიდან, დამთვრალ ნი როგორც დალეული ღვინით, ისე სამ-ხედრო აღტაცებით, რომლისადმი მიდრეკილება ისე-დაც ეანსაკუთრებით ჰქონდათ.

მშვენიერი დარი იდგა, მზიანი, მშვიდი; ჰაერი სუფთა აღმატყინებელი იყო. ყოველი მხრით ტკაცუ-ნობდა კოკონები, ისმოდა სიმღერა. თითქოს ყვე-ლა რაღაცას დღესასწაულობდა. ბუტლერი მეტის მეტად ბედნიერად გრძნობდა თავს, მშვენიერ გუ-ნებაზე იყო და წავიდა პოლტორაცკისთან. პოლ-ტორაცკისთან თავი მოიყარეს ოფიცრებმა, მოაწყეს ბანქოს სათამაშო მაგიდა, და ადუტანტმა ასი მანე-ნეთი ჩადო ბანკში. ორჯერ-სამჯერ გავიდა ბუტ-ლერი კარავიდან, შარვლის ჯიბეში ხელით ეჭირა თავისი საფულე, მაგრამ ბოლოს ვერ მოითბინა და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ჰქონდა თავისი თა-ვისა და ძმებისათვის მიცემული, რომ ბანქოს არ ითამაშებდა, მაინც დაიწყო პონტიორობა.

ერთი საათიც არ გასულა. რომ ბუტლერი, მთლად ერთიან გაწითლებული, გაოფლიანებული, ცარცით გასვრილი იჯდა, მაგიდას დაჰყრდნობოდა ორივე ხელით და კუთხეებში და ტრანსპორტებში გადალუნული სათამაშო ქაღალდს ქვეშ აწერდა ბან-ქოში მის მიერ გამოცხადებული ფულის რაოდენო-ბას. მან იმდენი წააგო, რომ ეშინოდა დათვლა,

რამდენი იყო მასზე დაწერილი. მან დაუთვლელადაც იცოდა: რომ მიეცა მთელი თავისი ჯამაგირი, რომლის წინასწარ აღება შეეძლო, და თავისი ცხენის ფასი, მაინც ვერ შეძლებდა იმის გადახდას, რაც დააწერა მას უცნობმა ადუტანტმა. ის კიდევ ითამაშებდა. მაგრამ ადუტანტმა კუშტი ვაძრომეტ-ყვეტლებით დააწყო თავისი თეთრი, სუფთა ხელებით სათამაშო—ქაღალდი და დაიწყო ბუტლერის ჩანაწერთა ცარცის სვეტის დათვლა. ბუტლერმა დარცხვენით სთხოვა ეპატიებია მისთვის, რომ ამჟამად არ ძალუძს სულ გადაიხადოს რაც წააგო, უთხრა —შინიდან გამოგიგზავნიო, და როდესაც თქვა, მან შეატყო, რომ ყველას შეეცოდა იგი, და რომ ყველა, თვითონ პოლტორაცკიც კი, არიდებდა მას თვალს. ეს მისი უკანასკნელი საღამო იყო. საკმაო იყო კი არ მეღამაშნა, ვორონცოვებთან წავსულიყავ, სადაც მიმიპატიჟეს, და ყველაფერი კარგად იქნებოდა,—ფიქრობდა იგი. ახლა კი არა თუ კარგი არ იყო, ეს საშინელება იყო.

ის გამოემშვიდობა ამხანაგებსა და ნაცნობებს, წავიდა შინ და, როდესაც მივიდა, იმ წუთსვე დაწვა დასაძინებლად და თვრამეტი საათი ეძინა განუწყვეტლივ, როგორც სძინავთ ხოლმე ჩვეულებრივ, წაგების შემდეგ. მარია დმიტრიევნა იმის მეოხებით, რომ მან ათი შაური სთხოვა გამყოლ ჯაზახის და-

სასაჩუქრებლად, აგრეთვე იმით, რომ ის მოწყენილი იყო და მოკლე-მოკლე პასუხს იძლეოდა, — მიხვდა, რომ მას წაგებული ჰქონდა, და დაეტაკა ივან მატვეევიჩს — რათ გაუშვიო.

მეორე დღეს რომ გაიღვიძა პუტლერმა, უკვე მეთორმეტე საათი იყო დაწყებული და, როდესაც გაახსენდა თავისი მდგომარეობა, უნდოდა კიდევ ჩაეყურყუმალავა იმ დავიწყებაში, რომელსაც ეს-ეს არის დააღწია თავი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ზომების მიღება იმ 470 მანეთის გადასახდელად, უცნობი კაცის ვალი რომ დაედო. ერთერთი ზომა ის იყო, რომ ძმას მისწერა წერილი, რომელშიც ინანიებდა თავის შეცოდებას და ემუდარებოდა უკანასკნელად გამოეგზავნა 500 მანეთი იმ წისქვილის ანგარიშში, რომელსაც ისინი ჯერ კიდევ ერთად ფლობდნენ. შემდეგ მისწერა თავის ძუნწ ნათესავ ქალს და სთხოვდა მიეცა მისთვის, რაგვარი სარგებლითაც გინდა, იგივე 500 მანეთი, შემდეგ წავიდა ივან მატვეევიჩთან, ვინაიდან იცოდა, რომ მას, უფრო კი მარია დმიტრიევნას, ჰქონდა ფული და სთხოვა ესესხებინა 500 მანეთი.

— მე კი მოგცემდი, — უთხრა ივან მატვეევიჩმა, — აბლავე მოგცემდი, მაგრამ მაშკა არ მოგცემს. ესენი, ეს დედაკაცები, მეტისმეტად ხელმოჭერილი არიან, ჯანდაბას ამათი თავი. უნდა გამოძვრე, უნ-

და გამოძვრე, დალახვროს ეშმაკმა. იმ ქაჯს, მარკიტანტს, ნეტავი არა აქვს?

მაგრამ მარკიტანტისაგან ფულის სესხების ცდა ზედმეტი იყო, ასე რომ ბუტლერისათვის შეიძლება ეშველა ან ძმას მხოლოდ, ან ძუნწ ნათესავ ქალს.

თავი ოცდამეოთხე

ჩეჩნეთში რომ ვერ მიაღწია თავის მიზანს, ჰაჯი-მურატი ტფილისში დაბრუნდა, ყოველდღე დადიოდა ვორონცოვთან და, როდესაც მას მიიღებდნენ, ემუდარებოდა შეეკრიბა ტყვედ წამოყვანილი მთიულები და გადაეცვალა ისინი მის ოჯახობაზე. ის ამბობდა, უამისოდ შებოჭილი ვარ და არ შემიძლია როგორც გსურს ისე ვემსახურო რუსებს და გავანადგურო შამილიო. ვორონცოვი გაურკვევლად პირდებოდა – ყველაფერს ვიზამ, რაც კი შემიძლიაო, მაგრამ ამას სულ აჭიანურებდა, ამბობდა, როდესაც ტფილისში ჩამოვა გენერალი არღუთინსკი[1] და მას მოველაპარაკები, მაშინ გადავწყვეტ ამ საქმესო. მაშინ ჰაჯი-მურატმა დაუწყო ვორონცოვს თხოვნა

[1] არღუთინსკი დოლგორუკოვი, მოსე ზაქარიასძე (1799—1855), გენერალი. მონაწილეობას ღებულობდა მისი დროის ყველა სამხედრო ექსპედიციაში და გლეხთა აჯანყებების ჩაქრობაში (გურიის 1841 წ. აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელი). განსაკუთრებით იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. 1853 წელს დამბლა დაეცა და სამხედრო სამსახური შეწყიტა.

დაერთო მისთვის ნება ცოტა ხნით საცხოვრებლად წასულიყო ნუხაში[1], ამიერკავკასიის პატარა ქალაქში, სადაც, მისი აზრით, მისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა შამილთან და მის ერთგულ პირებთან მოლაპარაკების წარმოება თავისი ოჯახის შესახებ. გარდა ამისა, ნუხაში,—სამაჰმადიანო ქალაქში, მეჩეთი იყო, სადაც მას უფრო მოხერხებულად შეეძლო იმ ლოცვების შესრულება, რომლებსაც ეოითხოვდა მაჰმადის კანონი. ვორონცოვმა ამის შესახებ პეტერბურგში მისწერა, მაგრამ მაინც დართო ჰაჯი-მურატს ნუხაში გადასვლის ნება.

ვორონცოვს, პეტერბურგის ხელისუფალთ, ისე, როგორც რუსების უმრავლესობას, რომლებმაც იცოდნენ ჰაჯი-მურატის ისტორია, ეს ისტორია მიაჩნდათ კავკასიის ომის საქმის ბედნიერ შემოტრიალებად ან საინტერესო შემთხვევად; ჰაჯი-მურატისათვის კი, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ეს იყო მისი ცხოვრების საშინელი უკუღმა დატრიალება. ის გამოიქცა მთებიდან, ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავის გადარჩენა უნდოდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შამილი ეზიზღებოდა და, თუმც მეტად ძნელი იყო ეს გამოქცევა, მიაღწია თავის მიზანს, პირველ ხანებში აჩარებდა

[1] ნუხა—სამაზრო ქალაქი ყოფილი ელიზავეტიპოლის (განჯის) გუბერნიაში.

ეს გამარჯვება და მართლაც ადგენდა შამილზე თავ-
დასხმის გეგმას. მაგრამ გამოირკვა, რომ მისი ოჯა-
ხის გამოყვანა, რაც, მისი აზრით, ადვილი მოსაწ-
ყობი იყო, უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა.
შამილმა ხელთ იგდო მისი ოჯახობა, დატყვევებული
ჰყავდა და იშუქრებოდა—ქალებს სოფლებში ჩამო-
ვარიჭებ, ვაჟს კი ან თვალებს დავთხრი ან მოვკლა-
ვო, ახლა ჰაჯი-მურატი ნუხაში იმ განზრახვით გა-
დადიოდა საცხოვრებლად, რომ დაღესტნელი თავი-
სი მოშხრეების დახმარებით შეცდილიყო ეშმაკობით
ან ძალით გამოეტაცა ოჯახი შამილისაგან. უკანას-
კნელმა მსტოვარმა, რომელიც მივიდა მასთან ნუხა-
ში, აცნობა, რომ მისი ერთგული ავარიელები აპი-
რებენ მისი ოჯახის გამოტაცებას და ოჯახთან ერ-
თად რუსებთან გადმოსვლას, მაგრამ ძალიან ცოტა-
ნი არიან ამ საქმისთვის გამზადებულნი და ვერ ბე-
დავენ ამის ჩადენას ვედენოში, სადაც არის ოჯახი
დატყვევებული, მაგრამ ამას იზამენ იმ შემთხვევაში,
თუკი ოჯახს ვედენოდან სხვაგან გადაიყვანენ—მაშინ
ისინი, პირობას სდებენ, გზაში მოაწყობენ ამას.
ჰაჯი-მურატმა უბრძანა გადაეცა მისი მეგობრებისა-
თვის, რომ სამი ათას მანეთს უბოძებს ოჯახის გა-
მოხსნაში.

ნუხაში ჰაჯი-მურატს მისცეს პატარა ხუთოთა-
ხიანი სახლი, მეჩეთისა და ხანის სასახლის მახლობ-

ლად. ამავე სახლში ცხოვრობდნენ ოფიცრები, რომ-ლებიც მას მიუჩინეს თარჯიმანი და მისი ნუკერე-ბი ჰაჯი-მურატის ცხოვრება ასე მიმდინარეობდა: უცდიდა და იღებდა მთებიდან ჩამოსულ მსტოვარებს და მიდამოებში სეირნობდა ცხენით რის ნებართვაც აღებული ჰქონდა.

სეირნობიდან რომ დაბრუნდა 8 აპრილს, ჰაჯი-მურატმა გაიგო, რომ მისი აქ არყოფნის დროს ჩა-მოსულა ტფილისიდან ვორონცოვის მოხელე. მიუ-ხედავად იმისა, რომ ძალიან სურდა გაეგო რა შოუ-ტანა მოხელემ, ჰაჯი-მურატი, სანამ იმ ოთახში წა-ვიდოდა, სადაც უცდიდნენ ბოქაული და მოხელე, თავის ოთახში წავიდა და შუადღის ლოცვა შეას-რულა. როდესაც ლოცვა დაასრულა, ის გავიდა მეორე ოთახში რომელიც სტუმრების მოსასვენებე-ლი და მისაღები ოთახი იყო. ტფილისიდან ჩამო-სულმა მოხელემ, სტატსკი სოვეტნიკმა კირილოვმა, გადასცა ჰაჯი-მურატს—ვორონცოვს სურს 12-ს ჩა-მოხვიდეთ ტფილისში არღუთინსკისთან შესახვედ-რადო.

— იახში,—მწყრალად უთხრა ჰაჯი-მურატმა.

მოხელე კირილოვი არ მოეწონა მას.

— ფული მოიტანე?

— მოვიტანე,—თქვა კირილოვმა.

— ახლა ორი კვირის,—თქვა ჰაჯი-მურატმა და

აჩვენა ათი თითი და კიდევ ოთხი. — მომეცი.

— ახლავე მოგცემო, — თქვა მოხელემ და თან თავისი სამგზავრო ჩანთიდან იღებდა საფულეს. — ან კი რად უნდა მაგას ფული? — თქვა რუსულად, ვინაიდან ეგონა ჰაჯი-მურატს რუსული არ ესმისო, მაგრამ ჰაჯი-მურატი მისვდა და მწყრალად შეხედა კირილოვს. როდესაც ფულს იღებდა, კირილოვმა, რომელსაც სურდა გამოლაპარაკებოდა ჰაჯი-მურატს იმ მიზნით, რომ დაბრუნებისას ჰქონოდა რაიმე სათქმელი თავადი ვორონცოვისათვის, ჰკითხა თარჯიმნის პირით, აქ მოწყენილი ხომ არა ხართო. ჰაჯი-მურატმა ალმაცერად, ზიზღით გადახედა პატარა, სქელ კაცს, რომელსაც სამხედრო ტანისამოსი არ ეცვა და არც იარაღი ჰქონდა, და არაფერი არ უპასუხა. თარჯიმანმა გაუმეორა კითხვა.

— უთხარი, რომ არ მსურს მაგასთან ლაპარაკი. — ფული მომცეს.

და რა ეს თქვა, ჰაჯი-მურატი ისევ მიუჯდა მაგიდას ფულის დასათვლელად მომზადებული

როდესაც კირილოვმა ამოიღო ოქროს ფული და დაიწყო შვიდი პატარა სვეტი, თითოში რომ ათ-ათი ოქრო იყო (ჰაჯი-მურატი დღეში ხუთ ოქროს იღებდა), მან ჰაჯი-მურატს მიუწია ისინი. ჰაჯი-მურატმა ოქრო ჩოხის სახელურში ჩაყარა, ადგა, სრუ-

ლიად მოულოდნელად დაარტყა სტატსკი სოვეტ-ნიკს მელოტზე და გავიდა ოთახიდან. სტატსკი სოვეტნიკი შეხტა და უბრძანა თარჯიმანს ეთქვა—მან არ უნდა გაბედოს ამის ჩადენა, მე პოლკოვნიკის ჩინი მაქვსო. ეს დაადასტურა ბოქაულმაც. მაგრამ ჰაჯი-მურატმა თავი დაიქნია იმის ნიშნად, რომ ეს იცის, და გავიდა ოთახიდან.

— რას უზამ მაგას,—თქვა ბოქაულმა.—გამოგფუშავს ხანჯლით და ეკ არის. ამ ალქაჯებთან ბანს ვერ გააწყობ. მე ვხედავ, უკვე ცოფდება.

როგორც კი შელამდა, მთებიდან მოვიდა ორი მსტოვარი, რომლებსაც ისე ჰქონდათ ყაბალახი შემოხვეული, რომ მხოლოდ თვალები უჩანდათ. ბოქაულმა ისინი ოთახში შეიყვანა ჰაჯი-მურატთან. ერთი მსტოვარი იყო ჩასუქებული შავი ტავლინელი, მეორე—გამხდარი მოხუცი. მათ მიერ მოტანილი ამბები არასასიამოვნო იყო ჰაჯი-მურატისათვის. მისი მეგობრები, რომლებმაც თავს იდვეს ოჯახის დახსნა, ახლა პირდაპირ აცხადებდნენ უარს, ვინაიდან ეშინოდათ შამილის, რომელიც უსაშინელეს წამებას ჰპირდებოდა მათ, ვინც ჰაჯი-მურატს გაუწევდა დახმარებას. როდესაც მოისმინა მსტოვარების ნაამბობი, ჰაჯი-მურატი ხელებით დაეყრდნო გადაჯვარედინებულ ფეხებს, დაღუნა ფაფახიანი თავი და დიდხანს დუმდა. ჰაჯი-მურატი ფიქრობდა, და ფი-

ქრობდა გადაჭრით. მან იცოდა, რომ ახლა უკანასკნელად ფიქრობდა, და საჭირო იყო გადაწყვეტილება. ჰაჯი-მურატმა ასწია თავი, ამოიღო ორი ოქრო, მისცა მსტოვარებს თითო-თითო და თქვა:

— წადით.

— რა პასუხი იქნება?

— პასუხი ისეთი იქნება, როგორსაც ღმერთი მოგვცემს. წადით.

მსტოვარები ადგნენ და წავიდნენ, ჰაჯი-მურატი კი განაგრძობდა ხალიჩაზე ჯდომას და იდაყვები მუხლებზე ჰქონდა დაყრდნობილი. ის დიდხანს იჯდა ასე და ფიქრობდა.

„როგორ მოვიქცე? დავუჯერო შამილს და მასთან დავბრუნდე?“ — ფიქრობდა ჰაჯი-მურატი. „ის მელიაა, მომატყუებს. კიდეც რომ არ მომატყუოს, შეუძლებელია დავემორჩილო მას, წითურ მატყუარას. შეუძლებელია, იმიტომ რომ ის ახლა, მას შემდეგ, რაც მე რუსებთან დავყავი ხანი, არ მენდობა“, — ფიქრობდა ჰაჯი-მურატი.

და მას გაახსენდა ტავლინური ზღაპარი შევარდნის შესახებ, რომელიც დაიჭირეს, იცხოვრა ადამიანებთან და მერე დაბრუნდა თავისიანებთან თავის მთებში. ის დაბრუნდა, მაგრამ ხუნდები ჰქონდა, ხუნდებზე კი ეჟვნები დარჩენილიყო. და შევარდნებმა არ მიიღეს იგი. — გაფრინდი, — უთხრეს მათ, — იქ, სა

დაც ვერცხლის ეკვნები შეგაბეს. ჩვენ არ გვაქვს არც ეკვნები და არც ხუნდები.—შევარდენს არ უნდოდა სამშობლოს დატოვება და დარჩა. მაგრამ დანარჩენმა შევარდნები არ მიიღეს და ისე დაკორტნეს, რომ მოჰკლეს კიდეც.

„ასე დამკორტნიან მეც“, — ფიქრობდა ჰაჯი-მურატი.

„აქ დავრჩე? დავუმორჩილო რუსეთის მეფეს კავკასია, დავიმსახურო სახელი, ჩინები, სიმდიდრე?“

„ეს შესაძლოა“,—ფიქრობდა ის, იხსენებდა რა თავის შეხვედრას ვორონოცოვთან და თავადის მიერ მის შეურაცხყოფას.

„მაგრამ ახლავე საჭიროა გადაწყვეტა, თორემ ის დამიღუპავს ოჯახს“.

მთელი ღამე არ ეძინა ჰაჯი-მურატს და ფიქრობდა.

თავი ოცდამესამე

ნახევარი ღამე იყო გასული, როდესაც მას უკვე ძზად ჰქონდა გადაწყვეტილება. მან გადაწყვიტა—საჭიროა მთებში გაქცევა, ერთგული ავარიელებით ვედენოში შეჭრა და ან სიკვდილი, ან ოჯახის დახსნაო. ჰაჯი-მურატს არ ჰქონდა გადაწყვეტილი — გაათავიაუფლებს ოჯახს და წამოვა ისევ რუსებთან, თუ ოჯახთან ერთად გაიქცევა ხუნზახში და შეებრძოლება შა-

მილს. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ახლა საჭირო იყო რუსებისაგან გაქცევა მთებში. და მან ახლა დაიწყო ამ გადაწყვეტილების განხორციელება. მან გამოიღო ბალიშის ქვეშ ამოდებული თავისი შავი დაბამბული ახალუხი და თავისი ნუკერების სადგომში წავიდა. ისინი წინკარის იქით ცხოვრობდნენ. როგორც კი შეევიდა იგი წინკარში, სადაც კარი ღია იყო, იგი ნამიანი მთვარიანი ღამის სიგრილემ აიტანა და ერთბაშად მოხვდა ყურებში სახლის გვერდით მდებარე ბალიდან რამდენიმე ბულბულის სტვენა და ჭახჭახი.

წინკარი რომ გაიარა, ჰაჯი მურატმა შეაღო ნუკერების ოთახის კარი. ამ ოთახში სინათლე არ იყო, მხოლოდ პირველი მეოთხედის ახალი მთვარე ანათებდა ფანჯარაში. მაგიდა და ორი სკამი იდგა განზე, და ნუკერები ოთხივენი იატაკზე იწვნენ ნაბდებით ხალიჩებზე. ხანეფის ეზოში ეძინა ცხენებთან. გამზალომ, როდესაც გაიგონა კარის ჭრიჭინი, წამოიწია, შეხედა ჰაჯი-მურატს და, რა იცნო, ისევ დაწვა. ელდარი კი, რომელიც მახლობლად იწვა, წამოხტა და დაიწყო ახალუხის ჩაცმა, თანაც ბრძანებებს ელოდა. კურბანსა და ხან-მაგომას ეძინათ. ჰაჯი-მურატმა ახალუხი მაგიდაზე დადო, და ახალოხმა მაგიდის ფიცრებზე გაირახუნა მაგარი რაღაცით. ეს იყო მასში ჩაკერებული ოქროები.

— ესენიც ჩააკერე, — თქვა ჰაჯი-მურატმა და ელ-დარს გაუწოდა იმ დღეს მიღებული ოქროები. ელდარმა აიღო ოქროები და გავიდა სინათლიან ადგილას, მაშინვე ამოიღო ხანჯალქვეშ მოთავსებული პატარა დანა და დაიწყო ახალუხის სარჩულის გარღვევა. გამზალო წამოდგა, გადაიჯვარედინა ფეხები და დაჯდა.

— შენ კი, გამზალო, უბრძანე ვაჟკაცებს გასინჯონ თოფები, დამბაჩები, მოამზადონ მუხტები. ხვალ შიარს წავალთ, — თქვა ჰაჯი-მურატმა.

— ტყვიები არის, დენთი არის, მზად იქნება, — თქვა გამზალომ და გაურკვეველი რაღაცა დაიღმუვლა: გამზალო მიხვდა, რად უბრძანა ჰაჯი-მურატმა თოფების დატენა. მას თავიდანვე სურდა, და რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერ სწყუროდა მხოლოდ ერთი რამ: დაეხოცა, დაეჭრა, რამდენიც კი შეიძლებოდა, ძალი რუსები და გაქცეულიყო მთებში. ახლა კი ხედავდა, რომ სწორედ ეს უნდოდა ჰაჯი-მურატსაც, და კმაყოფილი იყო.

როდესაც ჰაჯი-მურატი წავიდა, გამზალომ გაალვიძა აჭხანაგები, და ოთხივენი მთელ ღამეს სინჯავდნენ შაშხანებს, დამბაჩებს, კაჟებს, ცვლიდნენ ცუდებს, ფალიაზე აყრიდნენ ახალ დენთს; ჩოხის ქილებს, რომლებშიც იყო ჩაყრილი გამოწყული-თითო სროლა დენთი, უცობდნენ ქონიან მჩვარში გახვეულ ტყვიებს, ლესავდნენ ხმლებსა და ხანჯლებს და ქონს უსვამდნენ მათ პირს.

გათენების წინ ჰაჯი-მურატი კიდევ გავიდა წინკარში განბანვისათვის წყლის ასაღებად. წინკარში კიდევ უფრო ხმამაღლა და გარკვევით, ვიდრე საღამოს, ისმოდა განთიადის წინ მოჰახჰახე ბულბულების ხმა, ნუკერების ოთახში კი ისმოდა ხანჯლის რკინის, რომელსაც ქვაზე ლესავდნენ, თანაბარი ში'შინი და სტვენა. ჰაჯი-მურატმა გეჯიდან ამოიღო წყალი და უკვე მივიდა თავის ოთახის კართან, როდესაც მიურიდების ოთახიდან ლესვის ხმის გარდა მოესმა აგრეთვე ხანეფის წვრილი ხმა, რომელიც ჰაჯი-მურატისათვის ნაცნობ სიმღერას ამბობდა. ჰაჯი-მურატი გაჩერდა და დაუგდო ყური.

სიმღერა გვამცნობდა, ჯიგიტმა გამზატმა თავისი ვაჟკაცობით როგორ წაასხა რუსების მხარიდან თეთრი ცხენების ჯოგი, როგორ დაეწია მათ თერგს იქით რუსის თავადი და როგორ შემოარტყა მას თავისი ტყესავით დიდი ჯარი. შემდეგ სიმღერაში ნათქვამი იყო, როგორ დაკლა გამხატმა ცხენები, თავისი ვაჟკაცებიანად ჩასაფრდა დახოცილი ცხენების სისხლიან საფარს უკან და ებრძოდა რუსებს მანამ, სანამ თოფებში ტყვია იყო, წელზე—ხანჯლები და ძარღვებში—სისხლი. მაგრამ სანამ მოკვდებოდა, გამზატმა ცაზე ფრინველები დაინახა და დაუყვირა მათ: „თქვენ, გადამფრენო ფრინველებო, მიფრინდით ჩვენს სახლებში და უთხარით ჩვენს დებს, დე

ლებსა და თეთრ ქალიშვილებს, რომ ჩვენ ყველანი ჰაზავატისათვის დავიხოცეთ. უთხარით მათ, რომ ჩვენი სხეული საფლავში კი არ იქნება, ჩვენს ძვლებს წაიღ-წამოიღებენ და დახრავენ ხარბი მგლები და თვალებს ამოგვიკორტნიან შავი ყორნები“.

ამ სიტყვებით თავდებოდა სიმღერა, და ამ უკანასკნელ სიტყვებს, მწუხარე ხმით დამღერებულს, შეუერთდა მხიარული მკვეთრი ხმა ხან-მაგომესი, რომელმაც სიმღერის გათავებისას ხმამაღლა წამოიძახა: „ლა ილახ ილ ალაჰ“ და მჭახედ დაიწივლა. მერე ყელაფერი მიწყნარდა, და ისევ გაისმოდა მხოლოდ ბულბულის სტვენა ბაღიდან და კარს იქით კი თანაბარი შიშინი და ხანდახან კი სტვენა რკინისა, რომელსაც ქვებზე სწრაფად უსვამდნენ.

ჰაჯი-მურატი ისე ჩაფიქრდა, რომ ვერ შეამჩნია, როგორ დახარა დოქი, და წყალი იღვრებოდა იქიდან. მან თავის თავზე გადააკნია თავი და შევიდა თავის ოთახში. დილის ნამაზს[1] რომ მორჩა, ჰაჯი-მურატმა გასინჯა თავისი იარაღი და დაჯდა თავის საწოლზე. მეტი საქმე აღარა ჰქონდა რა. ცხენებით რომ წასულიყვნენ, საჭირო იყო ბოქაულს დაჰკითხებოდა, გარეთ კი ჯერ ისევ ბნელოდა, და ბოქაულს ჯერ კიდევ ეძინა.

---

1 ნამაზი — ლოცვა, რომელსაც მუსულმანები ასრულებენ 5-ჯერ დღეში.

ხანეფის სიმღერამ მოაგონა მეორე სიმღერა, თავისი დედის მიერ შეთხზული. ამ სიმღერაში ნათქვამი იყო ის, რაც მართლა მოხდა,—მაშინ მოხდა, როდესაც ჰაჯი-მურატი დაიბადა, მაგრამ რის შესახებაც დედა უამბობდა ხოლმე.

ეს სიმღერა ასეთი იყო:

„შენმა ფოლადის ხანჯალმა გააპო ჩემი თეთრი სხეული, მაგრამ მე ჩემი მზე, ჩემი ბიჭი დავიდევი ჩემ ჭრილობაზე, განვბანე იგი ჩემი ცხელი სისხლით, და ჭრილობა მოშუშდა, არ დასჭირებია ბალახები და ძირები, და ბიჭი გაიზარდა და ჯიგიტი გახდა“.

ამ სიმღერის სიტყვები ჰაჯი მურატის მამისადმი იყო მიმართული, და სიმღერის დედააზრი ის იყო, რომ როდესაც დაიბადა ჰაჯი-მურატი, ხანის მეუღლესაც ეყოლა მეორე შვილი, უმა-ხანი, და ძიძად მოითხოვა ჰაჯი-მურატის დედა, რომელმაც აწოვა ძუძუ მის უფროს ვაჟს, აბუნუნცალ-ხანს. მაგრამ პატიმატმა არ მოისურვა ამ შვილის მიტოვება და თქვა არ წავალო. ჰაჯი-მურატის მამა გაბრაზდა და უბრძანებდა წასულიყო. როდესაც დედამ კიდევ თქვა უარი, ხანჯალი შემოჰკრა და კიდეც მოჰკლავდა, რომ ხელიდან არ გამოეგლიჯათ პატიმატი. ამრიგად დედამ არ გააბარა იგი, თავისი ძუძუთი გამოზარდა და ამ საქმის შესახებ შეთხზა სიმღერა.

ჰაჯი-მურატს გაახსენდა დედა, როდესაც იგი აწვენდა დასაძინებლად თავის გვერდით, ქურქის ქვეშ, სახლის ბანზე, თან ამბობდა ამ სიმღერას და ჰაჯი-მურატმა სთხოვა ეჩვენებინა ის ადგილი ფერდზე, სადაც აჩნდა ჭრილობა. როგორც ცოცხალს, ისე ხედავდა იგი თავის წინ დედას არა ისეთ დანაოჭებულს, გათეთრებულს, ალაგ-ალაგ კბილებჩაცვივნულს, როგორიც დატოვა ახლა, არამედ ახალგაზრდას, ლამაზს, ისეთ ლონიერს, რომ როდესაც ჰაჯი-მურატი ხუთი წლისა იყო და მძიმე იყო, იგი კალათში ჩასმული ზურგით დაჰყავდა პაპასთან მთებზე.

და გაახსენდა დანაოჭებული, თეთრწვერა პაპა, როგორ სჭედდა იგი ვერცხლს თავისი ძარღვიანი ხელებით და შვილიშვილს ლოკვებს ათქმევინებდა ხოლმე. გაახსენდა შადრევანი, მთის ძირას რომ იყო, სადაც მიჰყვებოდა დედას წყლისათვის დედის შარვალზე ხელმოკიდებული, გაახსენდა გამხდარი ძაღლი, რომელიც სახეს ულოკავდა, და განსაკუთრებით კი კომლისა და მაწვნის სუნი, როდესაც დედას მიჰყვებოდა ფარდულში, სადაც წველიდა დედა ძროხებს და ადუღებდა რძეს. გაახსენდა, პირველად რომ მოპარსეს თავი და მბრწყინავ ტაშტში, კედელზე რომ ეკიდა, გაოცებულმა რომ დაინახა თავისი მრგვალი მოლურჯო თავი.

და, რა გაიხსენა თავისი ბავშვობა, გაახსენდა საყვარელი შვილი იუსუფიც, რომელსაც პირველად თვითონ მოპარსა თავი. ახლა ეს იუსუფი უკვე ახალგაზრდა ლამაზი ჯიგიტი იყო. მას გაახსენდა შვილი იმ სახით, როგორც ნახა უკანასკნელად. ეს ის დღე იყო, როდესაც ცელმესიდან მოდიოდა. შვილმა ცხენი მოართვა და სთხოვა — ნება მომეცი გაგაცილოო. ის გამოწყობილი და შეიარაღებული იყო, თავისი ცხენის ლაგამი ეჭირა ხელში. იუსუფის ლაჟვარდა, ახალგაზრდა, ლამაზი სახე და მისი მთელი მაღალი, წერწეტი ტანი (ის მამაზე მაღალი იყო) გამბედაობით, ახალგაზრდობითა და სიცოცხლის სიხარულით იყო აღსავსე. განიერი, მიუხედავად ახალგაზრდობისა, მხარ-ბეჭი, ძალიან ფართო, ახალგაზრდული მენჯი და წერწეტი, მაღალი ტანი, გრძელი, ლონიერი ხელები და ლონე, მოქნილობა და მოხერხებულობა, ყოველ მოძრაობაში რომ გამოსჭვიოდა — ახარებდა მამას, და ის ყოველთვის ტკბებოდა შვილით.

— უმჯობესია დარჩე. შენ ახლა ერთი ხარ ოჯაში. მოუარე დედასა და დიდედას, — უთხრა ჰაჯი-მურატმა.

და ჰაჯი-მურატს ახსოვდა იუსუფის სახეზე ვაჟკაცობისა და სიამაყის გამომეტყველება, როდესაც გაწითლდა სიამოვნებისაგან და თქვა: სანამ ცოცხალი ვარ, ჩემ დედასა და დიდედას ვერავინ ვერაფერს

დაუშავებსო. იუსუფი მაინც შეჯდა ცხენზე და ღელემდე გააცილა მამა. ღელიდან ის უკან გაბრუნდა, და ვას შემდეგ ჰაჯი-მურატს აღარ უნახავს არც ცოლი, არც დედა, არც შვილი.

და აი ამ შვილის თვალების დათხრა სურდა შამილს! იმის შესახებ, თუ რას უზამდნენ მის ცოლს, მას ფიქრიც არ უნდოდა.

ამ ფიქრებმა ისე ააღელვა ჰაჯი-მურატი, რომ მას აღარ შეეძლო მეტი ჯდომა. ის წამოხტა და კოჭლობით სწრაფად მივიდა კართან, გააღო და დაუძახა ელდარს. მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, მაგრამ უკვე სავსებით გათენებული იყო. ბულბულები არ ჩუმდებოდნენ.

—წადი, უთხარი ბოქაულს, რომ გასეირნება მინდა, და შეკაზმეთ ცხენები,— თქვა მან.

თავი ოცდამეოთხე

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბუტლერისათვის ერთდაერთი ნუგეში იყო საომარი პოეზია, რომლითაც იყო იგი გართული არა მხოლოდ სამსახურში, არამედ კერძო ცხოვრებაშიც. მას ეცვა ჩოხა-ახალუხი, დააჭენებდა ცხენს და ორჯერ ბოგდანოვიჩთან ერთად იყო საყუჩში, მაგრამ ორივეჯერ ვერავინ ვერ მოიგდეს და ვერავინ ვერ მოჰკლეს. გამო-

ჩენილ ვაჟკაც ბოგდანოვიჩთან ასე დაახლოვება. და მეგობრობა ბუტლერს სასიამოვნო და მნიშვნელოვან რაიმედ მიაჩნდა. თავისი ვალი მან გადაიხადა, ვინაიდან ებრაელისაგან ისესხა ფული საშინელი დიდი სარგებლით, ე. ი. მხოლოდ გადადო და დაიშორა გადაუჭრელი მდგომარეობა. ის ცდილობდა არ ეფიქრა თავისი მდგომარეობის შესახებ და, გარდა საომარი ჰოეზისა, ცდილობდა ღვინითაც მისცემოდა თავდავიწყებას. ის თანდათან უფრო და უფრო უმატებდა სმას და ზნეობრივად დღითიდღე უფრო და უფრო ეცემოდა. ის მარია დმიტრიევნას მიმართ ახლა უკვე აღარ იყო მშვენიერი იოსები, პირიქით, ტლანქად დაუწყო მას არშიყობა, მაგრამ, რამაც გააოცა, მტკიცე, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, და მას შერცხვა.

აპრილის დამლევს ციხე სიმაგრეში მივიდა რაზმი, რომელიც ბარიატინსკის უნდოდა გაუვალად მიჩნეული მთელი ჩეჩნეთის გასავლელად ახალი ლაშქრობისათვის. აქ იყო ყაბარდოს ორი ლეგიონი, და ეს ლეგიონები, კავკასიაში დამყარებული ჩვეულების მიხედვით, სტუმრად მიიღეს კურინოში მდგომმა ლეგიონებმა. ჯარისკაცები ყაზარმებში წავიდ-წამოვიდნენ და იქ მათ უმასპინძლდებოდნენ არა მხოლოდ ვახშმით, ფაფით და საქონლის ხორცით, არამედ არყითაც, ოფიცრები

კი ოფიცრებთან წავიდნენ ბ, როგორც იყო მიღებული, აქაური ოფიცრები უმასპინძლდებოდნენ მოსულებს.

მასპინძლობა ქეიფითა და მოსიმღერეებით დასრულდა, და ივან მატვეევიჩი, ძალზე მთვრალი, უკვე წითელი კი არა, მკრთალი ნაცრისფერი, სკამზე გადამჯდარიყო, ხმალი ეშიშვლა, იმით კეპავდა თავის მიერ წარმოდგენილ მტრებს და ხან იგინებოდა, ხან ხითხითებდა, ხან თავის საყვარელ სიმღერაზე „Шамиль начал бунтоваться в прошедшие годы, трай-рай-рататай в прошедшие годы“ ცეკვავდა. ბუტლერიც აქ იყო. ის ცდილობდა ყოველივე ამაშიც საომარი პოეზია დაენახა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ეცოდებოდა ივან მატვეევიჩი, მაგრამ მის შესაჩერებლად არავითარი საშუალება არ იყო. და ბუტლერი, რომელიც გრძნობდა, რომ შემთვრალი იყო, ჩუმად გამოვიდა და შინ წავიდა.

ბადრი მთვარე ანათებდა თეთრ სახლებსა და ქუჩის ქვებს. ისე იყო განათებული, რომ ყოველი პატარა ქვა, ნამჯა, ნეხვი ჩანდა ქუჩაზე. როდესაც სახლთან მივიდა, ბუტლერი მარია დმიტრიევნას შეხვდა, რომელსაც თავსა და კისერზე ხელსახოცი ჰქონდა შემოხვეული. მას შემდეგ, რაც მარია დმიტრიევნამ უარჰყო მისი გაარშიყება, ბუტლერი, ცოტაოდნად დარცხვენილი, ერიდებოდა მასთან შეხვედრას. ახლა კი, მთვარის სინათლეზე და დალეული ღვინის გამო,

ბუტლერს ეამა ეს შეხვედრა და კვლავ უნდოდა გაალერსებოდა მას.

— თქვენ საით? — ჰკითხა მან.

— ჩემს ბერიკაკს უნდა მივაკითხო, — ტკბილად უპასუხა მან. ის სავსებით გულწფრელად და მტკიცედ უარყოფდა ბუტლერი სარშიყობას, მაგრამ სწყინდა, რომ ბუტლერი ბოლო ხანებში სულ ერიდებოდა.

— რა მიკითხვა უნდა, მოვა.

— მოვა კი?

— თუ ვერ მოვა—მოიტანენ.

— პო, საქმეც ეგაა. ეს ხომ ცუდია. მაშ არ წავიდე? — თქვა მარია დმიტრიევნამ.

—არა, ნუ წახვალთ. უმჯობესია შინ წავიდეთ.

მარია დმიტრიევნა გამობრუნდა და გაჰყვა ბუტლერს გვერდით. კაშკაშა მთვარე ისე ანათებდა, რომ აჩრდილის ახლო, რომელიც გზის მახლობლად მოძრაობდა, თავის ირგვლივ ბრწყინვაც მოძრაობდა. ბუტლერი უცქეროდა ამ ბრწყინვას და აპირებდა ეთქვა მარია დმიტრიევნასათვის მე თქვენ ისევ ისე მომწონხართო, მაგრამ არ იცოდა როგორ დაეწყო. მარია დმიტრიევნა იცდიდა, აბა რას იტყვისო. ასე მდუმარედ ისინი თითქმის მივიდნენ კიდეც სახლთან, რომ კუთხიდან გამოჩნდნენ მხედრები. ოფიცერი მოდიოდა ბადრაგით.

— ეს რა ხალხი მოდის? — თქვა მარია დმიტრიევნამ და გზიდან ჩამოეცალა.

მთვარე უკანიდან ანათებდა მოსულს, ასე რომ მარია დმიტრიევნამ ის მხოლოდ მაშინ იცნო, როდესაც იგი თითქმის გაუსწორდა მათ. ეს იყო ოფიცერი კამენევი, რომელიც წინათ ივან მატვეევიჩთან ერთად მსახურობდა, და ამიტომ მარია დმიტრიევნა იცნობდა მას.

— პიოტრ ნიკოლაევიჩ, თქვენ მრძანდებით? — მიმართა მას მარია დმიტრიევნამ.

— დიახ, მე გახლავართ, — თქვა კამენევმა. — ოჰ, ბუტლერ, გამარჯობა. ჯერ კიდევ არ გძინავთ, მარია დმიტრიევნასთან სეირნობთ? იცოდეთ, მოგხვდებათ ივან მატვეევიჩისაგან. სად არის იგი?

— აი, გესმით, — თქვა მარია დმიტრიევნამ და თან იქითკენ მიუთითა, საიდანაც ტულუმბასისა და სიმღერის ხმა ისმოდა, — ქეიფობენ.

— ეს რაა, თქვენები ქეიფობენ?

— არა, ხასავ-იურტიდან მოვიდნენ და მათ უმასპინძლდებიან.

— ჰო, ეს კარგი საქმეა, მეც მივუსწრებ. მე ხომ ის ერთი წუთით მინდა.

— რა ამბავია, საქმე გაქვთ? ჰკითხა ბუტლერმა.

— პატარა საქმე მაქვს.

— კარგი თუ ცუდი?

— ვისთვის როგორ, ჩვენთვის კარგი, ზოგიერთებისათვის ცუდი.

და კამენევმა გაიცინა.

ამ დროს ქვევითნიც და კამენევიც ივან მატვეევიჩის სახლთან ძივიდნენ.

— ჩიხირევ, — დაუძახა კამენევმა ყაზახს, — მოდი.

დონელი ყაზახი გამოეყო სხვებს და მივიდა. ყაზახს ეცვა ჩვეულებრივი ფორმა დონელებისა, ჩექმები, მაზარა , უნაგირზე კი ხურჯინები ჰქონდა.

— აბა, ამოიღე ეგ, — უთხრა კამენევმა, ცხენიდან როდესაც ჩამოდიოდა.

ყაზახი ჩამოვიდა ცხენიდან და ხურჯინიდან ამოიღო ტომარა, რომელშიც რაღაც იყო. კამენევმა გამოართვა ყაზახს ტომარა და ჩაჰყო შიგ ხელი.

— მაშ გაჩვენოთ ეს ახალი რამ? თქვენ არ შეგეშინდეთ, — მიმართა მან მარია დმიტრიევნას.

— რისა უნდა შემეშინდეს, — თქვა მარია დმიტრიევნამ.

— აი ეს, — თქვა კამენევმა, ამოიღო ადამიანის თავი და მთვარის შუქზე დაიჭირა. — იცნობთ?

ეს იყო გაპარსული თავი, თვალებს ზემოთ გამოწეული ქალით, შავი მოკრეჭილი წვერით და შეკრეჭილი ულვაშებით, ერთი ღია და მეორე ნახევრად ღია თვალით, გასისხლიანებული, დაჩეხილი,

მაგრამ არა მთლიანად გაჩეხილი ქალით, ცხვირში მიმხ-მარი შავი სისხლით. კისერზე გასისხლიანებული პრსა-ხოცი ჰქონდა შემოხვეული. მიუხედავად თავის ყველა ჭრილობისა, გალურჯებული ბაგეების ნაოჭს რაღაც ბავშვური კეთილი გამომეტყველება ჰქონდა.

მარია დმიტრიევნამ შეხედა, არაფერი არა თქვა, გაბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა სახლში.

ბუტლერს თვალი ვერ მოეშორებინა საშინელი თავისათვის. ეს იყო სწორედ იმ ჰაჯი-მურატის თავი, რომელთანაც ის ამასწინათ ასეთ მეგობრულ ბაასში ატარებდა საღამოებს.

— როგორ მოხდა ეს? ვინ მოჰკლა? სად? — იკითხა მან.

— გაპარვა უნდოდა, დაიჭირეს, — თქვა კამენევმა და თავი ყაზახს მისცა, თვითონ კი ბუტლერთან ერთად შევიდა სახლში.

— და ვაჟკაცურად მოკვდა, — თქვა კამენევმა.

— როგორ მოხდა ყოველივე ეს?

— მოითმინეთ, ივან მატვეევიჩი მოვა, და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ. მე ხომ ამისთვის ვარ გამოგზავნილი. დამაქვს ყველა ციხე-სიმაგრესა და აულში და ვაჩვენებ.

გაგზავნეს ივან მატვეევიჩის დასაძახებლად, და ის დაბრუნდა შინ მთვრალი, ორი აგრეთვე ძალზე მთვრალი ოფიცრით, და დაუწყო კამენევს ხვევნა-კოცნა.

— მე კი, — თქვა კამენევმა, — ჰაჯი-მურატის თავი მოგიტანეთ.

— სტყუი! მოჰკლეს?

— ჰო, გაქცევა უნდოდა.

— მე ვამბობდი, მოგვატყუებს მეთქი. აბა სად არის თავი? ნაჩვენე ერთი.

დაუძახეს ყაზახს, და მან შემოიტანა ტომარა, რომელშიც თავი იყო. თავი ამოიღეს, და ივან მატვეევიჩი მთვრალი თვალებით დიდხანს მისჩერებოდა მას.

— მაგრამ მაინც ყოჩაღი — იყო, — თქვა მან. — მომეცი, ვაკოცებ.

— ჰო, მართალია, თავზე ხელაღებული იყო, — თქვა ერთერთმა ოფიცერმა.

როდესაც ყველამ დაათვალიერა თავი, იგი ისევ ყაზახს მისცეს. ყაზახმა ის ტომარაში ჩადო, თანაც ცდილობდა ისე დაედო იატაკზე, რომ თავს რაც შეიძლება ნაკლები ბრახუნი მოეღო.

— შენ კი რა, კამენევო, როდესაც უჩვენებ, თანაც ამბობ ხოლმე რაიმეს? — ამბობდა ერთი ოფიცერი.

— არა, მომეცი, მე ვაკოცებ მას, მაგან ხმალი მაჩუქა, — ყვიროდა ივან მატვეევიჩი.

ბუტლერი პარმაღზე გავიდა. მარია დმიტრიევნა მეორე საფეხურზე იჯდა. მან შემოხედა ბუტლერს და მაშინვე გულმოსული მიბრუნდა.

— რა მოგვიდათ, მარია დმიტრიევნა?— ჰკითხა ბუტლერმა.

— ყველანი ყასბები ხართ. ვერ ამიტანიხართ, ყასბები ხართ სწორედ, — თქვა მან, როდესაც დგებოდა.

— იგივე შეიძლება შეემთხვას ყველას, — თქვა ბუტლერმა, რომელმაც არ იცოდა რა ეთქვა.—აბა რის ომია.

— ომი? რომელი ომი? ყასბები ხართ, — მორჩა და გათავდა. ცხედარი მიწას უნდა მიაბარონ, ესენი კი კბილებს კრეჭენ. ყასბები ხართ, — გაიმეორა მან, ჩამოვიდა პრამღიდან და სახლში წავიდა უკანა შესასვლელიდან.

ბუტლერი დაბრუნდა ოთახში და სთხოვა კამენევს დაწვრილებით ეამბა, როგორ მოხდა ყოველივე.

და კამენევმა უამბო.

აი როგორ იყო საქმე.

თავი ოცდამეხუთე

ჰაჯი-მურატს ნება დართეს ცხენით ესეირნა ქალაქის ახლოს და უეჭველად ყაზახების ბადრაგის თანხლებით. ნუხაში სულ ორმოცდაათი ყაზახი იყო, რომლებიდანაც მთავრობის პირებთან იყო ათი, დანარჩენები კი, თუკი ათ-ათს გაგზავნიდნენ, როგორც ნაბრძანევი იყო, დღეგამოშვებით უნდა გაეგზავნათ განწე-

სებაში. ამიტომ პირველ დღეს ათი ყაზახი გააყოლეს, შემდეგ კი გადაწყვიტეს ხუთ-ხუთი გაეგზავნათ, თანაც სთხოვდნენ ჰაჯი-მურატს თავისი ყველა ნუკერი არ წაეყვანა ხოლმე თან.

მაგრამ 25 აპრილს ჰაჯი-მურატმა სასეირნოდ ხუთივე წაიყვანა. ამ დროს, როდესაც ჰაჯი-მურატი ცხენზე ჯდებოდა, სამხედრო უფროსმა შენიშნა, რომ ხუთივე ნუკერი აპირებდა ჰაჯი-მურატთან ერთად წასვლას, და უთხრა მას ყველა ნუკერის თან წაყვანა ნებადართული არა გაქვსო, მაგრამ ჰაჯი-მურატს თითქოს არ გაუგონია, დასძრა ცხენი, და სამხედრო უფროსმაც აღარ დაიწყო დაჟინება. ყაზახებს ახლდა ურიადნიკი, გიორგის კავალერი, შემოკრეჭილი, ახალგაზრდა, რძე და ღვინო, ჯანმრთელი ქერა ნაზაროვი. ის იყო უფროსი სტაროობრიადელების ლარიბ ოჯახში, უმამოდ გაზრდილი, კვებავდა მოხუც დედას, სამ დასა და ორ ძმას.

— იცოდე, ნაზაროვო, შორს არ გაუშვა, — მიაყვირა სამხედრო უფროსმა.

— მესმის, თქვენო კეთილშობილებავ, — უპასუხა ნაზაროვმა, წამოდგა უზანგებზე, ხელით იჭერდა მხარზე გადაკიდებულ შაშხანას და თავისი კარგი ზო-

---

1. სტაროობრიადელები—რელიგიური სექტა (ჯგუფი) ქრისტიანთა შორის.სტაროობრიადელები ეწინააღმდეგებოდნენ ოფიციალური ეკლესიის ზოგიერთ წესს.

რბა წითური ცხენი ჩორთით წაიყვანა. ოთხი ყაზახი მიჰყვებოდა მას ცხენებით უკან: ფერაპონტოვი — მალალი, გამხდარი, პირველი ქურდი და მოდავლე, — სწორედ ის, რომელმაც მიჰყიდა დენოი გამზალოს; იგნატოვი, რომელსაც სამსახურის ვადა გაუდიოდა, უკვე არა ახალგაზრდა კაცი, ჯანმრთელი გლეხი, თავისი ღონით რომ მოსწონდა თავი; მიშკინი — სუსტი მცირეწლოვანი, რომელსაც ყველა დასცინოდა, და პეტრაკოვი — ახალგაზრდა, ქერა, დედისერთა, მუდამ ალერსიანი და მხიარული.

დილიდანვე ნისლი იყო, მაგრამ საუზმის დროს ამინდი გამოკეთდა, და მზე კაშკაშებდა ახლადგაშლილ ფოთლებზეც, ნორჩ, ხელუხლებელ ბალახზეც და პურის ჯეჯილებზე, ჩქარი მდინარის ჭავლზეც, რომელიც გზის მარცხნივ მოჩანდა. ჰაჯი-მურატი ნაბიჯით მიდიოდა; ყაზახები და მისი ნუკერები არ რჩებოდნენ უკან და მიჰყვებოდნენ. ნაბიჯით გავიდნენ გზაზე ციხე-სიმაგრის უკან. მათ ხვდებოდნენ გზაზე ქალები, რომლებსაც კალათები ჰქონდათ თავზე შემოდგმული, ჯარისკაცები ოთხთვალებზე და კამეჩებშებმული მოჭრიალე ურმები. ორ ვერსამდე რომ გაიარეს, ჰაჯი-მურატმა გააქროლა თავისი თეთრი ყაბარდოული ცხენი; მას ისე მიჰყავდა ცხენი, რომ მისი ნუკერები ჩქარი ჩოთრით მიჰყვებოდნენ. ასევე მიაჭენებდნენ ცხენებს ყაზახები.

— ეჰ, კარგი ცხენი ჰყავს, — თქვა ფერაპონტოვმა. — იმ დროს რომ შემხვედროდა, როდესაც შემორიგებული არ იყო, ძირს ჩამოვსვამდი.

— ჰო, ძამია, მაგ ცხენში სამას მანეთს იძლეოდნენ თბილისში.

— მე კი ჩემი ცხენით გავუსწრებ, — თქვა ნაზაროვმა.

— ჰო, დიაღ, გაუსწრებ, — უპასუხა ფერაპონტოვმა.

ჰაჯი-მურატი თანდათან უმატებდა სვლას.

— ეი, ყონაღო, ასე არ შეიძლება, ნელა წაიყვანე! — დაიყვირა ნაზაროვმა, რომელსაც ეწეოდა ჰაჯი-მურატს.

ჰაჯი-მურატმა მოიხედა, არაფერი არ თქვა და ისევ იმგვარად მიდიოდა, სვლას არ უკლებდა.

— უყურე, რა განუზრახავთ ამ ალქაჯებს, — თქვა იგნატოვმა, — შეხე, როგორ მიაქროლებენ.

ასე გაიარეს ერთ ვერსამდე მთების მიმართულებით.

— გეუბნები, არ შეიძლება! — კვლავ დაუყვირა ნაზაროვმა.

ჰაჯი-მურატმა არ უპასუხა და უკანაც არ იხედებოდა, მხოლოდ კიდევ უფრო აუჩქარა და მერე გააჭენა კიდეც.

— მიქარავ, ვერ წახვალ! — დაუყვირა ნაზაროვმა, რომელსაც გულზე მოხვდა ეს.

მან გადაჰკრა მათრახი თავის ზორბა წითურ ცხენს და, შედგა რა უზანგებზე და დაიხარა წინ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოუდგა ჰაჯი-მურატს.

ცა ისე იყო მოწმენდილი, ჰაერი ისე სუფთა იყო, სიცოცხლის ძალები ისე გახარებული თამაშობდნენ ნაზაროვის სულში, რომ როდესაც იგი თავის მშვენიერ, ღონიერ ცხენთან ერთ არსებად ქცეული მიქროდა სწორ გზაზე ჰაჯი-მურატის უკან, მას აზრადაც არ მოსდიოდა საშწუხარო ან საშინელი რამის შესაძლებლობა. მას უხაროდა, რომ ცხენის ყოველი ნახტომით ეწეოდა ჰაჯი-მურატს და უახლოვდებოდა მას. ჰაჯი-მურატი მიხვდა ყაზახის ზორბა ცხენის თქარუნზე, რომელიც მას უახლოვდებოდა, რომ ყაზახი მალე უნდა დასწეოდა; მარჯვენა ხელი დამბაჩას მოჰკიდა და მარცხენათი კი ოდნავ დაუწყო შეჩერება თავის გახურებულ ყაბარდოულ ცხენს, რომელსაც უკანიდან ცხენის თქარუნი ესმოდა.

— გეუბნები, არ შეიძლება! — დაუყვირა ნაზაროვმა, როდესაც თითქმის გაუსწორდა ჰაჯი-მურატს და ხელი გააწვდინა, რომ მისი ცხენის ლაგამი დაეჭირა. მაგრამ ვერ მოასწრო ლაგამისათვის ხელის წავლება, რომ გაისმა სროლის ხმა.

— რას ჩადიხარ? — იყვირა ნაზაროვმა და მკერდზე იტაცა ხელი.

— დასცხეთ მაგათ, ბიჭებო, — წარმოთქვა მან და ბარბაცით გადააწვა უნაგირის ტახტას.

მაგრამ მთიულებმა ყაზახებზე ადრე მიმართეს იარაღს, ესროდნენ ყაზახებს დამბაჩებს და ჩეხავდნენ ხმლებით. ნაზაროვი კისერზე გადმოჰკიდებოდა ცხენს, რომელიც მას ამხანაგების გარშემო დააქროლებდა. იგნატოვის ცხენი წაიქცა და ფეხზე დააწვა იგნატოვს. ორი მთიული, რომლებსაც ხმლები ეშიშვლათ, ცხენებიდან ჩამოუსვლელად სცემდა მას თავსა და ხელებზე. პეტრაკოვი გაექანა ამხანაგისკენ, მაგრამ ორმა სროლამ, — ერთხელ ზურგში მოარტყეს, მეორედ ფეხში, — დაწვა იგი, და ის ტომარასავით გადმოყირავდა ცხენიდან.

მიშკინმა უკან გააბრუნა ცხენი და ციხე-სიმაგრისაკენ გააქროლა. ხანეფი და ხან-მაგომა დაედევნენ მას, მაგრამ იგი უკვე ძალიან შორს იყო, და მთიულები ვერ მიეწივნენ:

როდესაც დაინახეს, რომ არ ძალუძთ დაეწიონ ყაზახს, ხანეფი და ხან-მაგომა თავისიანებთან დაბრუნდნენ. გამზალომ ხანჯლით მოუღო ბოლო იგნატოვს, ნაზაროვიც გადმოიღო ცხენიდან და ისიც აგრეთვე მოკლა. ხან-მაგომა მოკლულებს ხსნიდა ვაზნებიან ჩანთებს. ხანეფის უნდოდა ნაზაროვის ცხენს დაჰპატრონებოდა, მაგრამ ჰაჯი-მურატმა დაუყვირა არ არის საჭიროო და ჭენებით გასწია გზაზე. მისი მიურიდებიც ჭენებით გაჰყვნენ უკან, თანაც უჯვარდებოდნენ ნაზაროვის ცხენს, რომელიც მათ მისდევდა.

ისინი უკვე სამ ვერსზე იყვნენ ნუხიდან, ბრინჯის მინდვრებში, როდესაც გაისმა კოშკიდან სროლის ხმა, განგაშის ნიშანი.

პეტრაკოვი გულალმა ეგდო გაფატრული მუცლით, მისი ახალგაზრდა სახე ცას მისჩერებოდა და ის, როგორც თევზი, სლოკინით ლევდა სულს.

— ვაი დედა, ეს რა უქნიათ! — შეჰყვირა ციხის უფროსმა და თავზე წაივლო ხელი, როდესაც გაიგო ჰაჯი-მურატის გაქცევის ამბავი. — დამღუპეს! გაქცევიათ ამ ავაზაკებს! — ყვიროდა იგი, როდესაც ისმენდა მიშკინის პიტაკს.

ყოველ მხრივ აცნობეს და გაქცეულებს გაჰყოლოდნენ არა მხოლოდ ის ყაზახები, რომლებიც ჰყავდათ, არამედ ყველა მილიციონერიც მშვიდობიანი აულებიდან, რომლების მოგროვებაც კი მოხერხდა. ათას მანეთს დაჰპირდნენ საჩუქრად მას, ვინც ან ცოცხალს მოიყვანდა ჰაჯი-მურატს, ან მკვდარს მოიტანდა. ორი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ჰაჯი-მურატი და მისი ამხანაგები გაექცნენ ყაზახებს, და ორას ცხენოსანზე მეტი მიჰყვებოდა ჭენებით ბოქაულს გაქცეულების მოსაძებნად და დასაჭერად.

როდესაც რამდენიმე ვერსი გაიარა დიდ გზაზე, ჰაჯი-მურატმა შეაჩერა ოფლისაგან განაცრისფერებული თავისი თეთრი ცხენი, რომელიც მძიმედ ქშინავდა და გაჩერდა. გზის მარჯვენა მხარეს მოჩანდა აულ ბელარჯიკის სახლები და მინარეთი, მარცხნივ ყანები იყო, და მათ ბოლოში მდინარე მოჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ მთებისკენ მიმავალი გზა მარჯვნივ იყო, ჰაჯი-მურატი საწინააღმდეგო მიმართულებით, მარცხნივ წავიდა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მდევრები სწორედ მარჯვენა მხრით დაედევნებოდნენ მას, ის კი უკუზოდ გავიდოდა ალაზანში და დიდ გზაზე გავიდოდა; იქ მისი ყოფნა არავის არ მოუვა აზრად, ამ გზით მიაღწევს ტყემდე და მაშინ-კი ისევ გადმოვა მდინარეზე და მთებში ავა. ეს რომ გადაწყვიტა, მან მარცხნივ გადაუხვია. მაგრამ მდინარემდე მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. ბრინჯის ყანა, რომელიც უნდა გაევლოთ, როგორც ყოველთვის ხდება გაზაფხულზე, ახალი გადავლილი იყო წყლით და ლიად გადაქცეულიყო, რომელშიც ცხენები საბორკილე ძვლამდე ეფლობოდნენ. ჰაჯი-მურატი და მისი ნუკერები უხვევდნენ ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ფიქრობდნენ, რომ იპოვნიდნენ უფრო მწდალ ადგილს, მაგრამ ის ყანა, რომელშიც მოხვდნენ ისინი, თანაბრად იყო წყლით გადავლილი და ახლა წყლით იყო გაჟღენთილი.

ცხენებს ისეთი ხმაურით ამოჰქონდათ ფეხები, რომლებიც წებოვან ტალახში ეფლობოდა, როგორი ხმაც ისმის საცობის მოხდის დროს, და, რა გაივლიდნენ რამდენიმე ნაბიჯს, ჩერდებოდნენ და მძიმედ ქშინავდნენ.

ასე დაბორიალობდნენ იმდენხანს, რომ შებინდება დაიწყო, იმათ კი ჯერ მდინარემდე ვერ მიაღწიეს. მარჯვნივ იყო გაშლილი ბუჩქების კუნძული, და ჰაჯი-მურატმა გადაწყვიტა შესულიყო ამ ბუჩქებში, იქ დაესვენებინა დაქანცული ცხენები და დაღამებამდე მოეცადა. ბუჩქებში რომ შევიდნენ, ჰაჯი-მურატი და მისი ნუკერები გადმოხტენ ცხენებიდან, ფეხები შეუბორკეს და გაუშვეს საძოვრად, თვითონ კი თან წამოღებული პური და ყველი ჭამეს. ახალი მთვარე, რომელიც ერთხანს ანათებდა, მთებს იქით მიიმალა, და ბნელი ღამე იყო. ნუხაში განსაკუთრებით ბევრი ბულბული იყო. ორი ამ ბუჩქებშიც იყო. როდესაც ჰაჯი-მურატი თავისი ხალხით ხმაურობდა, ბუჩქებში რომ შედიოდნენ, ბულბულები გაჩუმდნენ. მაგრამ როდესაც მიწყდა ადამიანების ხმაური, იმათ კვლავ დასტვინეს, ერთმანეთს გადაეძრახნენ. ჰაჯი-მურატი ყურს უგდებდა ღამის ხმაურს და ძალაუნებურად უსმენდა მათ.

და ბულბულების სტვენამ გაახსენა მას ის სიმღერა გამზატის შესახებ, რომელსაც ისმენდა ღამით, წყლი-

სათვის რომ გავიდა. შესაძლებელი იყო ის ახლა ყოველ წუთს ჩავარდნილიყო იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო გამზატი. მან გაიფიქრა ეს ასეც იქნებაო, და უცბად მოაწვა ბოლმა გულზე. მან გაიგო ნაბადი და ნამაზი შეასრულა. და როგორც კი დაასრულა, მოისმა ხმაური, რომელიც ბუჩქებს უახლოვდებოდა. ეს იყო ძალიან ბევრი ცხენის ფეხის ხმა, ლაფში რომ ტოპავდნენ. თვალმჭრელმა ხან-მაგომამ გაირბინა ბუჩქების განაპირას და სიბნელეში დაინახა ცხენოსნებისა და ქვეითების შავი ლანდები. ხანეფიმ ასეთივე ურდო დაინახა მეორე მხრიდან. ეს იყო ყორლანოვი, მაზრის სამხედრო უფროსი, თავისი მილიციონერებით.

„რა ვუყოთ, ვიბრძოლებთ ისევ როგორც ვამზატი“—გაიფიქრა ჰაჯი-მურატმა.

მას შემდეგ, რაც განგაში ატეხეს, ყორლანოვი ასი მილიციონერითა და ყაზახით დაედევნა ჰაჯი-მურატს, მაგრამ ვერსად ვერ ნახა ვერც ის და ვერც მისი კვალი. ყორლანოვი უკვე უიმედოდ ბრუნდებოდა შინ, როდესაც საღამოს პირზე ბერიკაკი შემოხვდა; ყორლანოვმა ჰკითხა ბერიკაკს — ცხენოსნები ხომ არ გინახავსო, ბერიკაკმა უპასუხა ვნახეო. მან

[1] ყორლანოვი იოსებ ივანეს ძე, გენერალ-მაიორი. მონაწილეობას ღებულობდა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ნუხაში მაზრის უფროსობის დროს მოკლა ჰაჯი-მურატი.

ნახა, რომ ექვსი ცხენოსანი აქეთ-იქით დაბორიალობდა ბრინჯის ყანაში და შემდეგ კი ბუჩქებში შევიდნენ, სადაც ის შეშას აგროვებდა. ყორღანოვმა გაიყოლა ბერიკაკი, გაბრუნდა უკან და რა დარწმუნდა, შეპორკილი ცხენების შეხედვით, ჰაჯი-მურატი აქ არისო, ღამით ალყა შემოარტა ბუჩქებს და დაუწყო დილას ლოდინი, რომ ჰაჯი-მურატი ცოცხალი ან მკვდარი ჩაეგდო ხელში.

როდესაც მიხვდა, რომ ის გარშემორტყმული იყო, ჰაჯი-მურატმა ბუჩქების შუაგულში ძველი თხრილი მონახა და გადაწყვიტა ჩამჯდარიყო იქ და დაეცვა თავი, სანამ ეყოფოდა ტყვია-წამალი და ძალღონე. ეს უთხრა თავის ამხანაგებს და უბრძანა მათ თხრილზე გაეკეთებინათ საფარი. ნუკერებმა მაშინვე დაიწყეს ტოტების მოჭრა, ხანჯლებით მიწის თხრა და ყრილის კეთება ჰაჯი-მურატი მათთან ერთად მუშაობდა.

როგორც კ ინათლა, ბუჩქებთან ახლოს მოვიდა ცხენით მილიციის ასეულის მეთაური და დაიყვირა:

— ჰაუ, ჰაჯი-მურატო, დაგვნებდი! ჩვენ ბევრნი ვართ, თქვენ კი ცოტანი.

ამის საპასუხოდ თხრილიდან პატარა კომლი გამოჩნდა, შაშხანამ გაიტკაცუნა, და ტყვია მოხვდა მილიციონერის ცხენს, რომელიც გაუხტა ზედ მჯდომს და წაქცევა დაიწყო.

ამის შემდეგ ბუჩქების პირას მდგომი მილიციონერების შაშხანებიც ატკაცუნდა, და მათი ტყვიები სტვენითა და ზუზუნით გლეჯდა ფოთლებსა და ტოტებს და ხვდებოდა საფარს, მაგრამ არ ხვდებოდა საფარის უკან მჯდომ ადამიანებს. ჩხლოდ გამზალოს ცხენი, რომელიც გაიქცა, დაჭრეს მათ. მას თავში მოხვდა ტყვია, იგი არ წაქცეულა, გაგლიჯა ფეხსაბორკი, ბუჩქებში ხმაურობდა და დანარჩენ ცხენებს მიაშურა, მიეხუტა მათ და სისხლით რწყავდა ქორჯა ბალახს. ჰაჯი-მურატი და მისი ხალხი მხოლოდ ბაშინ გაისროდნენ ხოლმე, როდესაც რომელიმე მილიციონერი წინ წამოიწევდა, და იშვიათად აცდენდნენ. სამი მილიციონერი დაჭრეს და დანარჩენები არა თუ ვერ ბედავდნენ მისეოდნენ ჰაჯი-მურატსა და მის ხალხს, სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ და მხოლოდ ხანდახან ისროდნენ ალალბედზე.

ასე გაგრძელდა ერთ საათზე მეტი. მზემ ხის ნახევარ სიმაღლეზე ამოყო თავი, და ჰაჯი-მურატი უკვე აპირებდა შემსხდარიყვნენ ცხენებზე და შეცდილიყვნენ ბრძოლით მისვლას მდინარემდე, როდესაც მოისმა ახლადმოსული დიდი რაზმის ხმა. ეს იყო ჰაჯიალა მეხტულინელი თავისი ხალხით. ორასამდე კაცი იყო. ჰაჯი-ალა ოდესღაც ჰაჯი-მურატის ყონაღი იყო და მასთან ცხოვრობდა მთებში, მაგრამ შემდეგ რუსების მხარეზე გადავიდა. მათთან იყო აგრეთვე ახმეტ-

ხანი, ჰაჯი-მურატის მტრის შვილი. ჰაჯი-ალამაც, როგორც ყორღანოვმა, პირველად დაუყვირა ჰაჯი-მურატს დაგვნებდიო, მაგრამ როგორც პირველად, ჰაჯი-მურატმა სროლით უპასუხა.

— ხმლებით მივესიოთ, ბიჭებო! — დაიყვირა ჰაჯი-ალამ, რა იშიშვლა ხმალი, და გაისმა ყიჟინით ბუჩქებისკენ გაქცეულ ასობით ადამიანთა ხმები.

მილიციონერები სირბილით შევარდნენ ბუჩქებში, მაგრამ საფარიდან ერთიმეორეზე გავარდა რამდენიმე თოფი, და სამი კაცი დაეცა. თავდამსხმელნი შეჩერდნენ ბუჩქების პირად და იმათაც ატეხეს სროლა. ისინი ისროდნენ, თანაც ნელნელა უახლოვდებოდნენ საფარს ბუჩქიდან ბუჩქთან გადარბენით. ზოგიერთები ასწრებდნენ გადარბენას, ზოგიერთებს ჰაჯი-მურატისა და მისი ხალხის ნასროლი ტყვიები ხვდებოდა. ჰაჯი-მურატი დაუცდენლად ისროდა; აგრეთვე გამზალოსაც არც ერთხელ არ დაუცდენია დასიხარულით ყოველთვის ჭყლოპინებდა, როდესაც დაინახავდა, რომ მისი ტყვიები მიზანში ხვდებოდა. კურბანი თხრილის განაპირას იჯდა და მღეროდა: „ლა ილახ ილ ალაჰ“, აუჩქარებლად ისროდა, მაგრამ იშვიათად ახვედრებდა. ელდარს კი მთელი სხეული უკანკალებდა მოუთმენლობისაგან — სურდა ხანჯლით მივარდნოდა მტრებს, და ჩქარჩქარა, ალალბედზე ისროდა, წამდაუწუმ შეხედავდა ხოლმე ჰაჯი-ჰურატს და ამოიწევდა საფრიდან.

ბანჯგვლიანი ხანეფი აქაც მსახურის როლს ასრულებდა, ის ტენიდა თოფებს, რომლებსაც აწვდიდნენ ჰაჯი-მურატი და კურბანი, რკინის ზუმბით გულდასმით ტენიდა გაქონილ ჩერებში გახვეულ პატარა ტყვიებს და ფალიაზე აყრიდა მშრალ დენთს საპირისწამლედან. ხანმაგომა კი არ იჯდა, როგორც სხვები, თხრილში, არამედ თხრილიდან ცხენებთან მიირბენდა ხოლმე და მათ უფრო უსაშიშრო ადგილას შედენიდა, თანაც განუწყვეტლივ ჭყლოპინებდა და ხელუშვერ, რამეზე გადაუდებლად ისროდა. პირველად ის დაჭრეს. ტყვია კისერში მოხვდა, და ის დაჯდა საჯდომზე, სისხლს აფურთხებდა და იკინებოდა. მერე ჰაჯი-მურატი დაიჭრა. ტყვიამ ბეჭი მოსტეხა. ჰაჯი-მურატმა ამოგლიჯა ბამბა ახალუხიდან, ჩატენა ჭრილობაში და განაგრძო სროლა.

— ხმლებით მივესიოთ, — მესამეჯერ ამბობდა ელდარი.

მან ამოიწია საფარიდან და მზად იყო სცემოდა მტრებს, მაგრამ სწორედ იმ წუთას მოხვდა ტყვია, დაბარბაცდა და პირქვე დაეცა ჰაჯი-მურატს ფეხზე. ჰაჯი-მურატმა შეხედა მას. მშვენიერი, ცხვრის თვალები შეუპოვრად და სერიოზულად მისჩერებოდა ჰაჯი-მურატს. პირს, ოქროლის ზედა ბაგე, როგორც ბავშვებს, წინწამოწეული ჰქონდა, ისე

აცმაცუნებდა, რომ არ აღებდა. ჰაჯი მურატმა გამოიღო ფეხი, რომელსაც ელდარი აწვა, და განაგრძო დამიზნება. ხანეფი დაიხარა მოკლულ ელდართან და დაიწყო გაუსროლელი მუხტების ამოკრეფა მისი ჩოხიდან. კურბანი კი სულ იმღეროდა, ნელა ტენიდა და უმიზნებდა.

მტრები ყიჟინით და წივილით გადარბოდნენ ერთი ბუჩქიდან მეორეზეთან და თანდათან უახლოვდებოდნენ. კიდევ მოხვდა ჰაჯი-მურატს ტყვია, ახლა მარცხენა ფერდში. ის ჩაწვა თხრილში, ამოგლიჯა ახალუხიდან ბამბა და კვლავ ჩაიტენა ჭრილობაში. ფერდში სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, და ის გრძნობდა, რომ კვდებოდა. მოგონებანი და სახეები საოცარი სისწრაფით იცვლებოდა მის წარმოდგენაში. ის თავის წინ ხედავდა ხან ლონიერ ებუნუნცალ-ხანს, რომელიც ხელით იჭერდა მოჩეხილ ჩამოკიდებულ ლოყას და ხანჯალამოღებული ეცა მტერს, ხან ხედავდა სუსტ, უსისხლო ბერიკაც ვორონცოვს მისი ეშმაკი თვალი სახით და ესმოდა მისი ნაზი ხმა; ხან ხედავდა შვილს იუსუფს, ხან ცოლს სოფიატს, ხან თავისი მტრის შამილის გაცრეცილ სახეს, წითური წვერითა და მინაბული თვალებით.

და ყველა ეს მოგონება მის წარმოდგენაში ისე შიქროდა, რომ მასში არ იწვევდა არავითარ გრძნობას, არც სიბრაზეს, არც არავითარ სურვილს. ყო-

ველიევ ეს მეტისმეტად უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რაც იწყებოდა და უკვე დაიწყო მისთვის. მისი ლონიერი სხეული კი განაგრძობდა დაწყებულის შესრულებას. მან მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, ადგა საფრიდან და დამბაჩა ესროლა იმ კაცს, რომელიც მისკენ მორბოდა. კაცი წაიქცა. შემდეგ ის სულ გამოფოფხდა თხრილიდან და ხანჯლიანი წავიდა პირდაპირ, თანაც საშინლად კოჭლობდა, მტრებისკენ. რამდენიმე სროლის ხმა მოისმა, ის დაბარბაცდა და წაიქცა. რამდენიმე მილიციონერი გამარჯვებულის ყიჟინით გაიქცა დაცემული სხეულისაკენ. მაგრამ მაშინ ის, რაც მკვდარ სხეულად მიაჩნდათ მათ, უცბად შეინძრა. ჯერ უფაფახო გასისხლიანებული მოპარსული თავი წამოდგა, შემდეგ ტანი და, ჩასჭიდა რა ხელი ხეს, ის სულ ადგა. ის ისე საშინელი ჩანდა, რომ ისინი, რომლებიც მისკენ მორბოდნენ, გაჩერდნენ. მაგრამ ის უცბად შეტორტმანდა, მოსწყდა ხეს და, როგორც მოცელილი ბირკი, მთელი ტანით წამოიქცა, პირქვე დაეცა და უკვე აღარ ინძრეოდა.

ის არ ინძრეოდა, მაგრამ კიდევ გრძნობდა. რადესაც ჰაჯი-აღამ, რომელმაც პირველმა მიირბინა, დიდი ხანჯალი დაჰკრა თავში, მას ეგონა, თითქოს ჩაქუჩს ურტყამდნენ თავში, და ის ვერ შიმხვდარიყო, ვინ ჩადიოდა ამას და რისთვის. ეს იყო მისი უკა-

ნასკნელი შევნება თავის სხეულთან კავშირისა. მერე ის უკვე ველარაფერს ვერ გრძნობდა, და მტრები თელავდნენ და ჭრიდნენ მას, რასაც უკვე არაფერი საერთო არა ჰქონდა მასთან. ჰაჯი-ალამ ზურგზე დაბჯინა ფეხი, ორი დაკვრით მოჰკვეთა თავი და ფრთხილად, რომ სისხლით არ დაესვარა წუღები, გადააგორა ფეხით თავი. კისრის არტერიებიდან ვარდისფერმა სისხლმა ითქრიალა, თავიდან კი შავმა, და გადაესხა ბალახს.

ყორღანოვიც, ჰაჯი-ალაც, ახმეტ-ხანიც და ყველა მილიციონერიც, როგორც მონადირე მოკლულ ცხოველს, ისე დასდგომოდნენ თავზე ჰაჯი-მურატსა და მის ხალხს (ხანეფი, კურბანი და გამზალო გაბაწრეს), დენთის კვამლში გახვეულნი იდგნენ ბუჩქებში, მხიარულად ლაპარაკობდნენ და თავის გამარჯებას დღესასწაულობდნენ.

ბულბულებმა, რომლებიც სროლის დროს მიჩუმდნენ, ისევ დასტვინეს, ჯერ ერთმა ახლოს და მერე კი სხვებმა შორეულ ნაპირას.

აი სწორედ ეს სიკვდილი მომაგონა გასრესილმა ბირკმა დახნულ ყანაში.

1896—1898; 1901—1904.